875

ბერძნული მითების სამყარო

# დიდი ზეციური ღმერთები



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის
ინსტიტუტი

●

პროგრამა «ლოგოსი»

პუბლიკაციები და ღონისძიებები კლასიკური ფილოლოგიის,
ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის სფეროში

ლოგოსი

გამომცემლობა «დიოგენესთან» თანამშრომლობით

ბერძნული მითების სამყარო

# დიდი ზეციური ღმერთები

თხრობა და კომენტარები
ნანა ტონიასი

მეორე შესწორებული გამოცემა

დაამტკიცა საქართველოს განათლების სამინისტრომ
დამხმარე სახელმძღვანელოდ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის
მოსწავლეთათვის

875(075.3)
ღ-456

სერიის სარედაქციო კოლეგია

*რისმაგ გორდეზიანი (მთავარი რედაქტორი)*
*ლაშა ბერაია (მთავარი რედაქტორის მოადგილე)*

*ვალერი ასათიანი*
*ნანა ტონია*
*მანანა ფხაკაძე*
*მანანა ღარიბაშვილი*
*რუსუდან ცანავა*
*გიორგი ხომერიკი*

95105

სერიის წიგნები გამოდის პროგრამის
„ბერძნული ენა საქართველოს სკოლებში" ფინანსური ხელშეწყობით

© პროგრამა „ლოგოსი", 1999

ISBN 99928-65-11-3 (სერია)
ISBN 99928-65-37-7

*პროგრამა „ლოგოსი"*
*ილია ჭავჭავაძის გამზირი 13*
*(თსუ VIII კორპ.), ოთ. 14, 380079 თბილისი*
*ტელ. 25-02-58, ფაქსი 22-11-81*
*ელ.ფოსტა logos@caucasus.net*

---

გარეკანზე: აგესანდროსი. ვენუს (ვენერა) მილოსელი. მარმარილო. ძვ.წ. II ს. პარიზი. ლუვრი (იხ. აგრეთვე ილუსტრაციებში).

# შინაარსი

1. ჰერა — *7*

ჰერასა და ზევსის ქორწილი (*8*), ჰერაც ისჯება (*9*), ამაყი ჰერა (*10*), როგორ აცდუნა ჰერამ ზევსი (*11*), ტირესიასის დასჯა (*13*), ეჭვიანი ჰერა. ინო (*14*)

2. აფროდიტე — *17*

ამაღლება ოლიმპიელი ღმერთების დასში (*17*), ვინ არის ეროსი? (*18*), აფროდიტე და ნერიტესი (*18*), ეროსი და ფსიქე (*20*), ცბიერი აფროდიტე. ადონისი (*21*), აფროდიტეს ძლევენი. პიგმალიონი (*23*), მრისხანე აფროდიტე. ნარკისოსი და ექო (*24*), ზევსის შურისძიება. ანქიზესი (*27*)

3. ჰესტია — *31*

პრიაპოსი (*31*)

4. დემეტრე — *33*

დემეტრე და იასიონი (*34*), დემეტრე და პოსეიდონი (*34*), პერსეფონეს მოტაცება (*35*), მგლოვიარე დემეტრე (*36*), ღვთაებრივი შეთანხმება (*40*), დემეტრეს მადლი. ტრიპტოლემოსი (*42*), როდესაც დემეტრე მრისხანებს. ერისიხთონი (*42*), ელევსინური მისტერიები (*45*)

5. ათენა — *46*

ღვთაება, რომელიც დაიბადა მამის თავიდან (*46*), ქალწული ათენა – ერიხთონიოსის დედა (*48*), დავა პოსეიდონთან (*50*), ტირესიასის შეწყნარება (*51*), არაქნეს დასჯა (*52*)

6. ᲐᲞᲝᲚᲝᲜᲘ 54

დელფოს სამისნოს დაარსება *(55)*, ნიობეს შვილები *(56)*, ადმეტოსთან სამსახური *(59)*, მარპესა *(61)*, მარსიასი *(61)*, დაფნე *(63)*, დრიოპე *(64)*

7. ᲐᲠᲢᲔᲛᲘᲡᲘ 66

მარად ქალწული ღვთაება *(66)*, კიკლოპებთან *(68)*, პანთან *(69)*, პირველი ნადირობა *(69)*, ალფეოსი *(70)*, კალისტო *(70)*, აქტეონი *(71)*, აკონტიოსი *(72)*

8. ᲐᲠᲔᲡᲘ 73

არესი და ათენა *(74)*, არესი ალოადების ტყვეობაში *(76)*, არეოპაგოსის დაარსება *(76)*

9. ᲰᲔᲠᲛᲔᲡᲘ 76

ჩვილი ჰერმესის ოინები *(76)*, ჰერმესის მისია *(80)*, დაფნისი *(82)*, ჰერმესი და გლეხკაცი *(82)*

10. ᲓᲘᲝᲜᲘᲡᲔ 83

ღმერთი, რომელიც ორგზის იშვა *(83)*, ტანჯვის გზა *(84)*, დიონისეს ამალა *(85)*, თვითდამკვიდრების გზა *(86)*, მიდასი *(87)*, ლიკურგოსი *(88)*, პენთევსი *(89)*, მინიასის ასულები *(91)*, ტირსენიელი მეკობრეები *(91)*, არიადნე *(93)*, ცად ამაღლება *(94)*

11. ᲰᲔᲤᲔᲡᲢᲝ 94

უმამოდ შობილი ღმერთი *(94)*, ჰეფესტოს დაბრუნება ოლიმპოსზე *(95)*, ხელმეორედ ჩამოგდება ოლიმპოსიდან *(96)*, უხილავი მახე *(97)*

ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲠᲔᲑᲘ 101

ᲡᲐᲮᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲫᲘᲔᲑᲔᲚᲘ 160



# ❶ ᲰᲔᲠᲐ

ღრუბელთა მიღმა, სადაც ვერ სწვდება მიწიერი არსების მზერა, ცისფერ სივრცეში ფარშევანგთა დასი მიფრინავს. ფრთოსანთა ფართოდ გაშლილ ფრთებს დიდებული მზე-ჰელიოსი ნაირფერი სხივებით ანთებს. ფარშევანგები, ზურმუხტისფერი კისრები რომ ეხრებათ ფრენით, მიაქროლებენ ოქროცურვილ ეტლს. ობობას ქსელივით წმინდა სადავეები ხელთ უპყრია ცისარტყელას — ღვთაება ირისს. მას გვერდს უმშვენებს კვერთხს დაყრდნობილი სხვა ღვთაება. ის მაღალია და ლამაზი, ამაყი მზერით. მრავალ ნაკეცად ეყრება მის მოხდენილ სხეულს ბრწყინვალე სამოსი. თავს ვარსკვლავების დიადემა ადგას, ხოლო თვალთაგან გადმომავალ დაბინდულ მზერას სიმკაცრისა და ძალმოსილების იერი დაჰკრავს. ეს გახლავთ ჰერა, ზევსის მეუღლე. ყოველ ცისმარე გადაუფრენს ხოლმე იგი იმ სამყაროს, რომელსაც თავის საკუთრებად თვლის.

ჰერა, ისევე როგორც ზევსი, კრონოსისა და რეას ასულია. იგი სხვა შვილებთან ერთად შთანთქა მამამ, რომელსაც უწინასწარმეტყველეს, რომ საკუთარი ნაშიერი წაართმევდა სამეფო სკიპტრას. მაგრამ გაცხადდა ეს მისნობა. ფარულად აღზრდილმა ზევსმა დაამხო მამის ძალაუფლება და კვლავ მზის ნათელს დაუბრუნა თავისი და-ძმანი, მათ შორის ჰერაც, რომელიც დედამ ტიტანთა

ბრძოლის დაწყებამდე გადამალა თავის მშობლებთან. ქვეყნიერების დასალიერში, ჭაღარა ოკეანოსთან და ტეთისთან იზრდებოდა ჰერა სიწყნარესა და სიმშვიდეში. ამას იგი არასოდეს დაივიწყებს და აღმზრდელთა სასურველი სტუმარი იქნება მუდამ. მოგვიანებით, ოლიმპოსზე აღზევებული ჰერა დროდადრო ჩაერევა ხოლმე მათ საოჯახო საქმეებში და ღვთაებრივი ნებით მოაწესრიგებს.

## ჰერასა და ზევსის ქორწილი

ეგისისმპყრობელმა ზევსმა ოკეანოსის სამფლობელოში იხილა მშვენიერი ქალწული, რომლის თვალთაგან ღვთაებრივი შუქი მოკრთოდა. დიდი მეუფის სულში უმალ სიყვარულმა დაისადგურა. დაუოკებელი ნდომით აღივსო მეხთამტყორცნელი, მიუახლოვდა ქალწულს, ხელი შეახო და იგრძნო, რომ იგიც ტრფობის სხივით ანთებულიყო. და შეეუღლა შროშნისხელება ჰერას ზევსი. ასე ამბობენ, მათი საიდუმლო სიყვარული სამასი წელი გრძელდებოდაო. ყოველ შეხვედრას მათთვის უსამანო ბედნიერება მოჰქონდა. მაშინ სამყარო ივსებოდა ნათელი სხივით, შროშნებისა და იაკინთების იდუმალი ხმა ეფინებოდა ველებს და მინდვრებს, მალენიავი ზეფიროსი კი ზეთისხილის რტოებში დუმდა, რათა არავის შეეტყო, რომ იქ, ქვეყნიერების დასალიერში, ოლიმპოსის დიდი მეუფე ჰერას ეტრფოდა.

სხვა გადმოცემით, ზევსმა თვალი მოჰკრა მშვენიერ ჰერას არგოლისში, თრონაქსის მთაზე, მოეწონა და ალერსი მოუწადინა. მაგრამ ამაოდ. თავდაპირველად ზევსი სხვადასხვა ხერხით ლამობდა მის მოხიბლვას, ბოლოს ასეთს მიმართა: გარდაისახა ჭრელ გუგულად და ამ სახით მოევლინა ხის ჩრდილში დასასვენებლად ჩამომჯდარ ჰერას. ქალწულს ფრინველი მოეწონა, ხელში აიყვანა და ნაზად მიიკრა მკერდზე. არ დააყოვნა ზევსმა, უმალ მიიღო თავისი ჭეშმარიტი სახე და ქალწული დაიმორჩილა. ჰერა იძულებული გახდა, მას ცოლად გაჰყოლოდა.

ღმერთებმა ღირსეულად იზეიმეს მათი ქორწილი. ირისმა და ქარისებმა ცისარტყელას ფერებით გასხივოსნებული მდიდრული სამოსით დაამშვენეს დედოფალი. ჰერას ზეციური გვირგვინიდან საკვირველი კულულები ეშვებოდა, მშვიდი სიდიადის სხივს აფრქვევდნენ  მისი თვალები და როცა იგი უკვდავთა და მოკვდავთა დიდი მეუფის გვერდით დაბრძანდა ოქროს ტახტზე, ოლიმპოსის ღმერთების დასში თვალს იტაცებდა არნახული მშვენიერებით. ყოველმა ღმერთმა დიდებული საჩუქარი უბოძა ახალ მბრძანებელს. დედამიწის ქალღმერთმა გეამ ჰერას უძღვნა თავისი წიაღიდან აღმოცენებული მარადიული სიჭაბუკის მომნიჭებელი ოქროს ვაშლებით დახუნძლული საკვირველი ხე, რომელიც ქვეყნიერების დასავლეთ სამანთან, მწუხრის ნიმფების, ჰესპერიდების ბაღში ხარობდა. მას მრავალი ათასი წელი დარაჯობდა მარად ფხიზელი ტიტანი ლადონი. დიდმა ათენამ ჰერას უბოძა საკუთარი ხელით ნაქსოვი დიდებული ბიალონი, რომელსაც ჰერა მაშინ მოისხამს, როცა ზევსის ცდუნებას დააპირებს. ზეიმობდნენ ღმერთები. მთელი სამყარო ადიდებდა მეუფე ზევსს და მის უმშვენიერეს მეუღლეს.

მას შემდეგ მეფობს მაღალ ოლიმპოსზე დიადი ჰერა. მისი ბრძანებით ფარავენ ცას მრუმე ღრუბლები, მისი ბრძანებით მრისხანებენ და მშვიდდებიან ქარტეხილები.

## ჰერაც ისჯება

ზევსი დიდი პატივით ეპყრობა ჰერას, ეთათბირება და თავის აზრებს უზიარებს, მაგრამ ყოველთვის აგრძნობინებს, რომ იგიც, ისევე როგორც სხვა ღმერთები, მის ნებას უნდა მორჩილებდეს. ჰერა კი ხშირად მზვაობრობს თავისი მაღალი ღირსებებით და უზენაესი უფლებებით, უფრო მეტს ითხოვს, ვიდრე ზევსისაგან ენიჭება. ამის გამო მეუღლეთა შორის დავა და შუღლი წარმოიშობა. მაშინ კი დიდი მეხთამტყორცნელი მრისხანებს და ცოლს დასჯით ემუქრება. ამ დროს დუმდება ჰერა, რისხვას გულში იმარხავს, რადგანაც ახსოვს, როგორ დასაჯა იგი ზევსმა. აი, რა მოხდა: ჰერამ, პოსეიდონმა, აპოლონმა და სხვა ოლიმპიელებმა, ჰესტიას გარდა, გადაწყვიტეს დაესაჯათ ზევსი ქედმაღლობისათვის.

მძინარეს გარსშემოერტყნენ და ისე შებოჭეს, რომ განძრევა ვერ შეძლებოდა. ზევსი მათ სიკვდილით ემუქრებოდა. მეამბოხე ღმერთები კი, რომლებმაც გადაუმალეს მას ელვა და მეხი, შეურაცხმყოფელად იცინოდნენ. სანამ ისინი გამარჯვებას ზეიმობდნენ და წინდაწინ მსჯელობდნენ იმაზე, თუ ვინ იქნებოდა ტახტის მემკვიდრე, ნერევსის ასულმა თეტისმა განჭვრიტა მოსალოდნელი საფრთხე ოლიმპოსზე და გაემართა ასხელა ბრიარეოსის საძებრად. მან მალულად შემოიყვანა სასახლეში გოლიათი, რომელმაც თავისი მრავალი ხელით იოლად გაათავისუფლა ზევსი. და რამდენადაც სწორედ ჰერა იდგა შეთქმულთა სათავეში, ღმერთთა მეუფემ იგი ყველაზე მკაცრად დასაჯა: ოქროს ურყევი ჯაჭვებით შებოჭა, ფეხებზე ორი უმძიმესი გრდემლი მიაბა და ცასა და მიწას შორის დაკიდა. თუმცა ყოველი ღმერთი სულის სიღრმემდე შეძრული იყო ზევსის სიმკაცრით, ვერავინ ბედავდა, გამოქომაგებოდა ჰერას, რომელიც საწყალობლად კვნესოდა. ბოლოს ზევსმა განუცხადა მათ, რომ გაათავისუფლებდა ჰერას ერთი პირობით, თუკი ისინი ფიცს დადებდნენ, რომ არასოდეს აღდგებოდნენ მის წინააღმდეგ, რაც აღასრულეს კიდეც ღმერთებმა. ზევსმა დასაჯა პოსეიდონი და აპოლონი – გაგზავნა ისინი მონებად მეფე ლაომედონთან, რომელსაც აუშენეს ქალაქ ტროას გალავანი. დანარჩენი ღმერთები კი შეიწყნარა, რადგან დარწმუნდა, რომ იძულებით განუდგნენ მას.

## ამაყი ჰერა

ჰერას ღრმად სწამდა, რომ ზეცათა დედოფალი უმშვენიერესი უნდა ყოფილიყო. ეს კარგად იცოდნენ პოეტებმა, ამიტომ, ღვთაების კეთილგანწყობა რომ დაემსახურებინათ, განადიდებდნენ მისი მკლავების თვალისმომჭრელ სისპეტაკეს, უწოდებდნენ რა „შროშნისმკლავებას“ ან „ხელქათქათას“; განადიდებდნენ მისი თვალების სიღრმესა და დაბინდულ მზერას, უწოდებდნენ რა „ხარისთვალებას“. მაგრამ დროდადრო მრისხანებაც ეუფლებოდა მაღალ ღვთაებას.



იგი უმოწყალოდ სჯიდა ყველას, ვინც მის პატივმოყვარეობას შელახავდა. ამბებს სემელეს, ინოს, პროიტოსის ქალიშვილებისა თუ სხვათა შესახებ, რომლებიც ჰერას შეურისხავს, მომდევნო თავებსა და წიგნებში წაიკითხავთ. ტროას ომის ამბავთა გადმოცემისას კი თქვენ შეიტყობთ, რომ ბრძოლების ჟამს ჰერა აქაველებს უწევდა მფარველობას და ხშირად გამარჯვების სასწორს მათ მხარეს ხრიდა, მაშინ, როდესაც ზევსი ტროელებს უფრო სწყალობდა. ამას თავისი მიზეზები ჰქონდა.

## როგორ აცდუნა ჰერამ ზევსი

ეს ამბავი ტროას ომის დროს მოხდა. ერთ დღეს, როდესაც მიწისმრყეველმა პოსეიდონმა აქაველთა გულებს ბობოქარი ძალა შთაბერა და ტროელების წინააღმდეგ განაწყო, ოქროსტახტისმპყრობელმა ჰერამ თვალი მოჰკრა ზევსს იდას მთაზე. კარგად იცოდა დედოფალმა, რომ ღვთაებათა შორის უზენაესი ტროელთა გამარჯვებით დააგვირგვინებდა ბრძოლას. და ასე რომ არ მომხდარიყო, დიდმა ქალღმერთმა გადაწყვიტა ზევსის ცდუნება. იგი შევიდა თავის თალამოსში და კარები, რომელიც უკვდავთაგან ჯერ არავის გაეღო, მაგრად ჩარაზა. ამბროსიული ნელსაცხებლებით დაიზილა დიდებული სხეული და მთელ სამყაროს მოეფინა ღვთაებრივად ნაზი სურნელი, მომხიბლავი და დამათრობელი. დატალღული თმა დაივარცხნა და, ზეციური სურნელების მიმომფრქვეველი, ღვთაებრივ მხრებზე ჩამოიშალა. შემდეგ მოისხა ჰაეროვანი ბიალონი, თავად ათენამ რომ უბოძა, და ოქროს საბნევით შეიბნია, ყური სამმაგი თვლებით მოოჭვილი ოქროს საყურით დაიმშვენა, თავს მსუბუქი და ნათელმფენი რიდე დაირქვა, ხოლო თეთრთოვლა ფეხები გასაოცარი სილამაზის სანდლებით შეიმკო. ბრწყინავდა ცათა მბრძანებელი, დიდებულების სხივთა მფრქვეველი გამოვიდა თალამოსიდან და ზევსის ასული აფროდიტე იხმო. ასე მიმართა მას ოქროსტახტისმფლობელმა ჰერამ:

– აფროდიტე, სიყვარული უნდა მიბოძო, ის ტკბილი ვნება, რომლითაც თრგუნავ მოკვდავთა და უკვდავთა გულებს. შორეთი-

საკენ მივემართები, ჩემი აღმზრდელები, ოკეანოსი და ტეთისი უნდა მოვინახულო. მათ სულში შუღლი ჩასახულა, მსურს შევარიგო, რომ სიყვარულის სარეცლით იბედნიერონ.

— არ შემიძლია, არ გისმინო, ნათელო ჰერა, შენ, ვისაც ყოვლისშემძლე ზევსი გეალერსება.

ასე მიუგო სიყვარულის დიდმა ღვთაებამ და შემოიხსნა მოოჭვილი სარტყელი. ყოველი ხიბლი იყო მასში: სიყვარულიც და ვნებაც, ტრფობის ჩურჩულიც, გრძნობის გამხელაც, მაცთუნებელი სიტყვებიც კი, ბრძენთა გონება არაერთხელ რომ დაუბინდავთ.

ჰერამ სარტყელი შემოირტყა და მიატოვა ოლიმპოსის ნათელი თხემი. მრავალ ქვეყანას ჩაუარა, ბოლოს ეწვია ძილის ღვთაების საბრძანებელს, ხელი შეახო ღმერთს და სთხოვა:

— ცისიერთა და მიწიერთა ძილისმომგვრელო მეუფეო, კიდევ ერთ სურვილს თუ ამისრულებ, უსამანო იქნება ჩემი შენდამი მადლიერების გრძნობა. გთხოვ, მეხთამტყორცნელს ჩემს სარეცელზე ალერსის ჟამს მოჰგვარო ძილი. ვიცი, ამგვარი საქციელისთვის მკაცრად დაგსაჯა მბრძანებელმა, მაგრამ გთხოვ, ისევ აღასრულო ჩემი სურვილი და საოცნებო პასიფაეს, ასე რომ გიყვარს, გიბოძებ ცოლად.

ძილის ღვთაებამ ცისიერთა დედოფალს სთხოვა, რომ ერთი ხელით შეხებოდა სიუხვით სავსე დედამიწას, მეორე ხელით — განათებულ ზღვას და დიადი ფიცით განემტკიცებინა ნათქვამი. ჰერამ შეჰფიცა. შემოიბურეს შემდეგ ღრუბელი და იდას მთისკენ ისწრაფეს. იქ ძილის ღმერთი მიიმალა ცად აწვდილ ნაძვის რტოებში, ხოლო ჰერა კი მეხთამპყრობელს გამოეცხადა. მოჰკრა თუ არა ზევსმა თვალი, უმალ აღინთო იმგვარი ვნებით, მისი პირველად ხილვის ჟამს რომ შეიგრძნო, მრავალი ათასი წლის წინ.

— ჩემო მეუღლევ! — მიმართა ზევსმა, — საით გაგიწევია, ვერ ვხედავ ცხენებს, ვერც ოქროს ეტლს.



ჰერამ იცრუა, თითქოს იგი მიისწრაფოდა მისი აღმზრდელების, ოკეანოსისა და ტეთისის შესარიგებლად, ქვეყნიერების დასალიერში.

— ჰერა, მერწმუნე, არავისადმი არ მქონია ისეთი გრძნობა, შენი ხილვისას რომ მეუფლება. შენ უფრო მეტად მიყვარხარ ახლა, ვიდრე მაშინ, პირველად რომ მოგეალერსე. ჩვენ აქ არავინ დაგვინახავს, ოქროს ღრუბლებში გავეხვევით, მათში მზის სხივიც ვერ გაატანს, — ამბობდა ზევსი და მთელი გზნებით ეხვეოდა სიყვარულით გაბრწყინებულ დიდებულ ქალღმერთს. ამოიზარდა მათ ქვეშ ბალახი, სურნელოვანი ყვავილებით მიმოფენილი და უკვდავთა ქვეშ რბილ სარეცელად გაიფინა მათი სინაზე. ოქროცურვილი ღრუბლებიდან კი ჩამოდიოდა ნათელი ცვარი. შემდეგ კრონიონს დაეხუჭა თვალი ძილისგან და დიდხანს იწვა ცთუნებული მეხთამტყორცნელი გამარჯვებული ჰერას მკლავებში.

ამასობაში აქაველებმა დათრგუნეს ტროას ლაშქარი. პატივმოყვარე ჰერა დამშვიდდა. გამოფხიზლებული ზევსი არ დააყოვნებს შურისგებას.

## ტირესიასის დასჯა

კიდევ მრავალი მითი მოგვითხრობს ჰერას სიამაყეზე. ცნობილი წინასწარმეტყველი ტირესიასიც ხომ მან დასაჯა. ერთხელ, ამბობენ, ჰერა მეუღლეს ღალატს საყვედურობდა. ზევსი ლამობდა, გაემართლებინა თავი. ამტკიცებდა, რომ ჰერა გაცილებით უფრო მეტ სიამოვნებას იღებდა, როდესაც მასთან სარეცელს იზიარებდა, ვიდრე თავად. „რა თქმა უნდა, სიყვარულისას ქალები უფრო ნეტარებენ, ვიდრე კაცები“, — გაშმაგებული იმეორებდა ზევსი ამ სიტყვებს. „სისულელეა! — ყვიროდა ჰერა, — პირიქით, ამას შენც მშვენივრად გრძნობ“.

დავის გადასაწყვეტად იხმეს ტირესიასი, რომელმაც კარგად იცოდა ორივე სქესის თვისებები. ასე მიუგო:

„სასიყვარულო სიამეთა ათი წილიდან
ქალს — სამგზის სამი, ხოლო კაცს კი ერთი ერგება“.

გამარჯვებული ღიმილი რომ დალანდა ჰერამ ზევსის სახეზე, ისე განრისხდა, რომ დააბრმავა ტირესიასი. მაგრამ ღმერთთა მეუფემ იმით შეუვსო ეს უმძიმესი დანაკარგი, რომ შინაგანი ჭვრეტის ნიჭი უბოძა და სიცოცხლე შვიდი თაობით გაუხანგრძლივა.

## ეჭვიანი ჰერა. ინო

ზევსი მუდამ როდი უფრთხილდებოდა ჰერას ღირსებას. იგი დროდადრო იხიბლებოდა სხვათა მშვენებით და ლამობდა, დაემალა თავისი ტრფობა. მაგრამ, ხარისთვალება დედოფალი ყველაფერს ხედავდა და ხშირად მიაგებდა ხოლმე მისაგებელს ღალატისათვის მაღალ მეუღლეს. ქორწინების სიწმინდის დამცველი დიდი ღვთაება შეუბრალებელი იყო მათ მიმართ, ვინც წაბილწავდა ამ სიწმინდეს. ჰერა სდევნიდა მათ, ვისაც ეტრფოდა ზევსი. უმოწყალო იყო იგი მდინარის ღმერთის, არგოლისის პირველი მეფის, ინაქოსის მშვენიერი ასულის იოს მიმართ. მისი ამბავი მოთხრობილია ჩვენი სერიის პირველ წიგნში. არ შეიბრალა მან სემელე, თებეს მეფის, კადმოსის ასული, რომელმაც შვა დიდი ღმერთი დიონისე. ამ მითს მომდევნო თავში („დიონისე“) წაიკითხავთ. არ შეიბრალა ჰერამ სემელეს და ინოც, ათამასის მეორე ცოლი. იგი დედობრივ მზრუნველობას არ აკლებდა პატარა დიონისეს, რომელმაც შემდეგ სახელი გაითქვა როგორც ღვინისა და თრობის ღვთაებამ. ინო ამაყობდა თავისი აღზრდილით, მაგრამ საბედისწეროდ გადაექცა ეს სიამაყე. ჰერას გულში თანდათან იზრდებოდა რისხვა იმის გამო, რომ ინო ზრდიდა ზევსის ძეს. მან განიზრახა ინოს დასჯა. ისე აღივსო ბოროტებით დიდი ღვთაება, რომ დათმო ზეცის მშვიდი და ნათელი საბრძანებელი და მიწისქვეშა სამყაროს, ჰადესს მიადგა. ზღურბლთან დალანდა საშინელი ურჩხული, ქვესკნელის მცველი კერბეროსი, რომელმაც სამი ხახა დააღო და სამჯერ დაიყმუვლა. ჰერამ მოუხმო ღამისაგან ნაშობ დებს, შეუბრალებელ ერინიებს, რომლებიც ადამანტით დახშულ კარებთან ისხდნენ და შავი გველებით დამძიმებულ თავებს იქექავდნენ. დაინახეს თუ არა ჰერა, უმალ წამოდგნენ და გაოცებით მიესალმნენ. ცათა მეუფე დედოფალმა ირგვლივ მიმოიხედა და მრავალ ცოდვილს მოჰკრა თვალი. ჯერ იქსიონზე შეაჩერა მზერა, შემდეგ სისიფოსზე და ასე მიმართა უკუნეთის ბოროტ ღვთაებებს:

— ეოლოსის ვაჟთაგან ერთი — სისიფოსი — აქ იტანჯება, ხოლო ათამასი, ასე რომ ვძულვარ, ცოლთან ერთად განცხრომით მეფობს.

ამ სიტყვებში დებმა შეიცნეს ჰერას რისხვაც, მოსვლის მიზეზიცა და სურვილიც.

— გასაგებია, შესრულებულად მიიჩნიე შენი სურვილი. განადგურდება კადმოსის სამეფო მოდგმა, დაეუფლება ბოროტება ათამასის სულს! — ასე მიუგო მას ერინია ტისიფონემ, თავი გადააქნია და აწეწილი გველები სახიდან გადაიყარა.

დამშვიდდა ჰერა, ცად ამაღლების წინ ირისმა ნამით განბანა მისი სხეული.

ხოლო გულღრძო ტისიფონემ აიღო სისხლით მოთხვრილი ჩირაღდანი, მოისხა სისხლმოწურწურე მოსასხამი და ზედ გველი შემოიხვია. სახლიდან გასულს თან აედევნა გლოვა და ზარი, მოცახცახე შიში და ძრწოლა. ამ დროს, ამბობენ, აზრიალდაო კადმოსის სრა-სასახლე, მიიმალაო მზე შავ ღრუბლებში.

ათამასმა და ინომ იგრძნეს უბედურების მოახლოება. კარებს მიაწყდნენ, მაგრამ შავბედი ერინისი წინ გადაეღობათ. ხელი, რომელზედაც გველი ჰქონდა შემოგრაგნილი, მათკენ გამოიშვირა, თავი გადააქნია და მოსისინე გველები ზოგი ბეჭებზე, ზოგი მკერდზე გადმოიყარა. თმებიდან ორი გველი ამოიგლიჯა და ცოლ-ქმარს სტყორცნა. ისინი ათამასსა და ინოს უბეში შეუცოცდნენ და დაგესლეს იმ საზარელი შხამით, წინდაწინ რომ მოამზადა ტისიფონემ. ამ შხამში იყო ექიდნეს ლორწო, კერბეროსის დუჟი, მაწანწალათა სიგიჟე, ბრმათა წყვდიადი, ცოდვა, ცრემლები და ხოცვის ჟინი. შემდეგ ტისიფონემ ჩირაღდანი

გამალებით დააბზრიალა და ირგვლივ ცეცხლიააგიზგიზა. თავისი ბოროტი საქმე რომ დაასრულა, დისის უდაბურ სამფლობელოში ჩაესვენა, მოიხსნა გველი.

ათამასს უკვე წართმეოდა გონი, იგი შუა ეზოში იდგა და ბღაოდა:

— ახლობლებო, დააგეთ მახე, აი, ძუ ლომი ორი ბოკვერით!

ათამასი გაშმაგებული დაედევნა ინოს, რომელსაც მკერდში ჩაეკრა თავისი ორი ძე. მკერდიდან აგლიჯა ჩვილი ლეარქოსი, ღიმილით რომ იწვდენდა მისკენ პატარა ხელებს, შურდულივით დააბზრიალა და თავი სიპ ქვას მიახლევინა. მაშინ კი ინომ, მწუხარებით ან მკერდში ჩაღვრილი შხამით შეშლილმა, თმა გაიშალა და დაიკივლა: „ევოე, ბაკქოს!“

ჰერას, ღრუბლებიდან რომ უყურებდა ამ შემზარავ სურათს, აღმოხდა: „აი, რა გიქნა შენმა გაზრდილმა!“

გონგადასული ინო მაღალ კლდეზე აბობღდა, სიშმაგემ ძალა შემატა და რადგანაც შიშის გრძნობაც აღარ გააჩნდა, თავისი შვილით გადაეშვა მღელვარე ზღვაში, ტალღა გათეთრდა...

როგორც ძველები გადმოგვცემენ, მისმა დაუმსახურებელმა ტანჯვამ შეძრა ღმერთები. მათ შეიცოდეს ინო და ზღვის ღვთაება ლევკოთეად („თეთრი ღვთაება“) გარდასახეს. ზღვის ღვთაებადვე გარდასახეს მისი ჩვილი ძე და პალაიმონი უწოდეს.

*

ჰერა სდევნიდა იმ გმირებსაც, რომლებიც ზევსმა სხვა ქალებთან შვა. საყოველთაოდ არის ცნობილი მისი სიძულვილი საბერძნეთის დიადი გმირის ჰერაკლესადმი, რომელიც ზევსს მოკვდავმა ალკმენემ უშვა. და მაინც, ჰერა უძლიერესი ქალღმერთია დიდ ოლიმპოსზე. როდესაც იგი თავად ათენას ხელით მოქსოვილ მდიდრულ სამოსელს მოიცვამს და ბაჯაღლო ოქროთი და მბრწყინავი სპილენძის მანებით დამშვენებულ ვერცხლის ეტლზე აღზევდება, რათა დაეშვას დედამიწაზე, დიდებულია მისი სახე, ღვთაებრივია მისი მზერა. იქ, სადაც ჰერა გადაივლის დედამიწაზე, ნელსურნელება იფრქვევა და ყველა სულდგმული უმალ ქედს იხრის მისი დიადი მეუფების წინ.



## ❷ აფროდიტე

### ამაღლება ოლიმპიელი ღმერთების დასში

– 95105 –

სიყვარულის ღვთაება აფროდიტე ზღვის ტალღების ჰაეროვანი ქაფიდან იშვა უ..შკელი და ნიჟარაზე ძჯდომმა მალენიავი ზეფიროსის მსუბუქი ქროლით მიაღწია კუნძულ კითერას. არ მოეწონა სიმცირის გამო, პელოპონესოსს შეავლო თვალი, ბოლოს დასავანებლად შეარჩია კუნძული კვიპროსი. აქ სიხარულით შეეგებნენ ნათელ ღვთაებას გვირგვინოსანი დრონი — ჰორები და დიდებული ოქსინოთი შემოსეს იგი. თმები შეუმკეს იშვიათი ოსტატობით ნაკეთი გასაოცარი სილამაზის ოქროს გვირგვინით, ხოლო კისერი და ვერცხლისფრად მბრწყინავი ქათქათა მკერდი გაუნათეს უძვირფასესი სამკაულებით, რომლითაც თავად ირთვებოდნენ ზეიმებისას და სხივთამფენი აღამაღლეს ოლიმპოსის მაღალ ღმერთებთან.

გამოჩნდა თუ არა აფროდიტე, დიადი ზევსის სასახლის ოქროს კედლები შეზანზარდა მისი მშვენებით მონუსხული ღმერთების აღფრთოვანებული შეძახილებით. შურით აღივსნენ ჰერა, ზეცის უბრწყინვალესი ქალბატონი, ათენა, სიბრძნის ღვთაება და სხვა ქალღმერთები, იწყეს ჩურჩული, თითქოს შეიკრნენ ახლად მოვლენილი მეტოქის წინააღმდეგ, მაგრამ ამის მეტი ვერაფერი ავნეს — აფროდიტემ თავისი მშვენებით მოაჯადოვა და დაატყვევა იქ მყოფი ღმერთები. მას შემდეგ იგი, მარად ახალგაზრდა, ღვთაებათაგან მშვენიერებით გამორჩეული, ოლიმპოსის ბინადარია.

როდესაც ღვთაებრივი სილამაზის სხივთამფენელი აფროდიტე ნისლივით თხელი სამოსით შეიმოსება, ცისარტყელასავით ფერად ბიალონს მოისხამს და სადმე მიდის, მზეს ემატება ნათელი და ყვავილები უფრო ლამაზად იფურჩქნებიან. უსი-

ერ ტყეთა სიღრმეებიდან გამორბიან გარეული ცხოველები და გარს ეხვევიან, ტკბილი გალობით თავს დასტრიალებენ ფრთოსანთა გუნდები. მშვიდად მიაბიჯებს თავისი მბრწყინავი სილამაზით თავაღებული აფროდიტე მათ შორის და თან მიჰყვებიან: ჰორები, წელიწადის დროთა ცვალებადობის მეუფენი; ქარისები, სილამაზის და მომხიბვლელობის მხიარული ქალღმერთები; პეითო, დარწმუნების ღვთაება; ეროსი, თავისი ცელქი ბიჭუნა; ჰიმენეოსი, ქათქათა ფრთებით რომ მიუძღვის საქორწინო მსვლელობას და სხვა მარადიული ძალები.

აფროდიტეს წელს უმშვენებს ჯადოსნური სარტყელი, რომელშიც ჩაქსოვილია ყველა ხიბლი: სიყვარული, ვნება, ტრფობის ჩურჩული, გრძნობის გამხელა, ბრძენთა გონების დამტყვევებელი მაცდური სიტყვა. გასაოცარი ძალით მოქმედებს ეს ქამარი ცისიერთა და მიწიერთა უფაქიზეს გრძნობებზე, არავის ძალუძს მისგან თავის დაღწევა.

ზევსმა ღმერთთა შორის სილამაზით გამორჩეული აფროდიტე მიათხოვა ცეცხლისა და მჭედლობის ღვთაებას, კოჭლ ჰეფესტოს, რომელსაც წრფელი გულით უყვარდა იგი. მართალია, აფროდიტე არ იყო ერთგული მეუღლე, მაგრამ იმდენად დიდი იყო მისდამი სიყვარულის ძალა, რომ ყველაფერი ეპატიებოდა. ვერც კი ხვდებოდა ჰეფესტო, რომ მათი შვილების — ფობოსის, დეიმოსისა და ჰარმონიას მამა იყო არესი, ჰერმაფროდიტოსისა — ჰერმესი, როდოსისა და ჰეროფილოსისა — პოსეიდონი, პრიაპოსისა — დიონისე. სხვა შვილებიც ჰყავდა სიყვარულის მაღალ ღვთაებას, მაგრამ მათგან გამორჩეული იყო ეროსი.

## ვინ არის ეროსი?

მართლა ცბიერი ბიჭუნაა, მშვენიერი ოქროს ფრთებით ნიავქარივით რომ დანავარდობს მთელ სამყაროში, ხელში პატარა ოქროს მშვილდითა და მხრებზე კაპარჭით? ან იქნებ იგი ზევსსა და კრონოსზე უფრო ხნიერი, დიადი და ძლევამოსილი ღვთაე-



ბაა? ერთიც არის და მეორეც, რადგან სხვადასხვა ეპოქაში მას სხვადასხვაგვარად წარმოადგენდნენ.

უხსოვარ დროში, ჯერ კიდევ მანამ, სანამ ბერძნები გამოჩნდებოდნენ მათ გვიანდელ სამოსახლოში, ეროსს მცირეაზიელი ხალხები სცემდნენ თაყვანს. გადმოგვცემენ, რომ ეროსი იშვა ქაოსიდან მიწასა და ზეცასთან ერთად. მოგვიანებით მყარად გაიდგა ფესვი სხვა ლეგენდამ: ეროსი აფროდიტეს ძედ მიიჩნიეს და მის განუყრელ თანმხლებად. მას თვლიდნენ ღმერთთა შორის ყველაზე ახალგაზრდად, რომელიც აღარც გაზრდილა: იგი სამუდამოდ დარჩა მხიარულ, ცელქ და ცბიერ ბიჭუნად.

ზევსმა წინასწარ იცოდა, თუ რამდენ უბედურებას მოიტანდა ქვეყნად აფროდიტეს ვაჟი, ამიტომ დაბადებისთანავე მისი დაღუპვა მოიწადინა. მაგრამ ოქროს ქალღმერთმა გადამალა ახალშობილი გაუვალ ტყეში. იქ კი, უსიერ ტევრში, ყრმა გამოკვებეს თავიანთი რძით ძუ ლომებმა და ვეფხვებმა. სიყვარულით დათრგუნულები, ეროსს უგონებდნენ, თითქოსდა მან შხამიანი ისრებით დაჭრა მათი გულები. სხვანი კი მას განადიდებდნენ, რადგან იგი სიცოცხლეს ალამაზებდა უფაქიზეს გრძნობათა სხივმოსილი ყვავილებით. განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა ეროსი პოეზიაში. მას პოეტი აგათონი ასეთ ხოტბას უძღვნიდა: „კდემამოსილების მოყვარე, კადნიერების მოძულე, ალერსით მდიდარი, უალერსობით ღარიბი, კეთილთადმი მომთმენი, ბრძენთაგან პატივდებული, მდიდართა ტრფიალი, წარუმატებელთა ოხვრა, წარმატებულთა საკუთრება, ფუფუნების და ნებიერების, სიხარულის, ვნებისა და სურვილის მამა, კეთილშობილთა მოწყალე, მდაბალთა მტერი; იგი ძრწოლის და წამების ჟამს, ფიქრისა და მწუხარების ჟამს საუკეთესო მოძღვარი და თანმხლებია, მფარველია და შემწყნარებელი, ღმერთთა და კაცთა მშვენებაა...“

იმაზე, თუ როგორ შეიმოსა ეროსი ფრთებით, არსებობს ასეთი გადმოცემა:

## აფროდიტე და ნერიტესი

ზვირთთა ჰაეროვანი პერიდან შობილი ქალწული ჯერ კიდევ ოკეანოსის სამფლობელოში ცხოვრობდა, როდესაც შეიყვარა ზღვის მოხუცი ღვთაების ნერევსის ერთადერთი ვაჟი ნერიტესი, რომელიც ულამაზესი იყო უკვდავთა და მოკვდავთა შორის. როდესაც ქალღმერთის ოლიმპოსზე აღზევების ჟამი დადგა, ნერიტესმა არ ისურვა მისი თანხლება. მან გადაწყვიტა მშობლებთან და დებთან დარჩენა. აფროდიტეს მისთვის ფრთებიც კი ჰქონდა გამზადებული, მაგრამ რადგანაც მშვენიერმა ჭაბუკმა არ მიიღო ეს საბოძვარი, ქალღმერთმა ფრთებით ეროსი შემოსა, ნერიტესი კი ნიჟარად გარდასახა და მისი მსახურება უბრძანა.

## ეროსი და ფსიქე

ოდესღაც ერთ სამეფოში ცხოვრობდა მეფის ასული ფსიქე. იგი ისეთი ლამაზი იყო, რომ ქვეშევრდომნი, ივიწყებდნენ რა აფროდიტეს, თაყვანს სცემდნენ მას, როგორც ღვთაებას. განრისხებულმა ღმერთქალმა თავისი შვილი ეროსი იხმო და უბრძანა, ფსიქე დედამიწის ზურგზე უსაზარლესი ურჩხულისადმი დაუძლეველი სიყვარულის გრძნობით აღენთო. სიხარულით მიიღო ოინთა მოყვარე პატარა ღვთაებამ დავალება, მაგრამ იხილა თუ არა ქალწული, მისი მშვენებით მოიხიბლა და საკუთარი თავი შეაყვარა. ეროსმა ფსიქეს დიდებული სასახლე უძღვნა. იქ ხვდებოდნენ ღამ-ღამობით ერთმანეთს შეყვარებულები. ეროსმა სთხოვა მეფის ასულს, არასოდეს ცდილიყო გაეგო, ვინ იყო იგი, რამეთუ მისი ხილვა უბედურებას მოუტანდა. ფსიქემ ეს ამბავი დებს გაუმხილა. შურით აღძრულნი დასცინოდნენ — შენი სატრფო, ალბათ, შემზარავი ურჩხულიაო. ფსიქე დაეჭვდა და ერთხელ, ღამით, ცნობისწადილით დათრგუნულმა აანთო ბაზმა. ეროსის ღვთაებრივი სილამაზით გაოგნებულს ხელი აუკანკალდა და ცხელი ზეთის წვეთი ღმერთის მხარს დაეცა. ეროსი გამოფხიზლდა და გაქრა. გაქრა დიდებული სასახლეც და მეფის ასული უდაბურ კლდეზე აღმოჩნდა. აფროდიტე მას სჯიდა



მრავალი მწუხარებითა და სალმობით. მაგრამ ეროსი, რომელსაც ისევ უყვარდა იგი, ამშვიდებდა და მფარველობდა. ბოლოს თვით მეხთამტყორცნელმა ზევსმა მოიღო მათზე მოწყალება — ფსიქე აღაზევა ოლიმპოსზე, სადაც იგი ეროსს შეეუღლა.

## ცბიერი აფროდიტე. ადონისი

ერთხელ კვიპროსის მეფე კინირასის მეუღლემ დაიტრაბახა, რომ მისი ქალიშვილი სმირნა თვით აფროდიტეს აღემატება სილამაზით. აფროდიტემ ვერ აიტანა შეურაცხყოფა და შთააგონა სმირნას ვნება საკუთარი მამისადმი. ღამით, როდესაც ყველას ეძინა, ძიძამ ისე დაათრო კინირასი, რომ აზროვნების თავი არ ჰქონდა. ამას ელოდა შეყვარებული სმირნა. იგი მამის თალამოსს ეწვია და მისი სარეცელი გაიზიარა. როდესაც კინირასი გამოფხიზლდა და შეიგნო, რომ ერთდროულად მამაც იყო და ბაბუაც ჯერ კიდევ ქვეყნად მოუვლენელი ბავშვისა, ისე განრისხდა, რომ მახვილით დაედევნა სმირნას. როდესაც დაეწია და მოსაკლავად აღმართა ხელი, აფროდიტემ მირას ხედ გარდასახა მისი ასული. ვერც ახლა შეიკავა თავი კინირასმა და ეს ხე ორ ნაწილად გააპო თავისი მახვილით. ნაპრალიდან გადმოვარდა ბავშვი, სახელად ადონისი.

მწარედ ინანა აფროდიტემ. ჩვილი ზარდახშაში მოათავსა და მიცვალებულთა დედოფალს — პერსეფონეს გაუგზავნა გადასამალად.

ცნობისწადილმა სძლია პერსეფონეს, გახსნა ზარდახშა და მასში ჩვილი ადონისი აღმოაჩინა. ისე ლამაზი იყო იგი, რომ დედოფალმა ვერ დაფარა აღტაცება, გულში ჩაიკრა და სასახლეში წაიყვანა აღსაზრდელად. დღითიდღე იზრდებოდა და მშვენდებოდა ადონისი. ეს რომ გაიგო აფროდიტემ, უმალ ჩაეშვა ტარტაროსში და მოითხოვა ადონისი, მაგრამ უარი მიიღო პერსეფონესგან, რადგან ჭაბუკი მისი საყვარელი გამხდარიყო უკვე. აფროდიტეც მოიხიბლა ადონისის მშვენიერებით, დასატოვებლად ვერ გაიმეტა და დავის გადასაწყვეტად ზევსს

მიმართა. ღმერთთა მეუფემ იცოდა რა, რომ აფროდიტე ამ მართლაცდა ულამაზესი ჭაბუკის ვნებით იწვოდა, უარი თქვა უკადრის განაჩენზე და სამსჯავრო მოიწვია მუზა კალიოპეს მეთაურობით. მან კი თანაბარი უფლებები მიანიჭა შეყვარებულ ღვთაებებს, რამდენადაც აფროდიტემ ხელი შეუწყო მის დაბადებას, პერსეფონემ კი გადაარჩინა. თან მოითხოვა, რომ ადონისს მინიჭებოდა დასვენების უფლებაც, რათა ცოტა ხნით მაინც განრიდებოდა ამ სიყვარულით გაუმაძღარ ქალღმერთებს. შესაბამისად, კალიოპემ წელიწადი სამ თანაბარ ნაწილად გაყო. წლის ერთი მესამედი ადონისს აფროდიტესთან უნდა გაეტარებინა, ერთი — პერსეფონესთან, დარჩენილი დრო კი სურვილისამებრ.

მაგრამ აფროდიტე უსამართლოდ მოიქცა: თავის ჯადოსარტყელით აიძულა ადონისი, რომ მისთვის კუთვნილი დროც ქალღმერთისთვის დაეთმო, ამასთანავე მიითვისა პერსეფონეს დროის ნაწილიც და, ამდაგვარად, უარი თქვა სამსჯავროს გადაწყვეტილების აღსრულებაზე.

სამართლიანად აღშფოთებული პერსეფონე გაემგზავრა თრაკიაში, სადაც ეგულებოდა მისი კეთილმოსურნე ღმერთი არესი და დააბეზღა აფროდიტე: „შენს თავს ურჩევნიაო ვიღაც მოკვდავი, თანაც ქალივით მომხიბლავი!“ ეჭვითა და რისხვით აღივსო არესი, უმალ გარეულ ტახად გარდაისახა და იქით გაემართა, სადაც მეტოქე ეგულებოდა. ნადირობის ჟამს დაესხა თავს იგი ადონისს და აფროდიტეს თვალწინ დაფლითა. მისი სისხლის წვეთებისაგან აღმოცენდნენ ყვავილები — ანემონები, ხოლო სული კი ტარტაროსში ჩაეშვა. სასოწარკვეთილი აფროდიტე ზევსს მიეახლა და შეევედრა, ისე ექნა, რომ ადონისს წლის მკაცრი თვეები გაეტარებინა პერსეფონესთან, ხოლო ზაფხულის მშვენიერი დღეები — მასთან, რაზეც დათანხმდა დიდსულოვნად მეხთამტყორცნელი.

ერთხელ აფროდიტემ, ადონისს რომ ეჭვის გრძნობა აღძროდა, რამდენიმე ღამე გაატარა ლილიბოსში არგონავტ ბუტესთან,



რომელსაც უშვა ვაჟი ერიქსი. ადონისთან კი მას შეეძინა ვაჟი გოლგოსი, ვინც ამავე სახელწოდების ქალაქი დააარსა კვიპროსზე და ასული ბეროე, თრაკიული ბეროეს დამფუძნებელი.

## აფროდიტეს ძღვენი. პიგმალიონი

აფროდიტე ბედნიერებას ანიჭებს მას, ვინც ერთგულად ემსახურება. ასე გააბედნიერა მან კვიპროსის მეფე პიგმალიონი, რომელსაც ნაკლებად იზიდავდა სახელმწიფო საქმეები და რომელიც მთელ თავის დროს მხატვრობას უძღვნიდა. მან თავისი ცხოვრება ეულად განვლო, რადგანაც თვლიდა, რომ ქალებს უზნეობა ბუნებით მოსდგამდათ და რომ ისინი მას უბედურებას მოუტანდნენ. ერთხელ, პიგმალიონმა სპილოს სპეტაკი ძვლისგან უბადლო სილამაზის ქალწულის ქანდაკება შექმნა. სულდგმულივით იდგა ეს ქანდაკება მეფის სახელოსნოში. მხილველს ისეთი გრძნობა ეუფლებოდა, თითქოს სუნთქვისგან ირხეოდა მისი ლამაზი მკერდი, თითქოს ხმა მოისმოდა მის დიდებულ ბაგეთაგან. საათობით შესცქეროდა მხატვარი თავის ქმნილებას, რომელიც წრფელი გულით შეიყვარა. მისთვის მოჰქონდა უძვირფასესი სამკაულები, ოქსინოები და ძოწეული მოსასხამები. მდიდრული სამოსელით მოსავდა ქალწულს, თუმცა შიშველიც მშვენიერი იყო. ხან კი ართობდა თავის ქმნილებას, სთავაზობდა პატარა ჩიტებს, დარახტულ ბურთებს, ხიდან მოწყვეტილ ჰელიადების ცრემლებს, ყვავილებს. ხან სარეცელზე მიაწვენდა, თავქვეშ ბალიშებს ამოუდებდა და მიაძინებდა.

იმხანად აფროდიტეს დღეებს ზეიმობდა მთელი კვიპროსი. იწირებოდა მსხვერპლი, იკმეოდა საკმეველი. მდიდრული ძღვენი გაიღო პიგმალიონმა, მუხლი მოიდრიკა კვიპროსშობილის საკურთხეველთან და აღმოხდა: „თუკი ღმერთები ხართ ყოვლისშემძლე, ისეთი მეუღლე მომივლინეთ, როგორიც ჩემი ქანდაკებაა“. მან ვერ გაბედა სიყვარულის დიდი ღვთაებისათვის ქვის გაცოცხლება ეთხოვა. მაგრამ მიუხვდა აფროდიტე და კეთილგანწყობის ნიშნად სამგზის აღაზევა ჰაერში ცეცხლი.

სასახლისკენ ისწრაფა პიგმალიონმა. მიუახლოვდა ქალწულის ქმნილებას და ხელი შეახო, ეამბორა, სითბო შეიგრძნო, კვლავ ეამბორა და თითებით მკერდზე მიუალერსა. იგრძნო, დარბილდა სპილოსძვალი, თითებს მინებდა. ხედავს, თვალები აელვარდნენ სიცოცხლის შუქით, გასულიერდა ქანდაკება. პიგმალიონი ხან მადლობის სიტყვებს ჩურჩულებს, ხან ძვირფას ქალწულს ეამბორება. მან გალატეა შეარქვა ღვთაებისგან სულჩადგმულ ქმნილებას და დიდებული ქორწილი გადაიხადა. ზეიმს ქალღმერთიც ესწრებოდა. წლისთავზე მეფეს მშვენიერმა გალატეამ უბოძა ვაჟი, რომელსაც პაფოსი შეარქვეს. მეფისწულმა დააარსა თავისივე სახელით სახელდებული ქალაქი, სადაც კეთილმოწყალე ღვთაებას მდიდრული საკურთხეველი აუგო.

## მრისხანე აფროდიტე. ნარკისოსი და ექო

ვინც სიყვარულის ძალას არ ცნობს, მას აფროდიტე უმოწყალოდ სჯის. აი, როგორი მისაგებელი მიაგო მან მდინარის ღმერთის კეფისოსისა და ნიმფა ლარიოპეს მშვენიერ, მაგრამ ცივსა და ამაყ ვაჟს, ნარკისოსს. ახალშობილს მისანმა უწინასწარმეტყველა, რომ მიაღწევდა სიბერმდე, თუ არ ნახავდა თავის სახებას. თავდაპირველად არ ირწმუნეს მისნის ნათქვამი, მაგრამ დრომ ცხადყო მისი ჭეშმარიტება: ჭაბუკს არავინ უყვარდა საკუთარი თავის გარდა, მხოლოდ საკუთარ თავს მიიჩნევდა სიყვარულის ღირსად. მისი მშვენიერებით კი მრავალი იხიბლებოდა.

ერთხელ, როდესაც ნარკისოსი ჩრდილოვან ტყეში ნადირობდა, ნიმფა ექომ დაინახა და შეიყვარა მთელი არსებით. მაგრამ საბრალო ნიმფას არ შეეძლო მზვაობარ ჭაბუკამდე მიეწვდინა თავისი გულისთქმა. იგი დუმდა და მხოლოდ სხვათა სიტყვებს იმეორებდა. ექოს ეს სასჯელი მოუვლინა ჰერამ, რადგანაც ნიმფებთან მონებივრე ზევსთან მიმავალ ქალღმერთს იგი გზად აყოვნებდა ხოლმე ხანგრძლივი ყბედობით, ხოლო ნიმფები თავს შველოდნენ ამასობაში.





*ჰერა დიდებული სამოსით, სამეფო დიადემითა და სკიპტრით. თასის მოხატულობა. ძვ.წ. 470-460 წწ. მიუნხენი. ანტიკური კოლექციების მუზეუმი.*



ჰერას თავი. ძვ.წ. 420 წ. ათენის არქეოლოგიური მუზეუმი.



აფროდიტე ნიჟარაში. მარჯვნივ გამოსახულია ჰერმესი, მარცხნივ – პოსეიდონი და ეროსი. წითელფიგურიანი ლარნაკი. დაახლ. ძვ.წ. 370-360 წწ. თესალონიკის არქეოლოგიური მუზეუმი.



ზღვის ქაფიდან დაბადებული აფროდიტეს რელიეფური გამოსახულება. დაახლ. ძვ.წ. 460 წწ. „ლუდოვისის ტახტი“.



*პანი ეხვევა შიშველ აფროდიტეს, რომელიც თავს იცავს სანდლით. მათ შორის კი მოჩანს მოღიმარი ეროსი. ძვ.წ. 100 წ. ათენი. ნაციონალური არქეოლოგიური მუზეუმი.*



*აფროდიტე გედზე (ან ბატზე). თასის მოხატულობა. დაახლ. ძვ.წ. 470-460 წწ. ლონდონი. ბრიტანეთის მუზეუმი.*



აგესანდროსი. აფროდიტე. მსოფლიო ხელოვნებაში ეს ქანდაკება ცნობილია „ვენერა (ვენუს) მილოსელის“ სახელით. მარმარილო. ძვ.წ. II ს. პარიზი. ლუვრი.



დემეტრე კნიდოსელი. ძვ.წ. 340-330 წწ. ლონდონი. ბრიტანეთის მუზეუმი.



ჰესტია. წითელფიგურიანი კილიქსის დეტალი. დაახლ. ძვ.წ. 520 წ. ტარკვინია. ნაციონალური არქეოლოგიური მუზეუმი.



დემეტრეს მიერ მოხნულ მიწაზე ღმერთი არესი აბნევს მარცვლებს. წითელფიგურიანი ამფორა. ძვ.წ. 430-420 წწ. ათენი. ნაციონალური არქეოლოგიური მუზეუმი.



*დემეტრე აზიარებს ტრიპტოლემოსს მიწათმოქმედების საიდუმლოს. იგი აძლევს ჭაბუკს ოქროს თავთავს და უბრძანებს, ასწავლოს ადამიანებს მოსავლის მოყვანა. მის გვერდით დგას პერსეფონე ჩირაღდნით ხელში. ძვ.წ. 440-430 წწ. ათენი. ნაციონალური არქეოლოგიური მუზეუმი.*

მდუმარე ნიმფა აღფრთოვანებული შეჰყურებდა ხოლმე მშვენიერ ჭაბუკს. მის გულში სიყვარულის ცეცხლი გიზგიზებდა, მაგრამ ფოთლებში მიმალული ხმას ვერ იღებდა.

ერთხელ ბუჩქებიდან ხმაური შემოესმა ნადირობით გართულ ნარკისოსს. შედგა იგი და ვერავის რომ ვერ მოჰკრა თვალი, წამოიძახა:

— ვინა ხარ აქ?

— აქ! — გასცა ექომ პასუხი.

— რად მემალები, მოდი ჩემთან!

— მოდი ჩემთან! — მიუგო ექომ.

ხელებგაწვდილი გამოიქცა ბუჩქებიდან ნიმფა და ყმაწვილისკენ გაეშურა, სურდა სანუკვარ ყელზე შემოეჭდო ნაზი მკლავები. მაგრამ დაუსხლტა ჭაბუკი და განრისხებულმა ხელი ჰკრა ქალწულს.

დამწუხრებული გაერიდა იქაურობას საბრალო ნიმფა და უსიერ ტყეში მიიმალა. იგი არავის ეჩვენებოდა, სიყვარულისგან გატანჯული გახდა, ჩამოხმა. მისგან ხმა დარჩა მხოლოდ და ნაღვლიანი გამოძახილი. ხოლო ნარკისოსი, უწინდებურად გულზვიადი, თავის თავზე შეყვარებული, სხვათა სიყვარულს უარყოფდა.

ერთხელ, მისგან უსიყვარულოდ მიტოვებულ ნიმფას აღმოხდა: „შეიყვაროს და ვერ შეეხოს თავის საყვარელს!" აფროდიტემ შეისმინა ნიმფას ვედრება. ნადირობისას ნარკისოსი მიადგა ვერცხლისფერტალღა წყაროს. ჯერ ვერ მიეგნო მისთვის ვერც მწყემსს, ვერც მონადირეს, მას არ ამღვრევდა არც ნადირი, არც ჩიტი, არ ეხებოდა ხის ტოტიც კი. გარშემო ერტყა მწვანე ბალახი, ხოლო მზისაგან იფარავდა უსიერი ტყე. ხვატითა და ნადირობით გადაღლილი ნარკისოსი ცივ წყაროსთან მივიდა და წყურვილის მოსაკლავად დაიხარა. როგორც სარკეში, ისე ირეკლებოდა ყველაფერი ანკარა წყალში. კიპარისების სიმწვანე ჩანდა, ზეცის სილურჯე. მთელი თავისი სიმშვენიერით წარმოისახა იქ ნარკისოსიც. აქ უწია მას

აფროდიტეს სასჯელმა. განცვიფრებული შესცქეროდა იგი თავის სახებას და დაუძლეველი სიყვარული ეუფლებოდა. უსხეულო აჩრდილს ეტრფოდა. გახევებული უმზერდა მნათობებივით ანთებულ თვალებს, აპოლონის საკადრ კულულებს, სპილოსძვლის ყელს და ღაწვების სინორჩეს. თავისი თავი აოცებდა, გონება ებინდებოდა, ტრფობით იწვოდა და ხედავდა, იწვოდა ისიც, ვინც მას უმზერდა. სურდა ამბორი, მაგრამ წყალი ხვდებოდა ბაგეს, სურდა ხელების შემოჭდობა, მაგრამ წყალში თავს ვერ იჭერდა. ნარკისოსი არ სცილდებოდა წყაროს, თვალმოუშორებლად შეჰხაროდა თავის სახებას. არც ჭამდა, არც სვამდა, არც ეძინა. ბოლოს სასოწარკვეთილმა ტყეებისკენ გაიწვდინა ხელები და თქვა:

— ტყეებო, ნუთუ ვინმეს ყვარებია ასე უგონოდ! მისგან, ვინც მიყვარს, არ მაშორებს არც ზღვა, არც მთები. წყლის უთხელესი ზედაპირი მაბრკოლებს მხოლოდ. როდესაც მისკენ საკოცნელად ვიწევ, ისიც მოისწრაფვის ჩემსკენ, მაგრამ ერთმანეთს ვერ ვეხებით.

შემდეგ კვლავ წყლისკენ დაიხარა და არეკლილ სახეს მიმართა:

— ამოდი წყლიდან, შენც ხომ გიყვარვარ. მტირალმა ცრემლი შენც შეგნიშნე, სიტყვას მომაგებ, მაგრამ ვერ აღწევს ჩემს ყურთასმენას შენი ნათქვამი...

ნარკისოსი ჩაფიქრდა. საშინელმა აზრმა გაუელვა თავში და ზედ წყალზე დახრილმა საკუთარ გამოსახულებას ჩასჩურჩულა:

— ნუთუ ეს მე ვარ! ჩემივე ტრფობით ვიწვი. ძალა მერთმევა. სიკვდილის კი არ მეშინია — მწუხარებას ჩამომაცილებს — არამედ ვინც შევიყვარე, მსურს ხანგრძლივად იცოცხლოს ქვეყნად, მაგრამ ერთსულად არსებულნი ვქრებით ორთავე!

ეს თქვა და წყალში ჩაეპკურა მისი ცრემლები, ხოლო ტალღამ წარხოცა სახე.



— ნუთუ დამტოვე, — წამოიყვირა საბრალომ უგონოდ, — დარჩი ჩემთან, რათა თვალით მაინც ვუმზირო იმას, რასაც ვერ ვეხები.

დამწუხრებულმა შემოიგლიჯა ტანსაცმელი და მარმარილოს მსგავსი ხელისგულებით დაიხოკა ლამაზი მკერდი. ეს რომ გამჭვირვალე წყალშიც იხილა, მეტის მოთმენა ველარ შეძლო, დადნა, დასუსტდა, როგორც სანთელი მსუბუქ ალზე. იდუმალ ცეცხლში მიიფერფლა მისი სხეული. აღარაფერი დარჩა იმისგან, ესოდენ ძლიერ რაც ხიბლავდა ტყეების ნიმფებს. ოდეს იხილა ექომ მომაკვდავი ნარკისოსი, თუმცა ახსოვდა ძველი წყენა, მაინც შეწუხდა და რამდენგზისაც აღმოხდა საბრალოს „ვაი!", იმდენგზის გაიმეორა ნიმფამ პასუხად „ვაი!"

უკანასკნელად ჩაიხედა ნარკისოსმა წყალში და თქვა:

— მშვიდობით!

— მშვიდობით! — მიუგო ექომ ძლივს გასაგონად.

ნარკისოსმა თავი ბალახებზე დახარა და სილამაზით გაოცებული თვალები დახუჭა. მიწისქვეშა საბრძანებელში ჩასვენებული მისი სული კი კვლავ სტიქსის წყლებში განაგრძობს მზერას.

ტყეში ნიმფებმა რომ გაიგეს ნარკისოსის გარდაცვალების ამბავი, მორთეს ტირილი, მათ ხმას აძლევდა ექოც. ხოლო როდესაც საფლავი გათხარეს, საკაცე, ცეცხლი, ჩირაღდნები რომ გაამზადეს, გვამი ვერ ნახეს. იმ ადგილას, სადაც ნარკისოსს ბალახზე თავი დაეხარა, ამოსულიყო მშვენიერი თეთრი ყვავილი. ამ სიკვდილის ყვავილს ნარგიზს უწოდებენ.

## ზევსის შურისძიება. ანქისესი

ძალმოსილი იყო ოქროსგვირგვინოსანი აფროდიტე. საკმარისი იყო ესურვა და ოლიმპოსის უზენაესი განმგებელიც კი, ივიწყებდა რა თავის ზეციურ მეუღლეს, სიყვარულით აღენთებოდა მოკვდავი ქალებისადმი. ამაზე ხშირად ხუმრობდა ხოლმე აფროდიტე ტკბილად მოცინარ ღმერთთა საკრებულოში, სადაც

ძლიერ მოსწონდათ მშვენიერი კითერეას ოხუნჯობანი იმაზე, თუ როგორ უჩნდებათ ხოლმე ნეტარ ღმერთებს მიწიერი შვილები, ანდა ნეტარი ქალღმერთები როგორ ეტრფიან მოკვდავ კაცებს. განსაკუთრებით ბევრს ხუმრობდა კითერეა ღმერთთა მეუფე ზევსზე, რომელიც ხშირად სეირნობდა დედამიწაზე. სწორედ მაშინ მიეწეოდა ხოლმე მას აფროდიტეს ცელქი ბიჭუნას ოქროს ისრები. სიყვარულის დიდი ღვთაება კი ამაყობდა იმით, რომ მიწიერის სარეცელი არასოდეს გაუზიარებია. ეს მზვაობრობა ზევსს არ მოსწონდა და ასეთი რამ განიზრახა: მან აფროდიტეს შთააგონა სიყვარული მოკვდავი ანქისესისადმი, რომელიც ღმერთთა მსგავსი იყო თავისი მშვენებით. ხარებს რომ მწყემსავდა იდას მთაზე გმირი ანქისესი, მაშინ იხილა კვიპროსშობილმა და სიყვარულით განიმსჭვალა. კვიპროსისაკენ ისწრაფა და თავის ჰაეროვან ტაძარს შეაფარა თავი პაფოსში. იქ ქარისებმა განბანეს ქალღმერთი და უკვდავი სხეული დაუზილეს სურნელოვანი ნელსაცხებლებით, როგორც სჩვეოდათ. დიდებული სამოსით შემოსილმა და ოქროებით დამშვენებულმა ღმერთქალმა ისევ ტროასკენ აიღო გეზი, ღრუბლებით შებურული იდას მთაზე დაეშვა. ნადირების და ფრინველების შემოგებებით გამხიარულებულმა კითერეამ მალე მიაგნო ანქიზესს, რომელიც განმარტოებულიყო და კითარაზე უკრავდა. სიმაღლითა და სახით მოკვდავ ქალწულს მიემსგავსა აფროდიტე და ისე წარდგა მის წინარე. მისმა მშვენებამ მაინც გააოგნა ანქისესი. მთვარე საოცარ სხივს აფრქვევდა ქალწულის მკერდზე. ვნებით აღვსებულ კაცს აღმოხდა:

— კეთილი იყოს შენი ამ სახლში შემობრძანება. ვინც არ უნდა იყო — ლეტო, არტემისი თუ ათენა, თუნდაც ოქროს აფროდიტე, ნიმფა, ქარისი — სულ ერთი არის, მდიდრულ ბომონს აგიგებ და მუდამ მსხვერპლს შემოგწირავ, ოღონდ, იყავი კეთილმოწყალე, აღმამაღლე ტროელთა შორის და როდესაც დადგება ჟამი, მიბოძე ბედნიერი მემკვიდრეები, რათა ნეტარ მოკვდავთა შორის ღრმა სიბერემდე ვუმზირო მზის დიად ნათელს.



აფროდიტემ კი ასე მიუგო:

— დიდო ანქიზეს, კაცთა შორის გამორჩეულო! არ ვარ ღმერთქალი, ნიმფათა დასიდან მომიტაცა დიდმა ჰერმესმა, ზღვა და მიწა გადმომატარა და ღმერთების სიტყვა მაუწყა. მე უნდა გავხდე შენი მეუღლე და რჩეული შვილები გიშვა. შენ შეგიძლია მოიძიო ჩემი სახელოვანი მშობლები და მათგან მდიდრული ძღვენი მიიღო. უნდა ქორწილი ვიზეიმოთ ისე ბრწყინვალე, რომ გავაოცოთ მიწიერნიც და ცისიერნიც.

— თუ ასეთია ღმერთების ნება, ქორწინებამდე ნუ მოვიცდით, — აღმოხდა ანქიზესს, რომელსაც სულ უფრო და უფრო ებინდებოდა გონება.

მათ მიაშურეს ლომებისა და დათვების ბეწვით მორთულ დიდებულ სარეცელს. ანქიზესმა თავად ჩამოხსნა მასთან მოსულ ღმერთქალს ოქროცურვილი სამკაული, შეხსნა სარტყელი, სამოსისაგან განძარცვა მისი სხეული, მთვარესავით მანათობელი და ღვთის განგებით შეეუღლა უკვდავს მოკვდავი. ოღონდ მან ჯერ ეს არ იცოდა. შემდეგ ღვთაებამ მიაძინა თავის რჩეული. თავად კი ისევ შეიმოსა და ღვთაებრივი მშვენიერების სხივთამთოველი აღიმართა გასასვლელ კართან. გამოეღვიძა ანქიზესს და როდესაც მთელი თავისი დიდებით იხილა ღვთაება, შეევედრა:

— გიხილე თუ არა, უმალ მივხვდი, რომ ღმერთქალი იყავი. იმასაც მივხვდი, რომ სიმართლეს მიმალავდი. ეგისისმპყრობელ ზევსს გაფიცებ, ნუ დამტოვებ დედამიწაზე, რადგან ამბობენ, ვინც ღვთაებასთან სარეცელი გაიზიარა, ძალას კარგავსო.

მშვიდად მიუგო აფროდიტემ:

— დიდო ანქიზეს, კაცთა შორის გამორჩეულო! ოლიმპოსის ღმერთები გწყალობენ, მათზე ნუ განრისხდები. შეგეძინება ვაჟი, რომელიც ტროელთა მეფე შეიქნება. მას ენეასი უხმე, უკვდავთა შორის ნუ ისურვებ დავანებას. გაიხსენე ეოსისა და ტითონოსის ტრფობის ამბავი. მე კი შენს გამო შევირცხვინე თავი. უწინ ღმერთებს ეშინოდათ ჩემი სასჯელის, რომლის ძა-

ლითაც მათ მოკვდავებთან ვაუღლებდი. მე ვამარცხებდი ყველას, თავად კი ვამაყობდი ჩემი სიწმინდით. ახლა კი უკვე თავს ვეღარაფრით მოვიწონებ, შემეძინება მიწიერისგან შვილი, მას ნიმფები გაზრდიან და როდესაც დრო მოაწევს, შენ მას იხილავ, იგი ღმერთების მსგავსი იქნება. ოღონდ გაფრთხილებ, თუ მოჰყვები ტრაბახს იმით, რომ ოქროსგვირგვინოსან კითერეასთან ნებივრობდი, ზევსი დაგფერფლავს. უკვდავთა რისხვას ერიდე! — თქვა აფროდიტემ და ქარიან ზეცაში გაუჩინარდა.

გავიდა ხანი. ერთხელ ანქისესი მეგობართა წრეში ატარებდა დროს. ერთმა მათგანმა, მიუთითა მოკვდავ ქალწულზე და ჰკითხა:

— შენს სურვილზე რომ ყოფილიყო, ამ მიწიერ არსებასთან გაიზიარებდი სარეცელს თუ ღვთაებრივ აფროდიტესთან?

— კითხვადაც არ ღირს, ორთავესთან გამითევია ღამე სიამტკბილობით, — თავმომწონედ მიუგო მას ანქიზესმა.

ეს რომ გაიგო, ზევსმა ელვა სტყორცნა ანქიზესს, რომელსაც ვერ ასცდებოდა მისი სასიკვდილო ცეცხლი, აფროდიტეს რომ არ გადაეხარა იგი თავისი წელსაბმელით. ანქისესის ფეხებთან ჩაისვეტა ელვა მიწაში. ძრწოლამ მოიცვა მოტრაბახე გმირი ისე, რომ ფეხზე ადგომა ვეღარ შეძლო ვეღარასოდეს. აფროდიტემ კი, ოდეს მისგან შვა ენეასი, გადაიყვარა იგი და არც არასოდეს გახსენებია მისდამი ტრფობა.

ამაოდ შიშობდა სიყვარულის დიდი ღვთაება, რომ ძველებურად ვეღარ იოხუნჯებდა სხვათა შეცოდებებზე. იგი მუდამ სასურველი სტუმარი იყო ღმერთების საკრებულოში. მისი ბრწყინვალე, მოღიმარი სახის ხილვას ელოდა ყველა — ცისიერიც და მიწიერიც. მორწმუნენი თვლიდნენ, რომ სიყვარულის ღვთაება ჰაერში მტრედებშებმული ეტლით დაფრინავდა. მის გამოჩენაზე ზეცა ნათდებოდა, ზღვა მშვიდდებოდა, დედამიწა კი ახალ სიცოცხლეს ანიჭებდა ყვავილებს, ბაღებსა და ხეივნებს.



## ❸ ჰესტია

ყოველ ბერძნულ სახლში ყველაზე წმინდა ადგილი იყო კერია. უძველეს ხანაში იგი მთავარ ოთახს, მეგარონს ამშვენებდა. კერია მოთავსებული იყო ოთხ სვეტს შორის. ყოველი სტუმარი, თუნდაც არასასურველი, ხელს შეახებდა ხოლმე კერიას და იმ წამიდან, ასე მიაჩნდათ, მას ღმერთები უწევდნენ მფარველობას. არ შეიძლებოდა სტუმრის მოკვლა ან შეურაცხყოფა. იგი ამ სახლში ისევე ხელშეუხებელი იყო, როგორც ტაძარში. ამ ოჯახური სიწმინდის მფარველი იყო ჰესტია, კრონოსისა და რეას უფროსი ქალიშვილი, ზევსისა და ჰერას და.

ჰესტია ცნობილი იყო იმით, რომ მას ერთადერთს, მაღალ ოლიმპიელთა შორის არასოდეს უომია და არც არავის შედავებია, არტემისის და ათენას მსგავსად სასიყვარულო ვნებას არასდროს დამონებია. ასე ამბობენ: კრონოსის დამხობის შემდეგ პოსეიდონი და აპოლონი ლამობდნენ მასზე ექორწინათ, მაგრამ ჰესტიამ დიადი ფიცით შეჰფიცა მამა-მეუფეს, რომ მარად დარჩებოდა ქალწული. მადლიერმა ზევსმა კი კეთილმოდრეკის ნიშნად უძღვნა პირველი მსხვერპლი, რადგან ჰესტია სიმშვიდეს და სიწყნარეს იცავდა ოლიმპოსზე.

## პრიაპოსი

ერთხელ კიბელემ, ღვთაებათა დიადმა დედამ, თავის დღესასწაულზე მიიწვია ღმერთები, ნიმფები და სატირები. სტუმრები უგონოდ დათვრნენ. ზოგი იდას მთის ფერდობებისკენ წაბორიალდა, ზოგი მდელოზე ნებივრობდა, ზოგიც ცეკვავდა. იქვე ჰესტიამაც მიაგნო მყუდრო ადგილს და ძილს მიეცა სიმშვიდეში. ბაღთა მფარველი პრიაპოსი კი ამ დროს ქალღმერთებს და ნიმფებს დასდევდა. მან თვალი ჰკიდა ხეთა ჩრდილში მიძინებულ მშვენიერ ქალწულს, ვერ იცნო, ნიმფა ეგონა, მიეპარა და ალერსი მოუწადინა. უცბად მოხუცი სილენოსის მიერ მიტოვებულმა

ვირმა ხმამაღლა დაიყროყინა. შეშინებულ ჰესტიას გამოეღვიძა, ნირწამხდარი პრიაპოსი კი სასწრაფოდ გაუჩინარდა.

*

ჰესტიას არასოდეს ჰქონია საკუთარი ოჯახი, სამაგიეროდ იგი იყო ყველა ოჯახის მფარველი ღვთაება. ჰესტია თითქოს დიასახლისს განასახიერებდა: იგი ხვდებოდა პატარძალს და შემოჰყავდა ახალ სახლში. პატარძალს კი წინ უძღოდა მისი დედა, რომელსაც თავისი სახლის კერიიდან მოჰქონდა ანთებული ჩირაღდანი. ამ ჩირაღდნით აჩაღებდა იგი ცეცხლს ქალიშვილის ახალ სამოსახლოში.

განსაკუთრებულად სცემდნენ თაყვანს თავის მფარველს ოჯახის დიასახლისები. მთელი ცხოვრების მანძილზე ელოდნენ ისინი მისგან მოწყალებას, ხოლო სიკვდილის წინ თავის ობლებს ავედრებდნენ. იმდენად დიდი და საყოველთაო იყო ამ კეთილმოქმედი ღვთაებისადმი პატივისცემა, რომ ლოცვების ჟამს მის სახელს მუდამ პირველად იხსენიებდნენ. თუ ვინმე სახლიდან მიდიოდა, ჰესტიას ევედრებოდა, ეზრუნა მის შინ მშვიდობით დაბრუნებაზე, ხოლო დაბრუნებული კვლავ მისადმი აღავლენდა მადლობის ლოცვას. ბავშვის დაბადებიდან მეხუთე დღეს სრულდებოდა საოჯახო რიტუალი: ახალშობილს შემოატარებდნენ კერიის ირგვლივ და მის თავს ჰესტიას შეავედრებდნენ. ეს იყო მნიშვნელოვანი ზეიმი: ბავშვს სწორედ ამ დროს არქმევდნენ სახელს.

ძველების რწმენით, თემი, ქალაქი ან სახელმწიფო იგივე იყო, რაც დიდი ოჯახი. ამიტომ ყოველ პოლისს ანუ ქალაქ-სახელმწიფოს ჰქონდა თავისი წმინდა კერია. აქ ენთო „მარადიული ცეცხლი“, რომელიც არასოდეს არ უნდა ჩამქრალიყო. ცეცხლი, ჩვეულებრივ, ბულევტერიონში ანუ უხუცესთა საბჭოსთვის განკუთვნილ ადგილას გიზგიზებდა. როდესაც ბერძნები ახალშენთა დასაარსებლად მიემართებოდნენ შორეული ნაპირებისკენ, თან მშობლიური ქალაქის კერიიდან ამოღებული მუგუზალი მიჰქონდათ, რათა ახალ სამოსახლოშიც, უცხო მიწაზე, ოდინდელი ცეცხლი გაეჩაღებინათ, ოდინდელი ღმერთები მოეხმოთ მფარველებად.



სხვა ღმერთებისგან განსხვავებით, ჰესტიას ტაძრებს და საკურთხევლებს არ უშენებდნენ. ყოველი სახლი მისი ტაძარი იყო, ყოველი კერია – მისი საკურთხეველი. როდესაც მოულოდნელი ქარისაგან კერიაში ცეცხლი ერთბაშად აალდებოდა, ასე ეგონათ, თავად ქალღმერთი წამოდგაო თავის სახებით. ამიტომაც მას იშვიათად წარმოსახავდნენ ხელოვანნი, უფრო იშვიათად მოიხსენიებდნენ მითების მთხზველნი.

## 4 დემეტრე

როდესაც ძველი ბერძენი წარმოთქვამდა სიტყვას „ბუნება“, ის არა მხოლოდ ხედავდა ყვავილებითა და ბალახებით მოფენილ მინდვრებს, ცხოველებითა და ფრინველებით ავსებულ ტყეებს, წყალთა სამყაროს, არამედ გრძნობდა იმ ცხოველმყოფელ ძალას, რომელიც ბობოქრობდა მიწაში, წყალში და რომლის მადლით ყველა ხილული ცოცხლობდა, კვდებოდა და კვლავ იწყებდა აღორძინებას. ამ ძალას განასახიერებდა ნაყოფიერების ღვთაება დემეტრე, კრონოსისა და რეას თმამშვენიერი ასული. იგი აღმატებულად პატივდებული ღმერთქალი იყო. მისი სახელი აღნიშნავდა „დედა-მიწას“, ხოლო თავად კი სწორედ იმ მრავალნაყოფიერი მიწის სახება იყო, რომელიც სულგდმულს ასაზრდოებდა, აძლევდა ხორბალს, მწვანე მდელოს, ლეღვის ხესა და ყაყაჩოს ყვავილს, ანკარა წყაროს. დემეტრე ზრუნავდა იმ ხალხებზე, რომლებიც მიწას ამუშავებდნენ. გაზაფხულობით, როცა დოლი დაიძრებოდა, ის ველზე იყო, შემოდგომისას ძნის გასახმობ ფურნეს უვლიდა, ვით მოსავლის კეთილი სული. მის არსებობას ყველაზე მეტად მაშინ გრძნობდნენ ქალები, როდესაც ახლადმოწეული ხორბლისაგან აცხობდნენ პურებს.

მიწათმოქმედთა მფარველი ეს ღვთაება სხვა საქმეებსაც განაგებდა. მას მოუხმობდნენ სხვადასხვა გარიგებათა დროს. მსაჯულებად და მოხელეებად არჩეულნი კი ფიცს აღავლენდნენ დემეტრესადმი, რომ იქნებოდნენ დაწერილი თუ დაუწერელი კანონების ერთგული დამცველები.

## დემეტრე და იასიონი

თუმცა ნეფე-პატარძალს დემეტრეს მსახური ქურუმები აზიარებდნენ ქორწინების ღამის იდუმალებას, თავად ღვთაებას მეუღლე არ ჰყავდა. მას ზევსისაგან უქორწინოდ შეეძინა ქალიშვილი, სახელად კორე (იგივე პერსეფონე) და ძლევამოსილი ძე იაკქოსი. პლუტოსი კი შეეძინა იასიონისაგან, რომელსაც შეხვდა კადმოსისა და ჰარმონიას ქორწილზე, სადაც მდინარედ მოიღვრებოდა ნექტარი. სასმელით გონდაბინდული შეყვარებულები შეუმჩნევლად გაიპარნენ სახლიდან და იქვე, სამგზის გადახნულ მინდორზე, თავდავიწყებით მიეცნენ ვნებას. როცა დაბრუნებულნი ზევსმა იხილა, უმალვე მიხვდა, რაც მომხდარიყო. აღშფოთებულმა ელვით განგმირა იასიონი, რომელმაც დემეტრე შეურაცხყო თავისი საქციელით. ზოგიერთის თქმით, იასიონი მისივე ძმამ, დარდანოსმა მოკლა, ზოგის აზრით კი, იგი საკუთარმა ცხენებმა დაგლიჯეს.

## დემეტრე და პოსეიდონი

არსებობს გადმოცემა იმის თაობაზე, თუ როგორ დაიმორჩილა დემეტრე პოსეიდონმა. მითის თანახმად, თავი რომ დაეღწია აბეზარი ღვთაებისაგან, დემეტრე ფაშატად გარდაისახა და ბალახს ძოვდა არკადიის საძოვრებზე. პოსეიდონი არ მოტყუვდა, მანაც ულაყად იცვალა სახე და ასე ძალით თანაეყო ღვთაებას. ამ ამაზრზენი კავშირისაგან იშვა ნიმფა დესპოინა და ველური ცხენი არეიონი. დემეტრეს რისხვა იმდენად მძვინვარე იყო, რომ დიდი ხნის განმავლობაში მას თაყვანს სცემდნენ, როგორც შურისგების ქალღმერთს.



## პერსეფონეს მოტაცება

მწიფეთაველისფერი თმებით დამშვენებულ ქალღმერთ დემეტრეს ჰყავდა ახალგაზრდა, ულამაზესი ასული პერსეფონე. თავად კრონოსის დიადი შვილი, ეგისისმპყრობელი ზევსი იყო მისი მამა. დემეტრეს ასულს უყვარდა ყვავილებით მოფენილი ველმინდვრები. იგი ხშირად იწვევდა ხოლმე თავის მეგობრებს, ჭალარა ოკეანოსის მკერდსავსე ქალწულებს, ნისას ველზე ყვავილების საკრეფად. დედის ნებიერ პერსეფონეს მრისხანე ბედი უმზადებდა მძიმე განსაცდელს. მისი თავი ზევსმა ცოლად აღუთქვა თავის პირქუშ ძმას, ჰადესს, მიცვალებულთა სულებისა და აჩრდილთა სამეფოს მბრძანებელს. მასთან უნდა ეცხოვრა სიცოცხლის სხივით ანთებულ პერსეფონეს მიწისქვეშეთის წყვდიადში.

ერთხელ დემეტრემ, ჩვეულებისამებრ, დატოვა პერსეფონე ოკეანიდების დასში, ნისას ყვავილებით მოსილ მინდორზე. მწვანე ღეროებიდან ამოზრდილი ტიტები თავის სიწითლეს სთავაზობდნენ მშვენიერ ქალწულს, ჰიაკინთები — ლამაზი სულის სურნელებას, იები — თავის სიმშვიდეს და კდემამოსილებას. შორიდან ჭვრეტდა პერსეფონე სპეტაკ ნარგიზებს, რადგანაც დედამ აუკრძალა მათი მოწყვეტა. იცოდა ბრძენი დემეტრეს ასულმა, რომ ამ ყვავილთა თეთრ ფურცლებში ეძინა ვნებას, მათი სურნელით კი გონება იბინდებოდა. და მაშინ მიწამ აღმოაცენა საკვირველი ყვავილი, რომლის მსგავსი მზეს არ ენახა: ერთ ღეროს ასი თავი ება, ოქროს ფერებით გაბრწყინებული, თეთრი ფურცლების ბოლოები კი ცეცხლის ალივით ელვარებდნენ. საოცარმა სურნელებამ ისე აღავსო ცა და მიწა, ზღვის მლაშე სიღრმე, რომ ზურმუხტისფერი სავანიდან ნაპირზე ამოსულ ნერეიდებს გაოგნებისგან აღმოხდათ: „ღმერთო!“

პერსეფონე მიუახლოვდა ყვავილს. მისმა სურნელებამ გააბრუა იგი, თვალებში ბინდი ჩაუყენა, სულში — წყვდიადი. და მაშინ მიწა გაირღვა და შავმა ცხენებმა მისი წიაღიდან ამოაგრიალეს ოქროს ეტლი, რომელსაც მართავდა მიცვალებულთა

მბრძანებელი, პირქუში ჰადესი. მან მოიტაცა პერსეფონე. გონს რომ მოეგო, ქალწულმა იწყო ყვირილი, დასახმარებლად მოუხმობდა მამას, ცათა მბრძანებელს. მაგრამ ღმერთებმა ვერ გაიგეს მისი ძახილი, ვერც წყლის ნიმფებმა შეამჩნიეს მისი გაქრობა. მხოლოდ პატარა ნიმფა კიანამ გაიწვდინა სუსტი ხელები და ქარზე უსწრაფეს ეტლს გადაუდგა. მაგრამ შავმა ცხენებმა უმოწყალოდ გადაუარეს. საბრალო ნიმფა ატირდა და წმინდა წყაროდ გარდაისახა ცრემლთა ფრქვევაში. ქარიშხალივით გადაუქროლეს ღრუბლებით შებურულმა შავმა რაშებმა მიწასა და ზღვას. პერსეფონეს მხედველობიდან გაქრა ნაცნობი ნაპირები, ყვავილები გადმოცვივდა მისი ლერწმის კალათიდან. ბოლოს შეიძრა ცა და მიწა, გაიხსნა ტარტაროსის მძიმე კარიბჭე და მის წიაღში ჩაიმალა მბრწყინავი ეტლი. მხოლოდ მზემ, ღმერთმა ჰელიოსმა, შეასწრო თვალი.

## მგლოვიარე დემეტრე

დემეტრეს ყურთასმენას მისწვდა პერსეფონეს ხმა. შემოიგლიჯა უკვდავ თმებზე დარქმული რიდე, შემოიხია თავთუხისფერი მოსასხამი, ხმელეთსა და წყალს გადაევლო, ვით ფრთაშესხმული, მაგრამ სიმართლე ვერ გაიგო ვერც მოკვდავთა და ვერც უკვდავთა ბაგეებიდან.

დაძონძილი და თმაჩამოშლილი, ფერფლსა და მტვერში მიაბიჯებდა დედა-დემეტრე. პურის თავთავი შემოახმა, ყაყაჩოები შემოაჭკნა. ნისლჩამდგარ თვალებს, რომლებშიც უკვე ცრემლიც გაშრა, ხან მაღალ ზეცას მიაპყრობდა, ხან მიწას, ხან კი ზღვათა სიღრმეს, ყოველ შემხვედრს ეკითხებოდა შვილის ამბავს, მაგრამ ვერც ღმერთი, ვერც კაცი და ვერც ფრთოსანი სანუგეშოს ვერაფერს ეუბნებოდნენ. ღამით ჩირაღდანს ანთებდა და მის მიმქრალ შუქზე თავის ქალიშვილს დაეძებდა ბნელ მღვიმეებში, კლდეთა ხვრელებში, ძველი ტაძრების ნანგრევებში, დრომორჭმულ ხეთა ფუღუროებში. ცხრა დღე და ღამე დაეხეტებოდა ძაძით მოსილი დიდი ქალღმერთი დედამიწაზე,



არაფერი გაეგებოდა, ვერაფერს გრძნობდა, ყველას შესთხოვდა შველას, მაგრამ არვის ძალუძდა მისი დარდის შემსუბუქება. ბოლოს, მეათე დღეს, ღვთაება ჰელიოსს ესტუმრა, მისი რაშების წინ აღიმართა და შეევედრა:

— მზეო, ჰელიოს, თუკი გახსოვს ჩემგან სიკეთე, ახლა სანაცვლო მოწყალება მოიღე ჩემზე. შენ ოქროს ეტლით ზღვას და ხმელეთს თავზე ევლები, ყველაფერს ხედავ, მამცნე სიმართლე, ვინ მოიტაცა ჩემი შვილი უკვდავ ღმერთთაგან, იქნებ მოკვდავმა შემომბედა მისი წართმევა?

— დემეტრე, ცათა თმამშვენიერო დედოფალო! უღრმეს პატივს გცემ, შენს მწუხარებას მეც განვიცდი. ყველაფერი ვიცი, მისმინე: დამნაშავეა ზევსი, ღრუბელთა მბრძანებელი. მან შენი შვილი ცოლად აღუთქვა თავის ძმას, ჰადესს. სწორედ ჰადესმა მოიტაცა პერსეფონე და ახლა იგი ნისლით მოცული უკუნეთის დედოფალია. უნდა დაძლიო კაეშანი, დიდო ღმერთქალო. ნუთუ მიწისქვეშეთის დიად მბრძანებელს, შენს ღვიძლ ძმას, სიძედ იუკადრისებ? მას სამ ძმათაგან განა მცირე პატივი ერგო? იგი განაგებს იმ სამყაროს, რაც წილად ხვდა.

ასე მიუგო ჰელიოსმა და თავის რაშებს შესძახა.

კიდევ უფრო შეწუხდა დემეტრე, მეხთამტყორცნელ ზევსზე განრისხდა. მიატოვა ოლიმპოსის ღმერთების ნათელი საბრძანებელი, უბრალო მოკვდავის სახე მიიღო და დიდხანს, დიდხანს დაეხეტებოდა ქალაქიდან ქალაქში.

გაუდაბურდა დედამიწა, აღარც ბალახი იზრდებოდა, აღარც ყვავილი, ფოთლები დაჭკნა, ტყე გაშიშვლდა, აღარ ხარობდა ბაღში ნაყოფი, გახმა ვენახი, ყანები დაცარიელდა, არც მოსავალი მოდიოდა, ჩაკვდა სიცოცხლე. ყველგან შიმშილი მძვინვარებდა, დაღუპვა ელოდა ადამიანთა მოდგმას. მაგრამ არას ხედავდა და არც რა ესმოდა საყვარელი ასულის ბედით შეწუხებულ დემეტრეს.

ბოლოს ღმერთქალი ელევსინს მიადგა. იქ, ქალაქის კედლებთან, ზეთისხილის ჩრდილში ქვაზე ჩამოჯდა, ქალწულთა

წყაროს მახლობლად. ქანდაკებას ჰგავდა დემეტრე. მუქი სამოსის მძიმე კალთები მიწამდე სცემდა, თავი დაეხარა, ხოლო თვალთაგან წმინდა ცრემლი მოეღვრებოდა. ქვას, რომელზედაც იგი იჯდა, „მწუხარების ქვა“ უწოდეს შემდეგ, ხოლო წყაროს, რომელსაც მისი ცრემლი ერთვოდა, „მშვენიერი“, რამეთუ ცრემლი ისეთი იყო, ვით მარგალიტი. დიდხანს იჯდა აქ დემეტრე, მარტოდმარტო და უნუგეშო. ელევსინის მეფის, კელეოსის ასულები მოვიდნენ წყაროსთან. მოტირალი ქალი რომ ნახეს, თანაგრძნობით გამოჰკითხეს დარდის მიზეზი. მაგრამ ქალღმერთმა სიმართლე არ გაუმხილა. დეო მქვიაო, ასე უთხრა, კრეტიდან ვარო წარმოშობით. გულმოწყალე ქალიშვილებმა დაამშვიდეს მწუხარე ქალი და მათი ახალშობილი ძმის ძიძობა სთხოვეს. დემეტრე დათანხმდა და მათთან ერთად სასახლისაკენ გასწია. რა იცოდნენ მეფის ასულებმა, რომ მათ გვერდით დიდი ღვთაება მიაბიჯებდა! მაგრამ როდესაც სასახლეში შედიოდა, დემეტრე თავით შეეხო კარიბჭეს. მთელი სასახლე გააბრწყინა ნათელმა სხივმა. იგრძნო დედოფალმა მეტანირამ, რომ უბრალო მოკვდავს არ გადმოუბიჯებია სასახლის ზღურბლზე. იგი სტუმარს შემოეგება და სადედოფლო ტახტზე დაბრძანება შესთავაზა. მაგრამ ქალღმერთმა უბრალო მოახლის სკამი ირჩია, კრძალვით ჩამოჯდა უწინდებურად დამწუხრებული. მეტანირას მოახლემ, მხიარულმა იამბემ, ხუმრობა სცადა. პირველად გაიღიმა დემეტრემ მას შემდეგ, რაც პირქუშმა ჰადესმა ასული მოსტაცა, პირველად იგემა საჭმელი.

დემეტრე კელეოსის სასახლეში დარჩა და მისი ვაჟის, დემოფონის აღზრდას შეუდგა. ქალღმერთმა განიზრახა, მეფისწულისთვის უკვდავება მიენიჭებინა. ყმაწვილს მუხლებზე იწვენდა, ღვთაებრივ მკერდთან, რათა უკვდავი ამონასუნთქი შთაებერა, ამბროსიას უსვამდა ტანზე. ღამ-ღამობით კი, როდესაც ელევსინის სასახლეში ყველას ეძინა, არტახებში ახვევდა და გახურებულ ღუმელში აწვენდა, რათა მოკვდავთა ყველა თვისება, რაც იყო მასში, ალს დაეფერფლა. ბავშვი დღითი-



დღე იზრდებოდა. ღმერთების მსგავსად, ალბათ უკვდავებასაც ეზიარებოდა, მეტანირას რომ არ დაენახა თავისი თალამოსიდან, როგორ აწვენდა მას დემეტრე ანთებულ ღუმელში. შეძრწუნებულმა დედოფალმა შეჰყვირა და გონდაბინდულს ეს აღმოხდა:

— შვილო, ცეცხლის ალში გწვავს უცხოელი, ამაო არის ჩემი ცრემლი და მწუხარება!

ეს გაიგონა ქალღმერთმა და რისხვით აღივსო. ყრმა გამოიღო ანთებული ღუმელიდან და მეტანირას ზვიადი სიტყვით მიმართა:

— უგუნურთა და უმეცართა მოდგმავ! ადამიანებს როდი შეგიძლიათ ბედნიერების ან უბედურების წინასწარჭვრეტა. რაც ჩაიდინე უგონობით, იმას ველარ გამოასწორებ. ღმერთების ფიცს ვდებ, მე შემეძლო, შენი ძვირფასი შვილი უკვდავი გამეხადა, მარადიული დიდების ღირსად მექცია, ახლა კი სიკვდილს ვერ გაექცევა, თუმცა გარდაუვალი პატივით შეიმოსება, რადგან ეძინა ჩემს მუხლებზე. მრავალი ხანი გაივლის და მუდამ, წლის ამ დროს, ელევსინელნი და ათენელნი სასტიკ ბრძოლაში შეებმებიან ხოლმე ერთმანეთს. მე დემეტრე ვარ, ყოველისაგან პატივდებული ღვთაება. დიად სიხარულს მე ვანიჭებ უკვდავს და მოკვდავს. ვბრძანებ, ამიგოთ ტაძარი და მის კედლებში აღმიმართოთ საკურთხეველი. დღესასწაულსაც დავაწესებ, რათა საიდუმლო ზიარებისას თაყვანი მცენ წესის მიხედვით.

თქვა ქალღმერთმა და მთელი სიმაღლით აღიმართა, ჩამოიცილა ბერი-ქალის სახე და მარადიული სილამაზე გამოასხივა, მიმოაფრქვია ოლიმპიური სურნელება, ოქროსთაველის მსგავსი თმები ჩამოიშალა. სახლი განათდა, ღვთაება გაქრა, დედოფალი კი დიდხანს იდგა გახევებული. გონს რომ მოეგო, ღვთაების ნების აღსრულება ბრძანა. მალე ააგეს დიდებული ტაძარიც და საკურთხეველიც. ოქროს დემეტრე გამოცხადდა ამ ტაძარში და ძვირფას ასულზე დარდით ერთობ დამწუხრებული ნეტარ ღმერთთაგან მოშორებით მარტო დაბრძანდა.

განრისხებული ღვთაების ნებით, შემაკრთობელი წელი დაუდგა დედამიწას, უწინდებურად უნაყოფო. იმძლავრა შიმშილმა, რადგან ფუჭად ეზიდებოდნენ ხარები მძიმე გუთანს. მიწის მუშაკნი ამაოდ თესავდნენ. ყანებში ერთი მარცვალიც არ გაღვივებულა. მშიერთა გმინვა ცას სწვდებოდა, მაგრამ დემეტრეს არ ესმოდა გოდების ხმები. ცეცხლი ჩაქრა სამსხვერპლოებზე — აღარავინ სწირავდა მსხვერპლს უკვდავ ღმერთებს. იღუპებოდა მიწიერი ყველა სულდგმული, დაშრა მდინარეები. ზევსმა დემეტრეს მოლმობიერება განიზრახა, თავისი შიკრიკი ირისი აფრინა ელევსინში. ყური არ უგდო მის ვედრებას დიდმა ქალღმერთმა. სხვა ღმერთებიც მიუგზავნა ზევსმა დემეტრეს, მაგრამ პასუხად ეს მიიღო:

— არ დავბრუნდები ოლიმპოსზე, ხოლო მიწაზე ერთი ნაყოფიც არ აღმოცენდება, ვიდრე ჩემს ქალიშვილს არ ვიხილავ.

მაშინ ეგისისმპყრობელმა ზევსმა თავის ძმას, ჰადესს ფიქრივით სწრაფი ჰერმესი მიუგზავნა, რათა მაცდური სიტყვით დაეყოლიებინა ქვესკნელის დიდი მბრძანებელი, დაეთმო პერსეფონე. ზეცათა მეუფის სურვილი კი აღასრულა პირქუშმა ჰადესმა, მაგრამ განშორების ჟამს ბროწეულის ნაყოფი მიართვა თავის მეუღლეს. პერსეფონემ გადაყლაპა რამდენიმე (ზოგი მითის მიხედვით — შვიდი) მარცვალი. როდი იცოდა, რომ ამით სამუდამოდ დაუკავშირდებოდა აჩრდილთა საუფლოს.

## ღვთაებრივი შეთანხმება

ჰადესი ასე გამოემშვიდობა ძვირფას მეუღლეს:

— ძაძით მოსილი დედა გიხმობს, კეთილშობილი. გთხოვ, ნუ მოიწყენ, შენი ხვედრი როდია მძიმე, არ გეყოლება უღირსი ქმარი. ჩემს სამეფოში რომ ჩამოხვალ, შენი მორჩილი იქნება ყველა, უკვდავთა შორის შენ მოგაგებენ უდიადეს პატივს. ხოლო იგი კი, ვინც ღირსეულ ძღვენს არ გიბოძებს, ვინც არ იხარებს შენი ძალით, ვინც წესისამებრ საკადრის მსხვერპლს არ შემოგწირავს, სამარადჟამოდ შეირისხება.



ქმარს ყურადღებით უსმინა და თავის ტახტიდან წამოიჭრა სიხარულით აღვსებული პერსეფონე. ეტლი ელოდა, ჰერმესს ეპყრა სადავეები. ყალყზე შედგნენ ჰადესის უკვდავი რაშები და გაფრინდნენ. თავს გადაევლნენ ზღვათა სიღრმეს, მთათა სიმაღლეს, ველების სივრცეს და მგლოვიარე დემეტრეს მიჰგვარეს ძვირფასი ასული. როგორც მენადა მთათა ჩრდილით მოსილ ტყეებში, ისე გამოვარდა საბრალო დედა ტაძრიდან და თავის შვილს მოეხვია. ასე მიმართა:

— ჩემო ასულო, ზღვათა სივრცეებს აღემატება ჩემი სიხარული, მსურს ჩემთან ერთად დარჩე მარად შენი მამის, ღრუბელთმეუფე ზევსის დიად საბრძანებელში, უკვდავთაგან პატივდებული. მაგრამ ჰადესში თუ იგემე რაიმე ხილი, წლის ერთ მესამედს ისევ ქვესკნელში გაატარებ, ორს — ჩემთან ერთად. გაზაფხულის ჟამს, ყვავილები რომ დაფარავენ შავ დედამიწას, სწორედ მაშინ მოევლინები ამ ქვეყანას, ვით ცისიერთა და მიწიერთა გასაოცარი მშვენება.

გაიხარა დიდმა დემეტრემ, მიწას ნაყოფიერება დაუბრუნა. გაზაფხულის ნაზმა ფოთლებმა დაფარეს ტყეები, ყვავილებით აფერადდა ზურმუხტისფერი კორდები, თავთავი აიყარა მწვანე ჯეჯილმა, სურნელება მიმოაფრქვიეს აყვავებულმა ბაღებმა, მწვანედ დაიხუნძლა ვენახი. მთელი ბუნება ზეიმობდა და ადიდებდა თაველისფერი გვირგვინით მოსილ დემეტრეს.

და რამდენადაც დიდი იყო დედა-ქალღმერთის სიხარული, იმდენად უფრო მძიმე იყო მისი მწუხარება ძვირფას ასულთან განშორების ჟამს. ისინი ისე ეთხოვებოდნენ ერთმანეთს, თითქოს შეხვედრა არ ეწერათ აღარასოდეს. იმ დღიდან მოყოლებული, შვილთან გამოთხოვების ჟამი რომ მოაწევს, დემეტრე ისევ ტოვებს ხოლმე მინდვრებს, ბაღებს, ვენახებს. ხეებიდან ცვივა ფოთოლი, აღარც ყვავილი ხარობს სადმე, აღარც ბალახი, დგება ზამთარი, ბუნება კვდება, რათა კვლავ აღორძინდეს, როდესაც ჰადესის უსიხარულო სამეფოს წიაღიდან თავის დედას დაუბრუნდება პერსეფონე. მას კი მოჰყვება გაზაფხული.

## დემეტრეს მადლი. ტრიპტოლემოსი

ქალიშვილის დაბრუნებით გახარებული დემეტრე ისევ ამაღლდა ოლიმპოსის სხივნათელ მთაზე. როდესაც იგი ელევსინს ტოვებდა, იხმო მეფის ძე, ტრიპტოლემოსი და პურის თესლი უბოძა. უბრძანა, სამგზის გადაეხნა რარიის ველი, ელევსინის მახლობლად რომ მდებარეობდა და შავ მიწაში ჩაეყარა პურის მარცვალი. ტრიპტოლემოსმა აღასრულა ღვთაების ნება. უხვი მოსავალი მოვიდა დემეტრეს მიერ დალოცვილ მიწაზე. შემდეგ ქალღმერთმა ჯადოსნური ეტლი გარდმოუვლინა მეფისწულს და ღვთაებრივი სიტყვა აუწყა:

— მთელი ქვეყანა შემოიარე ამ ფრთოსანი ეტლით და ადამიანებს ასწავლე მიწის სიყვარული, ყანების მოვლა, პურის მოყვანა!

სად არ მიაფრენდა ტრიპტოლემოსს ღვთაებრივი ეტლი, ყველა ქვეყანას ეწვია იგი, ყველგან დამოძღვრა შრომისმოყვარე ადამიანები. შორეულ სკვითიაშიც იყო ღმერთის რჩეული ტრიპტოლემოსი. მაშინ იქ მეფე ლინკოსი მართავდა ქვეყანას. მიწათმოქმედება რომ შეისწავლა ზვიადმა და ველურმა მეფემ, ტრიპტოლემოსის მოკვლა განიზრახა, რათა დიადი მოძღვრის სახელი მიეთვისებინა. მაგრამ დემეტრემ დაიფარა თავისი რჩეული: როცა ლინკოსი ღამით მალულად შეიპარა მოსასვენებელში, სადაც ტრიპტოლემოსს ეძინა, დიდმა ქალღმერთმა სკვითების ღვარძლიანი მეფე ფოცხვერად აქცია სწორედ იმ წამს, მახვილი რომ აღმართა მძინარის თავზე. ფოცხვერად ქცეული ლინკოსი უსიერ ტყეში მიიმალა. ტრიპტოლემოსმა კი მიატოვა სკვითების მიწა და სხვა ქვეყნისკენ გაეშურა. მალე შეიგრძნეს ადამიანებმა დემეტრეს მადლი. მას შემდეგ ყველა ქვეყანაში ხარობს ჯეჯილი, მწიფდება ყანა. ოქროს თაველით მოსილ ღვთაებას ეთაყვანება ყველა მოკვდავი.

## როდესაც დემეტრე მრისხანებს. ერისიხთონი

უძველეს ხანად პელასგებმა მადლიერების ნიშნად დემეტრეს უძღვნეს ჩრდილით მოსილი დიდებული ჭალა. ელევსინზე ნაკლებად როდი უყვარდა დიდ ღვთაებას ეს წმინდა ადგილი. იქ ძველთაძველი მუხა იდგა, დიდი, წლოვანი. მისი კენწერო ცას სწვდებოდა, ხოლო რტოთა ქვეშ მთელი ტყე იყო გადაშლილი. მუხის ფოთლები საამო ჩრდილს სთავაზობდნენ მშვენიერ ნიმფებს, რომლებიც საზეიმო ფერხულს უვლიდნენ მის გარშემო. მუხას ოდითგან ეტრფოდა მსუბუქი ქარი. ქროლვით დაღლილი ისვენებდა მის რტოებში.



იმხანად თესალიას განაგებდა მეფე ტრიოფსი, რომლის შვილი ერისიხთონი მიატოვა კეთილმა ღვთაებამ. მეფისწულის სულში ბოროტებამ დაისადგურა და აი, ერთ დღეს, ორმოცი მსახურის თანხლებით იგი დემეტრეს ჭალაში მდგომ მუხას მიადგა და მისი მოჭრა ბრძანა. მსახურები შეცბნენ. ერისიხთონმა ერთ მათგანს ხელიდან გამოსტაცა ცული და წამოიძახა:

— თავად დემეტრეც რომ იყოს ეს ხე, მაინც გადმოემხობა მიწას შეფოთლილი კენწეროთი!

ვიდრე ცულს მოიქნევდა, მუხამ ძრწოლით ამოიგმინა. ფოთლებთან ერთად გაფითრება დაიწყეს რკოებმა, გრძელ რტოებსაც მიეხადათ ფერი. ხოლო როდესაც ცული დაჰკრა, იარიდან იფეთქა სისხლმა. ყველა გახევდა, მხოლოდ ერთმა მსახურმა შეჰბედა ამ მკრეხელობისათვის ხელის შეშლა, მაგრამ თესალიის მეფისწულმა მრისხანე მზერა მიაპყრო:

— მიიღე ჯილდო სათნო სულის წილ! — ასე უთხრა და თავი მოჰკვეთა. შემდეგ ისევ ხეს მიუბრუნდა. მოულოდნელად ხმა მოისმა მუხის შუაგულიდან:

— დემეტრესათვის უსათნოესი ნიმფა დრიასი ვბინადრობ ამ მერქნის ქვეშ. მომაკვდავი წინასწარ გამცნობ — უმსგავსობის წილ დაისჯები!

ბოროტი სულით დათრგუნული თესალიელი როდი შეჩერდა, ურიცხვი დაკვრით მოარყია და ძირს დასცა ძველთაძველი მუხა, მთელი ტყე ქვეშ მოაყოლა. საკუთარი დისა და ჭალის ბედით შეძრწუნებული ნიმფები დემეტრეს ეახლნენ და ერისიხთონის დასჯა სთხოვეს. ღმერთმა მშვენიერი თავის დაქნევით

ანიშნა, რომ მათ სურვილს აღასრულებდა. თავთავებით დამძიმებული ყანები შეძრა და საშინელი განაჩენი გამოუტანა ბოროტებით ძლეულ მეფისწულს: იგი შიმშილით უნდა დასჯილიყო. ამ ბრძანების საუწყებლად შიმშილის ქალღმერთთან აფრინა ნიმფა თავისი ეტლით. იგი სკვითების ქვეყანაში ჩავიდა. ერთ უნაყოფო მთაზე იპოვა თვალებჩაცვენილი, თმაგაჩეჩილი, ჩამომჭკნარი და გაძვალტყავებული შიმშილის ღვთაება. ისეთი შემზარავი სანახავი იყო იგი, რომ ნიმფამ ვერ გაბედა მიახლოება, ისე გადასცა ღმერთის სიტყვა. თუმც მოშორებით იდგა, მაინც იგრძნო შიმშილი, არ დაელოდა პასუხს, უმალ გაეცალა იქაურობას. ხოლო შიმშილის ღვთაება დემეტრეს სიტყვის აღსასრულებლად წალასლასდა. ქარმა ნაბრძანებ სახლში მიიყვანა. ღამეული დრო იყო, მკრეხელს ეძინა. ღმერთმა მკლავები შემოაჭდო ერისიხთონს და თავისი სული შთაბერა. როდესაც საქმე აღასრულა, უხვი სამყარო მიატოვა და უბადრუკ სახლს დაუბრუნდა.

ძილშივე შეაწუხა ერისიხთონი შიმშილის დაუოკებელმა გრძნობამ. გამოღვიძებულს კიდევ უფრო გაუშმაგდა შიმშილი. და რაც უფრო მეტს ჭამდა, მით უფრო მეტად შიოდა. გაფლანგა მთელი თავისი სარჩო-საბადებელი, მაგრამ ამაოდ, ვერ იოკებდა ამ შემაძრწუნებელ გრძნობას. დაბოლოს, ერისიხთონს ერთი ასულიღა შერჩა. უმოწყალო შიმშილის მოსაკლავად ფული რომ ეშოვა, ისიც გაყიდა. მაგრამ მეფის ასული შეიბრალა ზღვათა მეუფე პოსეიდონმა და გარდასახვის უნარი უბოძა. ქალწულმა სახე იცვალა და მეპატრონეს იოლად დააღწია თავი. ეს რომ შეიტყო ერისიხთონმა, ხშირად იწყო მისი გაყიდვა. საბრალო ქალი ცხენად, ფრთოსნად, ხარად თუ ირმად გარდასახული, უზიდავდა საკვებს ხარბ მამას. მაგრამ ეს მაინც არ ჰყოფნიდა შიმშილით დასნეულებულ ერისიხთონს. ახალ სარჩოს უფრო მძიმე სენი მოსდევდა. მან საკუთარი ხორცის გლეჯა დაიწყო და საშინელი ტანჯვით დალია სული.



ელევსინური მისტერიები

როდესაც დემეტრე ელევსინს ტოვებდა, რათა ოლიმპოსის ნათელ სავანეს დაბრუნებოდა, მთელი სამეფო ოჯახი იხმო და თესლიდან მცენარის აღმოცენების უდიადესი საიდუმლო გაანდო, თანაც დასძინა:

— უწმინდესია ეს საიდუმლო, არ უნდა გათქვათ, უკვდავთა დიადი წყალობის წილ დუმდება ბაგე. ვინც საიდუმლოს ეზიარება, ბედნიერი იქნება სამარადჟამოდ!

მორჩილების ნიშნად ყველამ მდაბლად დახარა თავი, მუხლი მოიყარა მის წინ მეფემ და შეევედრა:

— ყოვლისაგან პატივდებულო, გულუხვო დეო! მუდამ იხარე და ჩვენს ქალაქს მოწყალება გარდმოუვლინე, გვიბოძე წარმატება და თანხმობა, აღმოაცენე ბალახი და ხე მსხმოიარე, გამოზარდე პირუტყვი, მიეც ვაშლს წვენი, თავთავს სიმწიფე, ქვეყანას სიტკბო, რათა მოიმკას მან, ვინც დათესა.

ოქროსთაველისფერი თმით მოსილი თავი დაუკრა დიდმა ქალღმერთმა მოწყალების ნიშნად და მზის ოქროსფერ სხივებში გაუჩინარდა.

მას შემდეგ ყოველწლიურად, სექტემბრის ოქროს დღეებში, ათენიდან ელევსინისკენ მიემართებოდა პროცესია. ქურუმები, წარჩინებულნი, მოქალაქენი, მონანი თუ უცხოელნი მისდევდნენ ურმებს, რომლებითაც მიჰქონდათ საიდუმლო სიწმინდეები, ღმერთთა უძველესი და უჩვეულო გამოსახულებები და სიმბოლოები.

ხანგრძლივი მარხვის შემდეგ საიდუმლოს ზიარებულნი იწყებდნენ წესის აღსრულებას. სულ ბოლოს მათთვის იხსნებოდა კარიბჭე ტელესტერიონისა. ეს იყო დიდი, თეატრის მსგავსი დარბაზი, რომელსაც სამი მხრიდან გარს ერტყა კლდეში ნაკვეთი სავარძლების მწკრივები. ხოლო სცენაზე იდგმებოდა დრამა, რომელიც დემეტრეს ტანჯვის „ეტაპებს“ წარმოადგენდა. ნიმფათა, დემონთა, გარდაცვლილთა და ნეტართა სულების ქორო მუსიკის თანხლებით მღეროდა და ღვთაების სასოწარკვეთას განასახიერებდა.

ნარგიზების გვირგვინით თმაშემოსილი პერსეფონე ყაყაჩოების თაიგულით ხელში ჰადესთან ერთად იჯდა სამეფო ტახტზე მიწისქვეშეთის სულთა გარემოცვაში. წარმოდგენის ბოლოს ცისიერნი სიხარულით ესალმებოდნენ დედასთან დაბრუნებულ შვილს.

## 5 ათენა

უაღრესად პატივდებული ქალღმერთია ათენა მთელ საბერძნეთში. იგია სიბრძნის ღვთაება, ქალაქთა და სახელმწიფოთა, მეცნიერების, მიწათმოქმედებისა და ხელოსნობის მფარველი. მასვე მიიჩნევენ სამართლიანი და გონიერი ომების ქალღმერთად.

### ღვთაება, რომელიც დაიბადა მამის თავიდან

მრავალი ლეგენდით არის მოსილი ათენას დაბადება. ყველაზე სარწმუნოდ მიიჩნევენ მისივე ქურუმთა ნაამბობს. ხოლო ისინი გადმოგვცემენ საოცარ ამბავს: ზევსს შეუყვარდა ერთ-ერთი ოკეანისი, ტეთისის ქალიშვილი, სახელად მეტისი, რომელსაც არ სურდა უზენაეს ღვთაებასთან სარეცლის გაზიარება და სხვადასხვაგვარად გარდასახული ემალებოდა მის თვალთა მზერას. მაგრამ ერთხელაც დაიჭირა იგი ზევსმა და ჩაუსახა შვილი. წინასწარმეტყველება ასეთი იყო: დაიბადება ქალწული, სიმამაცითა და გონიერებით მამის სწორი, მაგრამ მეტისი თუ კვლავ დაფეხმძიმდება, იშვება ვაჟი, რომელსაც ბედით უწერია ზევსის დამხობა ზუსტად ისევე, როგორც ზევსმა დაამხო კრონოსი, ხოლო კრონოსმა — ურანოსი. შეშინდა ზევსი, საალერსო სიტყვებით შეიტყუა მეტისი თალამოსში და მოულოდნელად ჩაყლაპა. ასე აღესრულა მშვენიერი ოკეანისი, თუმცა ზევსი აღიარებდა, რომ მის მუცელში მყოფი მეტისი ხანდახან რჩევებსაც იძლეოდა.

გავიდა ხანი. ერთხელ, როდესაც ტრიტონის ტბის სანაპიროზე სეირნობდა ზევსი, შემაძრწუნებელი თავის ტკივილი



იგრძნო. ასე ეგონა, რომ საცაა გაეპობოდა კიდეც თავი ამ ტკივილისაგან. მაშინ მან გაშმაგებით დაიღრიალა. ცის კაბადონი შეზანზარდა. ამ ყვირილზე უმალ მასთან გაჩნდა ჰერმესი, მიხვდა, რაც მოხდა, მსწრაფლ გაემართა ჰეფესტოსაკენ, სთხოვა, აეღო ურო, რათა ზევსისათვის გაეპო თავი. ჰერმესის ნებას დაჰყვა ჰეფესტო. მთელი სიმძლავრით მოიქნია თავისი ურო და საოცარი რამ იხილეს მაშინ ღმერთებმა: ზევსის თავიდან ამოიმართა დიდებული ღვთაება ათენა, ბრწყინვალე აღსაკაზმავით აღჭურვილი. ფარით, მახვილით ელვარებდა იგი გაოგნებული ცისიერების თვალთა წინარე. მრისხანედ შეარხია ათენამ თავისი მახვილი, რომლის საბრძოლო ჟღერამ შეძრა ზეცა და ოლიმპოსი. ღვთაების ცისფერი თვალები სიბრძნეს აფრქვევდნენ, თავად ბრწყინავდა საოცარი მშვენიერებით. და ადიდებდნენ ღმერთები მამის თავიდან დაბადებულ ძვირფას ქალიშვილს, ქალაქთა მფარველს, სიბრძნისა და ცოდნის ღვთაებას, უძლეველ მებრძოლს, ათენა პალასს.

პალასი ბერძნულად „ქალწულს“ ნიშნავს. იმაზე, თუ რატომ უწოდეს ასე ათენას, სხვადასხვა გადმოცემა არსებობს. ერთ-ერთის თანახმად, ათენას ბავშვობის ასაკში ჰყოლია მეგობარი, სახელად პალასი. გოგონები ხშირად თამაშობდნენ ფარითა და მახვილით შეიარაღებულნი. ერთხელ თამაშით შეებნენ ისინი ერთმანეთს. ის-ის იყო პალასს მახვილი უნდა დაეკრა ათენასთვის, რომ მათ შორის გაჩნდა ზევსის ეგისი, რომელმაც მიიპყრო მოთამაშეთა ყურადღება. ამ დროს ათენას შემთხვევით შემოაკვდა პალასი. ძლიერ დაღონდა ღვთაება და გლოვის ნიშნად თავის სახელს სამარადჟამოდ მიუმატა მეგობარი ქალწულის სახელი.

კეთილი ღვთაება იყო ათენა. მან გამოიგონა ფლეიტა, საყვირი, კერამიკული ქოთანი, გუთანი, ფოცხი, უღელი ხარებისათვის, ლაგამი ცხენებისათვის, ორთვალა ეტლი და ხომალდი. მან პირველმა ასწავლა ადამიანებს თვლის ხელოვნება, ხოლო ქალებს ყოველგვარი ხელსაქმე — რთვა თუ ქსოვა,

აგრეთვე შეჭამადთა მომზადების წესი და რიგი. მართალია, ათენა ომის ღვთაებაც იყო, მაგრამ ბრძოლები მას არესივით როდი ჰგვრიდნენ სიამოვნებას. ამჯობინებდა მშვიდობიანი გზით გადაეჭრა ყველა დავა და სამშვიდობო კანონები დაემყარებინა. ყოველდღიურად როდი ატარებდა იგი იარაღს, ხოლო როდესაც სჭირდებოდა აღსაჭურველი, თხოულობდა ზევსისაგან. და თუ ბრძოლაში ჩაებმებოდა, არასოდეს მარცხდებოდა. თავად არესსაც სჯობდა იგი თავისი საბრძოლო ხელოვნებით, ამიტომ ბრძენი წინამძღოლები ყოველთვის მას მიმართავდნენ რჩევისათვის.

## ქალწული ათენა – ერიხთონიოსის დედა

მრავალ ღმერთს, ტიტანსა თუ გიგანტს ჰქონია ათენაზე დაქორწინების სურვილი, მაგრამ ქალღმერთი უგულებელყოფდა ხოლმე მათ ძალისხმევას. აი, რა მოხდა ტროას ომის დროს: იმხანად ზევსმა განაცხადა, რომ ბრძოლაში არ ჩაებმებოდა. ათენას კი აღსაჭურველით სურდა აღკაზმვა. ამიტომ თხოვნით მიმართა ჰეფესტოს, გამოეჭედა მისთვის საბრძოლო იარაღი. მჭედლობის ღმერთმა ასე მიუგო: „სიყვარულის წილ დაგამშვენებ დიდებული აღსაკაზმავით". ვერ მიხვდა ამ სიტყვათა მნიშვნელობას ათენა და თანხმობა მისცა. ჰეფესტო შეუდგა თავის საქმეს. ათენამ გადაწყვიტა ენახა, თუ როგორ ამზადებდა იარაღს მჭედელი-ღმერთი და მისი სახელოსნოსაკენ ისწრაფა. იქ მისვლა დაასწრო მას პოსეიდონმა, რომელმაც საქმით გართულ ღმერთს აუწყა: „შენს სამჭედლოში მოდის ათენა, რომელსაც ზევსის ნებით სურს, ვინმემ დაიმორჩილოს". მღელვარებით ელოდა ჰეფესტო ქალწულ ღვთაებას და იხილა თუ არა იგი, მძლავრ მკლავებშუა მოიმწყვდია. ათენა ხელთაგან დაუსხლტა, მაგრამ ჰეფესტოს თესლი დაეღვარა მუხლისთავებზე. ჩამოიწმინდა შალის ნაგლეჯით, რომელიც ზიზღით მოისროლა. ამ თესლმა გაანაყოფიერა იქვე შემთხვევით მდგომი გეა. დედა-მიწამ, აღშფოთებულმა იმით, რომ შესაძლოა გაა-





*პერსეფონე და პლუტონი. ლოკრისის პინაკი, ძვ.წ. 470-460 წწ. რეჯიო. ნაციონალური მუზეუმი.*



*დემეტრეს გაჰყავს პერსეფონე ჰადესის სამეფოდან. გამოსახულნი არიან აგრეთვე პლუტონი და ჰეკატე. წითელფიგურიანი კრატერი. დაახლ. ძვ.წ. 440 წ. ნიუ-იორკი, მეტროპოლიტენ მუზეუმი.*



*ფიდიასის მიერ ოქროსა და სპილოს ძვლისგან შესრულებული ათენას ცნობილი ქანდაკების რომაული ასლი.*



*ჰეფესტო უძლვნის ალსაჭურველს ათენას. ძვ.წ. V ს. თასის მოხატულობა. ბერლინი. სახელმწიფო მუზეუმები.*



*ათენა – ერგანე. წითელფიგურიანი ლარნაკი. ძვ.წ. 470-460 წწ. ბერლინი. სახელმწიფო მუზეუმები.*



*ათენას დაბადება ზევსის თავიდან. დიდი ღვთაების წინ დგას მელოგინეთა ღვთაება ილითიია. შავფიგურიანი ამფორა. დეტალი. ძვ.წ. 550-540 წწ. პარიზი. ლუვრი*



*„ჩაფიქრებული ათენა" დორიული სამოსით, მუზარადით, მაგრამ ფეხშიშველი. ივი მარცხენა ხელით შუბს ეყრდნობა. დაახლ. ძვ.წ. 460 წ. ბარელიეფი. ათენი. აკროპოლისის მუზეუმი.*



მირონი. ათენა. "ათენა და
მარსიასის" ჯგუფიდან.
მარმარილოს რომაული
ასლი ბერძნული
ბრინჯაოს ორიგინალიდან.
ძვ.წ. V ს. ფრანკფურტი
მაინზე. მუზეუმი.



პართენონის ტაძარი ათენის აკროპოლზე. ძვ.წ. V ს.



*აპოლონი აპკურებს ზედაშეს. კილიქსის მოხატულობა. დაახლ. ძვ.წ. 470 წ. დელფო. არქეოლოგიური მუზეუმი.*



*აპოლონი უკრავს ფორმინგსზე. მის გვერდით არიან დედა – ლეტო, და – არტემისი, აგრეთვე საკულტო ცხოველები. წითელფიგურიანი ამფორა. ძვ.წ. VI ს-ის დასასრული. ლონდონი. ბრიტანეთის მუზეუმი.*

ჩინოს ბავშვი, რომელიც ჰეფესტომ კინაღამ ათენას ჩაუსახა, განაცხადა, რომ არავითარ მონაწილეობას არ მიიღებს მის აღზრდაში. „ძალიან კარგი, – თქვა ათენამ, – თავად ვიზრუნებ მასზე". და მართლაც, დიდი ღვთაება მზრუნველობას არ აკლებდა ახალშობილს. დაარქვა ერიხთონიოსი და პოსეიდონისათვის რომ არ მიეცა მისი მასხრად აგდების შესაძლებლობა, გადამალა თავის წმინდა კალათში, ხოლო ეს კალათი ჩააბარა ათენის მეფის კეკროფსის უფროს ქალიშვილს, აგლავროსს და უბრძანა მისი დაცვა.

კეკროფსი, ნახევრადკაცი-ნახევრადგველი, გეას ძე იყო. ცოლად ჰყავდა ატიკის უძველესი მეფის აქტეოსის ქალიშვილი აგრავლოსი. მათ შეეძინათ სამი ქალიშვილი: აგლავროსი, ჰერსე და პანდროსოსი. ცხოვრობდნენ ისინი აკროპოლისზე. სწორედ აქ ინახებოდა დიდი ხნის განმავლობაში ათენას წმინდა კალათი. ერთხელ ქალებს ცნობისმოყვარეობამ სძლია. მათ ჩაიხედეს წმინდა საცავში და როდესაც შიგ გველისბოლოიანი ყმაწვილი დაინახეს, შეძრწუნდნენ, შეშინებულნი აკროპოლისის კლდიდან უფსკრულში გადაცვივდნენ.

ეს ამბავი ათენას ამცნო თეთრმა ყვავმა. ისე შეწუხდა დიდი ღმერთქალი, რომ უზარმაზარი კლდე, რომელიც აკროპოლისის გასამაგრებლად მიჰქონდა, ხელიდან გაუვარდა (ამ კლდეს ლიკაბეტოსი უწოდეს), ხოლო თეთრი ყვავი შავად გარდასახა და მთელ მის მოდგმას აუკრძალა აკროპოლისზე გამოჩენა. ათენამ ერიხთონიოსი თავის ეგისში დამალა და ისე ზრუნავდა მასზე, რომ ყველას დედა ეგონა.

გამოხდა ხანი. ერიხთონიოსი სამეფო ტახტზე აღზევდა მას შემდეგ, რაც დაამარცხა დამპყრობელი ამფიქტრიონი. მან დააწესა ატიკაში ათენას კულტი, საერთო ათენური დღესასწაულები, ააგო პოსეიდონისა და ათენას საერთო ტაძარი. ტრადიციის მიხედვით, ერიხთონიოსი ე.წ. „კვადრიგა" ეტლის გამომგონებლადაც ითვლებოდა და ამისათვის, ამბობენ, სიკვდილის შემდეგ იგი ეტლის თანავარსკვლავედად იქცა.

## დავა პოსეიდონთან

კეკროფსს, გეას ვაჟს, მიეწერება ათენის აკროპოლისისა და ატიკის თორმეტი ქალაქის დაარსება, რის გამოც ხშირად მთელ ამ მხარეს კეკროპიას, ხოლო ათენელებს კეკროპიდებს უწოდებდნენ. ძველების გადმოცემით, როდესაც აიგო ათენის აკროპოლისი, ღმერთებს შორის დავა გაიმართა იმაზე, თუ ვინ იქნებოდა ქალაქის მფლობელი. დავის გადასაწყვეტად ზევსმა კრება მოიწვია, უხმო კეკროფსსაც, ვითარცა ათენის მეფეს. უზენაესმა მბრძანებელმა გამოაცხადა, რომ ქალაქის მფარველობა იმას ერგებოდა, ვინც რაიმე ძვირფასს შესძენდა მხარეს. მოდავეთაგან პოსეიდონი და ათენა გამოირჩეოდნენ. ზღვის ღვთაებამ სამკაპი ჩასცა კლდეს და ზღვის მლაშე წყალმა სამ ჭავლად ამოხეთქა მიწის სიღრმიდან. მაშინ ათენამ მიწაში შუბი ჩაასო და ზეთისხილი აღმოაცენა. დავა კეკროფსს უნდა გადაეწყვიტა. მან ასეთი სიტყვა წარმოთქვა: „ოლიმპოსის ბრწყინვალე ღმერთებო, ყველგან გაისმის ზღვის მლაშე ზვირთთა ხმაური, ზეთისხილი კი იშვიათია. იგი სიმდიდრეს მოუტანს ჩვენს ხალხს!“ ამგვარად, ქალაქის მფარველობა ათენას ერგო, ხოლო კეკროფსის ქალაქს მისი სახელი ეწოდა. მეფემ თავისი ქალიშვილები მფარველი ღვთაების უზენაეს ქურუმებად აქცია.

*

ათენა ხშირად გამოჩნდებოდა ხოლმე არეოპაგოსში და მსჯავრის გამოტანისას, თუკი მსაჯულთა ხმები თანაბარი იყო, ყოველთვის იყო მსჯავრდებულის შემწყნარებელი. იგი მებრძოლთა მფარველიც იყო. მისი წყალობით იმარჯვებდნენ მძიმე ბრძოლებში ისეთი დიდი გმირები, როგორებიც იყვნენ ჰერაკლე, დიომედესი თუ ოდისევსი. მოწყალე იყო ათენა იმათ მიმართაც კი, ვინც მის რისხვას იმსახურებდა.



## ტირესიასის შეწყნარება

ქალღმერთ ათენას ძლიერ უყვარდა ფერია ქარიკლოსთან ერთად სეირნობა. ერთხელ, როდესაც მზე თავის მცხუნვარე სხივებს უხვად აფრქვევდა, მეგობრებმა ტანთ განიძარცვეს და ჰელიკონის მთის მდინარის გამჭვირვალე ტალღებს მიენდნენ. არავინ იყო ირგვლივ, სიწყნარეს არ არღვევდა ფოთლის შრიალიც. და მხოლოდ ერთი – ქარიკლოს ძე ტირესიასი, რომელსაც ღინღლი შეჰპარვოდა მზით გარუჯულ ღაწვებზე, მოადგა ამ მდინარეს წყურვილის დასაოკებლად. და ის იხილა, რისი ხილვაც არ ეგებოდა. ასე მიმართა მას განრისხებულმა ათენამ: „ევერესის ძევ, თვალთა ჩინს რომ კარგავ სამარადჟამოდ, რამ მოგიყვანა აქ შენი თავის საუბედუროდ?“ – ეს თქვა თუ არა ღმერთმა, ჭაბუკს თვალებზე წყვდიადი ჩამოეფარა, კრინტი ვერ დაძრა სიმწრისაგან გახევებულმა. მხოლოდ ნიმფამ, დედამისმა, აღიმაღლა ხმა: „ჩემო ქალბატონო, ნუთუ შენ მიღუპავ პირმშოს, ნუთუ ეს არის ქალღმერთების გულმოწყალება? ტანთგაძარცვული რომ გიხილა, ნუთუ ამიტომ მზის სხივი ველარ უნდა ნახოს საბრალომ?“ დედა ქვითინით მოეხვია დაბრმავებულ შვილს. მოლბა ქალღმერთი და ასეთი სიტყვა აღმოხდა: „შეურაცხმყოფელს ნურას მეტყვი, გთხოვ, შეიკავო თავი, მე ნუ მაბრალებ მის სიბრმავეს, დამიჯერე, თავადაც ვწუხვარ, მაგრამ რას იზამ, ასეთია ზევსის კანონი. რაც მოხდა, მოხდა. ალბათ ასეთი ბედი განუსაზღვრეს მას მოირებმა. მაშ, ჩემო ბიჭო, მოთმინებით გადაიტანე ის უბედობა, რაც წილად გხვდა. რას არ გაიღებდნენ მსხვერპლად ავტონოე და არისტეოსი, ოღონდ ეხილათ აქტეონი დაბრმავებული და არა თავისივე ძაღლებისაგან დაფლეთილი. დედა, რომელიც ხშირ ჯაგნარში საკუთარი შვილის ძვლებს აგროვებდა, შენ ბედნიერად ჩაგთვლის, ჩემო ძვირფასო მეგობარო, ჩემო ქარიკლო. მწუხარება გადაიყარე. გარწმუნებ, შენს შვილს მრავალი მშვენიერი ძღვენი ელის ჩვენი მეგობრობის აღსანიშნავად. ნათელმხილველის ნიჭს ვუბოძებ, მის სახელს

მუდამ დიდი პატივით მოიგონებს შთამომავლობა. ის თავის თავზე ამაღლდება, გაარჩევს ფრთოსნებს, ღვთაებრივ სიტყვებს გაანდობს ბეოტიელებს, მომავალს ამცნობს კადმოსსა და ლაბდაკიდებს. კვერთხსაც ვუბოძებ, მართალი გზით რომ იაროს, ხანგრძლივ სიცოცხლეს მივანიჭებ, სიკვდილის შემდეგ ჰადესშიაც ბრძნად შერაცხავენ“, – თქვა ათენამ და თავის დაკვრით გაამყარა ის, რაც წარმოთქვა.

ზევსმა თავის ქალიშვილთაგან მხოლოდ ათენას მისცა ნება ეკეთებინა საქმეები მამის უფლებით, რადგან იცოდა, რომ არასოდეს იქნებოდა ავისმზრახველი. და მხოლოდ ერთხელ სძლია შურმა მაღალ ღვთაებას. აი, როგორ მოხდა ეს:

## არაქნეს დასჯა

იდმონ კოლოფონელის ასული არაქნე მდაბიო ოჯახის შვილი იყო. დედა ადრე გარდაეცვალა, მამა ფოკისურ საღებავებში ძაფებს ღებავდა. თავად არაქნემ თავისი ხელოვნებით, სიბეჯითითა და გულმოდგინებით ლიბიის ქალაქებში დიდი სახელი დაიმკვიდრა. თუმცა იგი ერთ პატარა ქოხში ცხოვრობდა, მასთან ხშირად მოდიოდნენ ნიმფები, რათა დამტკბარიყვნენ გასაოცარი ხელსაქმის მზერით. არაქნე დიდი ოსტატობით ნისლივით ფაფუკ ძაფებს რთავდა და ჰაერივით გამჭირვალე ქსოვილებს ქსოვდა. მხოლოდ ათენა პალასს შეეძლო ესწავლებინა მისთვის ეს დიდებული ხელოვნება, მაგრამ არაქნე უარყოფდა მის შეგირდობას. „შემეჯიბროსო, – ასე ამბობდა, – არა მგონია, დამამარცხოს დიდმა ღვთაებამ!“ გაწყრა ათენა. დედაბრად გარდაისახა. საფეთქლებთან თმა გაიჭაღარავა, ჯოხს დაეყრდნო და არაქნეს წინარე წარდგა. ასე მიმართა: „სიბერეს როდი სდევს თან მხოლოდ ბოროტება. წლებს მოაქვს დიდი გამოცდილებაც. ყური მიუგდე ჩემს რჩევას. შეეცადე, რომ მხოლოდ მოკვდავთა შორის იყო აღმატებული. ქალღმერთს ნუ გაეჯიბრები. შეევედრე მაღალ ღვთაებას, მოგიტევოს მკრეხელობისათვის. იგი შეგინდობს.“ არაქნემ ქვეშ-ქვეშ ამოხედა, შეწ-



ყვიტა ქსოვა, ძლივს შეიკავა ხელი, მრისხანე მზერა მიაპყრო მოხუცს და ასე მიმართა: „რამ მოგიყვანა აქ, ჭკუაღარიბო ბებრუცანავ, დიდხანს სიცოცხლეს უწყენია შენთვის. ეგ შეგონება შენს ქალიშვილს ან რძალს ასმინე. მე არ მჭირდება შენი ჭკუა, ჩემიც მეყოფა. რატომ არ მოდის ათენა ჩემთან, რად ეშინია შეჯიბრებისა?“ „აქ ვარ, არაქნე!“ – წამოიძახა ღმერთქალმა და თავისი ნამდვილი სახით წარსდგა გაოგნებული ქალწულების წინ. მაღალ ღვთაებას თაყვანი სცეს იმ წამს ნიმფებმა და მიგდონიელმა პატარძლებმა. არაქნეს სახეზე უნებლიედ სიწითლემ დაჰკრა, ისევ გაუქრა. არც კი შემდრკალა, შეჯიბრისათვის გაემზადა, ვერ გრძნობდა, როგორ იღუპებოდა.

არ დაახანა ზევსის ასულმაც. პირისპირ დადგნენ მეტოქეები. ორ დაზგაზე დაჭიმეს სიფრიფანა ქსელი, კაბის კალთები აიკეცეს და აჩქარებით იწყეს ჩვეული საქმიანობა. ფაფუკ ძაფებზე გადმოღვარეს ოქროს ციალი და ქსოვილებზე გამოსახეს ღმერთების ძველი ამბები.

ათენამ მოქარგა ათენის დიდებული აკროპოლისი და წარმოსახა ატიკაზე მეუფებისათვის ატეხილი მისი დავა პოსეიდონთან. თორმეტი ღმერთი, მათ შორის ზევსიც, ესწრებოდა ამ სამსჯავროს. აი, აღმართა პოსეიდონმა თავისი სამკაპი, ჩასცა კლდეს, მისი სიღრმიდან ამოხეთქა მლაშე ნაკადულმა. ხოლო ათენამ, მუზარადითა და აღსაჭურველით შემკობილმა, შეარხია თავისი მახვილი, ჩაასო მიწას და ზეთისხილის წმინდა ხე აღმოაცენა. ღმერთთა მზერაში გაოცება, ხოლო ათენას სახეზე გამარჯვება ამოიქარგა. და რომ არაქნე დარწმუნებულიყო თავის მარცხში, შეეგრძნო, თუ რა ელოდა თავხედობისათვის, ღვთაებამ ქსოვილის კუთხეებში წარმოსახა ღმერთთაგან ქედმაღალი ადამიანების დასჯის ამბები, ხოლო მის კიდეს გარსშემოავლო ზეთისხილის ფოთლებისაგან დაწნული სამშვიდობო გვირგვინი.

არაქნემ კი თავის ქსოვილზე წარმოსახა ღმერთთა ცხოვრების ის სცენები, სადაც უკვდავნი, ადამიანურ ვნებათაგან შეპყრობილნი, არაღვთაებრივ სისუსტეს იჩენდნენ. უპირველესად

ამოქარგა ევროპეს და ხარის სახება, არწივს შებმული ასტერიე, გედის ფრთით დაფარული ლედა, ნიქტეისი, ორი ნაყოფით რომ აღავსო სატირად გარდასახულმა ზევსმა, მისივე მოვლინება ოქროს წვიმად, ცეცხლად თუ გველად. პოსეიდონი ამოქარგა მძვინვარე ხარად გარდასახული, ვერძის სახებით მოვლენილი ბისალტისის წინ. ყვითელთმება თავთავთა დედა დემეტრე ცხენს შეაუღლა, აპოლონი კი სოფლელივით წარმოადგინა, ქორის ფრთებით თუ ლომის ტყავით ტანშემოსილი, მაკარეისი რომ აცდუნა ვითომდა მწყემსმა. არ დაივიწყა დიონისეც, მისი კავშირი ერიგონესთან. სხვა ამბებითაც დაამშვენა თავისი ნალვაწი. ბოლოს კიდეზე დაუყოლა წვრილი არშია, რომელშიც ხავსისა და ყვავილების კონა ჩააწნა. სრულყოფილების მწვერვალი იყო არაქნეს ნაქარგი. განრისხდა ათენა პალასი. ღმერთთა ბრალდებებით მოქარგული ქსელი გაგლიჯა და მის მომქარგველს შუბლში ჩასცხო კიტორიული მაქო. არაქნემ ვერ აიტანა ეს შეურაცხყოფა და თავი ჩამოიხრჩო. მაინც შეიბრალა იგი ღვთაებამ, თოკიდან ჩამოხსნა და ასე მიმართა: „იცოცხლე, ქედუხრელო. მაგრამ იცოდე, მუდამ იქნები დაკიდებული, მუდამ ქსელს მოქსოვ და ასე დაისჯება მთელი შენი მოდგმა!“ ათენამ ჰეკატეს ბალახების წვენი მიასხურა იდმონის ასულს, რომელსაც უცბად დაუჩიავდა ტანი, დასცვივდა თმა და ეს მშვენიერი ქალიშვილი თანდათან გარდაისახა ობობად. მას შემდეგ კიდია არაქნე ქსელზე და გამუდმებით ქსოვს.

## ❻ აპოლონი

სინათლის ღვთაება აპოლონი მშვენიერმა ლეტომ შვა კუნძულ დელოსზე. ცხრა დღე და ღამე იტანჯებოდა იგი სამშობიარო ტკივილებით. მელოგინეს თავს ევლებოდა რჩეულ ქალღმერთთა დასი. სიმხნეს მატებდნენ ადრასტეა და თემისი, ამფიტრიტე, დიონე, რეა. ქალღმერთთა კრებულს აკლდა მხოლოდ ილითიია, მშობიარეთა მფარველი ღვთაება, რომელიც იმხანად ოლიმპოსზე



იმყოფებოდა და ჰერას მცდელობით ვერ შეეტყო ლეტოს ამბავი. დელოსზე მყოფმა ქალღმერთებმა ირისი წარგზავნეს ილითიიას წამოსაყვანად. სთხოვეს, არ ემცნო ჰერასათვის მისვლის მიზეზი. მალე მიადგა ირისი ღმერთთა სამყოფელს და მშობიარობის ქალღმერთს აუწყა დანაბარები. არ დაყოვნა ილითიიამ, დელოსისაკენ ისწრაფა და სწორედ მისი შემწეობით იშვა ქვეყნად სინათლის ღმერთი აპოლონი, მისანთა, ხელოვანთა და მკურნალთა მფარველი ღვთაება.

ღმერთები მალე იზრდებიან. აპოლონს მართლმსაჯულების ქალღმერთი თემისი აწვდიდა უკვდავთა საზრდოს – ნექტარსა და ამბროსიას. ოთხი დღის იყო აპოლონი, როდესაც მოითხოვა მშვილდი და ისრები, რომლებიც დაუყოვნებლივ მიიღო ჰეფესტოსაგან. შემდეგ დატოვა დელოსი და პარნასოსის მწვერვალისაკენ გაემართა.

### დელფოს სამისნოს დაარსება

პარნასოსის მთას აფარებდა თავს საზარელი ურჩხული პითონი, რომელიც ჰერას ბრძანებით, უმოწყალოდ სდევნიდა აპოლონის დედას, ლეტოს. ერთ პირქუშ ხეობაში მიაკვლია ღმერთმა მის სამყოფელს. როდესაც პითონი ბუნაგიდან გამოსრიალდა, მისი ვეება სხეულის სიმძიმისაგან მთები შეიძრა. აპოლონმა მას ოქროს ისრები სტყორცნა. დაჭრილი პითონი დელფოსაკენ გასრიალდა და დედამიწის, გეას სამისნოს შეაფარა თავი. აპოლონმა გაბედა და ღვთაებრივი უფსკრულის პირას ამოხადა უსახურს სული.

აღშფოთებულმა გეამ ეს ამბავი ამცნო ზევსს, რომელმაც მოუწოდა აპოლონს, განწმენდილიყო დაღვრილი სისხლისაგან, ხოლო შემდეგ პითონის პატივსადებად დაეარსებინა პითიური ასპარეზობანი.

კუნძულ კრეტაზე მეფე კარმანორმა აღუსრულა დიდ ღვთაებას ეს წესისგება. საბერძნეთში დაბრუნებულმა აპოლონმა იმ ადგილას დააწესა პითიური შეჯიბრებანი, სადაც ურჩხული განგ-

მირა. იქვე დააფუძნა დელფოს ტაძარი და სამისნო. ამიერიდან იქ უნდა შეეტყო ხალხს ზევსის შეუვალი ნება. საამისოდ ქურუმები უნდა მოეხმო აპოლონს ამ კლდოვან მხარეში. დაფიქრდა ღმერთი. მოულოდნელად თვალი მოჰკრა ზღვად მცურავ ხომალდს, კრეტელები პილოსისაკენ ეშურებოდნენ. აპოლონი დელფინად გარდასახული მოევლინა მეზღვაურებს და მათი ხომალდის საჭე დელფოსაკენ წარმართა. როდესაც გაოგნებული მეზღვაურები ხმელეთს მიადგნენ, სინათლის ღმერთი მთელი თავისი დიდებულებით წარსდგა მათ წინაშე და ასე მიმართა: „ამიერიდან ვეღარ იხილავთ თქვენს სამშობლოს, სანატრელ მხარეს. აპოლონი ვარ. თქვენ გელოდებათ ჩემი დიადი ტაძარი, პატივმოუკლებელი. მსხვერპლი შესწირეთ ნეტარ ღმერთებს!“

კრეტელები განგების ძალას დაემორჩილნენ. აფრა დაუშვეს და კლდოვან ნაპირზე გადმოვიდნენ. გაჰყვნენ აპოლონს, რომელმაც მათ უჩვენა თავისი დიდებული ტაძარი და წმინდა ბომონი.

## ნიობეს შვილები

აპოლონი და მისი და, არტემისი, დიდი პატივით ეპყრობოდნენ დედას – ლეტოს, ულმობლად სჯიდნენ, ვინც გაბედავდა მისი ღირსების შელახვას. მათ რისხვას შეეწირა თებეს მეფის, ამფიონის მეუღლე, ნიობე, რომელსაც შურმა დაუბნელა გონება.

თოთხმეტი შვილი ჰყავდა თებეს ბედნიერ დედოფალს. ჯიბრი რომ არა, ნეტარი ქალი იქნებოდა შვიდი ქალიშვილისა და შვიდი ვაჟკაცის აღმზრდელი დედა, მაგრამ იგი მეტისმეტად ამაყობდა თავისი შვილებით. ერთხელ ისე გაკადნიერდა, რომ აუგად მოიხსენია მხოლოდ ორი შვილის მშობელი ლეტო. ეს რომ გაიგო საქვეყნოდ ცნობილი წინასწარმეტყველის, ტირესიასის ქალიშვილმა, მისანმა მანტომ, თებელ ქალებს ურჩია, თმებში ჩაეწნათ დაფნის ფოთლები და საკმეველი ეკმიათ ლეტოსთვის.

განრისხდა ნიობე. ხალხში გაერია თავისი ჩამომავლობითა და ქმრის სამეფო ძალაუფლებით გადიდგულებული. მედიდურად გადახედა ნიობემ დაფნის ფოთლებით შემკულ ქალებს და ასე



მიმართა: „ნეტავი რად სცემთ თაყვანს ლეტოს? თქვენი ღმერთქალი ცამ, მიწამ და წყალმა გარიყა. დელოსის გარდა ვერსად ჰპოვა თავშესაფარი. იქ შვა ქალ-ვაჟი, ტყუპი შვილი. სხვა მეტი რა ქნა? მე შვიდჯერ მეტი შვილი გავაჩინე. ბედნიერი ვარ, ბედისწერის დარდი არა მაქვს. კეთილდღეობა ყოველგვარ შიშს განდევნის ჩემგან. ვთქვათ და, უეცრად რომელიმე გამომეცალა. ლეტოსავით ორი შვილი ხომ არა მყავს. იგი არაფრით განსხვავდება ბერწი დედისგან. იკმარეთ მსხვერპლი, თმიდან დაფნები მოიცილეთ!“

ქალებმაც მოიხსნეს დაფნა, მსხვერპლშეწირვა არ აღასრულეს, მაგრამ ჩურჩულით აღუვლინეს ხოტბა ღვთაებას.

ეს ამბავი შეიტყო ლეტომ. იხმო შვილები და გულისტკივილი გაუმხილა: „ვამაყობ იმით, თქვენ რომ გშობეთ. ნიობე კი მლანძღავს, ბერწი მიწოდა. თუ არ მიშველით, საკურთხევლებსაც დავკარგავ მალე“.

განრისხდნენ დედის ქომაგი შვილები. ნისლში გახვეულნი მიადგნენ თებეს.

გალავნის ახლოს გაშლილ ფართო მინდორზე დააგელვებდნენ ცხენებს ნიობეს შვილთაგან ორნი – ისმენოსი და სიპილოსი.

ქარივით მიქროდა ისმენოსი. გაიწკრიალა აპოლონის მშვილდისრის ლარმა. ვაიო, ამოიგმინა დაჭრილმა, გაუვარდა ხელიდან ლაგამი და სული განუტევა.

ახლა სიპილოსს შემოესმა კაპარჭის ჟღერა. იმწამს მიუშვა სადავეს ხელი. ისარი მაინც დაეწია, ყელში შეერჭო. ცხენის ფაფარზე გადახრილი ძალაგამოცლილი მხედარი მოეშვა და მოთქრიალე ცხელი სისხლით შეღება მიწა.

ეს არ იკმარა აპოლონმა. მინდვრად დალანდა პაპის სეხნია ტანტალოსი. მან და მისმა ძმამ, ფედიმოსმა, ჩვეული ჯაფა რომ მოათავეს, ჭიდაობას შეუდგნენ. გატყორცნა ღმერთმა მალი ისარი. ძმებმა ერთად ამოიკვნესეს, ერთად დაეცნენ და ერთდროულად აღმოხდათ სული.

ამას ალფენორი შეესწრო. მოეხვია განგმირულ ძმებს. სწორედ ამ დროს გაუპო მას შორსმოისარმა გულისფიცარი.

თმებმოუკვეცავ ყრმა დამსიქტონს ორი ისარი სტყორცნა ღმერთმა. ერთი წვივში მოხვდა. ვიდრე ავბედით ისარს ხელით ეჭიდებოდა, მეორეც მოხვდა და კისერში გაერჭო ფრთამდე.

ოლიონევსი დარჩა ცოცხალი. ამაო ვედრებით აღაპყრო მკლავები. დამიხსენითო, ღმერთებს შესთხოვა. შეძრა ღვთაება ყმაწვილის თხოვნამ, მაგრამ ვერ შეძლო ისართა უკან დაბრუნება. ნიობეს უკანასკნელი ვაჟი გულში მსუბუქი ნაიარევით განგმირა ღმერთმა.

ხალხის წუხილმა, ახლობელთა ცრემლმა, ვაებამ ამცნო მშობლებს მოულოდნელი უბედურება.

ამფიონმა, ბედკრულმა მამამ, თავი მოიკლა. ნიობე კი, როცა შეიტყო მის თავს დატეხილი უბედურება, ჯერ კარგა ხანს გაოგნებული იდგა. მერე შეირხა, გადაკოცნა ცივი გვამები. ბოლოს აღაპყრო ხელები ზეცად და ამოიბღავლა: „ლეტო, დატკბი ჩემი ვაებით, გამოიძღე მხეცური სული. ქმარ-შვილის საფლავს მათხრევინებ! გამარჯვებით იხარე, მტერო! გაიმარჯვე კი? მე უბედურს მეტი დამრჩება, ვიდრე შენ, ნეტარს. მაინც მე ვარ გამარჯვებული!“

მაშინ მოზიდა არტემისმა მშვილდისრის ლარი. უბედობაში უდრეკი ნიობეს გარდა ყველა შეზარა ისრის შხუილმა.

ძმათა გვამებს შემოსდგომოდნენ თმებგაშლილი, მწუხარე დები. ერთ მათგანს გულში მოხვდა ისარი. ძმის გვამს დაემხო მომაკვდავი ქალწული. სხვებიც მას მიჰყვნენ.

მოისრობაში ტოლს არ უდებდა ძმას არტემისი. ექვსი და მოკლა ექვსი გასროლით. უკანასკნელი და გადარჩა, რომელსაც დედა ტანით აეკრა. „ეს უმცროსი მაინც გადამირჩინე! – წამოიყვირა, – მრავალთაგან ერთის გამო გემუდარები!“

ვერ მოალბო ნიობეს ხვეწნამ ღვთაება. ბოლო დაც უმოწყალოდ განგმირა არტემისმა.



მკვდარ მეუღლესა და ქალ-ვაჟთა შორის ჩამოჯდა ნიობე. ბედკრული ქალი მძლავრმა ქარმა აიტაცა და სამშობლოში გადაისროლა. ასე ამბობენ, თითქოს მთის წვერზე მიკრულ ნიობეს თვალთაგან დღემდე მარმარილოს ცრემლები სდისო.

## ადმეტოსთან სამსახური

აპოლონს მეუღლე არ ჰყავდა, თუმც სიყვარულის გრძნობა ხშირად დაუფლებია. მას მშვენიერმა ნიმფებმა და მოკვდავმა ქალებმა მრავალი შვილი გაუჩინეს: თესალიელ ნიმფა კირენეს მისგან შეეძინა არისტეოსი, მუზებს – თალიესა და ურანიას აპოლონმა ჩაუსახა ლინოსი და ორფევსი, ცნობილი მკურნალი ასკლეპიოსი კი ლაპით ფლეგიოსის ასულის, კორონისის ძე იყო.

სწორედ ამ ასკლეპიოსის გამო განარისხა აპოლონმა ზევსი. ეს კი მაშინ მოხდა, როდესაც მისმა ძემ მკურნალობის მაღალი ხელოვნებით დაიწყო მიცვალებულთა გაცოცხლება. მიწისქვეშეთის ღმერთმა ჰადესმა აღშფოთება ვერ დამალა და ოლიმპოსის მაღალ მბრძანებელს ჩვეული წესრიგის დამყარება მოსთხოვა. ზევსმა ელვით განგმირა ასკლეპიოსი, შეურაცხყოფილმა აპოლონმა კი ამოხოცა კიკლოპები – ცალთვალა გოლიათები. ამით განრისხებულ ზევსს სურდა, სამუდამოდ ტარტაროსში ჩაეგდო სინათლის ღვთაება, მაგრამ შეიბრალა ლეტო, რომელმაც სთხოვა, დაენდო მათი ღვთაებრივი ძე. ღმერთთა და კაცთა განმგებელმა სასჯელი შეუმსუბუქა აპოლონს – თესალიაში გაგზავნა და მეფე ადმეტოსთან სამსახური უბრძანა.

აღასრულა აპოლონმა ზევსის ნება. თესალიაში ჩავიდა და ადმეტოსს დაუდგა მწყემსად. გაიყვანდა თუ არა ნახირს საძოვარზე, უმალ კითარაზე ან ლერწმის სალამურზე დაკვრას იწყებდა. გარეული ნადირი ტყიდან ისწრაფოდა ღვთაებრივი ჰანგების მოსასმენად. კითარის სიმთა ჟღერით მონუსხული ავაზები და ლომები აღარ ერჩოდნენ უმწეო ირმებს და არჩვებს. ხარობდა ყველა. მშვიდობა სუფევდა ირგვლივ. კეთილდღეობამ

დაისადგურა ადმეტოსის სასახლეში. უხვმოსავლიანი გახდა მთელი თესალია.

იმხანად თავისი სიტურფით შორს ჰქონდა სახელი განთქმული იოლკოსის მეფის, პელიასის ასულ ალკესტისს. მის ცოლად შერთვას მრავალი მეფისწული ლამობდა. პელიასმა გამოაცხადა, რომ ალკესტისს მას მიათხოვებს, ვინც გარეულ ტახსა და ლომს ერთად შეაბამს ეტლში და მასზე ამხედრებული წრეს დაარტყამს ჰიპოდრომს. მეფე ადმეტოსმა თხოვნით მიმართა აპოლონს: „ღმერთო, მრავალი სიკეთე მახსოვს შენგან, მსურს, ერთი თხოვნაც აღმისრულო – ცოლად მარგუნე ალკესტისი!“ მწყემსად დამდგარმა ღვთაებამ არ დაახანა და სათხოვარი აღუსრულა მეფეს. მან საბერძნეთის დიადი გმირის, ჰერაკლეს დახმარებით მოათვინიერა ეს ველური მხეცები.

დიდებული ქორწილი გადაიხადა მეფე ადმეტოსმა. ყველა ღმერთს შესწირა მსხვერპლი. მხოლოდ არტემისს არ მიაგო პატივი და კიდეც დაისაჯა ამის გამო: ქორწინების პირველივე ღამეს, როდესაც ღვინით განბანილი, სურნელოვანი ყვავილებით მორთული ნეფე სანთიობოს ეწვია, შემზარავი სანახაობა გადაეშალა თვალწინ: საქორწინო სარეცელზე ტანთგაძარცვული მშვენიერი მეუღლე კი არ ელოდა, არამედ მოსისინე გველების გროვა. ადმეტოსი უკან გამობრუნდა და კვლავ აპოლონს მიმართა დასახმარებლად. ყველაფერი კეთილად დასრულდა. როგორც კი მსხვერპლი შესწირეს არტემისს, უმალ განელდა მისი რისხვა. არტემისმა ისიც კი აღუთქვა ადმეტოსს, რომ სიცოცხლის უკანასკნელ დღეს ჰადესი შეიწყალებდა, თუკი ვინმე მის მაგივრად მოკვდებოდა საკუთარი ნებით.

და ეს დღეც დადგა, თანაც უფრო ადრე, ვიდრე ადმეტოსი ვარაუდობდა. ერთხელ დილით მასთან მოფრინდა ჰერმესი და ჰადესის სასუფეველში მიიწვია. ყველა შეძრწუნდა. აპოლონმა კი დრო მოიგო: ბედის ღვთაებები დაათრო და არ მისცა მათ საშუალება, სათანადო დროს გაეწყვიტათ ადმეტოსის სიცოცხლის



ძაფი. ამასობაში ადმეტოსი ეახლა თავის ღრმად მოხუც მშობლებს და შეევედრა, დაეთმოთ მისთვის სიცოცხლის დარჩენილი დრო. მაგრამ ხანდაზმულებმა უპასუხეს, რომ ჯერ ცხოვრებით ისევ ტკბებიან და რომ ყოველი მოკვდავი თავის ბედს უნდა მორჩილებდეს.

მაშინ ალკესტისმა, ქმარზე უზომოდ შეყვარებულმა, მიიღო შხამი და გაემზადა პირქუშ ჰადესში ჩასასვენებლად.

დამწუხრებულ ადმეტოსს სწორედ ამ დროს ეწვია გმირთაგმირი ჰერაკლე, რომლის დახმარებითაც ალკესტისი სიკვდილის ღვთაებას გამოსტაცეს.

ადმეტოსის სახლში კვლავ ბედნიერება გამეფდა.

## მარპესა

აპოლონს ცოლად უნდა შეერთო ევენოსის ასული მარპესა. რჩეული ქალწული ღმერთს მესენიის მეფის, აფარევსის ძემ, იდასმა მოსტაცა პოსეიდონისაგან ნათხოვარი ეტლით, რომელშიც ფრთოსანი რაშები იყო შებმული. დაუხანებლივ დაედევნა მას ევენოსი, მაგრამ ამაოდ – იგი ვერ დაეწია შვილის გამტაცებელს. გულმოსულმა მამამ ჯერ ცხენები დახოცა, მერე კი თავი დაიხრჩო მდინარეში, რომელსაც შემდგომ მისი სახელი უწოდა ხალხმა.

ამასობაში იდასი და მარპესა მესენიაში ჩავიდნენ. აქ კი მათ აპოლონი გადაუდგათ წინ.

არ ინება ზევსმა მათი წაკიდება და უბრძანა მარპესას, საქმროდ ერთ-ერთი აერჩია. ქალმა იდასი ამჯობინა აპოლონს. შეეშინდა, რომ დავბერდები, დამიწუნებსო უკვდავი ღმერთი.

## მარსიასი

ათენამ ჯადოსნური ფლეიტა გააკეთა ირმის ძვლისაგან. პირველად ამ ფლეიტაზე უკვდავთა საამებლად ოლიმპოსზე გამართული ნადიმისას დაუკრა. მის დანახვაზე ჰერასა და აფროდიტეს უნებურად გაეცინათ.

მიხვდა ათენა, რომ დასცინოდნენ, განაწყენდა და ტყეს მიაშურა. ერთხანს წყაროსთან იჯდა მოწყენილი. მერე დაკვრა დაიწყო, დააკვირდა თავის ანარეკლს წყლის ზედაპირზე და მიხვდა, რის გამოც გაეცინათ ღმერთქალებს – ლოყების ბერვა უმახინჯებდა სახეს. დაწყევლა ღმერთქალმა თავისი ნახელავი. ბრძანა, დასჯილიყო, ვინც გაბედავდა ფლეიტის დაკვრას.

ფრიგიელმა სატირმა, მარსიასმა იპოვა ათენას მიერ გადაგდებული საკრავი. ფრთხილად შეახო ხელი ჯადოსნურ ფლეიტას. მალე გაიწაფა დაკვრაში, მალევე მოხიბლა მსმენელი. მთელ ფრიგიაში გაითქვა მარსიასმა სახელი. უქებდნენ ხელოვნებას, არწმუნებდნენ, რომ თვით აპოლონს აჯობებდა დაკვრაში.

შეიფერა სატირმა ქება და შეჯიბრში გამოიწვია მუსიკის მფარველი ღმერთი.

მსმენელს გრძელ, მდიდრულ სამოსში გამოწყობილი, დაფნის გვირგვინით დამშვენებული წარუდგა ფოიბოსი. განიერ მხრებზე მოხდენილად ეფინა ოქროსფერი თმები, ძვირფასი ქვებით მოოჭვილი ოქროს კითარა ეკავა ხელში. დიდებულად გამოიყურებოდა ღმერთი.

დათქვეს, გამარჯვებული დასჯიდა დამარცხებულს.

შეჯიბრი დაიწყო. ერთხანს მარსიასი უკრავდა, შემდეგ აპოლონმა ჩამოჰკრა კითარას.

დამარცხდა სატირი. სასტიკად დასაჯა იგი ღმერთმა თავხედობისათვის. ბრძანა, ხელებით დაეკიდათ და ცოცხლად გაეძროთ მისთვის ტყავი.

აღუსრულეს აპოლონს ნება. ამაოდ ყვიროდა მარსიასი: „დამნაშავე ვარ, ნუ გამატყავებთ, არა აქვს ამ საკრავს ჩემი წამების ფასი“.

ყურად არ ილო აპოლონმა მისი ვედრება. ცხარე ცრემლებით დაიტირეს ნიმფებმა, სატირებმა და მწყემსებმა მარსიასი. ფრიგიაში, კილენეს გამოქვაბულში დაკიდეს მისი ტყავი. ასე ამბობენ, როდესაც ფლეიტის ხმა შეაღწევს გამოქვაბულში, ტყავი



ისე ირხევა, თითქოს ცეკვავს, კითარის ხმის გაგონებაზე კი ადგილიდან არ იძვრისო. იმასაც ამბობენ, თითქოს მარსიასის მიერ დაღვრილმა სისხლმა წარმოქმნა ის მდინარე, რომელსაც მისი სახელი ჰქვია.

## დაფნე

ერთხელ, როდესაც სიყვარულის ღმერთმა ეროსმა თავისი მშვილდი მოზიდა, აპოლონმა შეასწრო თვალი. უბადლო მოისარს ღიმილი მოეფინა სახეზე და მედიდურად მიმართა ყმაწვილს: „ხელი შეუშვი მაგ იარაღს, მე მომანდე ისრების ტყორცნა. შენ ის იკმარე, სიყვარულს თუ რაღაც ამდაგვარს რომ აღაგზნებ ღმერთთა და კაცთა გულებში. ამაოდ ელტვი, ცელქო ბიჭო, გმირთა დიდებას!“

ეწყინა ეროსს და მკვახედ მოუჭრა აპოლონს სიტყვა: „მე კარგად ვიცი, შენი ნასროლი ისარი მიზანს არ სცდება, მაგრამ იცოდე, არც შენ აგცდება ჩემი ნასროლი.“

თქვა და პარნასოსზე აფრინდა პატარა ღვთაება. მთის თხემზე შედგა გულმოსული და კაპარჭიდან ორი ისარი ამოიღო: ერთი იყო ტრფობის აღმგზნები, მეორე კი – ჩამაქრობელი. ტრფობის აღმგზნები ოქროს ისარი აპოლონს სტყორცნა, ჩამაქრობელი კი – პენევსის ასულ დაფნეს.

შეუყვარდა აპოლონს დაფნე, რომელსაც საქორწინო ჩირაღდნები ჭირივით სძულდა. მამაკაცთა მგმობელ ასულს უსიერ ტყეში ხეტიალი ახალისებდა. გულს უღონებდა მამის ნათქვამი, შვილიშვილებს ნუ დამანატრეო. მაშინ ალერსით ეხვეოდა ხოლმე მამას და ასე შესთხოვდა: „ძვირფასო მამა, ნება მიბოძე ქალწული დავრჩე.“

გაურბის მეტრფეს ეროსის ავი ისრით დაჭრილი ნიმფა. მას კვალში უდგას აპოლონი. ამაოდ შესთხოვს ტყიურ ნიმფას უიმედოდ შეყვარებული ღმერთი: „შეჩერდი, სამტროდ ხომ არ მოგდევ, ნუ გამირბიხარ. ასე გაურბის მგელს ბატკანი, ლომს – ირემი, არწივს კი მტრედი. ვილაც მთიელი ხომ არ გგონივარ,

საქონლის მწყემსი. სწორუპოვარი მოისარი ვარ. მაგრამ ვაი, რომ ჩემს ისრებზე უფრო ბასრმა ისარმა გამიპო გული. მთელ სამყაროში მკურნალად მცნობენ, მაგრამ ვერანაირი ბალახით ვერ ვუწამლებ შენდამი ტრფობას.“

უფრო სწრაფად გაიქცა ნიმფა. ნიავის ქროლამ თმა აუწეწა, აუფრიალა სიომ სამოსი. სირბილმა უფრო დაამშვენა კოხტა ქალწული.

მისდევს სიყვარულით გახელებული აპოლონი თვალწარმტაც ასულს. ვაჟის სუნთქვას გრძნობს დაფნე კისერზე ჩამოშლილ თმებში. ქალწული დაღალა სრბოლამ და პენევსს შეავედრა თავი: „დამიხსენ, მამა, როგორმე სახე შემიცვალე“.

წარმოთქვა თუ არა ეს ვედრება, უმალ აუსრულდა ქალწულს სურვილი. თხელმა ქერქმა დაუფარა ნიმფას ნაზი სხეული, მკლავები ხის ტოტებად გარდაესახა, თავზე თმის ნაცვლად ხშირი ფოთლები გამოესხა, ფეხები კი ფესვებად ექცა.

ამგვარიც უყვარს აპოლონს ნიმფა. ხელი მოხვია დაფნად ქცეულს ტანზე. ნორჩი ქერქის ქვეშ გულის ფეთქვა შეიგრძნო ღმერთმა. ხეს ეამბორა აპოლონი, შემოხვია მკლავები ტოტებს და ფოთლებს გაანდო თავისი შეყვარებული გულის ტკივილი: „შენ არ ისურვე ჩემი ცოლობა და მაინც მუდამ ჩემთან იქნები. შენით შევიმკობ დღეიდან თმასაც, კითარასაც და კაპარჭსაც, დაფნე!“

ბოლოს ისურვა აპოლონმა, მარადუჭკნობი ყოფილიყო დაფნის ფოთოლი. თანხმობის ნიშნად ხემ კენწერო დაბლა დახარა.

## დრიოპე

მომხიბლავი ქალიშვილი ჰყავდა ექალიის მეფეს, ევრიტოსს. დრიოპე ერქვა მას სახელად. წინ ვერ აღუდგა მეფის ასული აპოლონის ვნებათაღელვას. ადრე დაკარგა სიქალწულე. ბავშვი ეყოლა, რომელსაც ამფისოსი დაარქვეს პაპის პატივსაცემად.



ხანი გამოხდა. ეტოლიელთა მეფე ანდრემონს შეუყვარდა ევრიტოსის ასული და ცოლად შეირთო. ყველამ ბედნიერ წყვილად მიიჩნია ქალ-ვაჟი.

ერთ დღეს დრიოპემ სასეირნოდ ტბას მიაშურა. მკერდზე მიეკრა ჩვილი, რომელიც ჯერ წლისაც არ იყო. დრიოპემ ნიმფებს გვირგვინი უძღვნა. იქვე ლოტოსი დაინახა. მიწვდა ყვავილებს, რამდენიმე კიდეც მოწყვიტა და გასართობად შვილს მიაწოდა. მოულოდნელად შენიშნა: ყვავილებიდან სისხლმა იწყო წვეთ-წვეთად დენა. რა იცოდა მეფის ასულმა, რომ პრიაპოსის მიერ ხელყოფილ ნიმფა ლოტოს ჩაემალა სირცხვილისაგან ყვავილში სახე.

შეცბა დრიოპე, გაქცევა სცადა, მაგრამ ადგილიდან ვეღარ დაიძრა. ქალს ფეხები ფესვებად ექცა. თმას წაეტანა სიმწრისაგან. ხელში თმის ნაცვლად გაოგნებულს ფოთლები შერჩა. ხის ქერქით დაეფარა მთელი სხეული.

ქმარმა და მამამ დრიოპეს ტყეში მიაკითხეს. მიხვდნენ, რაც მოხდა. ხესთან მივიდნენ, ამბორი უწყეს ნორჩ რტოებსა და ფესვებს. მოთქვამდა ხე-ქალი. ვიდრე შეეძლო ხმის გამოცემა, ასე ჩიოდა: „ღმერთებსა ვფიცავ, უცოდველი დავითმენ სასჯელს. ჩვილს მიმიხედეთ, გააძიძავეთ და ხშირად მომგვარეთ საჩვენებლად. ჩემს ჩრდილში ასვით რძე. აქვე, ჩემს თვალწინ ითამაშოს. იცოდეს, მე ვარ დედამისი. ტბებს ერიდოს, არ მოწყვიტოს ნორჩი ყვავილი. ყოველი ბუჩქი მიიჩნიოს დედის სახებად.“

შეწყვიტა ქალმა საუბარი, და არსებობაც. ალვის ხედ იქცა მეფის ასული.

*

მიუხედავად ამგვარი თავგადასავლებისა, აპოლონი ქადაგებდა ზომიერების დაცვას. იგი ხშირად იმეორებდა გამოთქმებს „შეიცან თავი შენი“ და „არაფერი ზედმეტი“. მას მუზათა გარემოცვაში უყვარდა ყოფნა. მუზები ჰელიკონის ან პარნასოსის მთაზე იკრიბებოდნენ. იქ ორი ანკარა წყარო მიედინებოდა: ჰიპოკრენე

და კასტალია. ამ წყაროთა ჩრდილში ხვდებოდნენ ხელოვნების მფარველი ქალღმერთები უკვდავ აპოლონს. როდესაც დაფნის გვირგვინით დამშვენებული, მედიდურად თავაღებული აპოლონი წინ მიუძღოდა მუზათა ქოროს, ხმატკბილი ჰანგები ეფინებოდა გარემოს.

დროდადრო ოლიმპოსზეც იწვევდა ხოლმე აპოლონი მუზათა დასს. მაშინ ღვთაებრივი სიმღერით მონუსხულ ღმერთებს ავიწყდებოდათ მტრობა და შუღლი. სიმშვიდე ისადგურებდა უკვდავთა სამყოფელში.

## ⑦ არტემისი

მოკლე კაბითა და ფეხებზე მჭიდროდ შემოკრული სანდლებით, მშვილდით ან ოროლით ხელში მირბის ტყეთა დედოფალი არტემისი. უკან მისდევენ მწევრები და მშვენიერი ნიმფები. დაიჭერს ირემს, ბუჩქებში რომ რქებით გაბმულა, მახეს დაუგებს კურდღლებს, მერე ათასწლოვანი ხის ფუღუროში მძვინვარე ტახებს ჩაუსაფრდება. ხიბლავს ტყის ჩრდილი, მინდვრის სურნელება, ნაკადულების სიგრილე. ხანდახან იგი იდუმალი გზაბილიკებით მიუძღვება თავის თანამგზავრთ პარნასოსის მწვერვალებისაკენ, სადაც მისი ძმა აპოლონი უკრავს კითარაზე, ხოლო მუზები საამურად მღერიან.

### მარად ქალწული ღვთაება

არტემისი და აპოლონი ტყუპები იყვნენ. მათი მამა კი მრავალი სიყვარულის დამთმენი ზევსი, რომელიც ხშირად იხიბლებოდა ხოლმე ნიმფათა თუ მოკვდავ ქალთა მშვენიერებით. ერთხელაც ღმერთთა მეუფეს მოეწონა ტიტან კოიოსისა და ფებეს ასული ლეტო. მის დიდებულ მეუღლეს, ჰერას ზედმეტად რომ არ ეეჭვიანა, იგი მწყერად გარდაისახა და ასევე მწყერად გარდასახულ ლეტოსთან სარეცელი გაიზიარა. მათი სიყვარულის ამბავი შეუმჩნეველი როდი დარჩა ფხიზელ ჰერას. მან გეას შობილი



საშინელი გველი, პითონი მიუჩინა მუცელქმნილ ტიტანისს და განაცხადა, რომ იგი ვერ იმშობიარებდა იქ, სადაც აღწევდა მზის სხივი. პითონისაგან დევნილმა ლეტომ ბოლოსდაბოლოს მიაღწია ორტიგიას, სადაც შვა არტემისი, რომელიც დაბადებისთანავე მიეხმარა დედას, გადაელახა ვიწრო სრუტე და იქ, დელოსზე, ზეთისხილის ხესა და ფინიკის პალმას შორის ცხრადღიანი სამშობიარო ტკივილების მერე ეშვა აპოლონი. დელოსი, რომელიც მანამდე მოცურავე კუნძული იყო, უძრავად მიემაგრა ზღვის ფსკერს. ამიერიდან აღარავის ჰქონდა უფლება ამ კუნძულზე დაბადების თუ გარდაცვალების.

გავიდა სამი წელი. ერთხელ, როდესაც ზევსის მუხლებზე მჯდომი თავს ირთობდა ნორჩი ღვთაება, ასე შესთხოვა თავის მშობელს: ,,მარადიული ქალწულობის ძღვენი მიბოძე, მაჩუქე მრავალი სახელი, აპოლონი რომ არ შემედავოს, მშვილდ-ისარსაც გთხოვ, თუმცა არა, ნუ შეწუხდები, ამას კიკლოპებიც მომიძღვნიან. ზაფრანისფერ ტუნიკას ვისურვებდი წითელი ქობით, მხოლოდ მუხლამდე რომ მწვდებოდეს, რათა ტყის ნადირს დავეწიო იოლი სრბოლით; მიბოძე ოკეანოსის ასული სამოცი ნიმფა, ცეკვით განთქმული, ცხრა-ცხრა წლისა და ბავშვის ქიტონით ტანშემოსილი; აგრეთვე, ოცი ნიმფა მდინარე ამნისოსიდან, კრეტაზე რომ მიედინება, რათა სანდლები მიწმინდონ და ჩემი მწევრები დააპურონ ნადირობის ჟამს; ყველა მწვერვალი მსურს ამ სამყაროსი. და კიდევ ვითხოვ, შემირჩიო ქალაქი შენი სურვილით, ერთიც მეყოფა, რადგან დროის უმეტეს ნაწილს მაღალი მთების მწვერვალებზე გავატარებ. იქ დავივანებ და მხოლოდ მაშინ ვეწვევი ქალაქს, როდესაც მელოგინენი მიხმობენ. დედაჩემმა ლეტომ ხომ უმტკივნეულოდ მშვა ამქვეყნად და ამის გამო ბედის ღვთაებებმა მშობიარეთა მფარველობა მარგუნეს წილად“. ასე ევედრებოდა მამას პატარა ღვთაება და ლამობდა, შეხებოდა მის წვერს. გაელიმა ღმერთთა მეუფეს და სიამაყით ეს მიუგო: ,,შენი მსგავსი შვილები რომ ხშირად მიშვან ღმერთქალებმა, ეჭვიანი ჰერას შიში აღარც მექნება. მიიღებ ყოველს,

რაც ისურვე და კიდევ მეტსაც: ერთის მაგიერ ოცდაათ ქალაქს გიძღვნი შემოგარენით, შენს გარდა სხვა ღმერთს რომ არ სცნობენ აღარასოდეს. გარდა ამისა ხმელეთსა თუ კუნძულებზე მრავალ ქალაქში გცემენ თაყვანს. შენვე იქნები მათი გზებისა და ნავსაყუდართა შემწყნარებელი!“ — თქვა და დაუკრა თავი. არტემისი კი მსწრაფლ გაემართა კრეტისაკენ, შემდეგ მიადგა ოკეანოსს და შეარჩია თანმხლები ნიმფები. ყოველი მათგანი იყო ცხრა წლის და ბავშვის ქიტონით ტანშემოსილი.

## კიკლოპებთან

მშვილდ-ისრებისათვის ლიპარაზე ჩამობრძანდა არტემისი. ჰეფესტოს გრდემლთან დიადი საქმე სრულდებოდა: პოსეიდონის რაშებისათვის სარწყულებელს ჭედდნენ კიკლოპები. მათ დანახვაზე შეკრთნენ ნიმფები. მართლაც შემზარავი სანახაობა გადაეშალათ თვალწინ: ყოველი გოლიათის წარბთა ქვეშ ბრიალებდა ერთადერთი თვალი, სიდიდით ოთხტყავიანი ფარის სადარი. გუგუნებდა ჰეფესტოს სამჭედლო, მთელი ძალით იქნევდნენ უროს კიკლოპები, თანაც გმინავდნენ. ზარდამცემი იყო მათი ხმა. ზანზარებდა ეტნა და მასთან ერთად ტრინაკრიაც. მცირეწლოვან ნიმფებს კი არა, მოზრდილებსაც ეშინოდათ ცალთვალა გოლიათების. მხოლოდ არტემისი არ შემდრკალა მათ დანახვაზე. ასე ამბობენ, რომ ოდესღაც ჰეფესტოსთან სტუმრად მოსულა ლეტო ჩვილი არტემისით ხელში. კიკლოპ ბრონტესს მძლავრ მუხლებზე დაუსვამს იგი. არ მოსწონებია ლეტოს ასულს გოლიათი და მისი განიერი მკერდიდან ხშირი თმა ბლუჯად ამოუგლიჯავს ისე, რომ არც ამოსვლია აღარასოდეს, ამიტომაც ჰგავდა მუნიანს.

ამჯერადაც წარბშეუხრელად მიმართა ბუმბერაზებს: „ჰეი, კიკლოპებო! ვერცხლის მშვილდი მინდა გამომიჭედოთ, ისრები და კაპარჭიც, ოღონდ ტევადი. განა მხოლოდ აპოლონია ლეტოს ნაშობი! ჩემი ისარი თუ განგმირავს ტახს ან სხვა ნადირს, ამ პირველ ნადავლს თქვენ მოგართმევთ, ლხინი ექნებათ კიკლოპებსაც!“



გოლიათებმა არ დააყოვნეს. უმალ აღასრულეს მისი სურვილი.

## პანთან

აღსაჭურველასხმული არტემისი გაემართა არკადიისკენ. აქ, ერთ სოფელში პანს წააწყდა, ფოცხვერს რომ ჭრიდა თავისი ძაღლების გამოსაკვებად. ამ წვერცანცარამ უბოძა მას ორი შავთეთრი მეძებარი, სამი — ცეცხლისფერი, ერთიც ხალებიანი. ლომებს საკუთარ ბუნაგებში მიაბრუნებდნენ ეს მწევრები. კიდევ აჩუქა შვიდი სპარტული ძაღლი, ქარზე უსწრაფეს რომ მიქრიან, ყოველ ნადირს რომ ეწევიან, სუნს რომ იღებენ შეუცდომლად და არასოდეს არ სცდებიან კვალს.

## პირველი ნადირობა

მწვერვალებისკენ ისწრაფა არტემისმა, ნიმფათა დასის და მეძებართა თანხლებით. პარასიული მთის ფერდობებზე მან თვალი ჰკიდა ფურირმებს, გასაოცარი სისწრაფით რომ მიქროდნენ, სიმაღლით ხარებს აღემატებოდნენ, რქები ოქროსფრად უბრწყინავდათ. „არტემისის პირველი ნადირობისთვის ღირსეული ნანადირევი იქნებოდა!“ — გაიფიქრა ღვთაებამ და დაედევნა, ოთხი შეიპყრო, ხოლო მეხუთემ, გადალახა რა კელადონი, თავს უშველა. ასე ისურვა ჰერამ, რომელიც ამ ირმის სახით ჰერაკლესათვის ამზადებდა საგმირო საქმეს.

ეს ფურირმები არტემისმა ოქროს ეტლში შეაბა და ჩრდილოეთისაკენ გაემართა, ჰემოსის მთისკენ. აქ, მისიის ოლიმპოსზე, მოჭრა ფიჭვი და გამოთალა თავისი პირველი ჩირაღდანი.

ვერცხლის მშვილდ-ისარი მან ოთხგზის გამოსცადა: პირველი ორი ისარი ხისკენ მიმართა, მესამე — ნადირისაკენ, ხოლო მეოთხე დაუმიზნა უსამართლოთა ქალაქს.

უსაშველოა მისი ხვედრი, ვისაც შერისხავს არტემისი!

## ალფეოსი

მდინარის ღვთაება ალფეოსმა, ტეთისის ძემ, არტემისის შეყვარება გაბედა. თვალი ჰკიდა და დაედევნა. როცა მიადგნენ ელისის ლეტრინოსს (ზოგიერთები კი ამბობენ, რომ ეს მოხდა შორეულ კუნძულ ორტიგიაზე, სირაკუზას მახლობლად რომ ძევს), არტემისმა და მისმა ამალამ – ნიმფათა დასმა, სახეზე თეთრი თიხა წაიცხეს, რითაც ერთმანეთს დაემსგავსნენ. შერცხვენილი ალფეოსი იძულებული გახდა, შინისკენ გაძურწულიყო მოზეიმე ქალწულების სიცილ-ხარხარში.

## კალისტო

არტემისი თავის თანმხლებ ნიმფათაგან ქალწულების შენარჩუნებას მოითხოვდა და უმოწყალო იყო მათ მიმართ, ვინც დაარღვევდა ამ პირობას. მკაცრად დასაჯა მან უნებლიე შეცოდებისთვის კალისტო, ლიკაონის მშვენიერი ასული. აი, რა მოხდა: მზეს სავალის ნახევარი გავლილი ჰქონდა, როცა კალისტო გაუკაფავ ტყეში შევიდა. ჩამოიხსნა კაპარჭი, მოუშვა მშვილდი და ამწვანებულ მოლზე წამოწვა. მას თვალი ჰკიდა ზევსმა, მოეწონა და ცდუნება მოუწადინა. გარდაისახა არტემისად და ამ შეკითხვით მიუახლოვდა: „ჩემო თანმხლებო, რომელ ბორცვებზე ნადირობდი?" კალისტო უმალ წამოიჭრა კორდიდან და თავის ღვთაებას, ასე ეგონა, მიესალმა. არტემისად გარდასახულმა ზევსმა გულში ჩაიკრა ქალწული, შმაგად აკოცა, თავი გასცა, იძალა და დაიმორჩილა. შემდეგ აღზევდა ზეცად. შეცბა კალისტო, შეიძულა ცოდვის მოწამე ტყეცა და ჭალაც. უკანა გზაზე არტემისი შემოეყარა. ზევსი ეგონა, მაგრამ იქვე ნიმფათა დასი რომ იხილა, დამშვიდდა.

ცოდვილი თვალს ვერ უსწორებდა თავის ღვთაებას, ვერც პირველობას იჩემებდა უწინდებურად. როდესაც ცხრა წრედ გასრულდა მთოვარის რქები, მუცელი დაეტყო. იმხანად არტემისმა მოისურვა ბანაობა გრილ ნაკადულში. ტანთ განიძარცვა და ნიმფებსაც იგივე მოსთხოვა. შიშველმა ტანმა გასცა კალისტო. არტემისმა იგი დასიდან გააძევა.



ჰერამ იცოდა ეს ამბავი და შესაფერის დროს ეძებდა კალისტოს დასასჯელად. მარტო დარჩენილ ნიმფას როგორც კი მოჰკრა თვალი, განმგმირავი მზერა ესროლა და ძუ დათვად გარდასახა, თუმცა გონება შეუნარჩუნა უწინდებური. ტყეში და ღრეში დაძუნძულებდა საბრალო ნიმფა. თვით მონადირე გაურბოდა მონადირეებს, უფრთხოდა მხეცებს.

არკასი, მისი ძე, გადარჩა და თხუთმეტი წლის ისე შეიქნა, რომ არ იცოდა არაფერი თავის მშობლებზე. ერთხელ, ნადირობისას დათვს შეეჩეხა. კალისტო იყო, მისი დედა, რომელმაც იცნო შვილი, მიუახლოვდა. ვაჟს შეეშინდა და ის იყო, მოზიდა მშვილდი, მაგრამ მაღალმა ზევსმა შეაჩერა. ცად აღაზევა ორთავე და მომიჯნავე თანავარსკვლავედებად აქცია.

## აქტეონი

წმინდა ქალწულსაც უწოდებდნენ არტემისს. საყოველთაოდ იყო ცნობილი, რომ იგი ნებას არ რთავდა მამაკაცებს, ეხილათ მისი სიშიშვლე. ამის დასტურია გადმოცემა აქტეონზე, რომელსაც ნადირობა უყვარდა. მის ამ თვისებას საკადრის პატივს მიაგებდა კიდეც მონადირე ქალღმერთი, საკუთარ წინდაუხედაობას რომ არ დაეღუპა. ერთხელ, ჩვეულებისამებრ, დაეხეტებოდა აქტეონი მთებსა და ტყეებში თავის მწევართა დასის თანხლებით. ჩიტები ლამობდნენ თავი დაეღწიათ მისგან, მაგრამ ჰაერშივე ეწეოდა მათ მონადირე ჭაბუკის ფრთოსანი ისარი, ბუჩქებში სულგანაბულ ნადირს გმირავდა მისი მიზანსაუცდენელი ოროლი. მზე შუბის ტარზე იქნებოდა, როცა აღმოჩნდა იგი წელმოსარტყლული არტემისის წმინდა ჭალაში, რომლის სიღრმეშიც მორაკრაკებდა კამკამა ნაკადული. სწორედ იმხანად ნადირობისაგან მოღლილი ტყეთა ღვთაება ნიმფებთან ერთად მის ტალღებში იგრილებდა ქალწულებრივ სხეულს. აქტეონს შეეძლო ბუჩქების მიღმა მდგარიყო და ისე ემზირა ტანთგაძარცვული ქალწულებისათვის. მაგრამ ნაბიჯი გადადგა, რათა უფრო მიახლებოდა მათ. გამხმარი ფიჩხი ახმაურდა მისი

ტერფის ქვეშ. ნიმფებმა შიშველ მკერდზე აიფარეს ხელები, უეცარი წივილ-კივილით აავსეს ჭალა და არტემისს გარსშემოერტყნენ. მაგრამ ღმერთქალი მათზე უფრო ტანადი იყო, სიმაღლითა და სილამაზით გამორჩეული. ამომავალი მზე ალისფრად რომ აანთებს ღრუბელს, ისე მოედო რისხვის ალმური ღვთაების სახეს. იგი შებრუნდა, ამოხაპა ნაკადულიდან წყალი, ჭაბუკს სახეზე შეასხურა, ხოლო წყლის წვეთებს თან ეს ავისმომასწავებელი სიტყვებიც მიაყოლა: „სხვათაც უამბე, თუკი შეძლებ ოღონდ მოყოლას, ტანგაძარცვული რომ მიხილე!“ და აქტეონი უმალ ირმად გარდაისახა. გალუმპულ თავზე რქები ამოეზარდა, კისერი დაუგრძელდა, ყურები წაუწვეტდა, ხელფეხზე ფლოქვები გამოება, ხოლო სხეული ხალიანი ბეწვით შეემოსა. უეცრად სიმხდალეც დაეუფლა და ისე მოკურცხლა, რომ თავადაც უკვირდა, რომ შეიძლო ასე სირბილი. საბრალო მონადირემ არ იცოდა, რა ეღონა: დაბრუნებულიყო სახლში თუ ტყისთვის შეეფარებინა თავი. ამ ფიქრში იყო, საკუთარმა ქოფაკებმა რომ აიღეს მისი კვალი და გამოედევნენ. კლდესა და ღრეში, მიუვალ ფერდობებზე მიქროდა ირემი, გავეშებულ ძაღლებს გაურბოდა, სურდა ეყვირა: „აქტეონი ვარ, თქვენი პატრონი!“ — მაგრამ მის მიერ გამოცემული ბგერები სრულებით არ ჰგავდა ადამიანის ხმას. ეთერი გაყრუვდა ყეფით. ქოფაკები ეკვეთნენ აქტეონს, კბილებით დაფლითეს და სანამ სული არ ამოხადეს, კაპარჭოსანი არტემისის რისხვა არ დაცხრა.

ასე დაიღუპა აქტეონი, მოკვდავთაგან ერთადერთი, ვინც არტემისის ღვთაებრივად მშვენიერი სიშიშვლე იხილა.

## აკონტიოსი

მკაცრი, მაგრამ სამართლიანი იყო მარადქალწული ღვთაება. იგი მტკიცედ იცავდა ფიცსა და ქორწინების სიწმინდეს. ასე ამბობენ, მის ტაძარში კუნძულ დელოსზე ერთხელ დიდი ზეიმი იყო. დიდძალ ხალხს მოეყარა აქ თავი საბერძნეთის სხვადასხვა ქალაქიდან. მათ შორის იყო კეოსელი ჭაბუკი აკონტიოსი, რომელმაც





*აპოლონი და დაფნე. მარჯვნივ ჩანს ჰერმესი. წითელფიგურიანი სასმისი. დაახლ. ძვ.წ. 450-440 წწ. ლონდონი. ბრიტანეთის მუზეუმი.*



*აპოლონი და მუზა (ან ნიმფა). კილიქსის მოხატულობა. დაახლ. ძვ.წ. 460 წ. ბოსტონი. სახვითი ხელოვნების მუზეუმი.*



აპოლონ ბელვედერელი. მარმარილო. ძვ.წ. IV ს. რომაული ასლი. რომი. ვატიკანის მუზეუმი.

აპოლონის ქანდაკება ზევსის ტაძრის ჩრდილოეთი ფრონტონიდან ოლიმპიაში. ძვ.წ. 457 წ. ოლიმპია. არქეოლოგიური მუზეუმი.





აპოლონის ტაძრის ნანგრევები დელფოში.



არტემისი და გედი. დაახლ. ძვ.წ. 490 წ. ლეკითოსის მოხატულობა. პეტერბურგი. ერმიტაჟი.



არტემისი (ვერსალელი). ლეოქარესის წრე. ძვ.წ. IV-III ს. გვიანდელი რომაული ასლი.



არტემისი და აქტეონი. წითელფიგურიანი კრატერის მოხატულობა. დაახლ. ძვ.წ. 470 წ. ბოსტონი. სახვითი ხელოვნების მუზეუმი.



არტემისის ბრინჯაოს ქანდაკება. დაახლ. ძვ.წ. IV ს-ის შუა პერიოდი. პირეოსის მუზეუმი.



ნიობეს მომაკვდავი ასული. პაროსის მარმარილო. ძვ.წ. V ს. რომი. თერმის მუზეუმი.



არესი. შავფიგურიანი კრატერი. დაახლ. ძვ.წ. 570 წ. ფლორენცია. არქეოლოგიის მუზეუმი.



აფროდიტე და არესი. წითელფიგურიანი კილიქსის მოხატულობა. ტარკვინია. ნაციონალური არქეოლოგიური მუზეუმი.



*პრაქსიტელესი. ჰერმესი და ჩვილი დიონისე. ძვ.წ. 330 წ. ოლიმპია. არქეოლოგიური მუზეუმი.*

თვალი ჰკიდა რა ათენელ ქალიშვილ კიდიპეს, სიყვარულის გრძნობით აღივსო. მან კარგად იცოდა ამ უძველესი ტაძრის წესები და ასეთი ხერხი იხმარა: აიღო ვაშლი და წააწერა: „არტემისის ტაძარს ვიფიცებ, რომ წავყვები ცოლად აკონტიოსს". შემდეგ ეს ვაშლი კიდიპეს ფეხებთან მიუგორა. კიდიპემ ვაშლი აიღო და გულუბრყვილოდ ხმამაღლა წაიკითხა წარწერა. როს გაიაზრა, განრისხებულმა შორს მოისროლა ვაშლი. გვიანღა იყო. წესის თანახმად, არტემისის ტაძარში წარმოთქმული ფიცი განუხრელად უნდა შესრულებულიყო. ეს ამბავი კიდიპეს არავისთვის გაუმხელია. მაგრამ როგორც კი გათხოვებას დააპირებდა, არტემისის ნებით ავად ხდებოდა. როცა კიდიპეს მამამ ტაძარში მომხდარი ამბავი გაიგო, თავისი ქალიშვილი აკონტიოსს მიათხოვა. ასე იცავდა ფიცის სიმტკიცეს არტემისი, რომელიც ოჯახის მფარველ ღვთაებად ითვლებოდა.

## 8 არესი

უკვდავთა შორის უპირველესნი — ზევსი და ჰერა არიან მრისხანე და განუკითხავი ომების ღმერთის, არესის მშობლები. ამ ღვთაებას უდიდეს სიამოვნებას ანიჭებდა ბრძოლის ველზე ყოფნა. მან მჭედლობის ღმერთს, ჰეფესტოს გამოაჭედინა ხმლები და ფარები, შუბები და მუზარადები, დაეშვა დედამიწაზე და მოსვენება დაუკარგა ყველას, გაწაფა ხალხი ქალაქების აოხრებასა და ერთმანეთის ხოცვა-ჟლეტაში. დაქროდა ოქროსფერთმიანი, ახოვანი ღმერთი სისხლის ლანქერში. სიამოვნებით უგდებდა ყურს დაჭრილთა კვნესას, ახარებდა უსულო გვამების მზერა, არად უღირდა ადამიანის სიცოცხლე. მას მუდამ გვერდში ედგა განხეთქილების, შურის ქალღმერთი ერისი და ომის ქალღმერთი ენიო. მისივე თანამდევნი იყვნენ საშინელება — დეიმოსი და შიში — ფობოსი.

ერისის, ჰადესისა და აფროდიტეს გარდა ყველამ მოიძულა უსამართლო და ულმობელი ომების მოყვარული ღვთაება. მხო-

ლოდ ქვეშეთის მეუფე ჰადესი უმადლოდა არესს სულთა სიმრავლეს თავის საუფლოში.

მოსწონდათ ქალებს ზუჩმოელვარე, ახოვანი ღმერთი. თავად უკვდავთა შორის უმშვენიერესი ქალღმერთი აფროდიტე დაემონა მისადმი ტრფობას. სასაცილო მდგომარეობაში ჩაიგდეს თავი შეყვარებულებმა. მათი საიდუმლო შეხვედრის ამბავი ოლიმპოსზე ყველამ გაიგო. ამის შესახებ თქვენ შეიტყობთ წიგნის ბოლო თავში, რომელიც მჭედლობის ღმერთს – ჰეფესტოს ეძღვნება.

## არესი და ათენა

ამბავი, რომელსაც ახლა გიამბობთ, ტროას ომის დროს მოხდა. არესი ტროელთა მხარეს იბრძოდა. აქაველთა შემწე ჰერა და ათენა ეახლნენ ღმერთთა და კაცთა მეუფე ზევსს და სთხოვეს დაეოკებინა ბერძენთა წინააღმდეგ მებრძოლი არესი. დაითანხმეს ყოვლისშემძლე ქალღმერთებმა ეგისისმპყრობელი ზევსი და უმალ ტროას მიაშურეს ეტლით.

მალე გამოჩნდა ბრძოლის ველი. ათენამ დაჭრილ ბერძენ ვაჟკაცს, დიომედესს შეასწრო თვალი, მიუახლოვდა, გაამხნევა და დახმარება აღუთქვა იმ პირობით, თუ კი იგი გაბედავდა არესთან შებმას. როგორც კი დაიყოლია, მაშინვე შედგა მასთან ერთად საბრძოლო ეტლზე, მიწვდა სადავეს, მოიმარჯვა ხელში მათრახი და არესისკენ გააქროლა ცხენები. მალე გამოჩნდა ომის ღმერთიც, რომელსაც ეტოლიელთა ბელადისათვის ამოეხადა სული, თავს წადგომოდა მიცვალებულს და აერთმია აბჯარ-ბექთარი. ამ დროს შენიშნა დიომედესი, რომელიც მისკენ მიქროდა ეტლით. ხელი შეუშვა ნადავლს, მკვირცხლად მიეჭრა ტიდევსის ძეს, გადაიხარა ცხენების მხარეს და სპილენძის შუბი სტყორცნა მეომარს. არ დააყოვნა ომის ქალღმერთმა, არესს ბუნიკზე აუკრა ხელი. შუბმა ჰაერში გაიშხუილა, ასცდა მიზანს და დიომედესი უეჭველ სიკვდილს გადაურჩა.

გამხნევდა გმირი, ძალა მოეცა და არესს ბოქვენთან აძგერა შუბი. დაჭრა მოკვდავმა ღმერთი, რომელიც ისე ბღაოდა, რომ



ათი ათასი მებრძოლის მხნე შეძახილიც ვერ დაფარავდა მის ხმას. ღმერთის ღრიალმა ერთნაირად შეაკრთო აქაველთა და ტროელთა ლაშქარი. დაუყოვნებლივ მიატოვა არესმა ბრძოლის ველი, სწრაფად მიაშურა ოლიმპოსს, ზევსს ეახლა, გვერდით მიუჯდა და ჭრილობიდან გადმომსკდარი სისხლი აჩვენა. თან საყვედური მოახსენა: „ნუთუ არ წუხხარ იმის გამო, რომ არ ინდობენ ღმერთები ერთურთს და ადამიანებს უდგანან მხარში. გულბოროტი და თავნებაა შენი ასული. მის გარდა ყველა გემორჩილება. შენ კი მფარველობ და ხელს უწყობ ყოველნაირად. სწორედ ათენამ წააქეზა დიომედესი ჩემს წინააღმდეგ საბრძოლველად. შუბი მაძგერა ტიდევსის ძემ, დამჭრა და სწრაფად რომ არ გავცლოდი იქაურობას, გვამებთან ერთად ვეგდებოდი მეც ალბათ დიდხანს.“

მეხთამტყორცნელი ალაშფოთა შვილის წუწუნმა, რისხვით მიმართა: „ჩემთან ნუ ღმუი, ნუ ჭირვეულობ. ერთთავად ჭინჭყლობ. დედაშენს გავხარ, მისი სული გაქვს. ოლიმპოსის მკვიდრთა შორის სწორედ შენ მძულხარ ყველაზე მეტად. სხვისი რომ იყო, კარგა ხანია, ჰადესში გადაგკარგავდი, მშვიდად მოგიშორებდი თავიდან. მაგრამ მაინც ჩემი შვილი ხარ, ვერ გაგიმეტებ საწამებლად.“ დაამთავრა ზევსმა სათქმელი, მკურნალი იხმო, რომელმაც მალამოთი დაუამა არესს ტკივილი და წამიერად განკურნა. მარადიული სიყმაწვილის ქალღმერთმა, ჰებემ განბანა და შემოსა იგი. კვლავ ზევსს მიუჯდა გვერდით მედიდური შვილი.

ხანი გამოხდა. ისევ მოსინჯა არესმა ძალა ათენასთან ორთაბრძოლაში. ვეება შუბი შეალეწა ქალღმერთის იმ ფარს, რომლის წინაშე უძლურია თვით ზევსის მეხი. ათენამ მყისვე ყანის სამანად დადებულ დიდ ლოდს დასტაცა ხელი, სტყორცნა, მოარტყა და მხარი დაუმსხვრია. წაიქცა არესი – შვიდი ქცევა მიწა დაფარა, მტვრით აევსო დატალღული, ოქროსფრად მოლივლივე თმები. მას ღიმილით ჰკითხა ათენამ: „ნუთუ არ იცი, რომ ტოლს ვერ დამიდებ. როგორ გაბედე ჩემთან ჭიდილი?“ არესი

პასუხს ვერ სცემდა ქალღმერთს, საშინელი ტკივილისაგან გაწამებული საწყალობლად ღმუოდა.

აფროდიტეს შეებრალა თავისი მიჯნური, ხელი შეახო მიწაზე განრთხმულს და წამოაყენა, შემდეგ მხარში შეუდგა და ბრძოლის ველიდან გაიყვანა.

## არესი ალოადების ტყვეობაში

ერთხელ ტყვედყოფნის სიმწარეც გამოსცადა არესმა. ბუმბერაზმა ძმებმა, ალოადებმა შეიპყრეს იგი და სპილენძის ხელადაში ჩაამწყვდიეს. ცამეტი თვე იმყოფებოდა არესი ტყვედ. ამ ხნის განმავლობაში მშვიდობიანი ცხოვრება სუფევდა ქვეყანაზე.

ალოადების დედინაცვალი ერიბოია მოევლინა შემწედ კაცთა მმუსრველ ღვთაებას. მან ჰერმესს საიდუმლო გაუმხილა. უკვდავთა მაცნემ ცოცხალ-მკვდარი არესი ტყვეობიდან იხსნა. კვლავ ბრძოლის ველს დაუბრუნდა ღმერთი.

## არეოპაგოსის დაარსება

ჰალიროთიოსს, პოსეიდონის ძეს, მოეწონა არესის ასული ალკიპე და მისი დამორჩილება მოინდომა. ეს რომ არესმა გაიგო, შეუბრალებლად მოკლა ჰალიროთიოსი. პოსეიდონი განრისხდა და ზევსს მოსთხოვა მკვლელის დასჯა. ოლიმპიელთა განმგე ღვთაებამ ერთ მაღალ ბორცვზე მოიწვია ღმერთები. არესი წარსდგა მათ წინაშე, მაგრამ რადგანაც მომხდარი ამბების მოწმე არავინ იყო, ღმერთებმა იგი გაამართლეს. ეს იყო მკვლელობასთან დაკავშირებული პირველი სამსჯავრო. ბორცვს, რომელზედაც თავშეყრილი იყვნენ ღმერთები, არეოპაგოსი („არესის ბორცვი“) ეწოდა.

# ❾ ჰერმესი

## ჩვილი ჰერმესის ოინები

ზევსმა არკადიაში, კილენეს მთაზე იხილა ატლასის ასული მაია და შეიყვარა. სწორედ ამ მთის ტყით დაჩრდილულ მღვიმეში იშვა



მათი ძე – ღმერთების მაცნე, მოგზაურთა მფარველი, მიცვალებულთა სულების გამცილებელი ღვთაება ჰერმესი. დედამ იგი აკვანში ჩააწვინა, მაგრამ მიატოვა თუ არა, ჩვილი ჰერმესი აკვნიდან გადმოვიდა და თავგადასავალთა საძიებლად გაემართა. გამოქვაბულთან ვეება კუ დაინახა, დაიჭირა და რკინის საჭრეთლით გაჭრა. ბაკნისაგან ქნარი დაამზადა, სიმებს შეეხო, აახმიანა და თავის მშობლებს ალუვლინა ქება.

შემდეგ ეს ქნარი აკვანში დამალა, კვლავ გამოვიდა მღვიმიდან და პიერიის ჩრდილით დაბურულ მთებს მიაშურა. იქ ბალახობდა აპოლონის საღმრთო ნახირი. ქურდობა განიზრახა ჰერმესმა. ამოარჩია თხუთმეტი ძროხა, წინ გაირეკა და კვალიც დაფარა: წაქცეულ მუხას ქერქიააძრო, დაწნული ბალახით მიამაგრა ძროხებს ჩლიქებზე, თავად სანდლები წამოიცვა და ბეოტიისაკენ გასწია. გზად გადაეყარა ვიღაც მოხუცს, რომელიც ვენახს თოხნიდა. „ძროხას მოგცემ, თუ არ გაამხელ, რომ აქ ნახირი ჩავატარე,“ – უთხრა ჰერმესმა. დანაპირები ალუსრულა და გზა განაგრძო. გადაიარა მთები, ხევები, ბოლოს მიადგა მაღალ ბაგებს. მზით გაბრწყინებულ მდელოზე ძროხას ბალახი მოაძოვა და სადგომში დააბინავა. შემდეგ შეშა მოზიდა და ცეცხლი გააჩაღა. ორი რქაჩაგრეხილი ძროხა ამოარჩია, დაკლა და გაატყავა. ტყავი კლდეზე გადაფინა, ხორცი აქნა, სამწვადე შამფურს წამოაცვა, ხოლო ღმერთთა სამსხვერპლოდ შერჩეული მსუქანი ნაჭრები ცალკე გადადო და თორმეტ ნაწილად დაანაწევრა. სულ მაინც ვერ გაიმეტა. დიდი ნაწილი გადამალა, მხოლოდ მცირედი შესწირა ღმერთებს. შემდეგ ცეცხლი დაშრიტა, ნაცარი იქვე მიმოაბნია და გზას გაუდგა. გამთენიისას მიადგა მღვიმეს, შიგ უხმაუროდ შეიპარა, აკვანში ჩაწვა და თავი მოიმძინარა. მაგრამ დედა-მაიას მაინც ვერაფერი გამოაპარა. მან დატუქსა თავისი პირმშო და თან გააფრთხილა, რომ აპოლონის მიერ მკაცრად დაისჯებოდა ამ ოინისათვის. უპასუხოდ როდი დატოვა ჰერმესმა დედის მუქარა, ურჩია, მიეტოვებინა ეს ბნელი მღვიმე და ყოველ დილით ესწრაფა ღმერთების სამყოფელისა-

კენ. ზევსსაც გადაწვდა ასეთი სიტყვით: „თუ არ მომაგებს საკადრის პატივს მამაჩემი, სხვა გზა არ დამრჩება – ავაზაკთა მეთაური გავხდები.“ არც აპოლონი დაივიწყა, მასაც დაემუქრა: „დამეხსნას, თორემ დელფოში ჩავალ, კარს შევულეწავ და ყველაფერს გავუნადგურებ!“

მალე გაიგო აპოლონმა ნახირის დაკარგვის ამბავი. გაოცდა ღმერთი: ოთხი ქოფაკი დარაჯობდა საღმრთო საქონელს. ძროხებთან ერთად შავი ხარიც ბალახობდა. ყველა ადგილზე დარჩა, ჯოგი გაქრა მხოლოდ. ძროხების ძებნისას აპოლონი იმ ბერიკაცს გადაეყარა, ვისაც ჰერმესმა დუმილის პირობა ჩამოართვა. მოხუცმა ღმერთს ყველაფერი უამბო. კვალს გაჰყვა აპოლონი, მიხვდა, ვინც იყო ქურდი. ტყეებით მოსილი კილენეს მთისაკენ ისწრაფა, მღვიმეს მიადგა და მთვლემარე ძმას თავს დაადგა მოულოდნელად. ჰერმესმა იცნო აპოლონი, პატარა თითი ჩაიდო პირში და გაირინდა. „ჩემი ნახირი დამიბრუნე, თორემ ბნელ ტარტაროსში გადაგტყორცნი!“ – დაემუქრა ძმას აპოლონი.

არ მოეწონა აკვანში მწოლს ეს სიტყვები და ასე მიუგო: „შენი ძროხები არ მინახავს. მათ შესახებ არც რამ მსმენია. მოპარვის ღონე მე ვინ მომცა. გუშინ არ გავჩნდი? ფეხიც კი არ შემიხია მიწისთვის. თუ გსურს, მამასაც დავიფიცებ, რომ შენი ნახირი არ მომიპარავს!“

ამას რომ ამბობდა ჰერმესი, ვითომ ბრაზობდა და თანაც თვალებს აბრიალებდა.

აპოლონს გაეღიმა და ასე მიმართა უმცროს ძმას: „ჩემო თვალთმაქცო და მზაკვრობით გამორჩეულო! გატყობ, არაერთგზის შეძვრები სხვათა სახლებში. ბევრს გაძარცვავ შუაღამისას. ახლა კი ადექი და გამომყევი, მე ჩემს ძროხებს მერე მოვძებნი!“

აპოლონმა აკვნიდან ამოიყვანა ჩვილი და ხელში აიტატა. ჰერმესმა ახალი ოინი მოისაზრა. მან მუცლიდან გამოუშვა მავნე ქარები, თან მიყოლებით რამდენჯერმე დააცემინა. შეცბა აპოლონი, ხელი გაუშვა და ძირს დააგდო ონავარი. მერე ურჩია,



წინ ევლო, ქვიშიან გზას გაჰყოლოდა ოლიმპოსის მწვერვალისაკენ. მალე მიადგნენ ღმერთთა სავანეს. მათ მოსასმენად შეიკრიბნენ უკვდავები. აპოლონი წარსდგა ზევსის წინაშე და ასე მიმართა: „მამა, მოგგვარე ეს პატარა ავაზაკი. ამან მომპარა გუშინ ნახირი. ისე ატარა, რომ კვალიც კი არსად დატოვა. მე რომ მოვნახე, აკვანში იწვა და მარწმუნებდა, თვალით არ მინახავს შენი ძროხებიო“.

ახლა ჰერმესს მიაპყრო თვალი მეხთამტყორცნელმა. მას სიმართლე უნდა ეთქვა. არც დაახანა პატარა ღმერთმა: „იცით, არ მიყვარს მოტყუება. დღეს აპოლონი მზის ამოსვლამდე თავს დამადგა და ნახირის მოპარვა დამაბრალა. ბნელ ტარტაროსში გადასროლით მემუქრებოდა. მოგეხსენებათ, გუშინ გავჩნდი. აბა სადა მაქვს მოპარვის ძალა. ნახირი თვალით არ მინახავს, მღვიმედან არც კი გამოვსულვარ. უცოდველი ვარ. თუ გნებავთ, დავიფიცებ კიდეც. ამას კი ჩემი ცილისწამებისათვის სამაგიეროს თავად მივუზღავ!“

ბოლოს მამა-ზევსს თვალიც ჩაუკრა, თან უჩურჩულა, შემეწიეო.

ხარხარებდა შვილის მზაკვრობით მოხიბლული ზევსი; უკვირდა, ასე ოსტატურად როგორ უარყოფდა საქონლის მოპარვას მისი უმრწემესი შვილი. ბოლოს შეიკრა წარბი და ბრძანა, ორივეს ერთად ეძებნა საღმრთო ნახირი.

ძმები ქვიშიანი პილოსისაკენ მიმავალ გზას დაადგნენ. როგორც კი მიუახლოვდნენ მაღალთაღიან ბაგას, ჰერმესმა მაშინვე დაიწყო საქონლის სადგომიდან გამოდენა.

ამასობაში კლდეზე გადაფენილ ძროხის ტყავს მოჰკრა აპოლონმა თვალი და ძმა დატუქსა: „მზაკვარო, როგორ შეძელი ახალშობილმა, ძროხებისათვის თავების წაჭრა. არა, არა ხარ შენ გაზრდის ღირსი!“ ეს თქვა თუ არა, მოინდომა თავისი ძმის ტირიფის წნელით შებოჭვა. საბმელმა ჰერმესს ვერ გაუძლო, გაწყდა და იქვე მიმოიფანტა. ყოველი წნელი ხედ იქცა, ხოლო მათი ტოტების ჩრდილს შეეფარა წმინდა ნახირი.

გაოცდა სხივნათელი ღმერთი. ჰერმესმა ამ დროს აიღო ქნარი, ააჟღერა და ღმერთებს აღუვლინა დიდებული ხოტბა. აპოლონს კეთილად გაეღიმა და ასე მიმართა ძმას: „მზაკვარო, ერთი გამაგებინე, დაბადებიდან დაგყვა ეს გასაოცარი ნიჭი თუ ვინმემ გასწავლა ეგ სიმღერა. წინასწარ გეტყვი, ღმერთების დასში მაგ ნიჭის გამო მუდამ პატივდებული იქნები!“

## ჰერმესის მისია

აპოლონი მოხიბლა ჰერმესის ქნარმა. ეს კარგად შენიშნა პატარა ღმერთმა და ასე მიმართა უფროს ძმას: „რადგანაც გული ამ საკრავისკენ ასე მიგიწევს, მიიღე ჩემგან ეს საბოძვარი. წყობილი სიტყვის მცნობელი ხარ და თუ ამ ქნარსაც ააჟღერებ, მრავალ სიბრძნეს დაეუფლები“. თქვა და მიართვა მაღალ ღმერთს მისივე ხელით ნაკეთი საკრავი. მიიღო ძმისგან აპოლონმა უბადლო ძღვენი და უმალ აახმიანა ღვთაებრივი ჰანგებით. სამაგიეროდ ჰერმესს თავისი სახრე გადასცა, ნახირის მოვლა მიანდო და აურაცხელი საქონელი ჩააბარა.

ვიდრე ხარები ბალახს ძოვდნენ, ჰერმესმა მოჭრა ლერწამი, მისგან მწყემსის სტვირი გამოთალა და კვლავ საამურად აახმიანა. აპოლონი ისევ აღფრთოვანდა და წამოიძახა: „გავცვალოთ! შენ სალამური მაჩუქე, მე კი სამაგიეროდ გიძღვნი ჩემს ოქროს კვერთხს, რომელიც მუდამ თან მაქვს, როდესაც ნახირს ვმწყემსავ, მომავალში კი შენ გახდები მწყემსთა ღვთაება“. ოინთა მოყვარე ჰერმესმა ძმას ასე მიუგო: „შენი კვერთხი ჩემს სალამურს ვერ გაუტოლდება, მაგრამ თანახმა ვარ გაგიცვალო, თუკი მასწავლი მკითხაობის ხელოვნებას. ასე მგონია, ეს ფრიად სასარგებლო საქმე უნდა იყოს!“ „აქ ვერაფრით დაგეხმარები, – თქვა აპოლონმა, – მაგრამ თუკი შენ მიმართავ ჩემს ძველ ძიძებს – თრიებს, რომლებიც პარნასოსზე ცხოვრობენ, მკითხაობას მათგან ისწავლი.“ ასე მოილაპარაკეს და აპოლონმა კვლავ ოლიმპოსზე აიყვანა პატარა ღმერთი. ისინი მამა-ზევსს ეახლნენ და ყველაფერი მოახსენეს. თავის მხრივ ზევსმა გააფრთხილა ჩვილი ჰერმესი, რომ ამიერიდან პატივი უნდა ეცა სხვა ღმერთების საკუთრებისათვის და მისი ხელშეუხებლობის კანონი დაეცვა, აღარ ეცრუა. ამ ამბებმა ზევსი ერთობ გაამხიარულა. მან სიყვარულით მიმართა თავის ძეს: „გამომგონებლის ნიჭი მოგდგამს, მჭევრმეტყველიც ხარ, ეს მე მახარებს.“ „მაშინ, ძვირფასო მამავ, – სიტყვა მოუჭრა მას ჰერმესმა, – შენს მაცნედ დამნიშნე. მე ვიქნები ღმერთთა საკუთრების მფარველი და არასოდეს ვიცრუებ, თუმცა ვერ შეგპირდები, რომ ყოველთვის ვიტყვი სიმართლეს“. „არავინ ითხოვს ამას შენგან, – ღიმილით უთხრა ზევსმა, – მაგრამ შენ დაგევალება მოლაპარაკებათა წარმოება, ვაჭრობის განვითარება, სამყაროს ყველა გზაზე თავისუფალი მიმოსვლის დაცვა მოგზაურთათვის და მათი მფარველობა“.

ჰერმესმა მიიღო ეს უფლებები, ხოლო ზევსმა კი მას უბოძა კვერთხი – კერიკეონი თეთრი ბაფთებით, რომლისთვისაც ყველას პატივი უნდა ეცა, აგრეთვე ფართოფარფლებიანი ქუდი წვიმისაგან თავდასაცავად და ფრთებიანი ოქროს სანდლები, რომლებიც მას ქარის სისწრაფით გააქროლებდნენ. იქვე მიიღეს იგი ოლიმპიელი ღმერთების დასში. ღმერთებს კი ჰერმესმა ჯოხის ხეზე ხახუნით ცეცხლის დანთება ასწავლა. შემდეგ ღვთაებამ პარნასოსისკენ ისწრაფა და თრიებისგან შეისწავლა მომავლის წინასწარმეტყველება ქვათა მეოხებით; გამოიგონა კოჭის თამაში და მისი საშუალებით მკითხაობა.

ჰერმესი ჰადესის მაცნეც იყო. იგი ტკბილი და დამამშვიდებელი სიტყვებით მიაცილებდა მიცვალებულთა სულებს ჰადესში.

ჰერმესის შემწეობით შეადგინეს ბედისწერის ღვთაებებმა ანბანი; ჰერმესსავე მიეწერება ასტრონომიის, მუსიკის, კრივისა და ტანვარჯიშის, წონის საზომთა გამოგონება. მან ასწავლა ადამიანებს ზეთისხილის ხის მოვლაც.

ჰერმესს მრავალი და ერთმანეთისაგან განსხვავებული შვილი ჰყავდა, მათ შორის არგონავტთა მაცნე ექიონი, ყაჩაღი ავ-

ტოლიკოსი (ოდისევსის პაპა), ორსქესა ჰერმაფროდიტოსი, ბუკოლიკური (მწყემსური) პოეზიის შემოქმედი დაფნისი.

## დაფნისი

სიცილიაში, დაფნის თვალწარმტაც ხეობაში დაიბადა ჰერმესისა და მშვენიერი ნიმფა დრიოპეს ვაჟი, დაფნისი. უპატრონოდ მიატოვა დედამ ახალშობილი. მწყემსებმა აღზარდეს იგი. ტყეთა და ჭალათა მფარველმა ღვთაება პანმა ასწავლა მას სტვირზე დაკვრა. ყველას ხიბლავდა მისი გარეგნობა და ნიჭი.

დაფნისი თავდავიწყებით შეიყვარა ნიმფა ნომიამ, რომელმაც ტრფობის ფიცი დაადებინა ჭაბუკს. ფიცის გამტეხი სიბრმავით უნდა დასჯილიყო.

ნიმფა ქიმერამ მოახერხა და შეაცდინა მთვრალი დაფნისი. ეს რომ გაიგო ნომიამ, განრისხდა და აღასრულა თავისი მუქარა: თვალები ამოსთხარა საყვარელ ჭაბუკს. ერთხანს დაფნისი თავს იმშვიდებდა სევდიანი ლექსების თხზვით, მაგრამ დიდხანს ველარ იცოცხლა. ჰერმესმა იგი ქვად გარდასახა, ხოლო სირაკუზაში აღმოაფრქვია წყარო, რომელსაც უწოდა დაფნისი და რომლის ახლოს ყოველწლიურად ღმერთებისადმი მსხვერპლშეწირვები იმართებოდა.

## ჰერმესი და გლეხკაცი

ერთი მოხუცი გლეხი მდინარის პირას შეშას ჭრიდა. ანაზდად ცული მდინარეში ჩაუვარდა. გლეხი გოდებას მოჰყვა. დაინახა ჰერმესმა, შეებრალა მოხუცი, გადაეშვა წყალში, ოქროს ცული ამოიტანა და ჰკითხა:

— ეს არის შენი ცული?

— არა, — უპასუხა გლეხმა.

ჰერმესმა ახლა ვერცხლის ცული ამოიღო წყლიდან.

— არც ეს არის, — უთხრა მოხუცმა.

ჰერმესმა მესამეჯერ გლეხის ცული ამოიტანა.

— აი, ეს არის ჩემი ცული! — წამოიძახა მოხუცმა.



ჰერმესმა გლეხს ალალმართლობა შეუქო და სამივე ცული აჩუქა. შინ რომ დაბრუნდა, მოხუცმა ამხანაგებს უამბო, რაც გადახდა. ერთმა იფიქრა, მოდი, მეც ასე მოვიქცევიო. მდინარესთან მივიდა და ცული წყალში ჩააგდო. ჰერმესმა რომ დამწუხრებული გლეხი ნახა, გადაეშვა წყალში და ოქროს ცული ამოუტანა.

— ეს ცული დაკარგე? — ჰკითხა.

— სწორედ ეს ცული იყო, ზეციერო! — სიხარულით შესძახა გლეხმა.

ჰერმესი შემოსწყრა ხარბსა და მატყუარას და ოქროსი კი არა, საკუთარი ცულიც აღარ დაუბრუნა.

# ⑩ დიონისე

## ღმერთი, რომელიც ორგზის იშვა

ძველ საბერძნეთში ღვინისა და თავაშვებული ექსტაზის, სიხარულისა და სულიერი შვების მომგვრელ ღმერთს, დიონისეს გამორჩეულად სცემდნენ თაყვანს. ამ ღვთაებას „ორგზის შობილს“ უწოდებდნენ და მისი დაბადების შესახებ სხვადასხვა ამბებს გადმოგვცემდნენ. მათ შორის ყველაზე მეტად გავრცელებული იყო მითი ზევსისა და თებეს მეფის მშვენიერი ასულის, სემელეს დიდ სიყვარულზე. ისინი ჰერასაგან მალულად ხვდებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ ცათა დედოფალს შეუმჩნეველი როდი დარჩა ეს ამბავი. მან სემელეს დაღუპვა განიზრახა. მრუმე ნისლებში გაეხვია ზევსის მეუღლე და თებეს მეფის სასახლისაკენ ისწრაფა. კარის ზღურბლს რომ მიუახლოვდა, ღრუბელი ჩამოიშორა, თმა გაითეთრა, კანი ნაოჭით დაიღარა, ხმა დაიბერა და სემელეს ძიძად, ეპიდავროსელ დედაბრად გარდაისახა. სემელემ ძიძა შინ მიიწვია. გულითადი საუბარი რომ დაასრულეს, თითქოს შემთხვევით, ზევსიც ახსენეს. ძიძად გარდასახულმა ჰერამ ასე დაარიგა სემელე: „ღმერთის სახელით ბევრი ბღალავს უმანკო საწოლს. ის თუ ზევსია, დააფიცე სტიქსის ძალები, რომ

თავისი სახით გამოგეცხადოს და ისე მოგეალერსოს, როგორც ჰერას ეალერსება“.

ძიძა წავიდა. ხოლო როდესაც სემელეს თალამოსში მობრძანდა ზევსი, საბრალო ქალმა სთხოვა, დაეფიცა სტიქსის ძალები, რომ ერთ სურვილს აღუსრულებდა. დაიფიცა ზევსმა, რომ არაფერზე ეტყოდა უარს. „გამომეცხადე შენი სახით და მეც ისე მომეალერსე, როგორც ჰერას ეალერსები“, – შესთხოვა ქალმა. ამოიგმინა ზევსმა, სურდა ჰაერში შეეჩერებინა მისი სიტყვები, მაგრამ უკვე გვიანღა იყო. რაც შეჰფიცა, ის აღასრულა: ზეცად აღზევდა, შემოიკრიბა საავდრო ღრუბელი და ჭექა-ქუხილითა და ცეცხლის ფრქვევით გამოეცხადა ჰერასაგან სასიკვდილოდ განწირულ სემელეს. მომაკვდავმა ქალმა შვა უმწიფარი ნაყოფი და დაიფერფლა მეხისტეხაში. შეებრალა ზევსს თავისი ჩვილი, რომელიც მხოლოდ ექვსი თვის იყო და ჩაისვა თეძოში. როდესაც დიონისეს ქვეყნად მოვლენის ჟამი დადგა, კვლავ დაიბადა, ამჯერად უკვე მამის თეძოდან. სწორედ ამიტომ უწოდებენ მას „ორგზის შობილს“.

## ტანჯვის გზა

ჰერას ბრძანებით, ახალშობილი დიონისე ტიტანებმა მოიტაცეს და ასო-ასო აკუწეს. მისი სხეულის ნაწილები ქვაბში მოხარშეს, სისხლი კი მიწაზე დაღვარეს, სადაც ბროწეულის ხე ამოიზარდა. მისმა დიდედამ, რეამ მიაგნო ბოროტმოქმედი ტიტანების კვალს, შვილიშვილის აკუწული სხეული აღადგინა და სიცოცხლე დაუბრუნა. ზევსმა პერსეფონეს დაავალა, ყურადღება არ მოეკლო დიონისესათვის. მან კი პატარა ჩააბარა ორქომენოსის მეფე ათამასსა და მის მეუღლეს, ინოს, თანაც ურჩია, გოგონას სამოსით გამოეწყოთ ახალშობილი და ქალთა შორის აღეზარდათ. ასეც მოიქცნენ, მაგრამ ყოვლისმხილველი ჰერას მოტყუება მაინც ვერ შეძლეს. დიდმა ღმერთქალმა შერისხა სამეფო ოჯახი, ცოლ-ქმარს სიგიჟე მოუვლინა და საკუთარი შვილები დაახოცინა. ეს ამბავი მოთხრობილია წიგნის



პირველ თავში, კერძოდ კი იმ ქვეთავში, რომელიც ჰერას ეჭვიანობას ეძღვნება.

ზევსის თხოვნით, ღმერთების მაცნე ჰერმესმა დიონისე დროებით ციკნად თუ ბატკნად გარდასახა და ჰელიკონის მთის ტყით დაბურულ ნისას ფერდობებზე მობინადრე ნიმფებს – მაკრისს, ნისას, ერატოს, ბრომიასა და ბაკქეს ჩააბარა აღსაზრდელად. მათ დიონისე მღვიმეში დააბინავეს, გულითადად მოუარეს, მიუალერსეს და ტკბილი თაფლით გამოკვებეს. ამ სამსახურისთვის შემდგომში ზევსმა ისინი მნათობებად აქცია. სწორედ აქ, ნისას მთაზე ეზიარა დიონისე ღვინის დამზადების საიდუმლოს, რამაც მას საუკუნოდ გაუთქვა სახელი.

*

როდესაც დიონისე გაიზარდა, ჰერამ იგი ზევსის ძედ ცნო და ოლიმპოსზე დავანების უფლება დართო, ოღონდ გონება დაუბინდა. დიონისემ არ ისურვა ცისიერების გვერდით ყოფნა, მიწაზე დარჩა მოკვდავთა შორის და მოხეტიალე ცხოვრებას მიჰყო ხელი.

## დიონისეს ამალა

ქალაქიდან ქალაქში გადადიოდა დიონისე. თავს ვაზისა და სუროს ფოთლებით მოწნული გვირგვინი უმშვენებდა, ხელში ჯადოსნური კვერთხი, თირსოსი ეკავა, მხრებზე ძოწისფერი ქათიბი ჰქონდა მოსხმული და ღვინის ნელსურნელებით აბრუებდა ყველას.

მარტო როდი იყო დიონისე. მას თან ახლდა მოხუცი სილენოსი, მენადების დასი და ველური სატირების ბრბო. მენადებს („გაშლეგებულებს“) ანუ ბაკქ ქალებს ხელში ეკავათ გირჩებწამოცმული და სუროებით შემოგრაგნილი თირსოსები. ისინი, ირმის ხალებიანი ბეწვით მოსილნი, თუმცა ნახევრად გაშიშვლებულნი, თმაგაშვებულნი, ხშირად წელებზე გველებშემოხვეულნი, ველური ექსტაზით მიჰყვებოდნენ დიონისეს და გაშმაგებით გაიძახოდნენ „ევოე, ბაკქოს!“ მენადები ტყეებსა და

მთათა ფერდობებზე გლეჯდნენ ნადირებს და სვამდნენ მათ სისხლს. ამით თითქოსდა უახლოვდებოდნენ თავიანთ ტანჯულ ღვთაებას. ბაქქ ქალებს შეეძლოთ, თირსოსები ჩაეკრათ კლდეში და იქიდან რძე თუ თაფლი ამოეფრქვიათ. ისინი თავიანთ დასში ითრევდნენ ქალებს და მოუწოდებდნენ თაყვანი ეცათ დიონისესთვის. მენადების ბრბოს უერთდებოდნენ სატირებიც გრძელი თმებითა და წვერით. მათ თხის ჩლიქები, ცხენის ყურები და კუდები ებათ, თუმცა თავი და სხეული ადამიანისა ჰქონდათ. სატირთა დაუშრეტელი ნაყოფიერების სიმბოლო იყო ფალოსი.

დიონისეს თანმხლებთა შორის იყო პანიც. ეს თხის ჩლიქებითა და რქებით მოსილი ღვთაება, მწყემსთა მფარველი, ხშირად უკრავდა სტვირზე, მის გარშემო კი თავს იყრიდნენ ხოლმე ღვინისაგან მთვრალი მენადები და სატირები და ყველანი ერთად ადიდებდნენ ხოტბას თავიანთ სათაყვანო ღმერთს – დიონისეს. ამ დროს კი მოხუცი სილენოსი, რომელსაც მოსვლეპილ თავზე სუროს გვირგვინი ედგა, თვლემდა სახედარზე ამხედრებული. დიონისეს უყვარდა იგი და თავის მოძღვარს უწოდებდა.

## თვითდამკვიდრების გზა

გადაწყვიტა თუ არა დიონისემ ქვეყნად ხეტიალი, თავდაპირველად გეზი ეგვიპტისაკენ აიღო. იქ კუნძულ ფაროსს ეწვია, სადაც კეთილად მიიღო მეფე პროტევსმა. ამ კუნძულის მოპირდაპირე მხარეს ბინადრობდნენ მებრძოლი ქალები, ამაძონები. მათ დიონისემ შესთავაზა, ერთად გაელაშქრათ ტიტანების წინააღმდეგ, რათა გაძევებული მეფე ამონისათვის სამეფო დაებრუნებინათ. ტიტანთა დამარცხებით დიონისემ პირველი საბრძოლო გამარჯვება მოიპოვა.

შემდეგ დიონისემ აღმოსავლეთისაკენ გასწია და ინდოეთს მიადგა. როდესაც მდინარე ევფრატის სანაპიროს მიუახლოვდა, მის წინააღმდეგ ამხედრდა ქალაქ დამასკოს მეფე, რომელიც მკაცრად დაისაჯა. მას ცოცხლად გააძრო კანი დიონისემ.



შემდეგ ვაზის ლერწებით ააგო ხიდი და მდინარეზე გადავიდა. მდინარე ტიგროსი მან ზევსის მიერ მოვლენილი ვეფხვის მეოხებით გადალახა. ინდოეთისკენ მიმავალ გზაზეც, ინდოეთშიც, დიონისეს დიდი წინააღმდეგობების დაძლევა მოუხდა, მაგრამ მან მაინც შეძლო ქვეყნების დაპყრობა, ხალხებს ასწავლა ვაზის მოვლა, ღვინის დაწურვა. დააარსა დიდი ქალაქები და დაუწესა კანონები.

ინდოეთიდან რომ მოდიოდა, დიონისეს შეებრძოლნენ ამაძონები. მაგრამ ისინიც იოლად სძლია ღვინის ღმერთმა, ეფესოსამდე სდია გაქცეულებს. ამაძონთა მხოლოდ მცირე ნაწილმა შეაფარა თავი არტემისის ტაძარს ტროიძენში, სამოსზე დამალულ მებრძოლ ქალებს კი ისეთი ომი გაუმართა, რომ მინდორს, სადაც ისინი ამოხოცა, „პანგემა“ („სისხლიანი“) ეწოდა.

ქალაქ ფლოასთან დაეღუპა დიონისეს დიდი ნაწილი იმ სპილოთა, ინდოეთიდან რომ მოჰყავდა.

ფრიგიის გავლით დაბრუნდა დიონისე ევროპაში. აქ მან მოინახულა თავისი დიდედა რეა, რომელმაც აღასრულა მისი განწმენდის წესისგება, რათა გაეთავისუფლებინა ღმერთი იმ სისხლისაგან, რომელიც მან უგონობისას დაღვარა. მხოლოდ ამის შემდეგ აზიარა რეამ დიონისე თავის მისტერიებს.

## მიდასი

ფრიგიაში ყოფნისას ღვინის ღვთაებას ასეთი რამ გადახდა თავს: მთვრალი სილენოსი ჩამორჩა თავის ამალას. იგი ბარბაცით მიიკვლევდა გზას, თვალებზე ეფხატებოდა სუროს გვირგვინი. იუცხოვეს ფრიგიელებმა ეს მოხუცი. ყვავილების წნულით შებოჭეს და მეფეს მიჰგვარეს რუმბივით მრგვალი, თვალებგადმოკარკლული და მხიარული ბერიკაცი. იცნო მიდასმა დიონისეს მოძღვარი და დიდებული ლხინი გაუმართა.

ათი დღე-ღამე ინადიმეს. მეთერთმეტე დღეს ლიდიაში ჩავიდა მიდასი და დაუბრუნა დიონისეს თავისი აღმზრდელი. გახარებულმა დიონისემ მეფეს შესთავაზა, აერჩია სასურველი ძღვე-

ნი. ,,ოქროდ მიქციე, რასაც ხელს ვახლებ,“ – სთხოვა მიდასმა. ,,მალე აგისრულდება სურვილი,“ – შეჰპირდა ღვთაება.

გახარებულმა მიდასმა შინისაკენ ისწრაფა. გზად გადაწყვიტა გამოეცადა, რამდენად სარწმუნო იყო ღმერთის ნათქვამი: მწვანედ დაფოთლილ დაბალ მუხას რტო მოატეხა – რტო ოქროდ იქცა მიდასის ხელში; ქვას წამოავლო ხელი – ქვა გაბრწყინდა; ბელტს შეეხო – ბელტი ზოდად გარდაისახა; ვაშლს წაეტანა – ჰესპერიდების ბაღში მოწყვეტილს დაემსგავსა ნაყოფი; ხელს რომ იბანდა, წყალიც ბრჭყვიალით ჩამოეღვენთა ხელებიდან.

მეფის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, მაგრამ ხანგრძლივი არ აღმოჩნდა ეს სიხარული. მას სასახლეში დიდებული სუფრა გაუწყვეს მსახურებმა. ლუკმის პირთან მიტანას ვერ ასწრებდა მიდასი, ყოველნაირი საჭმელი ოქროდ იქცეოდა მის ხელში. მიხვდა მეფე, რომ დაღუპავდა ნანატრი ოქრო. კვლავ შეევედრა დიონისეს: ,,შევცდი, მიხსენი ამ მომხიბლავი უბედურებისაგან.“

შეებრალა დიონისეს მიდასი და სასოწარკვეთილს ასეთი რჩევა მისცა: “სარდეს რომ მდინარე ჩამოუდის, იმას სათავემდე აუყევი. იქ წყაროს ნახავ, შიგ განიბანე და განიწმინდები“.

ყურად იღო მეფემ დიონისეს რჩევა. წყაროში განიბანა ტანი. წყალი ოქროსფრად შეიღება.

იმ დღიდან შეიძულა მიდასმა სიმდიდრე, მიატოვა სასახლე და პანთან დამკვიდრდა გამოქვაბულში.

## ᲚᲘᲙᲣᲠᲒᲝᲡᲘ

ზოგი ზეიმით ეგებებოდა ახალ ღვთაებას, ზოგს კი ზარავდა მისი ხსენება. ყველა ულმობლად დასაჯა ღმერთმა, ვინც არ ისურვა ღვინის კულტის დანერგვა მის სამეფოში. იცოდა თრაკიის მეფემ ეს ამბავი, მაგრამ მაინც მედგრად დაუხვდა ახალ ღმერთს. კამეჩების სამწყემსი კეტით მოიგერია შემოსულები, დიდი ნაწილი ტყვედ აიყვანა, ზოგი გაექცა, დიონისემ კი ზღვის ღვთაება თე-



ტისთან შეაფარა თავი. განრისხდა რეა, დიდი ქალღმერთი, ტყვეები გაათავისუფლა და გონება დაუბინდა ლიკურგოსს. გონდაკარგულმა მეფემ ვაზის რტოდ აღიქვა საკუთარი შვილი დრიასი და ნაჯახი ჩასცა. იქვე განუტევა სული მეფისწულმა. ეს არ იკმარა ლიკურგოსმა და გვამს აასხიპა ცხვირი, ყურები, აღარც ხელ-ფეხზე შეარჩინა თითები. ამ საზარელი ბოროტებით შეძრული თრაკია მწირ და უნაყოფო ქვეყნად იქცა. დიონისემ კი განაცხადა, რომ ეს ქვეყანა ვერ იხარებდა, ვიდრე ლიკურგოსი იქნებოდა ცოცხალი. ედონიელებმა პანგეონის მთაზე აიყვანეს მეფე, სადაც იგი ველურმა ცხენებმა დაგლიჯეს.

## ᲞᲔᲜᲗᲔᲕᲡᲘ

თვითდამკვიდრების გზაზე დიონისესთვის თრაკიაში აღარავის გაუწევია წინააღმდეგობა, ამიტომაც იგი უშფოთველად გადავიდა თავის საყვარელ ბეოტიაში და მის მთავარ ქალაქს, თებეს ეწვია. მიუხედავად იმისა, რომ ეს დიონისეს დედის, სემელეს მშობლიური ქალაქი იყო, აქ მაინც არ ისურვეს ღმერთის მიღება. სემელეს დები ამტკიცებდნენ, რომ დიონისე არ იყო ღვთაებრივი წარმომავლობის, რომ მისი დედა იგონებდა ზევსის სიყვარულს. განსაკუთრებით წინ აღუდგა დიონისეს კულტს სამეფო კარი: თებეს მეფე, კადმოსის შვილიშვილი პენთევსი და დედამისი აგავე თავისი დებით. მაშინ დიონისე თებელებს ღმერთის მსახურის, ზიარების საიდუმლოს გამავრცელებელი ლიდიელი ჭაბუკის სახით მოევლინა. მან მოასწრო ქალების, მათ შორის კადმოსის შვილების გაშმაგება. ბაკქური ექსტაზით მოცული ქალები კითერონის ფერდობზე გაიჭრნენ. თავად კადმოსი და მისანი ტირესიასიც მოემზადნენ ბაკქურ ფერხულში ჩასაბმელად. უსაზღვრო იყო პენთევსის გაოცება. მან გადაწყვიტა, ბოლო მოეღო ამ აურზაურისათვის. ბრძანა ბორკილები დაედოთ და საპყრობილეში ჩაესვათ რამდენიმე ბაკქი ქალი. მსახურებმა ლიდიელი ჭაბუკი შეიპყრეს და მეფეს მიჰგვარეს, თანაც უამბეს სასწაულებრივი ამბავი იმაზე, თუ როგორ ჩამოსცვივ-

დათ შეპყრობილ ქალებს ბორკილები და როგორ გაიღო მათ წინაშე ციხის კარები. ლიდიელი ტყვის სახით გამოცხადებულმა დიონისემ გააფრთხილა მეფე, რომ დაისჯებოდა ღმერთის წინაშე ურჩობისათვის. პენთევსმა კი არად ჩააგდო ეს ნათქვამი და ბრძანა, ბორკილები დაედოთ მისთვის.

მოულოდნელად მიწა იძრა და ცეცხლის ალში გაეხვია მეფის სასახლე. მშვიდად გამოვიდა საპყრობილედან დიონისე. მაინც არ ირწმუნა პენთევსმა მისი ღვთაებრიობა. მეფემ განიზრახა, კითერონის მთაზე ასულიყო და ძალით დაეცხრო თავაშვებულ ქალთა სიშმაგე. დიონისეს ჩაგონებით მან ქალის სამოსი ჩაიცვა და ლიდიელი ჭაბუკის (ანუ დიონისეს) თანხლებით გაემართა საბედისწერო ადგილისაკენ. გზად მაღალი ხე დაინახა. მის კენწეროზე ავიდა, რომ სიმაღლიდან უფრო კარგად ემზირა თავაშვებული ორგიისათვის. ქალებმა იგი შეამჩნიეს, ველურ ცხოველად მიიღეს და ხე ფესვიანად ამოგლიჯეს. შეიპყრეს პენთევსი და დაგლიჯეს. განსაკუთრებით ზეიმობდა დედა-აგავე. მან შვილის თავი თირსოსზე წამოაგო და ბედნიერი გაემართა სასახლისაკენ. გამოჩნდა კადმოსი, რომელსაც დიდი ძალისხმევით შეეკრიბა დაგლეჯილი შვილიშვილის სხეულის ნაწილები. იგი მიუახლოვდა აგავეს და შეეცადა, გონს მოეყვანა. „ჯერ მაღლა, ცისკენ აიხედე, – მიმართა მან შვილს, – ცა იგივეა თუ ფერნაცვალი მოგეჩვენა?“ აგავემ ზეცას ახედა და მამას მშვიდად მიუგო: „უწინდელზე უფრო ნათელია“. კადმოსმა იგრძნო, რომ მის ქალიშვილს თანდათან უბრუნდებოდა ჩვეული აზრი და ისევ ჰკითხა: „ნუთუ გახელება არ გაგინელდა?“ „ჰო, თითქოს რაღაც მაგონდება...“, – უპასუხა აგავემ და მთელი სისრულით შეიგრძნო საშინელი სინამდვილე. ახლაღა მიხვდა დედოფალი, რომ კითერონზე ბაკქ ქალებთან გატარებული დრო იყო მოჩვენებითი დიონისური დღესასწაული, რომელიც თავად ღმერთმა დადგა თავისი ყოვლისშემძლეობის ნათელსაყოფად. არც ეს იკმარა დიონისემ. მან კადმოსს გადაშენება უწინასწარმეტყველა, რაც აღასრულა კიდეც. ასე გაწირა ღმერთმა ის კერა, საიდანაც თავად გამოვიდა.



## მინიასის ასულები

დიონისესადმი მიძღვნილ ზეიმზე უხმო ქურუმმა ორქომენოსის მოსახლეობას. ვინც არ წამოვა, დაისჯებაო, უმისნა ყველას. ქურუმის სიტყვა შეისმინა ხალხმა და ზეიმზე გაემართა.

ორქომენოსის მეფის, მინიასის ასულებმა არ ისურვეს დიონისეს თაყვანისცემა. შინ დარჩნენ, მატყლის დართვითა და საინტერესო ამბების თხრობით შეიქციეს ერთხანს თავი.

მოსაღამოვდა. მზე ჩავიდა, აჟღერდა სტვირი. დადგა მირტისა და ზაფრანის სუნი. მწვანე ფერი დაედო საქსოვ დაზგებს. ვაზის ნერგებს დაემსგავსნენ ისინი თანდათან. ძაფი ლერწად იქცა. ქსელიდან ვაზის ყლორტები გადმოეშვა. ჭერი შეირხა. ირგვლივ მძვინვარე მხეცთა ღრიალი გაისმა და ცეცხლმა აალვარა ყველაფერი.

აუტანელ სიმხურვალეს გარიდებულმა მინიასის ასულებმა სხვენს შეაფარეს თავი. სიბნელეში ვერც კი შენიშნეს, როგორ ეცვალათ იერი. დაპატარავდნენ, მკლავების ნაცვლად გამოსხმული სიფრიფანა ფრთებით დაეკიდნენ ჭერში. ლაპარაკიც აღარ შეეძლოთ – წრიპინით გამოხატავდნენ ბედის სამდურავს უმოწყალოდ დასჯილი დები. ამიერიდან თვალს ვეღარ უსწორებდნენ ისინი მზის სხივს – დიონისესგან შერისხულები ღამურებად გარდაისახნენ.

## ტირსენიელი მეკობრეები

მას შემდეგ, რაც ბეოტიაში ირწმუნეს დიონისეს ღვთაებრიობა, ღმერთი ეგეოსის ზღვასაც ეწვია, რომელზედაც იმხანად ლაღად მოგზაურობდნენ ტირსენიელი მეკობრეები. ერთ დღეს მათ დელოსისაკენ აიღეს გეზი. გზად კუნძულ ქიოსს მიადგნენ, გამოიძინეს და გამთენიისას აქეთ-იქით მიმოიფანტნენ. ნაწილი წყლის მოსატანად წავიდა. გზად დიონისე შემოხვდათ, შეიპყრეს და თან წამოიყვანეს. მეკობრეებმა არ იცოდნენ, ვინ მოჰყავდათ. დიონისესაც არ უფიქრია, რომ დაატყვევეს, მთვრალი იყო და ნებანება მიბარბაცებდა მათ გვერდით.

მესაჭე აკეტოსმა შეხედა თუ არა ტყვეს, მიხვდა, რომ ღმერთი იდგა მის წინაშე. სხვებს გაუზიარა თავისი აზრი, მაგრამ არავინ დაუჯერა. დავა დაიწყეს და უსაშველო გნიასი ატეხეს. ღრიანცელმა გამოაფხიზლა მთვრალი ღმერთი. „აქ როგორ გავჩნდი, რა გაყვირებთ, სად მიგყავართ?“ — იკითხა მწყრალად დიონისემ. „სადაც გვიბრძანებ, იქ წაგიყვანთ“, — უპასუხა ერთმა თვალთმაქცმა მეკობრემ. „ნაქსოსისაკენ აიღეთ გეზი. იქ სახლი მიდგას. თქვენც პატივით დაგხვდებიან“, — ბრძანა ღვთაებამ. ცბიერმა მეკობრეებმა ზღვაც დაიფიცეს და ღმერთებიც, ასე მოვიქცევითო. სინამდვილეში სხვა რამე ჰქონდათ განზრახული — ტყვეს უცხო მხარეში უპირებდნენ გაყიდვას. მესაჭეს უხმეს და უბრძანეს, აეშვა აფრა.

მარჯვენა მხარეს იყო ნაქსოსი. იქით აიღო მესაჭემ გეზი, მაგრამ მეკობრეებმა მარცხნივ წასვლა უბრძანეს. არ შეასრულა აკეტოსმა მათი სურვილი. მაშინ სხვამ ითავა ხომალდის მართვა, საჭე მოაბრუნა და ნაქსოსი გვერდზე ჩამოიტოვა. დიონისემ მრუდე კიჩოდან გადახედა ზღვას, ჩაეღიმა, მიხვდა, ცრუობდნენ მეზღვაურები. განრისხებულმა ხომალდი წყალზე შეაჩერა. მეკობრეები ნიჩბებს ძალუმად დააწვნენ, მაგრამ ამაო იყო მათი გარჯა — ხვიარა სურომ დაფარა გემბანი და ანძა, აღარც ნიჩაბი იძვროდა და აღარც აფრა. შემცბარმა მეკობრეებმა მზერა მიაპყრეს დიონისეს, რომელიც ჭეშმარიტი ღვთაებრივი სახით წარუდგა მათ — მსხმოიარე ვაზის გვირგვინით ჰქონდა შუბლი დამშვენებული, ხელთ ეპყრა ვაზის სუროთი შემკული კვერთხი. ვეფხვები, ავაზები და ფოცხვერები შემოსდგომოდნენ ღვთაებას ირგვლივ.

არ დაინდო დიონისემ მეკობრეები. ოციდან ცხრამეტს დელფინობა არგუნა წილად. ისინი დგაფუნით გადაეშვნენ ზღვაში, რამდენჯერმე ამოყვინთეს, ტალღებზე გაინავარდეს და უჩუმრად გაუჩინარდნენ.

ღვთაების რისხვას მხოლოდ მესაჭე გადაურჩა. დიონისეს ერთგულ მსახურად იქცა აკეტოსი და აჩრდილივით დაედევნა სათაყვანო ღვთაებას.



## არიადნე

სასტიკად დაისაჯნენ ათენელები იმის გამო, რომ კუნძულ კრეტის მეფეს, მინოსს შვილი მოუკლეს: ცხრა წელიწადში ერთხელ ისინი შვიდ ჭაბუკსა და შვიდ ქალიშვილს აგზავნიდნენ კრეტაზე, სადაც მათ დედალოსის მიერ აშენებულ ლაბირინთში ამწყვდევდნენ, იქ კი უძლეველი ხარკაცი, მინოტავროსი შთანთქავდა ხოლმე ყველას.

შფოთავდა ათენის მოსახლეობა. მესამედ უნდა გაეგზავნათ ხარკი მინოსისათვის, მესამედ უნდა გამოეტანათ მშობლებს ულმობელი განაჩენი თავიანთი შვილებისათვის.

წუხდა თესევსი. საგმირო საქმის ჩასადენად მიუწევდა გული. თავისი ნებით გაჰყვა უმწეო ქალწულებსა და ყმაწვილებს კრეტაზე.

მალე მიადგა ხომალდი კუნძულს. ათენელი ახალგაზრდები წარადგინეს სამეფო კარზე. აქ იხილა მინოსის ასულმა არიადნემ თესევსი, მოეწონა და ვერ გაიმეტა სასიკვდილოდ. თავის რჩეულს ძაფის გორგალი მისცა და ლაბირინთის ხვეულებიდან თავის დაღწევის ხერხი გაანდო.

ძლევამოსილმა თესევსმა მოძებნა მინოტავროსი, მოკლა და უკან გამოვიდა უვნებელი. შემდეგ არიადნეს ხელი ითხოვა, ჩაისვა ხომალდში და ათენისაკენ აიღო გეზი. კუნძულ ნაქსოსზე შეისვენეს მეზღვაურებმა. მგზავრობით გადაღლილებმა ძილს მისცეს თავი. თესევსს სიზმარში დიონისე გამოეცხადა და უბრძანა, მიეტოვებინა არიადნე. დიონისეს ცოლი უნდა გამხდარიყო მინოსის ასული. ასეთი იყო უკვდავთა ნება.

განგების ძალას ვერ აღუდგა წინ თესევსი. კუნძულზე დატოვა მძინარე არიადნე და იქაურობას განერიდა.

როდესაც არიადნეს გამოეღვიძა, თვალი შეასწრო ზღვაში გასულ ხომალდს. მიხვდა, რაც მოხდა. მარტოობის განცდამ შეაშინა მეფის ასული. ამ დროს კუნძულს მოადგა დიონისე თავისი ხმაურიანი ამალით. არიადნეს წინაშე წარსდგა, ანუგეშა, ჰეფესტოს ნახელავი გვირგვინი უძღვნა საჩუქრად და ცოლად შეირთო.

მოილხინეს დიონისეს მხლებლებმა. ხარობდა ზევსიც, რომელმაც უკვდავება მიანიჭა მშვენიერ არიადნეს.

## ცად ამაღლება

ბევრი ქვეყანა მოიარა დიონისემ. ძალით თუ ნებით, ყველგან დანერგა ვაზის კულტი; შემდეგ ზეცად ამაღლდა, რათა მამაზევსისათვის დაემშვენებინა მხარი.

კერიის მფარველმა ქალღმერთმა ჰესტიამ დაუთმო ახალბედა ოლიმპიელს საღმრთო ტაბლასთან ადგილი. ყველამ სიხარულით მიიღო მეღვინეთა და მევენახეთა მფარველი ღმერთი.

მაინც ვერ მოისვენა დიონისემ. მიატოვა უზენაესთა სამყოფელი და სულთა საუფლოს ეწვია. მირტის ხე უძღვნა პერსეფონეს და მეხისტეხაში დაფერფლილი დედის სული გამოსთხოვა დიდებული ძღვენის სანაცვლოდ. სურვილი აღუსრულა ჰადესის მეუღლემ ოლიმპოსიდან სტუმრად მოსულ ღმერთს.

დიონისემ სემელე ტროიძენელი არტემისის ტაძარში შეიყვანა. მიცვალებულთა სულებში შური რომ არ გამოეწვია, სახელი შეუცვალა, თიონე უწოდა და ზეცად აღამაღლა.

ზევსმა თიონე ოლიმპოსზე დაავანა. მართალია, ეჭვიან ჰერას სულაც არ მოსწონდა ეს ამბავი, მაგრამ კეთილგონიერებას უხმო და დაჰყვა მაღალი მეუღლის ნებას.

# ⓫ ჰეფესტო

## უმამოდ შობილი ღმერთი

ცეცხლისა და მჭედლობის ღმერთის ჰეფესტოს გაჩენა დიდმა ღვთაება ჰერამ მაშინ განიზრახა, როდესაც ზევსმა მეუღლის გარეშე საკუთარი თავიდან შვა ათენა. ამან ერთობ გაანაწყენა ჰერა, რომელმაც ასევე ისურვა მეუღლის გარეშე გაეჩინა შვილი. სამწუხაროდ, ჰეფესტო სუსტი და ხეიბარი დაიბადა. ამაზე ცათა მშვენიერი ღვთაება განრისხდა და ახალშობილი მოისროლა ოლიმპოსიდან.



დიდხანს მიფრინავდა ჰაერში საბრალო ბავშვი. ბოლოს იგი ჩავარდა ზღვის ზვირთებში, სადაც მის დასახმარებლად ისწრაფეს ოკეანოსის ქალიშვილმა ევრინომემ და ზღვის მოხუცი მისნის, ნერევსის ასულმა თეტისმა. მათ აიტაცეს ჩვილი ჰეფესტო და ზღვის სიღრმეში გაუჩინარდნენ. იქ, ზურმუხტისფერ სავანეებში იზრდებოდა მომავალი ღვთაება. იგი არ იყო მშვენიერი, კიდეც კოჭლობდა, მაგრამ ჰქონდა განიერი მკერდი, მძლავრი მკლავები და კისერი. ზღვათა სიღრმეში დაეუფლა ჰეფესტო მჭედლობის ხელოვნებას. იქ ააშენა მან თავისი პირველი სამჭედლო და მადლიერების ნიშნად აღმზრდელებს გამოუჭედა უძვირფასესი სამკაულები.

## ჰეფესტოს დაბრუნება ოლიმპოსზე

დიდხანს ინახავდა გულში ჰერაზე რისხვას კოჭლი ჰეფესტო. ბოლოს გადაწყვიტა, შური ეძია დედაზე იმის გამო, რომ ასე უმოწყალოდ გადმოტყორცნა ოლიმპოსიდან. მან გამოჭედა არნახული სილამაზის ოქროს სავარძელი და გაუგზავნა ჰერას საჩუქრად. უზენაესი ღმერთის მეუღლე ამ მშვენიერი საბოძვარის ხილვისთანავე აღფრთოვანდა. მხოლოდ ღმერთთა და კაცთა დედოფლის საკადრისი იყო ეს დიდებული ძღვენი. მაგრამ ჰერა ჩაჯდა თუ არა სავარძელში, მყის მიეჯაჭვა ისე ძლიერად, რომ წამოდგომა ველარ შეძლო. დასახმარებლად ისწრაფეს ღმერთებმა, მაგრამ ამაოდ. ყველა ხვდებოდა, რომ მხოლოდ ჰეფესტოს შეეძლო უხილავი ჯაჭვების ახსნა. არც დააყოვნეს. მსწრაფლ გააგზავნეს მაცნე – ჰერმესი მჭედელ ღმერთთან. ქარზე უსწრაფესად გაჩნდა იგი ქვეყნიერების დასალიერში, იქ, სადაც ჰეფესტოს სამჭედლო ჰქონდა. დიდხანს არწმუნებდა ღმერთების მაცნე ხელოვან ღვთაებას, აღზევებულიყო ზეცად, რათა ჰერა აეხსნა. მაგრამ კოჭლი შვილის რისხვა დედისადმი უზომო იყო. ჰერმესს მაშველად ღვინის ღმერთი დიონისე მოევლინა. ხმამაღალი სიცილითა და ხუმრობით მიართვა მან ჰეფესტოს დამათრობელი ღვინით სავსე თასი. შესვა მჭედელმა ღმერთ-

მა, შემდეგ მეორე თასიც დაცალა, მესამეც, დათვრა. ახლა უკვე იოლად შეიძლებოდა მისი დაყოლიება. ჰერმესმა და დიონისემ იგი ვირზე შესვეს და გაუყენეს ოლიმპოსის გზას. მის გარშემო მხიარულ ფერხულს უვლიდნენ მშვენიერი მენადები, ურცხვად დახტოდნენ შეზარხოშებული სატირები, ბოლავდნენ ჩირაღდნები, გარემოს აყრუებდა მუსიკალური საკრავების – მაგადებისა და ტიმპანების ხმა. ამ პროცესიას წინ მიუძღოდა ვაზის გვირგვინით დამშვენებული დიონისე. მათ მხიარული სვლით მიაღწიეს ოლიმპოსამდე. ჰეფესტომ უმალ გაათავისუფლა ცათა დედოფალი. იგი უკვე აღარ ბრაზობდა და აღარც ჰერა მრისხანებდა. მან დატოვა თავისი შვილი ოლიმპოსის ღმერთების დასში. ხელოვანმა ღვთაებამ ღმერთებს აუშენა ოქროს დიდებული სასახლეები.

ჰეფესტოს სასახლეც ბზინავდა ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს სხივით. იქვე იყო მისი სამჭედლოც. იქ ატარებდა მჭედელი ღმერთი თავისი დროის უდიდეს ნაწილს. სამჭედლოს შუაში იდგა უზარმაზარი გრდემლი, ხოლო კუთხეში – ქურა, საიდანაც ცეცხლის ალი ამოდიოდა. მის გვედით ელაგა საკვირველი საბერველები, რომლებიც მოძრაობდნენ ჰეფესტოს ბრძანებით.

თავდაუზოგავად მუშაობდა დიდი ოსტატი თავის ხმაურიან სამჭედლოში. გასაოცარი ხელოვნებით ჭედდა იგი საკვირველ ქმნილებებს. ხოლო როცა სამუშაოს გაასრულებდა, ჩამოიბანდა ოფლს, ფეხკელოვნებით ისწრაფოდა ზევსის სასახლისაკენ, სადაც ღმერთები ნადიმობდნენ. იქ მისი ხილვა ყველას უხაროდა. სიცილით უმზერდნენ ცისიერები, როგორ ასხამდა თასებში კოჭლი ჰეფესტო კეთილსურნელოვან ნექტარს.

## ხელმეორედ ჩამოგდება ოლიმპოსიდან

ისე დაუახლოვდა ჰეფესტო მაღალ ღმერთებს, რომ ერთხელ ზევსთან შეპასუხებაც კი გაბედა. ეს მოხდა მაშინ, როდესაც მეხთამტყორცნელმა ჰერა ცასა და მიწას შუა დაკიდა იმის გამო,





*დიონისეს დაბადება ზევსის თეძოდან. ახალშობილს ხელს უწვდის ჰერა. კრატერის დეტალი. დაახლ. ძვ.წ. 410 წ. ტარანტასი. ნაციონალური არქეოლოგიური მუზეუმი.*



*სულთა წინამძღოლი ჰერმესი. მარმარილოს ურნაზე გამოსახულია ჰერმესი, რომელსაც მიჰყავს დამწუხრებული მიცვალებული სულთა სამეფოში. დაახლ. ძვ.წ. 430-420 წწ. ათენი. ნაციონალური არქეოლოგიური მუზეუმი.*



*ჰერმესი და სატირი. წითელფიგურიანი ამფორა. ძვ.წ. 500-490 წწ. ბერლინი. სახელმწიფო მუზეუმები.*



დიონისე და სატირები. წითელფიგურიანი კილიქსი. დაახლ. ძვ.წ. 480 წ. პარიზი. ნაციონალური ბიბლიოთეკა.



ნავში წამოწოლილი დიონისე და მის მიერ დელფინებად გადაქცეული ავაზაკები. შავფიგურიანი კილიქსი. ძვ.წ. 540-530 წწ. მიუნხენი. ანტიკური კოლექციების მუზეუმი.



ამფორა დიონისეს თავით.
დაახლ. ძვ.წ. 530 წ. ტარკვინია.



ჰეფესტო და მისი მსახურები ჭედენ აქილევსის ფარს. მათ ზედამხედ-ველობენ ათენა და ჰერა. რომაული ხანის რელიეფი.



მთვრალი ჰეფესტო მიჰყავთ ოლიმპოსზე. როდესაც ჰეფესტომ ჰერა ოქროს სავარძელს მიაჯაჭვა, საჭირო გახდა მისი ოლიმპოსზე აყვანა. ეს შეძლო მხოლოდ დიონისემ, ღვინის ღვთაებამ, რომელმაც დაათრო მჭედელი ღმერთი და ბარბაცით, სატირის დახმარებით გაუყენა გზას ზეცისაკენ. წითელფიგურიანი პელიკა. ძვ.წ. 435-430 წწ. მიუნხენი. ანტიკური კოლექციების მუზეუმი.



ჰეფესტოს გადმოგდება ოლიმპოსიდან. ფრიზზე გამოსახულია სიუჟეტი, როდესაც განრისხებული ზევსი ჰერას გამოქომაგებისათვის ჰეფესტოს მეორედ ისვრის ოლიმპოსიდან. ჰეფესტოს ხელში უკავია თავის სამუშაო იარაღი, ზევსი და ჰერა ღრუბლებიდან იმზირებიან, პოსეიდონი ზეცას შეჰყურებს, ათენა პრომაქოსი კი აკროპოლისიდან დასცქერის, როგორც სავარაუდოა, კუნძულ ლემნოსს, რომელზედაც უნდა დაეცეს მჭედელი ღმერთი. ძვ.წ. 150 წ. ბერლინი. სახელმწიფო მუზეუმები.

რომ ცისიერები აამხედრა მის წინააღმდეგ. განრისხებულმა ზევსმა კადნიერებისათვის ჰეფესტო მკაცრად დასაჯა — მეორეჯერ გადმოსტყორცნა ოლიმპოსიდან. მთელი დღე ვარდებოდა საწყალი ჰეფესტო. ბოლოს იგი კუნძულ ლემნოსზე დაენარცხა და ორივე ფეხი მოიტეხა. მიუხედავად იმისა, რომ უკვდავი იყო, სიცოცხლის ნიშან-წყალი არ ეტყობოდა, როცა იგი ლემნოსელებმა იპოვეს. ზევსის რისხვა დაცხრა თუ არა, კვლავ აღზევდა ჰეფესტო ოლიმპოსზე, მაგრამ მას უკვე ოქროს ყავარჯნების გარეშე აღარ შეეძლო სიარული.

## უხილავი მახე

გამორჩეულად უყვარდათ ღმერთებსა და ადამიანებს დიდი ხელოვანი, რომელიც თავისი საქმის ერთგული იყო. იგი ხომ მთელ დღეებს სამჭედლოში ატარებდა და თავის შრომისმოყვარეობით უდიდეს სიხარულს ანიჭებდა სხვებს. ჰეფესტომ ააგო მრავალი დიდებული სასახლე, გამოჭედა ზევსის კვერთხი და ეგისი, დიონისეს თირსოსი, აქილევსის ფარი. განსაკუთრებით სცემდა პატივს ცეცხლის ღვთაებას მზე-ჰელიოსი, რომლის საყოველთაოდ ცნობილი ეტლი მისი მაღალი ოსტატობის დიდებული ნიმუში იყო.

ზევსმა ღმერთთა შორის სილამაზით გამორჩეული აფროდიტე მიათხოვა ჰეფესტოს ცოლად. ვერასოდეს წარმოიდგენდა ხელოვანი ჰეფესტო, რომ საყვარელი მეუღლე უღალატებდა, რომ მათი შვილების — ფობოსის, დეიმოსისა და ჰარმონიას ჭეშმარიტი მამა ომის ღვთაება არესი აღმოჩნდებოდა. ეს ამბავი კი ასე გაცხადდა:

ერთხელ, როდესაც ჰეფესტო სამჭედლოში იყო წასული, მზემ შეანათა მისი სასახლის მაღალ სარკმელში და შეყოვნდა შეწუხებული. სილამაზით გაბრწყინებული აფროდიტეს წინ იდგა ომის ღვთაება არესი. იქვე იდო ძვირფასი ძღვენი: პატიოსანი თვლებით მოოჭვილი ოქროს ნივთები, ოქრომკედით ამოქარგული ბიალონები, ოქსინოები და სხვა ურიცხვი ოქროცურ-

ვილი სამკაული. ახოვანი და წარმოსადეგი ომის ღვთაება აფროდიტეს სიყვარულს ეფიცებოდა. როცა მდიდრული საბოძვარით მოხიბლული აფროდიტე მარტო დარჩა, ჰელიოსმა სამჭედლოს კარიბჭეში შეანათა და თავისი საქმიანობით გართულ ჰეფესტოს აუწყა ეს ამბავი. განრისხდა დიდი ხელოვანი და გადაწყვიტა ამ სიმრუშის საქვეყნოდ განთქმა: ბრინჯაოსაგან გამოჭედა თხელი ბადე. თვალს არ ძალუძდა მისი ხილვა, ღვთაებრივ ძალას – მისი გაწყვეტა. ჰეფესტო უმალ გაჩნდა იქ, სადაც მდიდრული სარეცელი ეგულებოდა. ობობას ქსელივით თხელი ბადე საწოლს გარსშემოავლო და ჭერს მიამაგრა ისე მსუბუქად, რომ ერთი შეხებით ხელს მოჰყოლოდა. შემდეგ ყველას თავი ისე მოაჩვენა, თითქოს მისთვის ძვირფას ლემნოსზე აპირებდა წასვლას. როდესაც დადარაჯებული არესი დარწმუნდა, რომ ჰეფესტომ ზეცა დატოვა და დედამიწისკენ აიღო გეზი, სიყვარულით ალმოდებულმა მიაშურა სახელმორჭმული ხელოვანის დიდებულ სავანეს. აფროდიტე მარტო ისვენებდა თავის სამყოფელში. მიუახლოვდა მას არესი, ხელზე ეამბორა და ასე უთხრა:

– ძვირფასო, კეთილმოსურნე დრო დაგვიდგა, შენი მეუღლე ლემნოსზეა, მარტო ვართ, გვიხმობს მრავალ სიამეთა მომგვრელი სარეცელი.

ეს თქვა თუ არა, აფროდიტემ ტანთ განიძარცვა და მასთან ერთად სარეცელზე მოიკალათა. როცა მათ გონებას სიყვარულის ბინდი გადაეფარა, ხოლო თვალებს – მოთენთილი მთვლემარება, ობობას ქსელივით თხელმა ბადემ, ჰეფესტოს მზაკვრულმა ქმნილებამ, ისე მოიმწყვდია მოტრფიალე ღმერთები, რომ განძრევის საშუალებაც არ მისცა. მალე დარწმუნდნენ ისინი, რომ ამ ბადეს თავს ვერ დააღწევდნენ. ამასობაში შემობრუნდა სახლში ორივე ფეხით კოჭლი ჰეფესტო. მან განიზრახა, ეჩვენებინა ღმერთებისათვის, თუ როგორი შეურაცხყოფილი იყო. განაცხადა, რომ თავის ცოლს არ გაათავისუფლებს მანამ, ვიდრე მისი მამობილი ზევსი არ დააბრუნებს აფროდიტესთვის



მიღებულ მდიდრულ საქორწინო ძღვენს. არ დააყოვნა ჰელიოსმაც, ღმერთებს აუწყა ეს ამბავი. იმ წამს ჰეფესტოს სასახლეში გაჩნდნენ სამყაროს მბრძანებელნი: მიწისმრყეველი პოსეიდონი, მდიდრულ ძღვენთა მიმნიჭებელი ჰერმესი, შორსმტყორცნელი აპოლონი. ქალღმერთებმა კი იქ მისვლა იუკადრისეს. მრისხანებდა კოჭლი ჰეფესტო, ხოლო ღმერთებმა, როცა იხილეს ურცხვად მწოლი დატყვევებულნი, მორთეს ხარხარი. მაშინ ჰერმესს ნათელმხილველმა აპოლონმა გადაუჩურჩულა:

– მრავალი ამბის მცოდნე ჰერმესო, ნუთუ არ ისურვებდი აფროდიტესთან ერთად ასეთ ბადეში წოლას?

არც დაფიქრებულა, ისე მიუგო მას ღმერთების დიდმა მაცნემ:

– შორსმტყორცნელო, სამგზის უფრო მაგარი საბელითაც რომ გავეთოკე ვინმეს, ღმერთებიცა და ქალღმერთებიც რომ მოსულიყვნენ ჩემს საჭვრეტად, არაფრად მივიჩნევდი, თუკი ოქროვან აფროდიტეს მოვეხვეოდი.

ისევ სიცილი წასკდათ ღმერთებს.

პოსეიდონმა, რომელიც ტანთგანძარცვული აფროდიტეს ხილვისთანავე სიყვარულის ვნებით აღინთო, ასე მიმართა ჰეფესტოს:

– თუკი ზევსს არ სურს შენ გითანაგრძნოს, მე ვაიძულებ არესს, თავისუფლების წილ დაგიბრუნოს ის, რასაც ითხოვ.

– კეთილი, – მიუბრუნდა მას ჰეფესტო, – თუკი არესი უარს იტყვის, შენ აღმოჩნდები ამ ბადეში.

– აფროდიტესთან? – სიცილით იკითხა აპოლონმა.

– არა მგონია, არესი არ დამეთანხმოს, – წარმოთქვა პოსეიდონმა, თან შეეცადა დაეფარა თავისი წადილი, – და თუ მაინც ასე მოხდება, მზად ვარ გადაგიხადო სათანადო საფასური, დავქორწინდე აფროდიტეზე.

ვითომცდა რისხვადამცხრალმა ჰეფესტომ ახსნა ბადე. დატყვევებულნი სიტყვისუთქმელად გაუჩინარდნენ: არესი თრაკიელთა შორეულ მხარეში გადაიხვეწა, მოლიმარმა აფრო-

დიტემ კი კვიპროსისაკენ ისწრაფა. წმინდა პაფოსში ჰქონდა მას სამსხვერპლოცა და წალკოტიც. აქ იგი განბანეს ქარისებმა, შემდეგ ქალწულებადაბრუნებულ ღვთაებას დიდებული ნელსაცხებელი აპკურეს და სხივთამფენი სხეული ჰაეროვანი სამოსით შეუმოსეს.

გამოხდა ხანი. ჰერმესის გამოქომაგებით მადლიერმა აფროდიტემ მასთან სარეცელი გაიზიარა, რის შედეგადაც ქვეყნად გაჩნდა ქალკაცი – ჰერმაფროდიტოსი. პოსეიდონს კი უძღვნა ორი ძე – როდოსი და ჰეროფილოსი. ხოლო არესმა განაცხადა, რომ თუკი ზევსი არად აგდებს ამ ამბავს, არც იგი გადაიხდის საფასურს. ასე დარჩა ჰეფესტო გამოსასყიდის გარეშე. არც კი გახსენებია, რადგანაც თავდავიწყებით უყვარდა აფროდიტე და მასთან გაყრა არასოდეს უფიქრია.

# კომენტარები

①

წყაროები და ვარიანტები. ჰერაზე ინფორმაცია მრავალ ბერძნულ წყაროშია წარმოდგენილი. მათგან უძველესია ჰომეროსისა და ჰესიოდეს ეპოსი. მითოგრაფოსებიდან შედარებით მნიშვნელოვან ცნობებს ვხვდებით აპოლოდოროსთან („ბიბლიოთეკა“) და ჰიგინუსთან („მითები“).

ჰერას დაბადების ეს ცნობილი ვერსია ჰესიოდეს „თეოგონიის“ (453-454) მიხედვით არის წარმოდგენილი. ის, რომ ჰერა იზრდებოდა ოკეანოსთან და ტეთისთან, დადასტურებულია ჰომეროსის „ილიადაში“ (XIV,301-306). არსებობს სხვა გადმოცემებიც. ერთ-ერთი ვერსიის თანახმად, ჰერა იზრდებოდა არკადიაში პელასგ ტემენოსთან, ხოლო წელიწადის დროები იყვნენ მისი ძიძები (პავსანიასი, VI,14,4 და VIII,22,2; სტრაბონი, IX,2,36). სხვა ვერსიით, იგი იზრდებოდა არგოლისში მდინარე ასტერიონის ქალიშვილებთან ერთად. ჰერა ითვლებოდა არგოსის მფარველ ღვთაებად (პავსანიასი, II,30,6; II,15,5; II,22,5).

ჰერასა და ზევსის ქორწილს მრავალი წყარო თუ გამოსახულება წარმოგვიდგენს. კუნძულ სამოსზე არსებული ტრადიციის თანახმად, მათი იდუმალი შეხვედრა, რომელიც სამასი წელი გრძელდებოდა, სწორედ ამ კუნძულზე მოხდა (შდრ. ჰომეროსი, „ილიადა“, I,609). მოგვიანებით, როდესაც ზევსი ტიტანებს დაამარცხებს, თავის ძალაუფლებას განამტკიცებს და ოლიმპოსზე დაიმკვიდრებს ადგილს, ჰერას ოქროს ტახტზე აღაზევებს. „ოქროს ტახტის მფლობელი“ ჰერა კი სხვა მწვერვალს ამოირჩევს დასავანებლად. ეს იქნება არგოლისში მდებარე თრონაქსი, რომელსაც მოგვიანებით უწოდებენ კოკიქსს ან კოკიგიონს, ანუ გუგულის მთას, იმის აღსანიშნავად, რომ სწორედ აქ მოხდა გუგულად გარდასახული ზევსისა და ჰერას შეუღლება.

ზევსის გუგულად გარდასახვა და ამ სახით ჰერასთან შეუღლება გავრცელებული ვერსიაა (იხ. დიოდოროს სიცილიელი, V,72, პავსანიასი, II,36,2 და 17,4). სხვა გადმოცემით, ჰერასა და ზევსის საიდუმლო შეუღლება ბეოტიაში მდებარე კითერონის მთაზე მოხდა (ევსებიოსი, 3,1,3). აქ მოიყვანა კუნძულ ევბეადან მოტაცებული ქალწული ზევსმა.

არის ისეთი ვერსიაც, რომლის თანახმადაც ჰერა ნებით დანებდა ზევსს: ეს ღვთაებრივი წყვილი დაემალა აღმზრდელთა მზერას და მათგან მალულად შეეუღლა ერთმანეთს (ჰომეროსი, „ილიადა“, I,609). სხვა გადმოცემით, ფარულად არ მომხდარა ეს ამბავი. ოკეანოსის სამფლობელოში ზევსს ჰქონდა თავის სასახლე და სარეცელი (ევრიპიდე, „ჰიპოლიტოსი“, 748), სწორედ იქ იზეიმეს ღმერთებმა მათი ქორწილიც (ერატოსთენესი, „კატასტერიზმები“, 3).

ჰერას დასჯა წარმოდგენილია შემდეგი წყაროების მიხედვით: ჰომეროსის „ილიადას“ სქოლიონები XXI,444; ცეცე, ლიკოფრონის სქოლიონები, 34; ჰომეროსი „ილიადა“, I,396 და XV,18-22.

ზევსის ცდუნება მოთხრობილია ჰომეროსის „ილიადის“ (XIV,153-354) მიხედვით.

ტირესიასის, ცნობილი ბრმა წინასწარმეტყველის, ამბავს ანტიკური ხანის მრავალი ავტორი გადმოგვცემს (აპოლოდოროსი, III,6,7; ჰიგინუსი, მითები, 75; ოვიდიუსი„გარდასახვანი“, III,320; ცეცე, „ლიკოფრონის“ სქოლიონები, 682). ახალგაზრდობისას მას დაუნახავს ორი გველი და ერთ-ერთი მოუკლავს, რომელიც თურმე მდედრი იყო და ტირესიასი ქალად ქცეულა. შვიდი წლის შემდეგ მას კვლავ მოუკლავს გველი და ახლა ისევ მამაკაცად გარდასახულა. სწორედ ამიტომ აღნიშნავს მითოგრაფოსი, რომ მან კარგად იცოდა ორივე სქესის თვისებები. ამიტომ იხმეს იგი დავის გადასაწყვეტად. სხვა მითის მიხედვით, ტირესიასი დააბრმავა ათენამ, რომლის სიშიშვლეს მან თვალი ჰკიდა. კიდევ სხვა მითის თანახმად კი, ტირესიასი იმიტომ დააბრმავეს ღმერთებმა, რომ იგი ადამიანებს მათ საიდუმლოს განუცხადებდა ხოლმე. უფრო დაწვრილებით ამ საინტერესო მითოლოგიური პერსონაჟის შესახებ იხ. ამავე სერიის წიგნი: „შვიდბჭიანი თებე“.

ინოს ამბავი მოთხრობილია ოვიდიუსის „მეტამორფოზების“ მიხედვით (IV,480-541).

განმარტებები. ჰერა ბერძნულ მითოლოგიაში ატარებს ოლიმპოსის ღმერთებამდელი ადგილობრივი დიადი ქალი-ღვთა-



ების ნიშნებს. მისი სახელის ეტიმოლოგია უცნობია, თუმცა ტრადიციის თანახმად, მნიშვნელობით „მფარველსა“ და „ქალბატონს“ უკავშირებენ. არის გამოთქმული მოსაზრება იმის თაობაზეც, რომ ჰერას სახელი ან hero ფუძეს მიუსადაგონ, რაც „მებრძოლად“ ითარგმნება, ან hora-ს, რაც „წელიწადის დროს“ აღნიშნავს.

ჰერას უკვე მიკენურ ეპოქაში მოიხსენიებდნენ e-ra ფორმით, რაც მეტყველებს იმაზე, რომ ბერძნულ ღმერთთა პანთეონში იგი საკმაოდ ადრე მოხვდა. საბერძნეთში მისი ძირითადი წმინდა ადგილები მდებარეობდნენ კუნძულ სამოსზე და ქალაქ არგოსში. თუმცა არკადიელები ამტკიცებდნენ, რომ მათთან არსებული ჰერას კულტი უძველესია და უკავშირებდნენ მის წარმოშობას მიწიდან მათი წინაპრის – პელასგოსის აღმოსვლას.

ჰერას ძველ ხთონურ ძალებთან კავშირზე მიუთითებს ის, რომ მან მიწასთან შეხებით შვა ურჩხული ტიფონი (სხვა ვერსიით, ეს საოცრება გეასა და ტარტაროსის ნაშობია), რომელიც მერე ზევსმა ელვით განგმირა (ჰესიოდე, „თეოგონია“, 853-859). ჰერას ძველ ფუნქციათა შორის ასახელებენ იმასაც, რომ იგი მელოგინეთა შემწე ღვთაებაა. მისი ასული ილითიია კი არის მშობიარობის ქალღმერთი. ჰერას კულტის არქაულობაზე მიუთითებს ისიც, რომ ბერძნულ მითოლოგიაში აღმატებულად სისხლისმოყვარე და სტიქიური ღვთაება არესი მის ძედ არის მიჩნეული. ჰერას ზოომორფულ წარსულზე მიუთითებს მისი ეპითეტი „ხარისთვალება“ (ჰომეროსი, „ილიადა“, I,568), აგრეთვე ისიც, რომ მას მსხვერპლად სწირავდნენ ძროხას (სენეკა, „აგამემნონი“, 352), ხოლო არგოსში საერთოდ ძროხის სახით სცემდნენ თაყვანს (ევრიპიდე, „ელექტრა“, 171 და შემდ.).

მიუხედავად არქაულობისა, ჰერამ მტკიცედ დაიმკვიდრა ადგილი ბერძნულ მითოლოგიაში როგორც ჭეშმარიტად ბერძნულმა ღვთაებამ. ამიტომაც იგი მრავალ ქალაქთა და გმირთა მფარველად ითვლება. ჰერა სწყალობს არგონავტებს, უპირველეს ყოვლისა კი იასონს (აპოლონიოს როდოსელი, „არგონავტიკა“, III,55-75); ხოლო ტროას ომში აქაველების მფარველია.

ოლიმპოსის უზენაესი ღმერთქალი ჰერა ქალთა მოწყალე და შემწყნარებელი ღვთაება იყო. ქორწინების დღეს ქალწულები ლოცვას აღავლენდნენ ჰერასადმი, იგი ზრუნავდა დედებზე და იფარავდა ქვრივებს. ჰერა ქორწინების მფარველ ღვთაებად ითვლებოდა. ამიტომ იგი ცნობილი იყო ეპითეტით ჰერა გამელია. „გამელიონი“ იყო ქორწინების თვე (ატიკური კალენდრის მეშ-

ვიდე თვე – იანვრის მეორე და თებერვლის პირველი ნახევარი). ამ დროს იმართებოდა დიდი დღესასწაული მსხვერპლის შეწირვით. უხმობდნენ ჰერა გამელიას და ზევს ჰერაიოსს, რათა ზეციდან დაშვებულიყვნენ და ზეიმის მონაწილენი გამხდარიყვნენ. ასეთი დღესასწაულები დადასტურებულია კუნძულ ლესბოსზე (შდრ. საფო, ფრ. 17). ოლიმპიაში, სადაც აღმართული იყო ჰერას უძველესი ტაძარი, ყოველ ხუთ წელიწადში იმართებოდა ქალწულთა აგონები, დიდი ბერძნული ზეიმები. ჰერას თითქმის ყოველ ქალაქში ჰქონდა ტაძარი ან საკურთხეველი. უძველეს ხანებში მის განსახიერებად ითვლებოდა ხის კუნძი ან ბოძი, მოგვიანებით მას გამოსახავდნენ მაღალ და ამაყ, დიდებული სილამაზის ქალბატონად. ასე წარმოადგინა იგი სახელოვანმა მოქანდაკე პოლიკლეტესმა. მისი ოქროსა და სპილოს ძვლისაგან ნაკეთი ქანდაკება იდგა არგოსში ჰერას ტაძარში. ქალღმერთი იჯდა ოქროს ტახტზე, ცალ ხელში ეკავა ბროწეული, როგორც ნაყოფიერების სიმბოლო, ხოლო მეორეში – კვერთხი, რომელზეც იჯდა მისი ფრთოსანი – გუგული. ჰერას ფრინველად ითვლებოდა ფარშევანგიც. კრეტაზე, კნოსოსში ზეიმობდნენ ჰერასა და ზევსის „წმინდა ქორწინებას". რომაულ მითოლოგიაში ჰერას განსახიერებად ითვლებოდა იუნო.

ჰერას ტაძრებს ჰერაიონებს უწოდებდნენ. შედარებით ცნობილი ჰერაიონები აღმოჩენილია ოლიმპიაში (ძვ.წ. VII–VI სს.) და კუნძულ სამოსზე (ძვ.წ. VIII–VI სს.).

ჰერასა და ზევსის ქორწილი უძველეს გამოსახულებებზეა აღბეჭდილი. მიკენში აღმოჩენილია არგოსელი შიშველი ღვთაების მოოქროვილი ფიგურები გუგულებით. იქვე აღმოჩნდა ტაძრის მოოქროვილი მოდელი, რომელსაც გუგული ამშვენებდა. ჰაგია ტრიადის ცნობილ კრეტულ სარკოფაგზე გამოსახულია ორმაგი ცული, რომელზეც ზის გუგული.

ზევსსა და ჰერას გაუჩნდათ შვილები – ღმერთები არესი, ჰეფესტო და ჰებე. თუმცა ზოგის თქმით, არესი და მისი და ერისი მაშინ ჩაისახნენ, როდესაც ჰერა შეეხო რომელიღაც ყვავილს, ხოლო ჰებე – როცა შეეხო სალათის ფოთლებს (ოვიდიუსი, „ფასტები"). იმასაც გადმოგვცემენ, რომ ჰეფესტოც მისი პართენოგენული ძე იყო. ჰეფესტოს არ სჯეროდა ამ სასწაულის მანამ, ვიდრე ჰერა არ მიაკრეს ტახტს, რის გამოც იძულებული გახდა, დაეფიცა მდინარე სტიქსი, რომ არ ცრუობდა. სხვა წყაროებით, ჰეფესტო იყო მისი ძე ტალოსისაგან (სერვიუსი, კინეფონი, პავსანიასი). ეს უკანასკნელი იყო



კრეტელი გმირი, მჭედელი, რომლის დედად ითვლებოდა დედალოსის და პერდიქსი („კაკაბი" ან „გარეული მამალი") და რომელსაც მითოგრაფოსი ჰერასთან აიგივებდა. კაკბები ითვლებოდნენ დიდი ღვთაების წმინდა ფრინველებად და მთელს აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში ფიგურირებდნენ ორგიებში, რომლებიც ეწყობოდა გაზაფხულის ბუნიაობისას. ცეკვა, რომელიც სრულდებოდა ამ ზეიმზე, განასახიერებდა კოჭლ მამალ კაკაბს. არისტოტელე, ელიანოსი და პავსანიასი გადმოგვცემენ, რომ კაკბები მუცლად იღებენ მხოლოდ მამლის ხმით. კოჭლი ჰეფესტო და ტალოსი ითვლებიან ერთ და იმავე პართენოგენულ პერსონაჟებად. ერთსაც და მეორესაც სიმაღლიდან ძირს ისვრიან. უნდა ითქვას ისიც, რომ თავდაპირველად ეს ხდებოდა მათი დედა-ღვთაების პატივსადებად. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შვილები ჰერას დედას არ უწოდებენ.

ზევსისა და ჰერას პირველი ღამე კუნძულ სამოსზე გაგრძელდა სამასი წელი. ამ პასაჟით, შესაძლოა, მითოგრაფოსი მიგვანიშნებს იმას, რომ ელინებს ეს დრო დასჭირდათ ჰერას მადიდებელ ტომებში მონოგამიის დასამკვიდრებლად. ზევსისა და ჰერას საიდუმლო შეუღლებას (საყვარელი მშობლებისაგან ფარულად, „ილიადია", XIV,296) უკავშირდება ჰერას თვისება ქალწულებრივი განახლებისა. ამიტომ მის ეპითეტთა შორის ვხვდებით „პართენოსს" (ქალწული). კუნძულ სამოსზე მიედინება მდინარე კანათოსი, რომელშიც განბანილი ჰერა აღიდგენდა ქალწულობას და ამდაგვარად განახლებული უბრუნდებოდა მაღალი მეუღლის სარეცელს.

ჰერასა და ზევსის ცოლქმრულ დამოკიდებულებაში აისახა ის რეალური ურთიერთობები, რომელიც დამახასიათებელი იყო ბარბაროსული დორიული ეპოქისათვის, როდესაც ქალები კარგავდნენ ოდინდელ უფლებებს. ზევსის ცდუნების საყოველთაოდ ცნობილი სცენა იდას მთის თხემზე, ახლად ამოსულ ბალახთა და ყვავილთა სურნელებით გარემოცული სასიყვარულო ვნება, კრეტა-მიკენის ეპოქის „წმინდა ქორწინების" ანალოგი უნდა იყოს.

②

**წყაროები და ვარიანტები.** აფროდიტე ერთობ პოპულარული მითოლოგიური პერსონაჟია ანტიკურ მწერლობაში. მასთან დაკავშირებულ მითებს მრავალი ავტორი ეხება. მათ შორის: ჰომეროსი, აპოლოდოროსი, აპულეუსი, ჰიგინუსი, სერვიუსი, აპოლონიოს როდოსელი, დიოდოროს სიცილიელი, ოვიდიუსი, პავსანიასი, პლინიუსი, თეოკრიტოსი, ლუკრეციუსი და სხვები.

აფროდიტეს დაბადების ორი ვერსია არსებობს. ჰომეროსის გადმოცემის თანახმად, იგი ზევსისა და დიონეს ასულია („ილიადა“ V,370). სხვა, უფრო გავრცელებული ვერსიით, ამ ღვთაების წარმოშობა უკავშირდება ურანოსს: როგორც ცნობილია, კრონოსმა ბასრი ადამანტით ურანოსს მოჰკვეთა ასო, რომელიც ჩავარდა ზღვაში. ამ ასოს გარშემო ზვირთი აქაფდა, ხოლო ქაფიდან ამოიმართა ქალიშვილი (ჰესიოდე, „თეოგონია“, 189-206; აგრეთვე, ჰომეროსის ჰიმნი აფროდიტესადმი, 2,5).

აფროდიტესა და ნერიტესის ამბავი მოთხრობილია ფულგენციუსის („მითოლოგიის სამი წიგნი“, II,7) მიხედვით. სხვა ვერსიით, ნერიტესი იყო პოსეიდონის საყვარელი, ფაეთონის ორეული. ანტეროსი პოსეიდონის და ნერიტესის ძეა (ელიანოსი, „ცხოველთა ბუნებისათვის“, 14,28).

ეროსისა და ფსიქეს რომანტიული ამბავი, ლიტერატურულად დამუშავებული, გვხვდება აპულეუსის რომანში „მეტამორფოზები“.

სმირნასა და ადონისის შესახებ მოგვითხრობენ: აპოლოდოროსი, III,14,3-4; ჰიგინუსი („პოეტური ასტრონომია“, II,7); ჰიგინუსი („მითები“, 58); სერვიუსი (კომენტარები ვერგილიუსის „ბუკოლიკებისათვის“, X,19); აპოლონიოს როდოსელი („არგონავტიკა“, IV,914-919); დიოდოროს სიცილიელი (IV,83); ოვიდიუსი („მეტამორფოზები“, X,297-560).

პიგმალიონის მითის ეს ვერსია წარმოდგენილია ოვიდიუსის „მეტამორფოზების“ (X,243-297) მიხედვით. უფრო ადრეული ვერსიის თანახმად, ბელოსის ძემ, პიგმალიონმა თავდავიწყებით შეიყვარა აფროდიტე და რამდენადაც ეს ღვთაება არასოდეს გაიზიარებდა მასთან სარეცელს, სპილოს ძვლისაგან შექმნა მისი ქანდაკება, საწოლში ჩაიწვინა და შეევედრა ღმერთქალს, მოელო მოწყალება. აფროდიტემ შეაღწია ქანდაკებაში და გააცოცხლა იგი გალატეას სახელით. მათი შვილები იყვნენ პაფოსი და მეტარმოსი. პაფოსის ძე იყო კინირასი, რომელმაც კვიპროსზე დააარსა ქალაქი პაფოსი და იქ აფროდიტეს საყოველთაოდ ცნობილი ტაძარი აღაშენა (აპოლოდოროსი, III,14,3).

ნარკისოსისა და ექოს ამბავი მოთხრობილია ოვიდიუსის „მეტამორფოზების“ (II,339-510) მიხედვით. შდრ. პავსანიასი, IX,31,6; პლინიუსი, „ბუნებრივი ისტორია“, XXI,75.

აფროდიტესა და ანქისესის ამბავი ვრცლად არის წარმოდგენილი ჰომეროსის აფროდიტესადმი მიძღვნილ ჰიმნში (45-200).



იხ. აგრეთვე თეოკრიტოსი, „იდილიები“, I,105-107; ჰიგინუსი, „მითები“, 94; სერვიუსი, კომენტარები ვერგილიუსის „ენეიდასათვის“ (II,649). არსებობს ზევსის შურისგების სხვა ვერსიაც. კერძოდ, ზევსმა დასაჯა აფროდიტე იმის გამო, რომ ვერ მოახერხა მასთან სარეცელის გაზიარება – შეურაცხყო სწორედ იმით, რომ სასიყვარულო ვნებით აღანთო მოკვდავისადმი.

განმარტებები. აფროდიტეს სახელი არ მოიხსენიება მიკენურ დოკუმენტებში. მკვლევართა ერთსულოვანი აღიარებით, ამ ტერმინის ჰესიოდესთან წარმოდგენილი ხალხური ეტიმოლოგია (ბერძნულად aphros ნიშნავს „ქაფს“, „პერს“) არ უნდა იყოს მისაღები. ჩანს, ამ შემთხვევაში უნდა გავითვალისწინოთ სემიტური Astarte ან რომელიმე სხვა მედიტერანული ქალღმერთის სახელი ელინიზებული ფორმით. მეცნიერებაში არ არის თანხმობა იმის თაობაზეც, თუ სად და როდის უნდა შემოსულიყო აფროდიტეს კულტი საბერძნეთში. დიდი ხნის განმავლობაში მიიჩნევდნენ, რომ იგი წარმოადგენდა სიყვარულის ძველი სემიტური ღვთაების Iš-tar-Astarte-ს ბერძნულ ვარიანტს და ელინურ პანთეონში მისი შემოსვლა პოსტმიკენური ეპოქით უნდა განსაზღვრულიყო. ამ ქალღმერთის ფინიკიურ წარმომავლობაზე თავად ჰეროდოტეც მიუთითებდა (I,105;131). პარალელები ამ შემთხვევაში მრავლად დაიძებნება: ორივე ქალღმერთი მოიხსენიება ზეციურად (ასტარტე – ცის ღვთაება, აფროდიტე – ურანია). ასტარტეს კულტისათვის ნიშანდობლივია „მბოლავი სამსხვეპლო“ და მტრედთა შეწირვა, რაც ასევე მხოლოდ აფროდიტესთან დასტურდება. იშთარი ერთდროულად მებრძოლი ქალღმერთიცაა, ისევე როგორც აფროდიტე. მათ მსგავსებაზე მიუთითებს ისიც, რომ ორთავე სატაძრო პროსტიტუციას უკავშირდება. აფროდიტეს თავიდანვე განესაზღვრა სექსუალურობის ფუნქცია და სავსებით ბუნებრივია, რომ შემდგომ ბერძნულ ენაში მისი სახელიდან ნაწარმოები სიტყვა ἀφροδιςιάζω, უკვე ჰომეროსთან სასიყვარულო აქტს აღნიშნავს.

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ის, რომ მძლავრი ქალური სექსუალობის მიღმა ორივე კულტისათვის დამახასიათებელია ბისექსუალობა. როგორც ცნობილია, ძველ აღმოსავლეთში იშთარი ცნობილი იყო წვერებით. ასტარტეს გვერდით დადასტურებულია მამრი აშთარი, ისევე, როგორც აფროდიტეს გვერდით – აფროდიტოსი. აფროდიტეს წარმოშობის სემიტური თეორიის დამაბრკოლებელი არის მხოლოდ ის, რომ პაფოსზე, ამ ღვთაების ცნობილ სამკვიდრებელში, აღმოჩენილია ძვ.წ. XII

საუკუნის ნაგებობა, რომელიც მის კულტს უკავშირდებოდა. ასე ადრე კი ფინიკიური ან სემიტური გავლენის დაშვება არ ჩანს რეალური. ამიტომ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ აფროდიტე, სიყვარულის უძველესი ღვთაება, ბერძნულ პანთეონში დამკვიდრების პროცესში იძენს ბევრ იმ თვისებას, რაც მისი სემიტური პარალელისათვის იყო ნიშანდობლივი.

თავისთავად ის ფაქტი, რომ აფროდიტე ურანოსის მოჭრილი ფალოსის სისხლის წვეთებისაგან იშვა, შესაძლოა მივიჩნიოთ მისი მთავარი ფუნქციის ნიშნად: სიყვარულის ძალით შეაერთოს ის, რაც გათიშულია და ამით განაპირობოს შობის პროცესის შეუქცევადობა. ვარაუდობენ, რომ ურანოსისა და გეას, ანუ ცისა და მიწის გაყოფის შემდეგ სწორედ ეს ფუნქცია იყო აუცილებელი სამყაროს შემდგომი განვითარებისათვის.

ბერძნულ მითში აისახა ღვთაების ძველი, ხთონური წარმომავლობა, რომელსაც ადასტურებს ჰესიოდეს გადმოცემაც იმის თაობაზე, რომ აფროდიტესთან ერთად ურანოსის სისხლის წვეთებიდან წარმოიშვნენ ერინიები და გიგანტები. შესაბამისად, აფროდიტე ზევსზე უფროსია და პირველყოფილ ძალებს განასახიერებს. იგი, ერთის მხრივ, ამაღლებულია, ზეციერი, ხოლო მეორეს მხრივ კი – მიწიერი, რაც საკმაოდ კარგად აისახა მის ორ ეპითეტში „ურანია“ და „პანდემოსი“.

აფროდიტესეული სიყვარულის ძალა კოსმიური ხასიათისაა. იგი ითვლება ნაყოფიერების, მარადიული გაზაფხულის, სიცოცხლის ღვთაებად. ამას მოწმობენ მისი ზედწოდებები: „აფროდიტე ბაღებში“, „წმინდა ბაღისა“, „აფროდიტე ველებზე“ და სხვა. აფროდიტეს ყვავილებია ვარდები და მირტები, ანემონები და იები, ნარგიზები და იაკინთები. მისი თანმხლებნი არიან ქარისები, ჰორები და ნიმფები (ჰომეროსი, „ილიადა“, VI,5). აფროდიტეს ძალას მორჩილებენ ზღვები, მთები და დედამიწა, თავად ზეცაც კი. იგი ქორწინებისა და მშობიარობის მფარველადაც ითვლება (პავსანიასი, I,5); მისი სიყვარულის ძალა ვრცელდება ღმერთებზეც და ადამიანებზეც. გამონაკლისია მხოლოდ ათენა, არტემისი და ჰესტია (ჰომეროსის ჰიმნი, VI). აფროდიტეს საკულტო ადგილებია კვიპროსი და კითერა (ეპითეტები: „კვიპროსშობილი“, „კითერეა“). ეს უკანასკნელი კრეტის პელოპონესოსთან ვაჭრობის მნიშვნელოვანი ცენტრი იყო. სწორედ ამ კუნძულის გავლით უნდა მიეღწია აფროდიტეს კულტს საბერძნეთამდე. ეს კრეტული ღვთაება მრავალი ნიშნით უკავშირდება ზღვას. კნოსოსის სასახლის საკურთხევლის იატაკი ნიჟარებით არის მოპირკეთებული,



იდას მღვიმეში აღმოჩენილ სამკაულებზე აფროდიტეა წარმოსახული ტრიტონის ნიჟარით. ზღვის ზღარბები და სეპიები მის წმინდა ცხოველებად ითვლებოდნენ. ფესტოსში, მის საკურთხეველთან აღმოაჩინეს ტრიტონის ნიჟარა. ადრემინოსურ სამარხებში ასეთ ნიჟარათა სიუხვეა, ზოგი მათგანი მეორდება ტერაკოტებშიც.

აფროდიტეს კულტს თაყვანს სცემდნენ მთელ საბერძნეთში. მისი საკურთხევლები აღმართული იყო კითერაზე (იგი ყველაზე ძველ და წმინდა ადგილად ითვლებოდა), ათენში, კორინთოსში, ბეოტიაში, კრეტაზე (პაფოსის ტაძარი საერთობერძნული მნიშვნელობისა იყო. აქედან მომდინარეობს სახელწოდება „აფროდიტე პაფოსელი“), კვიპროსზე, სიცილიაზე. განსაკუთრებით სცემდნენ პატივს ამ ქალღმერთს მცირე აზიაში (ეფესოსი, აბიდოსი), სირიაში. რომში აფროდიტეს სახელი იყო ვენუსი. მას მიიჩნევდნენ „რომაელი ხალხების დედად“, რამეთუ მისი ძე ენეასი ითვლებოდა იულიუსთა მოდგმის წინაპრად.

უძველეს ხანებში აფროდიტეს, ისევე როგორც სხვა ქალღმერთებს, წარმოსახავდნენ გრძელი სამოსით, ხელში რაიმე ნაყოფით ან ყვავილით; მის ფეხებთან ისხდნენ მტრედები. მოყოლებული ძვ.წ. IV საუკუნიდან ბერძენი ხელოვანნი აფროდიტეს წარმოსახავდნენ შიშველს ანდა ნახევრადშიშველს, ხშირად ზღვის პერიდან ამომავალს ანუ „ანადიომენას“. სიყვარულის ღვთაების საყოველთაოდ აღიარებული ქანდაკება შექმნა ათენელმა მოქანდაკე პრაქსიტელესმა (ძვ.წ. IV ს.). მისი ორიგინალი დაიკარგა, მაგრამ შემორჩა მრავალრიცხოვანი ასლები.

აფროდიტეს შვილები. ჰერმაფროდიტოსს, გასაოცარი სილამაზის ყმაწვილს, ზრდიდნენ ნაიადები. ფერია სალმაკისს თავდავიწყებით შეუყვარდა იგი და მისივე თხოვნით, ღმერთებმა საყვარელ ჭაბუკს შეუერთეს. ასე შეიქმნა ორსქესიანი არსება ჰერმაფროდიტოსი. მას ჰქონდა ქალის მკერდი და გრძელი თმები. ისევე როგორც ანდროგენოსს, ანუ წვერებიან ქალს, რა თქმა უნდა, ჰერმაფროდიტოსსაც თავისი პირველსახე ეყოლებოდა. ორსქესა არსება, როგორც იდეა, მატრიარქატიდან პატრიარქატზე გარდამავალ ეპოქაში უნდა წარმოქმნილიყო.

პრიაპოსი იყო შეუხედავი ბავშვი უზარმაზარი გენიტალიებით. ამ შემზარავი არსებით აფროდიტე დასაჯა ჰერამ განურჩეველი სიყვარულისთვის. მისი სახე აღმოცენდა ხის ფალიკური გამოსახულებიდან, რომელსაც ამზადებდნენ დიონისური ორგიებისთვის.

ზოგნი თვლიან, რომ ეროსი აღმოცენდა „მსოფლიო კვერცხიდან“ და იყო პირველი ღმერთთა შორის, რამეთუ მის გარეშე ვერავინ დაიბადებოდა. ამიტომ მას უტოლებენ გეას ან ტარტაროსს და მშობელთა გარეშე წარმოადგენენ (შდრ. ორფიკული ჰიმნი, V; არისტოტელე, „მეტაფიზიკა“, I,4. ჰესიოდე, „თეოგონია“, 120; ოლენოსი, პავსანიასთან, IX,27,2). ჰესიოდესთვის ეროსი მხოლოდ აბსტრაქტული მოვლენა იყო. ძველი ბერძნები მას კეროსის („საბედისწერო დაღუპვა“) ან ფრთოსანი „ბოროტების“ სახით წარმოადგენდნენ, ისევე როგორც „სიბერეს“ ან „ჭირს“, იმ აზრით, რომ თავდავიწყებული ვნება სახიფათოა საზოგადოებისათვის. მოგვიანებით პოეტებმა გააკეთილშობილეს სასიყვარულო ვნებანი და პრაქსიტელესის მოღვაწეობის ჟამს უკვე სრულად გამოიკვეთა ეროსის სენტიმენტალური ხასიათი მშვენიერი ბიჭუნას სახით.

სხვათა გადმოცემით, ეროსი იყო აფროდიტეს და ჰერმესის ან არესის ძე, უფრო მეტიც, მის მამად ზევსსაც ასახელებენ. ზოგის აზრით კი იგი ირისის და ზეფიროსის შვილია (იხ. ციცერონი, „ღმერთების ბუნებისათვის“, III,23,59-60; ვერგილიუსი, „კირისი“, 134; ალკეოსი პლუტარქესთან, ეროსზე, 20). ვერსიათა ამ მრავალფეროვნებას ასე ხსნიან: ჰერმესი იყო ფალიკური ღვთაება, ხოლო არესი, ომის ღვთაება, აღუძრავდა ხოლმე ვნებას მებრძოლთა ცოლებს. ის, რომ აფროდიტე და ზევსი იყვნენ მისი მშობლები, მიგვანიშნებს ინცესტზე, რომელსაც იწვევს დაუოკებელი ვნება. რაც შეეხება ირისსა და ზეფიროსს, ეს უკვე მისი დაბადების ლირიკული სახეა. მის დედად ზოგჯერ ილითიიასაც („ახალშობილთა მფარველი“, არტემისის ერთ-ერთი ზეწოდებათაგანი) ასახელებენ, რაც დედობრივი სიყვარულის სიმბოლიზაცია უნდა იყოს.

ეროსი არასოდეს მიუჩნევიათ ისეთ მნიშვნელოვან ღვთაებად, რომ ოლიმპოსის თორმეტ ღმერთს შორის დაემკვიდრებინათ.

ფსიქე ადამიანის სულის განსახიერებაა. თავდაპირველად მას ფრინველად ან ზეალმავალ კვამლად წარმოსახავდნენ, შემდეგ პეპლად ან პეპლისფრთებიან გოგონად. აპულეუსთან წარმოდგენილმა ლეგენდამ მისი ეროსისადმი სიყვარულის შესახებ დიდი პოპულარობა მოიპოვა.

სახელი ადონისი ფინიკიური წარმომავლობისა უნდა იყოს (adon – „მეუფე“) ეს სახე ბერძნული ვარიანტია სირიული ნახევარღმერთის თამუზისა, რომელიც ბუნების ყოველწლიური განახლების სულად ითვლებოდა. სირიაში, მცირე აზიასა და საბერძნეთში ღვთაების წმინდა წელიწადი სამ ნაწილად იყოფო-



და. ისინი ეკუთვნოდნენ ლომს, თხასა და გველს. თხა, რომელიც
წლის შუა ნაწილის სიმბოლო იყო, აფროდიტეს ერგებოდა, ბო-
ლო ნაწილი – გველი – პერსეფონეს, ხოლო პირველი – სმირნას
(მირას), რომელიც არ ეხებოდა ადონისს. საბერძნეთში ეს კალენ-
დარი შეიცვალა ორდროიანი კალენდრით: ბუნიაობიდან ბუ-
ნიაობამდე (სპარტა, დელფო), ან ნაბუნიაობიდან ნაბუნიაობამდე
(ათენი, თებე). ამით აიხსნება სხვაობა კალიოპესა და ზევსის გადა-
წყვეტილებათა შორის.

ადონისის დაბადება მირას ხისაგან, რომელიც ცნობილი იყო
როგორც ვნების აღმძვრელი საშუალება, მიუთითებს მისი კულ-
ტის ორგიასტულ ხასიათზე. ფისის წვეთები, რომელიც მირას
მოედინება, ადონისის დასატირებელ ცრემლებად იქნა მიჩნეუ-
ლი (ოვიდიუსი, „მეტამორფოზები“, X,500). ჰიგინუსთან კინირასს
ასირიის მეფედ აკურთხებენ (მითი 58), შესაძლოა იმიტომ, რომ
იქიდან იღებს დასაბამს თამუზის კულტი.

ნარკისოსისა და ექოს რომანტიული ამბავი ანტიკურ ხანაში
ერთობ პოპულარული უნდა ყოფილიყო. „ნარკისოსი“, რომლი-
თაც ძველად დემეტრესა და პერსეფონეს გვირგვინებს ამკობდნენ
(სოფოკლე, „ოიდიპოსი კოლონოსში“) და რომელიც ასევე იწოდე-
ბოდა leirion-ად, იყო სამფურცლიანი ცისფერი ზამბახი; იგი ითვ-
ლებოდა ქალური ტრიადის წმინდა ყვავილად. ამ გვირგვინებს
ატარებდნენ სამი კეთილმოაზროვნე ღვთაების ანუ ევმენიდების
პატივსაცემად. ეს ცისფერი ზამბახი ყვავის გვიან შემოდგომაზე,
ყვითელი ნარგიზის გაფურჩქვნის წინ. შესაძლოა, სწორედ ამი-
ტომ ლირიოპე ითვლება ნარკისოსის დედად.

საინტერესოა, რომ სუფიქსები -issos და -inthos სიტყვათა კრე-
ტულ დაბოლოებაზე მიუთითებენ, ამიტომ არც არის გამორიცხ-
ული, რომ ნარკისოსი და ჰიაკინთოსი კრეტული წარმომავლო-
ბის პერსონაჟები იყვნენ.

ანქისესი, მითის ადრეულ ვარიანტის მიხედვით, ილუპება, ხო-
ლო გვიანდელ ვერსიებში – ცოცხალი რჩება; ის არის მამა
კეთილშობილი ენეასისა, რომელიც მონაწილეობდა ტროას ომ-
ში. ვერგილიუსის თანახმად, მან მიატოვა ცეცხლმოდებული
ტროა, ზურგით გამოიყვანა მოხუცი მამა – ანქისესი, თან წამო-
იყვანა თავისი ვაჟი – იულიუსი, ცოლი – კრეუსა, შეკრიბა გა-
დარჩენილი ტროელები და მათთან ერთად ლაციუმში დასახლ-
და. ქალაქი რომი მისმა შთამომავლებმა დააარსეს. იულიუსთა
მოდგმა თავიანთი გვარის ფუძემდებლად ენეასის ვაჟს –
იულიუსს ასახელებდა.

მითოგრაფოსები ანქიზესს ადონისის სინონიმადაც მიიჩნევენ. მისი სამსხვერპლო მდებარეობდა ეგესტაში ერიქსის მთის მახლობლად (დიონისე ჰალიკარნასელი, I,53). ვერგილიუსიც გადმოგვცემს, რომ ანქისესი გარდაიცვალა ეგესტას მეზობლად მდებარე ქალაქ დრეპანუმში და რომ იგი მთის თხემზეა დაკრძალული. ანქისესის სხვა საკურთხევლები მდებარეობდნენ არკადიასა და ტროადაში.

ეოსისა და ტითონოსის ამბავი მოთხრობილი იქნება სერიის მომდევნო წიგნში „ზღვა და მიწისქვეშეთი“

### ③

*წყაროები.* ამ ღვთაებასთან დაკავშირებით მცირეოდენ ცნობებს ვხვდებით შემდეგ ავტორებთან: ჰომეროსი, „ჰიმნი აფროდიტესადმი“, 21-30; ოვიდიუსი, „ფასტები“, VI,319 და შემდ.; დიოდოროს სიცილიელი, V,68.

*განმარტებები.* ჰესტია ჰომეროსის აფროდიტესადმი მიძღვნილ ჰიმნში კრონოსის პირველ და ბოლო ქალიშვილად არის მოხსენიებული. ამ ფაქტს ასეთი ახსნა დაეძებნება: იგი მართლაც პირველი იშვა კრონოსისა და რეას შვილთა შორის და ამიტომაც პირველი გადაყლაპა მამამ. შემდეგ, როდესაც ზევსის მეოხებით შვილებმა უკან ამობრუნება იწყეს, ჰესტია აღმოჩნდა ბოლო. ბერძნულ ტრადიციაში არსებობს გამოთქმა: „ჰესტიადან დაწყება“, რაც ჭეშმარიტ დასაწყისს აღნიშნავს.

ჰესტიას ფუნქციის განსაზღვრისას გასათვალისწინებელია ამ სახელის ორგანული კავშირი ბერძნულ სიტყვასთან ἑστία, რაც “კერიას“, „ოჯახს“, „საკურთხეველს“ აღნიშნავს. სწორედ ამ ცნებათა პერსონიფიკაციას წარმოადგენს ეს ღვთაება. იგი მფარველობს მარადიულ ცეცხლს, იმ საწყისს, რომელიც აერთიანებს ღმერთთა სამყაროს, კაცთა საზოგადოებასა და ყოველ ოჯახს. ეს მარად ქალწული და ზნეკეთილი ღვთაება (ჰომეროსის ჰიმნი, IV) შეურყეველი კოსმოსის სიმბოლოა. იგი, თავიდანვე მიიჩნიეს რა ცეცხლის განსახიერებად, ვერ დაუკავშირეს მითოლოგიურ სიუჟეტებს. ამიტომ მას ძუნწად მოიხსენიებენ ბერძენი ავტორები, იშვიათად გვხვდება მისი ქანდაკებები თუ ფერწერული გამოსახულებები. მათზე ღვთაება წარმოდგენილია მატრონას სამოსით, მშვიდი და ალერსიანი გამომეტყველებით.



ჰესტიას კულტი ფართოდ გავრცელდა რომში. აქ მას ვესტას უწოდებდნენ.

ჰესტიას ფიცი მარადიული ქალწულობის შენარჩუნებაზე შეესაბამებოდა სექსუალურ ტაბუს კერიის მიმართ, რომელიც აღიქმებოდა, ვითარცა ფალიკური ძალაც. ჰესტიას, აპოლონსა და პოსეიდონს ერთად სცემდნენ თაყვანს დელფოში. შესაძლოა, ლეგენდა მათი დაქორწინების სურვილზე აქედან იღებს დასაბამს.

პრიაპოსის მითს, ჩანს, იგავური ხასიათი ჰქონდა. ეს იყო ერთგვარი გაფრთხილება მათთვის, ვინც უღირსად მოექცეოდა კერიის ღვთაების მფარველობის ქვეშ მყოფ ქალებს. არ არის შემთხვევითი, რომ სწორედ ვირი, ეს უმეცარი ცხოველი, აშინებს ანტიკურ მითოლოგიაში ითიფალიკურ ღვთაებად მიჩნეულ პრიაპოსს (თავდაპირველად იგი ფალოსის განსახიერება იყო). ამ კულტის წარმოშობის ადგილი დაუდგენელია. ლამფსაკოსის მკვიდრნი მას ქალაქის დამაარსებლად მიიჩნევენ. სხვა წყაროებით, იგი გააძევეს ამ ქალაქიდან წარმოუდგენელი სიდიდის ფალოსის გამო (სერვიუსის კომენტარები ვერგილიუსის „ენეიდასთვის“, IV,111). გადმოცემებს პრიაპოსსა და ვირზე ვხვდებით ოვიდიუსთან („ფასტები“, I,391-456), ჰიგინუსთან („ასტრონომია“, II,23) და სხვა ავტორებთან.

ჰესტია სარგებლობდა საყოველთაო სიყვარულით არა მხოლოდ იმიტომ, რომ იყო ყველაზე კეთილი, ყველაზე სამართლიანი და ყველაზე გულმოწყალე მაღალ ღმერთთა შორის, არამედ იმიტომაც, რომ ოჯახის ბედნიერებაც მისი მფარველობის ქვეშ მოიაზრებოდა. მისი ცეცხლი იმდენად წმინდა იყო, რომ ჩაქრობისთანავე უმალ ანთებდნენ. იგი არ უნდა განელებულიყო. ამიტომ ვერ შორდებოდა კერას ჰესტია, ამიტომ ვერ მონაწილეობდა სხვა ღვთაებრივ საქმეებში.

დიადი ღვთაების არქაული, თეთრი, ანიკონიური სახე, რომელიც გვხვდება თითქმის მთელ აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში, შესაძლოა, უკავშირდება მიმქრალ ღადართა გროვას, რომელსაც თეთრი ნაცრით ფარავდნენ, რათა არ ჩამქრალიყო. ეს იყო საცხოვრებლის გათბობის ყველაზე ხელსაყრელი და ეკონომიური საშუალება უძველეს ხანებში. იგი არ ბოლავდა და არც ძლიერ აალდებოდა ხოლმე და, ამდენად, ბუნებრივია, ოჯახურ თავყრილობათა მთავარ ადგილს, შუაგულს წარმოადგენდა. დელფოში ამ ღადარის გროვამ ტაძრიდან ქუჩაში გადაინაცვლა და კირქვის ბორცვად გადაიქცა, ბოლოს მიიღო ომფა-

ლოსის ანუ დედამიწის ჭიპის სახე, რომელიც სამყაროს ცენტრს განასახიერებდა.

④

წ ყ ა რ ო ე ბ ი  დ ა  ვ ა რ ი ა ნ ტ ე ბ ი. დემეტრეს თავგადასავალზე მოგვითხრობენ: დიოდოროს სიცილიელი, ჰესიოდე, პავსანიასი, აპოლოდოროსი, ჰიგინუსი, ოვიდიუსი, კალიმაქოსი და სხვა ავტორები.

დემეტრესა და იასიონის ამბავი წარმოდგენილია ჰომეროსის „ოდისეას" (V,125-128); დიოდოროს სიცილიელის (V,49); ჰესიოდეს „თეოგონიის" (969) მიხედვით.

დემეტრესა და პოსეიდონზე იხ. პინდარე, „პითიური ოდები", VI,50; პავსანიასი, VIII,25,3 და შემდ. აპოლოდოროსი, III,6,8.

პერსეფონესა და დემეტრეს მითი წარმოდგენილია ძირითადად ჰომეროსის დემეტრესადმი მიძღვნილი ჰიმნის მიხედვით. შევსებულია შემდეგი წყაროებიდან: ჰიგინუსი, „მითები", 146,147; დიოდოროს სიცილიელი, V,3; აპოლოდოროსი, 1,5,1; პავსანიასი VI,21,1; 38,5; VIII,15,1 და 37,3; ოვიდიუსი, „მეტამორფოზები" V,644 და შემდ.

ერისიხთონის ამბავი მოთხრობილია კალიმაქოსის დემეტრესადმი მიძღვნილი ჰიმნისა და ოვიდიუსის „მეტამორფოზების" (VIII,738 და შემდ.) მიხედვით. ეს სიუჟეტი წარმოდგენილია, აგრეთვე, სერვიუსის „ენეიდას" კომენტარებში (III,167); ანტონინუს ლიბერალუსის „გარდასახვებში" (II); აგრეთვე, პავსანიასთან (X,30,1).

დემეტრეს მიერ ელევსინის დატოვება წარმოდგენილია შემდეგი წყაროებით: ჰომეროსი, „ჰიმნი დემეტრესადმი" (449 და შემდ.), აპოლოდოროსი (I,5,2), ჰიგინუსი, „მითები", 147.

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ე ბ ი. დემეტრე ნაყოფიერებისა და მიწათმოქმედების ღვთაებაა, კრონოსისა და რეას ასული, ზევსის და. ზევსისგანვე შეეძინა მას პერსეფონე (კორე) და იაკქოსი. მის ძედ მოიხსენიებენ პლუტოსსაც (ჰესიოდე „თეოგონია"). დემეტრე ერთ-ერთი ყველაზე მეტად პატივდებული ღმერთქალია ოლიმპოსის ბინადართაგან. მის უძველეს ხთონურ წარმომავლობაზე მეტყველებს თავად სახელი დე-მეტერ, რაც ბერძნულად სიტყვასიტყვით ნიშნავს „დედა-მიწას" (meter – „დედა", da, de, ge – „მიწა"). ასე რომ, დემეტრეს სახელის ეტიმოლოგიის განსაზღვრისას ძველთა-



განვე გამოჰყოფდნენ ორ კომპონენტს (de+meter). ის, რომ meter=დედას, არავითარ ეჭვს არ იწვევს. მაგრამ თუკი ძველები de-ს უკავშირებდნენ ge-ს, თანამედროვე მეცნიერებაში ფიქრობენ, რომ ეს კომპონენტი უფრო მეტად ესადაგება სიტყვას δηαί=κριθαί („მარცვალი", „ნაყოფი"). არის სხვაგვარი ეტიმოლოგიის ცდებიც.

დემეტრე, როგორც ჩანს, ერთ-ერთი უძველესი მედიტერანული ღვთაების ბერძნული ექვივალენტი იყო, რასაც ადასტურებენ უახლესი გათხრები ნეოლითის ხანის სამხრეთ-აღმოსავლეთ მცირე აზიაში (ჩათალ-ჰუჲუქი). აქ აღმოჩენილია დემეტრეს პლასტიკური პროტოტიპები. დემეტრეს როგორც ღვთაების არსის განსაზღვრისას ვარაუდობენ, რომ თავდაპირველად იგი დაკავშირებული იყო პურის მარცვალთან. არ არის შემთხვევითი, რომ ელევსინური მისტერიების კულმინაციური მომენტი სწორედ პურის მარცვლის აღმოცენება იყო.

დემეტრეს საკულტო სახელებია: „ქლოე" („ბალახი", „მწვანილი", „თესლი"), „კარპოფორა" („ნაყოფთა მომძღვნელი"), „თესმოფორა" („კანონმდებელი", „მომწყობი"), „სიტო" („პური", „ფქვილი"). დემეტრე ადამიანთა შემწე ღვთაებაა (ჰომეროსი „ილიადა"), მიწათმოქმედთა ბეღლების ალმავსებელი (ჰესიოდე „შრომანი და დღენი"), მან ასწავლა ადამიანებს ხვნა-თესვა. მითში, სადაც დემეტრესა და პერსეფონეს ამბავია მოთხრობილი (ჰომეროსის ჰიმნი), აისახა სიკვდილისა და სიცოცხლის მარადიული ბრძოლა: წლის იმ ორი მესამედის მანძილზე, როდესაც დემეტრესთან არის მისი ასული, ბუნება ხარობს; წლის ერთ მესამედს პერსეფონე ჰადესში ატარებს, შესაბამისად, ბუნება კვდება. მიწის ნაყოფიერება არ მოიაზრება მსხმოიარე სამყაროს სიკვდილის გარეშე, ბუნების აღორძინება – მისი კვდომის გარეშე. ბროწეული, რომელსაც იგემებს პერსეფონე, ნაყოფიერების სიმბოლოა, მაგრამ ამ ხილის მფლობელი სიკვდილის ღვთაება ჰადესია.

საბერძნეთში იმართებოდა დემეტრეს სადიდებელი საყოველთაო დღესასწაულები – თესმოფორიები. ამ ზეიმების დროს დემეტრესა და პერსეფონეს ერთად სცემდნენ თაყვანს როგორც ნაყოფიერების ძალის მომნიჭებელ ღვთაებებს. მათ „ორ ღმერთქალად" მოიხსენიებდნენ და იფიცებდნენ „ორი ღმერთქალის" სახელით (შდრ. არისტოფანე „ქალები თესმოფორიების დღესასწაულზე"). დემეტრესადმი მიძღვნილი მთავარი წმინდა ადგილი მდებარეობდა ელევსინში, სადაც სექტემბრის თვეში, ცხრა დღის განმავლობაში იმართებოდა ელევსინური მისტერიები. ეს იყო დემეტრეს გლოვის სიმბოლური წარმოსახვა. ამ მისტერიებს ზიარე-

ბულებს სწამდათ, რომ გრძნობდნენ ცოცხალი და მკვდარი სამყაროს იდუმალ კავშირს, რაც იწვევდა მათ სულიერ განწმენდას. ათენის ძველ საგვარეულო ოჯახებს მემკვიდრეობით ენიჭებოდათ ელევსინურ მისტერიებში მონაწილეობისა და საიდუმლოს შენახვის უფლება. მაღალ ღვთაება დემეტრეს უშენებდნენ დიდებულ ტაძრებსა და საკურთხევლებს. ცნობილი ბერძენი ისტორიკოსი პავსანიასი აგვიწერს „დემეტრე ელევსინელის" ტაძარს არკადიაში (VIII,25,3). ცნობილია, რომ კორინთოსში თაყვანს სცემდნენ „დემეტრე ხთონიასა" („მიწისა") და „თერმასიას" („მცხუნვარეს"), ვითარცა ცხელ წყაროთა მფარველს. არკადიაში თაყვანს სცემდნენ დემეტრეს ხის კერპს სახელწოდებით „დემეტრე მელაინა" („შავი დემეტრე"). მიწათმოქმედებისა და ნაყოფიერების ღმერთქალს სწირავდნენ ხარებს, ძროხებს, ღორებს, ფიჭას, ხილს, ხორბლის თავთავს, ყაყაჩოსა და ა.შ.

რომში დემეტრეს კულტი იტალიური ღვთაების – კერესის კულტს შეერწყა.

მხატვრები და მოქანდაკენი დემეტრეს წარმოსახავდნენ მაღალ, მშვენიერ ქალად, რომელსაც ამკობდა მწიფე თაველისფერის დიდებული თმა.

იასიონი მიწათმოქმედების უძველეს ღვთაებად ითვლებოდა კრეტაზე. მითის მიხედვით, იგი ზევსისა და პლეიადა ელექტრას ძეა, დარდანოსის ძმა. მისმა სიკვდილმა დაამწუხრა დემეტრე, განრისხებულმა მიწას ნაყოფთა აღმოცენება შეაწყვეტინა. მაშინ ღმერთებმა იასიონს ნება დართეს, დროდადრო დაეტოვებინა ხოლმე მკვდართა სამეფო და დედამიწას დაბრუნებოდა. ეს სიმბოლურად წელიწადის დროთა ცვალების ასახვაა (თქმულება პერსეფონეს მითის ანალოგიურია). დემეტრემ იასიონს ხორბლის მარცვალი უბოძა და დაავალა, ადამიანებისთვის ხორბლის მოყვანა ესწავლებინა.

მითი, რომელიც დემეტრეს და იასიონის სასიყვარულო თავგადასავალს აგვიწერს სამგზის გადახნულ მინდორზე, მიგვითითებს მიწის დამუშავების იმ წესზე, რომელიც იმხანად არსებობდა.

კორე, პერსეფონე და ჰეკატე ღვთაების ქალური ტრიადის ნაწილებად წარმოგვიდგებიან: ქალწული, ნიმფა, ბერიქალი. პერსეფონე ათენში იწოდებოდა, აგრეთვე, პერსეფიტატედ, ხოლო რომში – პროზერპინად.

პერსეფონეს კულტი პილოსში ჯერ კიდევ მიკენურ ეპოქაში უნდა არსებულიყო. თვით სახელწოდება მის წინაბერძნულ წარ-



მოშობაზე მიუთითებს. მას შემდეგ, რაც ბერძნები ბალკანეთის ნახევარკუნძულზე დასახლდნენ, პერსეფონე კორესთან გააიგივეს.

იაკქოსი ელევსინური ღვთაებაა. ბგერათა მსგავსების გამო დაუკავშირეს იგი ბახუსს (ბაკქოსს). იაკქოსი დაგლიჯეს ტიტანებმა, მაგრამ ღმერთებმა მკვდრეთით აღადგინეს და იგი ხელახლა დაიბადა დიონისეს სახით. ასეთია მითის ერთ-ერთი ვერსია. არსებობს სხვა ვერსიაც, რომლის თანახმადაც იაკქოსს, როგორც პერსეფონეს ვაჟს, თრაკიელ ძაგრევსთან ან ფრიგიელ საბაძიოსთან აიგივებდნენ. ზოგი მითის თანახმად, იაკქოსი დემეტრეს მეუღლეა ან დიონისეს ვაჟი.

პლუტოსი „სიმდიდრეს", „სიუხვეს" ნიშნავს. ჰესიოდესთან პლუტოსი უკვე დამოუკიდებელი ღვთაებაა, იგი მოსავლიანობას მფარველობს. სწორედ ამიტომ ჩაისახა კიდეც სამგზის გადახნულ მინდორზე. ზოგი მითი მას ეირენეს ძედ წარმოადგენს. ცნობილია პლუტოსის სიმბოლური გამოსახულებანი: ყმაწვილს ხელში უჭირავს სიუხვის რქა, თვით ყმაწვილი კი – ეირენეს.

მითი დემეტრესა და პოსეიდონზე გვიდასტურებს ელინთა მოსვლას არკადიაში. ფიგალიაში დემეტრეს წარმოსახავდნენ როგორც მფარველ ღვთაებას ფაშატის თავით, რომელმაც დასაბამი დაუდო ცხენის ელინამდელ კულტს. „მძვინვარე დემეტრე" – ეს არის ღვთაების ყოველწლიური მდგომარეობა, რომელსაც მოაქვს სიკვდილი. ჩანს, პოსეიდონისა და დემეტრეს თავგადასავალი, რომელსაც ყვებოდნენ თელპუსიაში (პავსანიასი) იყო საკმაოდ ძველი, ელინამდელი ხანის. ეს სიუჟეტი დაიძებნება ძველ ინდურ წმინდა წიგნებშიც. დემეტრე ერინია („შურისმგებელი"), შესაძლოა, აღნიშნავდა არა მის მძვინვარებას, არამედ ორი უცხო კულტურის დაკავშირების ცდას.

პერსეფონეს ლეგენდაში აისახა დედამიწის მთელი ცხოვრება, მისი დარდი და სიხარული, მისი კვდომა და აღორძინება.

ანტიკურობიდან მოყოლებული ეს მითი გაგებული იყო, როგორც ბუნების ალეგორია: კორე არის მარცვალი, რომელიც მიწის ქვეშ უნდა ჩავიდეს, რათა მოჩვენებითი სიკვდილიდან ახალი ნაყოფი აღმოცენდეს. ეს აღმოცენება „დაბრუნების" ტოლფასია. თანამედროვე მეცნიერებაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ მედიტერანული სამყაროსათვის უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა კორეს დაბრუნების სხვაგვარი ინტერპრეტაცია, რაც დაკავშირებულია პურის მარცვლის დათესვის წესთან. კერძოდ, პური ითესება შემოდგომაზე, რამდენიმე კვირის შემდეგ ამოდის და მუდმივად აგრძელებს ზრდას. აქედან გამომდინარე, კონფორდი

და ნილსონი გვთავაზობენ ასეთ ახსნას: კორეს გზა მიწისქვეშეთში არის მარცვლის ჩათესვა მიწაში ზაფხულის თვეების განმავლობაში (ამ დროს ხმელთაშუაზღვისპირეთის ბუნებრივი პირობები მთელ ზრდას შეჩერებით ემუქრება). შემოდგომის პირველი დღეებისათვის, ზუსტად ოთხი თვის შემდეგ მოსავლის აღებიდან, ნათესი მიწისქვეშა სამალავიდან ამოიღება. კორე უკან ბრუნდება. ვეგეტაციის წრიული ბრუნვა თავიდან იწყება. მაგრამ ბერძნებს ეს ასე არ ჰქონდათ გაგებული. ახსნის ამ ცდას მივყავართ წინაბერძნულ აზროვნებამდე. მომაკვდავი და კვლავ გაცოცხლებადი ბუნების მოტივი გავრცელებული იყო ძველ აღმოსავლურ მითოლოგიაში (ინანა-იშთარი და თელეფინუ).

ჰადესის მიერ პერსეფონეს მოტაცების ამბავში სიმბოლურად აისახა, თუ როგორ დაიმორჩილა ელინთა ღმერთების ტრიადამ ძალით ელინამდელი ქალღმერთების სამეული (ზევსმა – ჰერა, პოსეიდონმა – დემეტრე, ჰადესმა – პერსეფონე). ეს მიგვითითებს, თუ როგორ გადავიდა მამაკაცთა ხელში მიწათმოქმედების ფემინური მისტერიები, რაც ჯერ კიდევ პირველყოფილ ეპოქაში უნდა მომხდარიყო.

დემეტრეს სურვილი, დაეტოვებინა მიწა მოსავლის გარეშე, მითის ერთ-ერთი გავრცელებული ვარიანტია. ეს არის სიმბოლური წარმოსახვა ბუნების კვდომისა, რომელიც აღდგენილი წონასწორობის მერე ისევ უნდა აღორძინდეს. პირველყოფილ საზოგადოებებში არსებობდა ტაბუ წითელი ფერის საკვებზე, რომელიც მხოლოდ მიცვალებულთათვის იყო განკუთვნილი. ითვლებოდა, რომ ბროწეული, როგორც ძოწისფერი ანემონი, წარმოიშვა ადონისის ან თამუზის სისხლის წვეთებისაგან. ბროწეულის შვიდი მარცვალი, ალბათ, მთვარის შვიდ ფაზას ესადაგება, რომელიც მოიცავს პერიოდს თესვიდან პირველ ყლორტთა აღმოცენამდე. ჰერას, სიკვდილის უძველეს ღვთაებას, ასევე ბროწეული ეჭირა ხელში.

ყვავილები, რომელსაც ოვიდიუსის თანახმად, აგროვებდა პერსეფონე, ყაყაჩოები უნდა ყოფილიყო. კრეტაზე აღმოჩენილია ღვთაების გამოსახულება, რომელსაც თმებს სწორედ ყაყაჩოები უმშვენებენ. სხვა გამოსახულებაზე, რომელიც პალეკასტროს სამარხთა გათხრებისას იპოვეს, ღვთაებას ხელში უჭირავს ყაყაჩოები. ხოლო მიკენის აკროპოლისის საგანძურში აღმოჩენილ ოქროს ბეჭედზე წარმოდგენილია ასეთი სურათი: მჯდომარე დემეტრე ყაყაჩოებს აწვდის ფეხზე მდგომ პერსეფონეს. ყაყაჩოს თესლს ურევდნენ პურში; ყაყაჩოები, რამდენადაც ისინი იზრდე-



ბოდნენ ყანაში, სრულიად ბუნებრივად დემეტრეს სიმბოლოებად ითვლებოდნენ. შესაძლოა, პერსეფონეს მიერ წითელი ყაყაჩოების შეგროვება იყო სიმბოლო სიკვდილის შემდეგ აღორძინებისა.

დემოფონის უკვდავყოფის ლეგენდას დაეძებნება პარალელები მედეასა და თეტისის მითებში. ნაწილობრივ ეს მიგვითითებს ბავშვთა მფარველობის პირველყოფილ წესზე. გადმოცემათა თანახმად, ბოროტ სულთაგან რომ დაეცვათ ახალშობილნი, მათთვის მოჰქონდათ წმინდა ცეცხლი; ნაწილობრივ კი ეს არის იმ უძველესი ადათის გადმონაშთი, როდესაც მეფე-ქურუმთა ნაცვლად მსხვერპლად შეწირულ ბავშვებს წვავდნენ და ამით უკვდავებას ანიჭებდნენ მათ.

ტრიპტოლემოსი ელევსინის მეფის კელეოსისა და მეტანირას ძეა. როდესაც მოგზაურობიდან დაბრუნდა, იგი დემეტრეს ქურუმი გახდა და ელევსინში მისი კულტი დაამკვიდრა.

დემეტრე კეთილმოწყალე ღვთაება იყო. ერისიხთონი ის უჩვეულო გმირია, რომელსაც ღვთაება ესოდენ მკაცრად მოექცა. მითი დამრიგებლური ხასიათისაა: ბერძენთა, ლათინთა და სხვა ხალხთა ადათის თანახმად, ის ვინც წმინდა ჭალაში ხეს მოჭრიდა, სიკვდილით დაისჯებოდა.

*ელევსინურ მისტერიებზე* მეტად მცირე ინფორმაციამ მოაღწია ჩვენამდე და ეს გასაგებია: ელევსინიების მონაწილენი თავიდანვე დებდნენ ფიცს, რომ არავის უამბობდნენ ნანახსა და გაგონილს. მკვლევარები ცდილობენ, მოღწეულ ინფორმაციათა ანალიზის საფუძველზე გარკვეული წარმოდგენა შეიქმნან ამ იდუმალებით მოცულ ზეიმზე. დადგენილია, რომ ძვ.წ. VI საუკუნეში ათენში ელევსინის მისტერიებმა ოფიციალური სტატუსი მიიღეს, თუმცა მათი სათავე შორეულ წარსულშია საძიებელი. ძველების აზრით, საიდუმლო ზიარებები ეგვიპტიდან შემოიტანა ლეგენდარულმა პოეტმა ორფევსმა. მეცნიერები თვლიან, რომ მისტერიებს ნეოლითის ხანაში დაეძებნება საფუძველი, განსაკუთრებით გამოყოფენ მასში ხთონურ ელემენტებს. ზოგი მკვლევარი დემეტრეს კულტს უკავშირებს ძველ ანატოლიურ დედა-ღმერთს და მისტერიას წინაბერძნულ მოვლენად მიიჩნევს. თავად ტერმინი მისტერია ბერძნულია და იგი უნდა წარმოდგებოდეს „myein" ზმნური ფუძიდან, რაც „ზიარებას" აღნიშნავს. აქვე უნდა ითქვას, რომ ყველა მეცნიერი არ იზიარებს ამ აზრს.

მისტერიის ძირითადი პირობა იყო ე.წ. რელიგიური დუმილი, რაც არის მიზეზი მის შესახებ ინფორმაციის ესოდენი სიმცირისა. როგორც ითქვა, საიდუმლოს გამჟღავნება უდიდეს დანაშაულად ითვლებოდა. მისტერიულ ზიარებას, რომელსაც წინ

უძლოდა საკულტო ცერემონიები, თავისი საფეხურები ჰქონდა. ერთიანად კი იგი აღიქმებოდა, როგორც მეტაფიზიკური ბედნიერება, საიდუმლო ჭეშმარიტების განჭვრეტა.

მკვლევართა აზრით, დემეტრეს მითი საშუალებას იძლევა, წარმოვიდგინოთ რიტუალის ერთგვარი ფორმულა: მარხვა ზიარებამდე, მსვლელობა ჩირაღდნებით, რიტუალი ნაყენის შესმით. მისტერიები ორ ნაწილად იყოფოდა: მცირე (გაზაფხულის) და დიდ (შემოდგომის) ელევსინიებად. სწორედ ზიარების ორი საფეხურის შესახებ საუბრობს პლატონი „ფედონში“. პირველი საფეხური იყო ე.წ. მოსამზადებელი, რომელიც გაზაფხულის მისტერიებისას იმართებოდა. ამ დროს განწმენდის ცერემონიებით ემზადებოდნენ დიდი ელევსინიებისათვის, რომელიც ბოედრომიონის (სექტემბრის მეორე და ოქტომბრის პირველი ნახევარი) თვეში სრულდებოდა. იგი გვირგვინდებოდა ზიარებით. ზეიმის დღეთა რაოდენობა და თითოეული მათგანის მნიშვნელობა დაზუსტებული არ არის.

ელევსინის მისტერიებზე საუბრისას მრავალი პრობლემა იჩენს თავს. ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია მისი შინაგანი სტრუქტურის საკითხი. გამოიყოფა ოთხი ძირითადი ასპექტი: აგრარული, მითიური, სექსუალური და ინიციაციური. რამდენადაც დემეტრე ნაყოფიერების ქალღმერთად გვევლინება, აგრარული ასპექტი მისტერიის უმნიშვნელოვანესი სტრუქტურული ელემენტია. მას უკავშირდება მითიური ასპექტი, სადაც ვლინდება ე.წ. ფორმულა რიტუალისთვის. მისტერიების მსვლელობისას დასტურდება ორგიები, სიშიშვლე, გენიტალიური სიმბოლოები, რაც მიიჩნევა სექსუალურ ასპექტად, რომელიც ინიციაციასთან ერთად ქმნის მისტერიების საერთო სურათს.

მეცნიერთა უმეტესობის აზრით, მისტერიები ცხრა დღე და ღამე გრძელდებოდა, რაც დაკავშირებული იყო დემეტრეს ხეტიალისა და ძიების ცხრა დღესთან. პირველ დღეს ქურუმ ქალებს მიჰქონდათ წმინდა საგნები (მათ შორის კალათი – კისტე) ელევსინში. მეორე დღეს ზეიმის მონაწილენი იკრიბებოდნენ ათენში, როდესაც რეალურად იწყებოდა მისტერია. მესამე დღეს მისტესები, რომელთაც ჰყავდათ მისტაგოგოსი (საიდუმლოთა მოძღვარი), განიბანებოდნენ ზღვაში გოჭთან ერთად, რომელსაც შემდეგ საკუთარი თავის მაგიერ კლავდნენ (ასოციაცია – პერსეფონეს ჩასვლა ჰადესში) და მარხვითა და გალობით ემზადებოდნენ ზეიმისათვის. რამდენიმე დღე სრულდებოდა რიტუალები მსხვერპლის შეწირვით. შემდეგ პროცესია მიემართებოდა ელევსინისკენ. გზად



თამაშდებოდა გროტესკი: მისტესები წარმოადგენდნენ სანახაობას დაცინვითა და უწმაწური ჟესტებით (მინიშნება მითზე – დამწუხრებული დემეტრეს გართობა). პირველი ვარსკვლავის გამოჩენისას მისტესები წყვეტდნენ მარხვას, სვამდნენ კიკეონს. ამ რიტუალის აღსრულება ხდებოდა ტელესტერიონში, სადაც უამრავი ხალხი იყრიდა თავს. შემდეგ იწყებოდა τελετή (საიდუმლო ზიარება). აქ ყველაფერი საიდუმლოებით იყო მოცული. სინათლისა და სიბნელის მონაცვლეობა, მიწისქვეშეთის სიმბოლოები, დიდი კოცონი – ყოველივე ეს ქმნიდა სიკვდილთან მიახლებისა და ხელმეორედ დაბადების განცდას. ამით სრულდებოდა მისტერიების კიდევ ერთი საფეხური. მომდევნო წელს კი მისტესები დაიშვებოდნენ ეპოპტესებად (მზირებად). ისინი ღვთაებრივ საიდუმლოს ეზიარებოდნენ. ბოლო დღეს სრულდებოდა წმინდა ქორწინების რიტუალი, სადაც ქურუმი ქალი და უზენაესი ქურუმი განასახიერებდნენ ზევსსა და დემეტრეს. მათი შეერთების სურათი დაფარული იყო ყველას თავალთაგან. და ბოლოს, მისტერიის კულმინაციური მომენტი: უზენაეს ქურუმს – ჰიეროფანტესს შემოჰქონდა მოჭრილი თავთავი, რაც მკვლევართა უმეტესობის აზრით, ახალი სასიცოცხლო ძალის სიმბოლოდ აღიქმებოდა.

ამ აქტის შემდეგ მისტესები მიმართავდნენ ცას, მიწას, ღვრიდნენ კიკეონს. ჰიეროფანტესი წარუდგენდა ზიარებულებს კისტედან ამოღებულ წმინდა საგნებს.

ბოლო სამი დღე იყო ხელახლა დაბადებულ და საიდუმლოებასთან ზიარებულ ადამიანთა დაბრუნება ყოველდღიურ ყოფაში. ისინი სახეცვლილნი და ნეტარნი იყვნენ, რამეთუ მისტერიის არსს სიკვდილის წინაშე შიშის მოხსნა წარმოადგენდა.

## ⑤

**წყაროები და ვარიანტები.** ანტიკური ხანის მრავალი ავტორი მიმართავს მითებს ამ ღვთაებაზე. მათ შორის შედარებით ვრცლად მოგვითხრობენ ჰომეროსი, ჰესიოდე, პინდარე, აპოლოდოროსი, აპოლონიოს როდოსელი, ჰიგინუსი, სტრაბონი, ჰეროდოტე, კალიმაქოსი, ოვიდიუსი.

ათენას დაბადება წარმოდგენილია ჰესიოდეს „თეოგონიის“ (886-900), პინდარეს „მეშვიდე ოლიმპიური ოდის“ (VII,34 და შემდ.), აპოლოდოროსის (I,3,6) მიხედვით. ჰომეროსის თანახმად, ათენა დედის გარეშე იშვა ზევსის თავის თხემიდან („ილიადა“, V,875). წარმოდგენილი ვერსიის მიხედვით, ზევსს თავი გაუპო ჰეფესტომ,

სხვა ვერსიით – პრომეთემ (ევრიპიდე, „იონი“, 455). პინდარე ასახელებს პალამაონსაც, რომელიც, შესაძლოა, ჰეფესტოს მეტსახელიც იყოს (ოლიმპიური VII,66).

აპოლონიოს როდოსელის თანახმად, ქალღმერთი ათენა დაიბადა ლიბიაში, ტრიტონის ტბის სანაპიროზე, სადაც იგი იპოვა სამმა თხის ტყავით შემოსილმა ნიმფამ; მათვე აღზარდეს ეს ღვთაება („არგონავტიკა“, IV,1310-1314).

სხვა გადმოცემით, ათენას მამა იყო პალასი, თხის მსგავსი ფრთოსანი გიგანტი, რომელსაც მოგვიანებით მასზე ძალადობა მოუსურვებია. სწორედ ეს სახელი მიუმატებია ათენას თავისი სახელისათვის მას შემდეგ, რაც მისთვის ტყავი გაუძვრია ეგისის გასაკეთებლად, ხოლო ფრთები კი საკუთარ მხრებზე მიუბამს (ცეცე, „ლიკოფრონის სქოლიონები“, 355).

ევრიპიდესთან სხვა ვერსიაა წარმოდგენილი: ეგისი ათენამ დაამზადა გორგო-მედუზას ტყავისაგან მას შემდეგ, რაც პერსევსმა ამ ურჩხულს თავი მოჰკვეთა („იონი“, 995).

პავსანიასის მიხედვით, ათენას მამა იყო იტონოსი, ქალაქ იტონის მეფე, რომელმაც დაღუპა თავისი ასული იოდამა. ღამით, როდესაც ეს ქალწული შეიპარა სამსხვერპლოში, მამამ, ისე რომ არ უწყოდა, ვინ იყო იგი, დაანახა მედუზას თავი, რომლის მზერამაც გააქვავა მისი მხილველი (IX,34,1).

არის ისეთი ვერსიაც, თითქოს ათენას მამა იყო პოსეიდონი, რომელიც უარყო ქალწულმა და შემდგომ იგი იშვილა ზევსმა (ჰეროდოტე, IV,180).

ათენასა და პალასის ამბავი გადმოცემულია აპოლოდოროსისა (III,12,3) და პავსანიასის (IX,33,5) მიხედვით.

ერიხთონიოსის მითი ანტიკური ხანის მრავალ ავტორთან გვხვდება: აპოლოდოროსი, III,14,6; ჰიგინუსი, „მითები“, 166; პავსანიასი, I,5,3; VIII,2,1; სტრაბონი, IX,1,20; არისტოფანე, „პლუტოსი“, 773; ათენეოსი, 555 და სხვა.

არსებობს აგლავროსის გარდაცვალების სხვა ვარიანტიც: ზუსტად იმ დროს, როდესაც ათენს თავს დაესხა მტერი, აგლავროსი, მისნის წინასწარმეტყველების ახდენის მიზნით, აკროპოლისიდან გადაეშვა უფსკრულში; იმავდროულად ახდა სხვა მისნობაც: გაიმარჯვეს ათენელებმა. სწორედ ამიტომ მოდიან აგლავროსის ტაძარში ახალგაზრდა ათენელები, რომლებიც პირველად იღებენ ხელში იარაღს და საკუთარ ცხოვრებას ქალაქს უძღვნიან (სვიდა, „აგრავლოსი“; ჰესიქიოსი, „აგრავლოსი“; პლუტარქე, „ალკიბიადესი“, 15).



ათენასა და პოსეიდონის დავა წარმოდგენილია შემდეგ წყაროებში: ჰეროდოტე, VIII,55; აპოლოდოროსი, III,14,1; ავგუსტინე, ღვთაებრივი ქალაქისათვის, XVIII,9; ჰიგინუსი, „მითები“, 164. ამავე წყაროებში არსებობს მითის ოდნავ შეცვლილი ვერსიაც: პოსეიდონს სურდა მრავალი ქალაქის მფლობელი ყოფილიყო. ერთხელაც გამოაცხადა თავისი უფლება ატიკაზე. ათენის აკროპოლისზე სამკაპი ჩაჰკრა კლდეს, საიდანაც უმალ გაისმა ნაკადულის ხმა. მოგვიანებით, კეკროფსის მმართველობის ჟამს, ატიკა თავის სამფლობელოდ გამოაცხადა ათენამ. მან აღმოაცენა ზეთისხილი ამ ნაკადულის მახლობლად. განრისხებულმა პოსეიდონმა იგი ორთაბრძოლაში გამოიწვია. საბრძოლველად აღიმართა ათენაც, მაგრამ მათ შორის ჩადგა ზევსი და მოითხოვა დავის მშვიდობიანად გადაწყვეტა. უკვდავნი უზენაესი სასამართლოს წინაშე წარდგნენ. თავად კეკროფსიც მოიწვიეს მსჯავრის გამოსატანად. ზევსი დავაში არ ერეოდა. ღმერთებმა პოსეიდონს დაუჭირეს მხარი, ქალღმერთებმა კი – ათენას. მხოლოდ ერთი ხმის უპირატესობით გაიმარჯვა ათენამ. ასე მიიღო მან ატიკაზე მბრძანებლობის უფლება. განაწყენებულმა პოსეიდონმა უზარმაზარი ტალღები გააგზავნა თრიასიის ველის წასალეკად – იქ მდებარეობდა ათენას ქალაქი. ღვთაებამ ათენში ჰპოვა თავშესაფარი და მას თავისი სახელი უწოდა. დიდმა ღმერთებმა, აპოლონის რისხვა რომ დაეცხროთ, ქალებს წაართვეს ხმის უფლება, ხოლო კაცებს აუკრძალეს დედათა სახელების ტარების ნება.

ტირესიასის მითი წარმოდგენილია კალიმაქოსის ჰიმნის „პალასის განბანისათვის“ მიხედვით.

არაქნეს ამბავი მოთხრობილია ოვიდიუსის „მეტამორფოზების“ (VI,1-145) მიხედვით.

განმარტებები. ათენა, სიბრძნისა და სამართლიან ბრძოლათა ღვთაება, ერთ-ერთი უმთავრესი ფიგურაა ბერძნულ მითოლოგიაში. თავისი მნიშვნელობით იგი არა მხოლოდ უტოლდება ზევსს, არამედ ზოგჯერ აღემატება კიდეც. ათენა თავისი სიძველით მინოსურ კულტურას უკავშირდება. ზოგი მეცნიერის აზრით, იგი შეიძლება ყოფილიყო მინოსური სახლის ან სასახლის ქალღმერთი. ამის დასტურად მიაჩნიათ ის, რომ აღმოჩენილია ამ ღვთაების ან მის ქურუმთა პლასტიკური გამოსახულებები ე.წ. „გველებიანი ქალღმერთების“ სახით. ეს აზრი კიდევ უფრო განამტკიცა მიკენში, ათენას სავარაუდო ტაძარში „მუზარადიანი ქალ-

ღმერთის" ფრესკის აღმოჩენამ. როგორც ჩანს, ათენას ტაძარი მდგარა მიკენში ყოფილი სასახლის ადგილას.

ათენას ზოომორფულ წარსულზე მიუთითებს მისი ატრიბუტები – გველი და ბუ. მის მთავარ იარაღად ითვლება მაგიური ეგისი – თხის ტყავისაგან დამზადებული ფარი, რომელზეც გველთმება მედუზა არის გამოსახული, ხოლო ათენას წმინდა მცენარედ – ზეთისხილი, რომელსაც ბედის ხეს უწოდებდნენ; თავად ღვთაება კი გაიაზრებოდა როგორც ბედი და „დიადი დედა". ძლევამოსილი, მრისხანე, ბუსთვალება ათენა, მაგიური ეგისის მპყრობელი, ჰეროიკული მითოლოგიის პერიოდში თავის ძალას მიმართავს ტიტანებისა და გიგანტების წინააღმდეგ. იგი კლავს საზარელ ურჩხულს – მედუზას და ატარებს ეპითეტს „გორგოს მკვლელი". კლასიკის პერიოდში ათენა იდეურ-ორგანიზაციულ ფუნქციებს იძენს. იგი მფარველობს გმირებს, იცავს საზოგადოებრივ წესრიგს და ა.შ. ათენას მთავარ ეპითეტებში „პრომაქოსი" (წინ მებრძოლი), „პოლიასი" (ქალაქის მფარველი), „პოლიუქოსი" (ქალაქის მეუფე) – ღვთაების მოქალაქეობრივი ფუნქციით დატვირთული სახეა წარმოდგენილი. ესქილეს „ევმენიდებში" მთელი სისრულით წარმოჩნდა ათენის სახელმწიფოს ბრძენი მმართველის, არეოპაგოსის დამწესებლის დიდებული სახე.

სავსებით ნათელია, რომ ქალაქ ათენისა და ქალღმერთ ათენას სახელი ერთმანეთთან არის დაკავშირებული. მეცნიერები კამათობდნენ კიდეც იმის თაობაზე, თუ რომელი იყო პირველადი. მიკენურ წყაროებში გამოთქმა „atana potinija"-ს დადასტურებამ გაამყარა ის აზრი, რომ თავდაპირველი ქალაქის სახელწოდება უნდა ყოფილიყო. ამას მხარს უჭერს ისიც, რომ სახელში გამოიყოფა -ene სუფიქსალური ელემენტი, რომელიც ჩვეულებრივ წინაბერძნულ გეოგრაფიულ სახელწოდებებს აწარმოებდა.

ათენა ითვლებოდა ხელოსანთა და ხელოვანთა, მრთველთა და მქსოველთა მფარველად. მის ეპითეტთა შორის ვხვდებით „ერგანას" („მშრომელი"). მას მიეწერება ფლეიტის გამოგონება, მანვე ასწავლა აპოლონს ამ ფლეიტაზე დაკვრის ხელოვნება.

ათენა იყო სიბრძნის ღვთაებაც, მისი ეს თვისება, განსხვავებით ჰეფესტოსა და პრომეთეს კეთილგონიერებისაგან, სახელმწიფოებრივი დატვირთვის მატარებელი იყო. გვიანი ანტიკურობისათვის ათენა იქცა კოსმიური გონების განუყოფლობისა და ყოვლისმომცველი მსოფლიო სიბრძნის სიმბოლოდ (პლოტინი, VI,5,7). როგორც ათენის სახელმწიფოებრიობის მფარველს, ათენას თაყვანს სცემდნენ ვითარცა „ფრატრიას" (ძმური), „ბულაიას"



(დამრიგებელი), „სოტერიას" (მხსნელი), „პრონოიას" (წინასწარმჭვრეტი).

ათენას ფუნქციათა შორის ყურადღებას იპყრობს ის, რომ იგი მფარველობს ერთმანეთის საპირისპირო სფეროებს. კერძოდ, იარაღით აღკაზმული ღვთაება, რომელიც ჯარებს წინ უძღვის, რომელიც ხშირად დაუნდობელია ბრძოლისას (მისი გორგოსთავიანი ფარი პანიკურ შიშს იწვევს მებრძოლთა შორის), ამავე დროს გვევლინება მშვიდობიანი საქმეების (რთვა, ქსოვა) შემწედ. მან გამოიგონა უღელი ხარებისათვის, ლაგამი ცხენებისათვის, პოსეიდონის სტიქიის გადასალახად ადამიანებს უძღვნა ხომალდები და სხვა. მისი როგორც მშენებელისა და მნგრეველის ფუნქციები კარგად აისახა იმ ხის ცხენში, რომლის აგებასაც ტროას დამხობა მოჰყვა.

ათენას კულტი გავრცელებული იყო მთელ საბერძნეთში (არკადია, არგოლისი, კორინთოსი, სიკიონი, თესალია, ბეოტია, კრეტა, როდოსი). მიუხედავად ამისა, მას აღმატებულად სცემდნენ თაყვანს ატიკაში, ათენში – იმ ქალაქ-სახელმწიფოში, რომლის სახელსაც ატარებდა. ათენას მრავალი დღესასწაული ეძღვნებოდა. განსაკუთრებით მრავალრიცხოვანი იყო ის ზეიმები, რომლებიც მიწათმოქმედებას უკავშირდებოდა. საყოველთაო ხასიათისა იყო დიდი პანათენეური დღესასწაული – აპოთეოზი ათენის სახელმწიფოებრივი სიბრძნისა.

მთელი ანტიკურობის განმავლობაში ათენა ითვლებოდა სიმბოლოდ კეთილგონიერებისა, რომელიც აწესრიგებს კოსმიურ და საზოგადოებრივ ცხოვრებას, დამყარებულს დემოკრატიულ კანონიერებაზე.

ათენას რომაული სახელი იყო მინერვა. რომაელები მას წარმოსახავდნენ მრისხანე გამომეტყველების დიდებულ ქალად, რომელსაც თავს ერქვა მუზარადი და აღჭურვილი იყო ფარით, ოროლითა და ეგისით. ფიდიასის მიერ (ძვ.წ. V ს.) სპილოს ძვლითა და ოქროთი შესრულებული ცნობილი უზარმაზარი ქანდაკებიდან, რომელიც ათენის აკროპოლისზე მდებარე პართენონის ტაძრის მშვენება იყო, ჩვენამდე შემორჩა მხოლოდ ასლები და რეპლიკები (მაგალითად, ათენა პერგამონიდან; ათენას თავი, რომელიც დაცულია კოპენჰაგენში და სხვ.). ჩვენამდე მოაღწია ფიდიასის ცნობილი ქანდაკების ათენა ლემნიას ფრაგმენტებმა (ინახება დრეზდენისა და ბოლონიის მუზეუმებში), აგრეთვე, ძვ.წ. V-IV საუკუნეების მრავალრიცხოვანმა გამოსახულებებმა, რომლებზეც წარმოდგენილია ღვთაება დიდებული და მშვიდი სა-

ხით, რაც მის კეთილგონიერებასა და მშვიდობისმოყვარე ფუნქციაზე მიგვანიშნებს.

დაბადების ვერსიათაგან ყველაზე გავრცელებული და მნიშვნელოვანი არის სწორედ ის, რომელიც ათენას ზევსის თავიდან ამოსულად წარმოგვიდგენს. არსებობს აზრი, რომ ეს იყო „თეოლოგიური ხერხი, გაეთავისუფლებინათ ღვთაება მატრიარქალური ნიშნებისაგან“. გარდა ამისა, ეს იყო ცდა, ემტკიცებინათ, რომ სიბრძნე მამრობითი სქესის პრეროგატივა იყო. ზევსმა მეტისის ჩაყლაპვით ტიტანთა კულტი მოსპო და მათი სიბრძნე მიითვისა; ათენა იყო ზევსის ასული, რითაც აქაველები პატრიარქალური ღვთაების – ზევსის უპირატესობაზე მიანიშნებდნენ.

მითი ათენას დაბადების შესახებ გარკვეულ წინააღმდეგობებს გვიჩვენებს. თუ ჰესიოდეს მიხედვით, ათენას დედა არის კეთილგონიერების ღვთაება მეტისი, ჰომეროსის გადმოცემით, ათენა დედის გარეშე დაბადა ზევსმა საკუთარი თავის თხემიდან („ილიადა“, V,875). თავად ეს ვერსია უკვე გარკვეულ მეტაფორას უკავშირდება – კეთილგონიერება თავის თვისებაა. ამ სიუჟეტს დაეძებნება პარალელები აღმოსავლურ მითოლოგიაშიც (კერძოდ, ეგვიპტური თოთი, კეთილგონიერების ღვთაება, სეთის თავიდან იშვა). ვერსიათა სიმრავლემ, რა თქმა უნდა, წინააღმდეგობა წარმოქმნა, რომელსაც პირობითად ქრონოლოგიური შეიძლება ვუწოდოთ: როგორც ცნობილია, მეტისი არის ზევსის პირველი ცოლი და, შესაბამისად, ადრეულ ვერსიაში ათენა ზევსის პირველ შვილად ივარაუდება. თუკი გავითვალისწინებთ მითის იმ ვარიანტს, რომლითაც ზევსს ჰეფესტო, მისი ერთ-ერთი უმცროსი ვაჟიშვილი ჰერასაგან, დაეხმარა შობის ჟამს, გამოდის, რომ ათენა არ ყოფილა უფროსი ქალიშვილი. ეს წინააღმდეგობა, რასაკვირველია, გამოიწვია მითის სხვადასხვა ვერსიის ურთიერთმორგების ცდამ.

ათენას ზევსის თავიდან დაბადების მითს დაეძებნება პარალელებიც. ასე მაგალითად: ზევსი და ნემესისი; კრონოსის მიერ შვილთა ჩაყლაპვა; დიონისეს მიერ ხელმეორედ დაბადება ზევსის თეძოდან და სხვა. დაბადების ასეთი ვერსიის შემდეგ ათენა ხდება მამის მორჩილი და გამგონე, იგი ყოველგვარ კავშირს წყვეტს თავის წარსულთან.

რაც შეეხება ათენას დაბადების სხვა ვერსიებს, მათ ასეთი ახსნა დაეძებნებათ:

ა) სიტყვა „პალასი“ ბერძნულ ენაში იმის მიხედვით, თუ სად მოუდიოდა მახვილი და როგორ იბრუნვოდა, შესაძლოა ყოფილი-



ყო როგორც მამრობითი, ასევე მდედრობითი სქესის. მამრობით სქესში ეს სიტყვა აღნიშნავდა „ძლიერ ჭაბუკს“, ხოლო მდედრობით სქესში – „ძლიერ, მეომარ ქალწულს“. მისი შესატყვისი ლათინურ ენაში იყო „virago“. ქალღმერთ ათენას სახელთან დაკავშირებული ეს ეპითეტი ხაზს უსვამს ამ ღვთაების ძლევამოსილებასაც და ქალწულებასაც.

ბ) მითი იტონოსზე (კაცი-ტირიფი) მიგვითითებს, რომ იტონიელები ათენელთა უწინარეს სცემდნენ თაყვანს ათენას და რომ ფთიოტისში ამ ღვთაებასთან დაკავშირებული იყო ტირიფის კულტი.

გადმოცემათა თანახმად, ლიბიაში არსებობდა თხის ტყავისაგან დამზადებული სამოსი „ეგისი“, რომელიც ქალწულთა კეთილგონიერების სიმბოლოდ იყო მიჩნეული. მასზე გამოსახული იყო გორგო, ხოლო ტყავის ქისაში მიმალული იყო გველი. ათენას ეგისი იყო უკვე არა სამოსი, არამედ ფარი.

გ) ათენას მიერ მამად პოსეიდონის უარყოფა მიუთითებს ათენში უზენაეს ღვთაებათა ცვლის მომენტზე. ეს ეხება იმ ისტორიულ დროს, როდესაც ეოლიელებმა ათენში დაამარცხეს იონიელი პელასგები. ათენამ ამ ქალაქში შეინარჩუნა ძალაუფლება იმ აქაველთა მეკავშირეობით, რომელნიც ზევსს აღიარებდნენ და რომლებმაც იგი არა პოსეიდონის, არამედ ზევსის ასულად შერაცხეს.

ეგისი, ზოგი გადმოცემით, იყო მაგიური ქისა, დამზადებული თხის ტყავისაგან; მასზე გამოსახულია გველებით დახუნძლული მედუზას თავი. იგი ათენას ატრიბუტი იყო მანამდეც, ვიდრე ზევსს შერაცხდნენ მის მშობელ მამად.

რაც შეეხება იმ ეგისს, რომელიც ხელთ უპყრია ზევსს, ეს არის ფარისმაგვარი მაგიური აღსაჭურველი, რომელიც ჰეფესტომ გამოჭედა. მასზე გორგო მედუზას შიშისმომგვრელი თავია გამოსახული. ზევსს ბრძოლების ჟამს ეს ეგისი არც კი დასჭირვებია. მარჯვენა ხელით იგი ელვას სტყორცნიდა ხოლმე, ხოლო მარცხენათი არხევდა ამ ეგისს და საწვიმარ ღრუბლებს მიდენიდა. იგი ხშირად გადასცემდა ხოლმე ეგისს აპოლონს, უფრო ხშირად კი – ათენას, რომლებიც მას ატარებდნენ, როგორც ზევსის ძლიერების სიმბოლოს. მეცნიერები ამტკიცებენ, რომ სიტყვა ეგისი („aigis“) დაკავშირებულია არა თხასთან („aix“), არამედ უცნობ წინაბერძნულ ძირთან, რომელიც აწარმოებს მრავალ ტერმინსა და საკუთარ სახელს.

ერიხთონიოსის მითში ყურადღებას იქცევს ის, რომ ქალწული ათენა ერთდროულად არის დედაც. ათენელთათვის მათი

ღვთაების ქალწულებრივი სიწმინდე ერთგვარი სიმბოლოც იყო ქალაქის შეუვალობისა. ამიტომაც ისინი ცვლიდნენ ძველ მითებს, რომლებშიაც ასახული იყო ათენაზე ძალადობის მომენტები. აქედან გამომდინარეობს ის პარადოქსი, რაც ათენას ორ ურთიერთგამომრიცხველ ფუნქციაზე („დედა“ და „ქალწული“) მიუთითებს.

ათენელები ერიხთონიოსს წარმოსახავდნენ ადამიანის თავის მქონე გველად იმიტომ, რომ მას თვლიდნენ გმირადაც და მეფის მსხვერპლად მიტანილ სულადაც. ათენის ძველი სამეფო მოდგმა ერიხთონიოსის ჩამომავლად მიიჩნეოდა. ერიხთიდები – ასე უწოდებდნენ ისინი თავს, თილისმის ნიშნად ერეხთეიონში წმინდა გველს ინახავდნენ და მოწიწებით სცემდნენ თაყვანს.

აგლავროსის მითის ორთავე ვარიანტი ერთ მიზანს ემსახურებოდა: ქალაქისა და მისი მფარველი ღვთაების სიწმინდის დაცვას.

თავდაპირველად ერიხთონიოსი და ერეხთევსი ერთ და იმავე გმირს განასახიერებდნენ. როგორც სახელწოდებიდან ჩანს, მითი მათ შესახებ ხთონური წარმომავლობისა უნდა ყოფილიყო.

ათენასა და პოსეიდონის მითზე იხ. წიგნი „ზღვა და მიწისქვეშეთი. მცირე ღვთაებანი“. აქ უნდა აღინიშნოს ის, რომ ქალაქთა მფარველობა ათენას უძველეს მედიტერანულ ღვთაებათა სფეროში აქცევს. როგორც ცნობილია, ძველ აღმოსავლეთში ამ ფუნქციის მქონე ღმერთებს ერთ-ერთი საპატიო ადგილი ეჭირათ პანთეონში.

მრავალი გადმოცემა ცხადყოფს ათენას მოწყალე ხასიათს. იგი თავისი საყვარელი გმირების მფარველია: ჰერაკლესთან ერთად იბრძვის გიგანტების წინააღმდეგ, მფარველობს კადმოსს, დანაესა და მის ქალიშვილებს. ათენა იცავს ტიდევსსა და მის ძეს, დიომედესს, რომელთათვისაც სურდა უკვდავება მიენიჭებინა, მაგრამ გადაიფიქრა, იხილა რა ტიდევსის ველური სიმხეცე (აპოლოდოროსი). ჰომეროსის პოემებში, განსაკუთრებით „ოდისეაში“, ყველა მნიშვნელოვანი საქმე ათენას მეშვეობით წყდება. იგია ბერძენ-აქაველთა მოწყალე, ტროელთა მტერი, თუმც მისი კულტი ტროაშიაც არსებობდა (ჰომეროსი, „ილიადა“). ათენას საყვარელი გმირი იყო ოდისევსი. ამ ღვთაებამ მიანიჭა მას ახოვანება, მშვენიერება, ძალა და მომხიბვლელობა. მანვე გაალამაზა პენელოპე მეუღლესთან შეხვედრის ღამეს („ოდისეა“).

ტირესიასის მითში ათენას სიკეთეზეა საუბარი (შდრ. „აქტეონი“). თავად ტირესიასის, ამ ბრძენი წინასწარმეტყველის შესახებ იხ. ამავე სერიის წიგნი „შვიდბჭიანი თებე“.



არაქნეს მითში აისახა ის სავაჭრო მეტოქეობა, რომელიც უნდა არსებულიყო ათენელებსა და კრეტული წარმომავლობის მქონე თალასოკრატებს შორის. მილეტოსში, რომელიც ითვლებოდა ძველი სამყაროს შეღებილი შალის ქსოვილების უდიდეს გამავრცელებლად, აღმოჩნდა მრავალრიცხოვანი ბეჭდები ობობას ემბლემებით (ძვ.წ. II ათასწლეული). ჩანს, ათენელებს ჰქონდათ მყარი საფუძველი, აღძროდათ შური ობობას მიმართ.

## ⑥

წყაროები და ვარიანტები. აპოლონის სახე საკმაოდ სრულად არის წარმოდგენილი ჰომეროსის პოემებში, ჰესიოდესთან, ჰომეროსის ჰიმნში, აგრეთვე მითოგრაფოსებთან.

აპოლონის დაბადების ამბავი ძირითადად გადმოცემულია „ჰომეროსის ჰიმნის“ (I,25-178) მიხედვით, გათვალისწინებულია სხვა წყაროთა (ჰეროდოტე, „ისტორია“, II,456; კალიმაქოსი, ჰიმნი IV,55-274) მონაცემები.

აპოლონსა და მის ტყუპისცალ დას, არტემისს ტრადიციულად ზევსისა და ლეტოს შვილებად მიიჩნევენ (ჰომეროსი, ჰესიოდე, აპოლონიოს როდოსელი და სხვანი), ხოლო ჰეროდოტეს მიხედვით ისინი დიონისეს და ისისის შვილები არიან, ლეტო კი მათი ძიძაა (ჰეროდოტე, „ისტორია“, II,456). აპოლონს, აგრეთვე, ლეტოისად, ლეტოს ძედ მოიხსენიებენ („ჰომეროსის ჰიმნი“, III,253; პავსანიასი, I,44,10). ზევსისა და ლეტოს შეუღლების ამბავი იხ. ჩვენი წიგნის მომდევნო თავში, სახელწოდებით „არტემისი“.

აპოლონი დაიბადა მცურავ კუნძულ ასტერიაზე. ამის შემდგომ ეწოდა ამ კუნძულს დელოსი, ამის შემდეგ აღიარეს პალმა, რომლის ძირშიც იმშობიარა ლეტომ, წმინდა ხედ (კალიმაქოსი, ჰიმნი IV,55-274; „ჰომეროსის ჰიმნი“ I,30-178).

აპოლონისა და პითონის ამბავი გადმოცემულია „ჰომეროსის ჰიმნების“ (IV,133-196,210-366;IXIV,1-5) და ოვიდიუსის „მეტამორფოზების“ (I,437-451) მიხედვით; გათვალისწინებულია სხვა წყაროთა (აპოლოდოროსი, I,4,1, კალიმაქოსი, ჰიმნი II,100-104, პავსანიასი, X,6,6; აპოლონიოს როდოსელი, II,706-711) მონაცემები.

პითონი დარაჯობდა გეასა და თემისის ძველ სამისნოს დელფოში. პითონის (ზოგი ვერსიით დელფინეს, ზოგით კი პითონისა და დელფინეს) მოკვლის შემდეგ დააფუძნა აპოლონმა დელფოს ტაძარი და სამისნო, დააწესა პითიური შეჯიბრებანი.

დელფოს სამისნოს დაარსების ამბავი ძირითადად გადმოცემულია „ჰომეროსის ჰიმნის“ (IV,192-367) მიხედვით, გათვალისწინებულია სხვა წყაროთა მონაცემები.

დელფოს ტაძარი და სამისნო ფოკისში, პარნასოსის მთის ძირას, კლდოვან ბექობზე იყო გაშენებული. მათი აგება ლეგენდარულ ხუროთმოძღვრებს, ტროფონიოსსა და აგამედესს მიეწერებათ („ჰომეროსის ჰიმნი“, II,117-719).

ნიობეს შვილების ამბავი გადმოცემულია ჰომეროსის „ილიადისა“ (XXIV,602-617) და ოვიდიუსის „მეტამორფოზების“ (VI,146-312) მიხედვით, გათვალისწინებულია სხვა მრავალი წყაროც (აპოლოდოროსი, III,5,6; პავსანიასი, V,16,3;VIII,2; სოფოკლე, „ელექტრა“, 150-154).

ზევსისა და ანტიოპეს შვილები იყვნენ ამფიონი და მისი ტყუპისცალი ძმა ძეთოსი. თებეს მეფის, ლიკოსის ბრძანებით, დედას მოაშორეს ახალშობილნი. მწყემსმა იპოვა და აღზარდა უპატრონოდ დაყრილი ძმები. დავაჟკაცდნენ ძეთოსი და ამფიონი. ამასობაში ანტიოპემაც დაიხსნა ლიკოსისა და მისი გულქვა მეუღლის, დირკეს ტყვეობიდან თავი. შემთხვევით იმ სახლს მიადგა უგზოუკვლოდ მავალი ქალი, სადაც მისი შვილები ცხოვრობდნენ. მათ იცნეს თავიანთი დედა და ლიკოსზე შურისძიების მიზნით თებეზე გაილაშქრეს. სიცოცხლე მოუსწრაფეს ძმებმა ლიკოსსა და დირკეს, ჩაიგდეს ხელში ძალაუფლება და თებეს გალავნის აგება განიზრახეს. ბევრი იშრომა საამისოდ ძეთოსმა, მხრებით მოზიდა ვეება ქვები. კითარაზე უკრავდა ამ დროს ამფიონი. როგორც კი აახმიანებდა იგი ღვთაებრივ საკრავს, მაშინვე ადგილიდან იძროდნენ, ერთმანეთს ეწყობოდნენ და გალავნის ფორმას იღებდნენ ლოდები (აპოლოდოროსი, III,5; ჰომეროსი, „ოდისეა“, XI,260-265; პავსანიასი, IX,5,6-8 და სხვ.).

ევრიპიდეს, ოვიდიუსისა და გელიუსის მიხედვით, ნიობეს თოთხმეტი შვილი ჰყავდა, ჰომეროსი მას თორმეტი შვილის დედობას მიაწერდა, საფო და აპოლოდოროსი – თვრამეტისას, პინდარე და ჰესიოდე – ოცისას, ჰეროდოტეს მიხედვით კი ნიობეს ორი ვაჟი და ორი ქალიშვილი უნდა ჰყოლოდა.

ზოგი ვერსიით, ამფიონმა თავი კი არ მოიკლა, არამედ აპოლონის (ან აპოლონის და არტემისის) მიერ ნასროლმა ისრებმა იმსხვერპლა.

ზოგი ვერსიით, გადარჩა ნიობეს ორი შვილი – ერთი ვაჟი და ერთი ქალწული (აპოლოდოროსი, III,5,6).

ამბობენ, ნიობე ქარმა კი არ გადაისროლა სამშობლოში, არამედ თვითონ დაბრუნდა მამისეულ სახლში, იქ ღმერთებს ვედრება



აღუვლინა და ამის შემდეგ იქცა ქვად, რომელიც დღედაღამ ცრემლებს აფრქვევს (აპოლოდოროსი, III,5,6).

ადმეტოსთან სამსახურის ამბავი გადმოცემულია ევრიპიდეს „ალკესტისისა“ და აპოლოდოროსის „ბიბლიოთეკის“ (I,9, 15;III,10,4) მიხედვით, გათვალისწინებულია სხვა წყაროთა მონაცემები.

სხვა ვერსიით, ალკესტისი პერსეფონემ შეიწყალა და დააბრუნა ცოცხალთა შორის (აპოლოდოროსი, I,9,15).

მარპესას ამბავი გადმოცემულია აპოლოდოროსის „ბიბლიოთეკის“ (I,7,8-9) მიხედვით, გათვალისწინებულია სხვა წყაროებიც (ჰომეროსის „ილიადა“, IX,557-560, პავსანიასი, V,18,2; აპოლონიოს როდოსელი, „არგონავტიკა“, I,470-493).

არესის შვილი იყო მარპესას მამა – ევენოსი (აპოლოდოროსი, I,7,7-8).

აფარეტიდებს უწოდებდნენ აფარევსის ტყუპ ვაჟებს – იდასს და ლინკევსს. ისინი მონაწილეობდნენ კალიდონის ნადირობაში (აპოლოდოროსი, I,8,2) და არგონავტების ლაშქრობაში (I,9,16); დიოსკურებს – პოლიდევკესსა და კასტორს ექიშპებოდნენ ძმები. იდასმა მოკლა კასტორი, პოლიდევკესმა კი შუბით განგმირა ლინკევსი და იდასს დაედევნა. იდასმა პოლიდევკესს ქვა ესროლა. ცოცხალ-მკვდარი განერთხო მიწას სწორუპოვარი მოკრივე. განრისხებულმა ზევსმა ელვით დაფერფლა იდასი (აპოლოდოროსი, III,11,2; პინდარე, „ნემეური ოდები“, X,53-57).

მარსიასის ამბავი გადმოცემულია ოვიდიუსის „მეტამორფოზების“ (VI,389-400) და აპოლოდოროსის „ბიბლიოთეკის“ (I,4,2) მიხედვით, გათვალისწინებულია სხვა წყაროთა (დიოდოროს სიცილიელი, III,58-59; პლინიუსი, „ბუნებრივი ისტორია“, XVI,89) მონაცემები.

ზოგი ვერსიით, დამარცხებული მარსიასი ფიჭვის (ან ჭადრის) ხეზე დაკიდეს, ტყავი გააძრეს და ისიც იქვე ჩამოკიდეს (აპოლოდოროსი, I,4,2).

მითში ასახულია სიმებიან საკრავთა მიერ სასულე საკრავთა დაჯაბნის პროცესი.

ერთხელ პანიც შეეჯიბრა აპოლონს დაკვრაში. ყველამ ერთხმად აღიარა აპოლონის უპირატესობა. მხოლოდ ფრიგიის მეფემ უქო პანს ხელოვნება. დასაჯა აპოლონმა მიდასი, ვირის ყურებით შეამკო მეფე. თავსაბურავში მალავდა მიდასი ვეება ყურებს. დალაქმა გასცა მისი საიდუმლო – ორმო ამოთხარა, მიწას ჩასძახა მეფის ამბავი. მალე ლერწამი აღმოცენდა იმ ადგილას, სადაც ორმო იყო გათხრილი. დაუბერავდა თუ არა ქარი, შრიალით ამც-

ნობდა მცენარე ყველას მიწაში ჩაფლულ საიდუმლოს (ოვიდიუსი, „მეტამორფოზები“, XI,146-193).

დაფნეს ამბავი გადმოცემულია ოვიდიუსის „მეტამორფოზების“ (I,452-567) და აპოლოდოროსის „ბიბლიოთეკის“ (I,7,9) მიხედვით.

გეას და პენეოსის (ან ლადონის) ასული იყო ნიმფა დაფნე.

დრიოპეს ამბავი გადმოცემულია ოვიდიუსის „მეტამორფოზების“ (IX,330-393) მიხედვით. მითის არკადიული ვერსიით, დრიოპე ჰერმესის სატრფოა და პანის დედა, ხოლო თესალიური ვერსიით, იგი უყვარდა აპოლონს. კუდ გარდასახული ღვთაება დრიოპემ უბეში ჩაისვა, ღმერთი უმალ გველად გადაიქცა და აცდუნა ქალწული. გადმოცემის თანახმად, აპოლონისა და დრიოპეს შვილმა, ამფისოსმა დააარსა ქალაქი ეტა.

პრიაპოსი – დიონისეს (ან ადონისის, სხვა ვერსიით – ზევსის ან ჰერმესის) და აფროდიტეს (ან ერთ-ერთი ნიმფის) ძე, ბაღთა და ხორციელ ტკბობათა ღვთაებაა.

განმარტებები. აპოლონი, მართალია, ყოველთვის მიიჩნეოდა ოლიმპიელ ღმერთთა შორის ყველაზე უფრო ბერძენ ღვთაებად, მაგრამ, როგორც ჩანს, წარმომავლობით იგი მცირეაზიულ ან წინაბერძნულ სამყაროს უკავშირდება. არის აზრი, რომ ზევსის კულტის საბოლოო დამკვიდრებამდე აპოლონი იყო უდიდესი და უძლიერესი ღმერთი. მისი სახელი ჯერ-ჯერობით არ დასტურდება მიკენურ დოკუმენტებში და ასევე არ არის საბოლოოდ გაზიარებული მისი დაკავშირება ხეთურ წყაროებში მოხსენიებულ „Apulunas“-თან ან „Appaliunas“-თან. უკანასკნელ ხანებში ყურადღება მიექცა იმ გარემოებას, რომ ტროაში, ისევე როგორც ძვ.წ. II ათასწლეულის მცირე აზიის მრავალ სახელმწიფოში, ქალაქთა კარიბჭის წინ იდგა სვეტი, რომლის ფუნქცია ნათელი არ არის. უკანასკნელ ხანებში მეცნიერებაში გამოითქვა აზრი, რომ მას ჰქონდა წმინდა საკულტო დანიშნულება და რომ ამ ტრადიციასთან უნდა იყოს სწორედ დაკავშირებული აპოლონის კულტი. როგორც ცნობილია, პარისმა და აპოლონმა სწორედ სკეის კარიბჭესთან მოკლეს აქილევსი („ილიადა“, XXII, 356-360). აპოლონის ერთ-ერთი ეპითეტი „თურაიოსი“ კარს უკავშირდება თავისი მნიშვნელობით. აქედან გამომდინარე, ვარაუდობენ, რომ თავდაპირველად იგი სახლის ზღურბლის, ქალაქის კარიბჭისა და ქვეყნის მისადგომთა მცველი ღვთაება იქნებოდა. აპოლონის ინტეგრაცია ბერძნულ პანთეონში საკმაოდ ორგანულად მოხდა.



მან მარადჭაბუკი ღმერთის სახით დაიმკვიდრა ადგილი და სწორედ ამიტომ მისი პლასტიკური თუ ფერწერული გამოსახულებები ყოველთვის წარმოგვისახავენ ახალგაზრდა ღმერთს. აპოლონს მრავალი ფუნქცია ეკისრება, მის სახელთან არაერთი საკულტო ცენტრია დაკავშირებული. განსაკუთრებით ცნობილი იყო ამ მხრივ დელოსი და დელფო, თუმცა უნდა ითქვას, რომ ჯერჯერობით აპოლონთან დაკავშირებული არცერთი საკულტო ნაგებობა არ სცილდება ძვ.წ. I ათასწლეულის ფარგლებს და არ გადადის მიკენურ ეპოქაში.

აპოლონი მჭიდროდ არის ასევე დაკავშირებული მცირე აზიის სანაპირო ზოლთან და განსაკუთრებით ლიკიასთან, რაც მის ეპითეტში „ლიკეოსი“ (ლიკიელი) არის ასახული. ღმერთის დამკვიდრების პროცესში, როგორც ჩანს, მოხდა სამი უმთავრესი კომპონენტის გაერთიანება: დორიულ-ჩრდილო-დასავლურის, კრეტულ-მინოსურის და სირიულ-ხეთურის. სწორედ ამიტომაა ესოდენ დიდი მისი მოქმედების არე. აპოლონის კულტს ორგანულად ერწყმის მშვილდ-ისარი, თუმცა იგი არ არის მონადირე ღვთაება. როგორც ვარაუდობენ, ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია ის, რომ იგი უმთავრესად ჭირის მომვლენი ღმერთია (ჰომეროსი, „ილიადა“, I,43-53). ამ მხრივ, აპოლონი მიმართებას გვიჩვენებს ჭირის სემიტურ ღმერთთან რიშეფთან, რომლის კულტი დიდხანს იყო შემონახული კუნძულ კვიპროსზე. მრავალ მითში აპოლონის დამღუპველ ხასიათზეა საუბარი (მარსიასი, ნიობე). მაგრამ, ამასთანავე, იგი მკურნალი ღვთაებაც არის (ევრიპიდე, „ანდრომედა“, 880). მასვე მიეწერება ჭირის შეწყვეტა პელოპონესოსის ომის დროს (პავსანიასი, I,3,4). მოგვიანებით აპოლონს აიგივებდნენ მზესთან (მაკრობიუსი, „ სატურნალიები“, I,17) მთელი მისი დამღუპველი და მაცოცხლებელი ფუნქციებით. მისი ეპითეტი „ფოიბოსი“ მიუთითებს სიწმინდეზე, ბრწყინვალებასა და ნათელხილვაზე (ევრიპიდე, „ჰეკაბე“, 827).

ნათელმხილველ აპოლონს მცირე აზიასა და იტალიაში მდებარე მრავალ საკურთხეველს მიაკუთვნებდნენ (სტრაბონი, XVI,1,5; პავსანიასი, VII,3,1-3; ვერგილიუსი, „ენეიდა“, VI,42-101). აპოლონი გაიაზრებოდა, აგრეთვე, „ბედის წინამძღვრად“, მოირაგეტესად, პავსანიასი, X,24,4-5). მან მიანიჭა კასანდრას წინასწარმეტყველების ნიჭი, მაგრამ როდესაც ქალწულმა იგი უარყო, იმით დასაჯა, რომ მისი მისნობის აღარავის სჯეროდა (აპოლოდოროსი, III,12,5). აპოლონის ჩამომავალთა შორისაც ასახელებენ ნათელმხილველებს (ბრანქოსი, სიბილა, მოფსოსი, იდმონი).

აპოლონი მწყემსია („ნომიოსი") და ბაღთა მეუფე (თეოკრიტოსი, ჰომეროსი), ქალაქთა დამაარსებელი, ტომთა მამამთავარი და მფარველი („მშობლიური"). იგი მჭიდროდ არის დაკავშირებული ე.წ. ტომობრივი და გვაროვნული გაერთიანებების წლიურ შეკრებასთან (apallai), რომელიც დადასტურებული იყო დელფოსა და სხვა საკულტო ადგილებში. შესაბამისად, მისი კულტი უკავშირდება წლის განახლებას, მნიშვნელოვანი საქმის დაწყებას, რაც ზეიმით აღინიშნება. აქედან გამომდინარე ნათელია, თუ რატომ ითვლება იგი, აგრეთვე, მუზების წინამძღოლად („მუსაგეტესად") და რატომ მიეწერება მას ხელოვნების მფარველობა.

აპოლონის სახეში გამოიკვეთა ბერძნული მითოლოგიის მრავალფეროვნება მის ისტორიულ განვითარებაში, უპირველეს ყოვლისა, მისი სიახლოვე მცენარეულ სამყაროსთან. მას ეწოდებოდა „დაფნისა", „მუხისა", „პალმა" (კალიმაქოსი, ჰიმნი II,4), „ზეითუნის ხე" (პავსანიასი, VIII,23,4) და სხვ.

აპოლონის ყვავთან, გედთან, მგელთან და ცხვართან გაიგივებაში ღვთაების ზოომორფული საწყისია გამოვლენილი. ყვავად ქცეული ღმერთი მიანიშნებს, თუ სად უნდა დაარსდეს ქალაქი (კალიმაქოსი, ჰიმნი II, 65-68); გედად გარდასახული აპოლონი (კიკნოსი) აფრთხობს ჰერაკლეს (პინდარე, ოლიმპიური ოდები, X,20); ის არის სმინთევსი (ჰომეროსი, „ილიადა", I,39), რაც თაგვთამუსვრელად მოიაზრება და იმაზე მიგვანიშნებს, რომ აპოლონი ყანების, მინდვრების და ზოგადად მოსავლის მფარველ ღვთაებადაც იყო მიჩნეული; ეპითეტში „ლიკეოსი" მგელს, მგელთა მეუფეს ან მგელთა მმუსვრელს გულისხმობენ. რაკი აპოლონი ჯოგთა მფარველი ღვთაება იყო, ამდენად მას „მგელთა მეუფებაც" ევალებოდა (პავსანიასი, II,19,3; X,14,7).

აპოლონია პეანი (პეონი) – მკურნალი, კითარედი (იგ. კითარაზე დამკვრელი).

ოლიმპიური და ჰეროიკული მითოლოგიის სტადიაზე ამ მკაცრ ღვთაებაში იკვეთება დიადი ღმერთის ძლევამოსილი ჰარმონიული ხასიათი. იგი ადამიანებს ეხმარება, ასწავლის სიბრძნეს, უშენებს ქალაქებს, იცავს მტერთაგან, ათენასთან ერთად მამის უფლებას განამტკიცებს.

აპოლონის არქაული ძირების მცირეაზიულ წარმოშობასთან მიმართებაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ეს ღვთაება ტროას ომში ტროელთა დამხმარეა, მას განსაკუთრებულ თაყვანს სცემდნენ ტროადაში (ჰომეროსი, „ილიადა", V,446). მცირე აზიის ბერძნული კოლონიზაციის შემდეგ აპოლონი დამკვიდრდა ოლიმპიელ



ღმერთთა პანთეონში. მან შეიძინა ნათელხილვისა და მუსიკის ნიჭი. აპოლონის სიმკაცრე და სიძლიერე ჰარმონიულად შეერწყა მის სილამაზესა და დახვეწილობას (კალიმაქოსი, ჰიმნი II; აპოლონიოს როდოსელი, „არგონავტიკა" 674-685).

თანამედროვე ევროპაში აპოლონის კულტმა (როგორც წესრიგის, ჰარმონიის, მშვენიერების სიმბოლომ) საინტერესო ინტერპრეტაცია ჰპოვა ნიცშეს თეორიაში ბერძნულ კულტურაში ორი საწყისის – აპოლონურისა და დიონისურის არსებობის შესახებ.

აპოლონი, წყაროთა უმრავლესობით, კუნძულ დელოსზე დაიბადა. ჰომეროსთან ეს ღვთაება მოხსენებულია „ლიკეგენესად" (ანუ „ლიკიელად" – „ილიადა", IV,101). ტაციტუსის გადმოცემით, იგი ორტიგიაზე დაიბადა („ანალები", III 61). ასახელებენ სხვა ადგილებსაც. რა თქმა უნდა, ყველაზე სარწმუნოდ მიჩნეულია მისი დელოსთან დაკავშირება. აპოლონის ტაძარი კუნძულ დელოსზე ითვლებოდა საბერძნეთის პოლისთა დელოსის კავშირის რელიგიურ და პოლიტიკურ ცენტრად. აქ საგანგებოდ დაცულ განძთსაცავებში ინახებოდა ამ კავშირის საგანძური, აქ იმართებოდა მის წევრთა თათბირები.

პითონი, რომელიც დედა-მიწის, გეას შვილი იყო, ანადგურებდა დელფოს შემოგარენს; ამავე დროს დარაჯობდა იქ არსებულ სამისნოს (პავსანიასი, X,6,6). აპოლონმა მისი მოკვლით დიდი ცოდვა ჩაიდინა, მაგრამ მერე განწმენდის შედეგად ახალი ძალაც შეიძინა (პლუტარქე, სამისნოთა დაცემა, 21). აპოლონის მიერ აქ დაარსებული ტაძარი უმნიშვნელოვანესი იყო მისი კულტისადმი მიძღვნილ სხვა ტაძართა შორის. დელფოს დიდება ძვ.წ. VIII საუკუნიდან განსაკუთრებით იზრდება. იგი იქცევა ბერძენთა საერთო რელიგიურ და პოლიტიკურ ცენტრად. დელფოს სახელი გასცდა ელინურ სამყაროს. აქ მოდიოდნენ არა მარტო საბერძნეთიდან, არამედ სხვა ქვეყნებიდან წინასწარუწყების მოსასმენად. აქ, სამისნოში აპოლონის წმინდა სამფეხზე იჯდა ქურუმი ქალი პითია და ღმერთის ნებას აუწყებდა მოსულებს. როგორც წესი, მისი უწყება ორაზროვნობით ხასიათდებოდა, რაც მისი ინტერპრეტაციის დიდ შესაძლებლობებს ქმნიდა. ამით ქურუმებს საშუალება ეძლეოდათ გარკვეული ზეგავლენა მოეხდინათ მთელი საბერძნეთის პოლიტიკურსა და სოციალურ ცხოვრებაზე.

დელფოში ტარდებოდა აპოლონისადმი მიძღვნილი დღესასწაულები: თეოფანიები, თეოქსენიები, პითიური ასპარეზობანი. ეს უკანასკნელი თავისი დიდებულებით მხოლოდ ოლიმპიურ თამაშობებს თუ ჩამოუვარდებოდა. დელფო უამრავ შესაწირს

ილებდა მორწმუნეთაგან. დროთა განმავლობაში ის ბრწყინვალე ნივთების, ხელოვნების ნიმუშთა საგანძურად იქცა.

ნიობეს მითში აისახა ბერძნულ მითოლოგიურ ტრადიციაში მკაფიოდ გამოხატული მოვლენის, „ჰიბრისის“ არსი. ჰიბრისი არის ადამიანის ლტოლვა, გაუთანაბრდეს ან აღემატოს თავად ღვთაებას. რასაკვირველია, ამ სურვილის რეალიზაცია დაარღვევდა იმ კოსმოსს, რომელიც ზევსმა შექმნა. ამიტომ ჰიბრისის გამო მოკვდავი უნდა დასჯილიყო. ნიობეს მითში არსებითად გაერთიანებულია ორი მოტივი: ჰიბრისისათვის სასჯელის მიგება და ტყუპი ღვთაების, აპოლონისა და არტემისის სისასტიკე.

დაფნეს სახე, რომელიც იყო მთის ნიმფა, მდინარის ღმერთის პენევსისა და გეას ასული და ამავე დროს გეას ქურუმი, სიმბოლურად მრავალი დატვირთვის შემცველია. აპოლონისგან მისი დევნა ელინთა მიერ ტემპეს მიწების დაპყრობაზე უნდა მიუთითებდეს, სადაც ღვთაება დაფოინეს ორგიასტული კულტი იყო გავრცელებული. ამ ღვთაებას დაფნის მღეჭავი მენადები ემსახურებოდნენ. დაფოინეს კულტის დამხობის შემდეგ, პლუტარქეს თანახმად, მისი ქურუმები გაიქცნენ კუნძულ კრეტაზე, სადაც მთვარის ღვთაება იყო პასიფაე. დაფნა აპოლონის საკუთრება ხდება და მისი დაღეჭვის უფლება მხოლოდ პითიას ეძლევა.

⑦

*წყაროები და ვარიანტები.* მოგითხრობთ ჰესიოდეს, კალიმაქოსის, აპოლოდოროსის, პავსანიასის, ჰიგინუსის, ოვიდიუსის გადმოცემათა მიხედვით. უფრო ზუსტად წყაროებს მივუთითებთ შესაბამის სიუჟეტთა წარმოდგენისას.

არტემისის დაბადების მითისთვის იხ. ჰესიოდე, „თეოგონია“, 918; აპოლოდოროსი, I,4,1; ჰომეროსის ჰიმნი აპოლონ დელოსელისადმი, XIV და შემდ.; ჰიგინუსი, „მითები“, 140; ელიანოსი, „ნაირნაირი ამბები“, V,4; თუკიდიდე, III,140; სტრაბონი, X,5,5; არისტოფანე, „ფრინველები“, 870, სერვიუსის კომენტარები ვერგილიუსის „ენეიდისათვის“, III,73.

არტემისის შემდგომი თავგადასავალი (კიკლოპებთან, პანთან, პირველი ნადირობა) წარმოდგენილია კალიმაქოსის ამ ღვთაებისადმი მიძღვნილი ჰიმნის მიხედვით.

ალფეოსის ამბავს ვხვდებით პავსანიასთან (VI,22,5).

კალისტოს მითი წარმოდგენილია აპოლოდოროსისა (III,8,2) და ოვიდიუსის „მეტამორფოზების“ (401-530) მიხედვით.



აქტეონის მითი გვხვდება ჰიგინუსთან („მითები“, 181); პავსანიასთან (IX,2,3); ოვიდიუსთან („მეტამორფოზები“, 131-252).

აკონტიოსის ამბავი წარმოდგენილია ოვიდიუსის „ჰეროიდების“ (XX,XXI) მიხედვით.

*განმარტებები.* არტემისი ზევსისა და ლეტოს ასული, აპოლონის ტყუპისცალია. გადმოცემათა თანახმად, იგი უბიწო ცისიერია, ცოცხალი ბუნებისა და ნადირობის მარადქალწული ქალღმერთი. „ნადირთა დედოფალს“ (Pótnia therôn) უწოდებს ჰომეროსი არტემისს „ილიადაში“ (XXI,470; I,3,5, შენ. 48). სხვა წყაროებშიც იგი ტყის ბინადართა მფარველად გვევლინება.

უძველესი წარსულიდან მოდის არტემისის კულტი, როგორც ცხოველთა და მცენარეული სამყაროს ღვთაებისა. მის საკულტო ცხოველებად მიიჩნეოდა ძირითადად ირემი და დათვი. თუ აპოლონი ძველების წარმოდგენით მზის ღვთაებას ედარებოდა, არტემისი ითვლებოდა მთვარის ღვთაებად და მას ხშირად სელენესთან აიგივებდნენ. თავად სახელის – „არტემისის“ ეტიმოლოგია გაურკვეველია. მისი ახსნის რამდენიმე ტრადიციული ვარიანტი არსებობს: „დათვის ღვთაება“, „მეუფე ქალი“, „მკვლელი“.

დავას იწვევს არტემისის მოუხსენიებლობა B-ხაზოვან წარწერებში. აქედან გამომდინარე, დაუდგენელია მისი ბერძნულ პანთეონში შემოსვლის დროც. ზოგი მეცნიერის ვარაუდით, ეს დრო პოსტმიკენურ პერიოდს ემთხვევა. სამაგიეროდ, ეჭვს არ იწვევს ამ ღვთაების კავშირი მცირე აზიასთან. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს მისი ქართული ექვივალენტი – ღვთაება დალი. მას, ისევე როგორც არტემისს, ნადირთა დედოფლად წარმოადგენენ ზეპირი გადმოცემები. შესაძლებელი ჩანს მრავალი საერთო პარალელის პოვნა ამ ორი ღვთაების შედარებისას (სილამაზე, ფუნქციათა ერთიანობა, ტაბუ, სასჯელის ხასიათი და სხვა). დალის კულტი გავრცელებული იყო კავკასიის სხვა ხალხებშიც. ქართულ მეცნიერებაში მას უკავშირებენ შუმერულ და ძველაღმოსავლურ „დილბად“-ს ან „დილბატ“-ს.

პელოპონესოსზე არტემისს თაყვანს სცემდნენ როგორც ნაყოფიერებისა და სიკვდილის ქალღმერთს. მას უძღვნიდნენ წყაროებს, მდინარეებსა და ჭაობებს, რამეთუ მისგან ეძლეოდა მოსავალი მიწას. არტემისის მადლი გადმოდიოდა ცხოველებსა და მცენარეებზე, აგრეთვე ბავშვებზე, რამეთუ იყო მათი მფარველი, მელოგინეთა შემწყნარებელი. სპარტაში მისი საკურთხევლის წინ ყოველწლიურად კოდავდნენ ყმაწვილებს ისე, რომ მათი სისხლი

შესხურებოდა ღვთაების ქანდაკებას. ეს იყო იმ დროთა გამოძახილი, როცა არტემისს, ვითარცა სიკვდილის ღვთაებას, მსხვერპლად სწირავდნენ ადამიანებს. ტავრისში, უკვე ისტორიულ ხანებში, მას უმსხვერპლებდნენ ხოლმე სანაპიროებზე შეპყრობილ უცხოელებს.

არტემისი კეთილმოწყალე ღვთაებად ითვლებოდა. მას ავედრებდნენ ახლობელთა ჯანმრთელობას. მის სურნელოვან საკურთხევლებზე ქალწულები აწყობდნენ თმათა კულულებს, დედოფლები კი ქორწინების დღეს – ბავშვების სათამაშოებს. შემონახულია ასეთი წარწერა: „ეს სარტყელი, ლამაზი ქობითა და ტუნიკა დადო ატისმა შენი ტაძრის კარიბჭესთან, ყმაწვილ ქალთა ღვთაებავ, ლეტოს ასულო, რამეთუ შენი შემწეობით დაიბადოს ბავშვი ჯანმრთელი“. მეთევზის ლოცვა ასეთი იყო: „მე, მეთევზე მინოსი გიძღვნი შენ, არტემის, შემწვარ თევზს. შენთვის ვავსებ თასს პირთამდე წმინდა ღვინით და შენთვისვე ვტეხ ხმელ პურს – მცირედია შესაწირავი, თუმც კეთილი გულით მოძღვნილი. გთხოვ, ჩემი ბადე მუდამ სავსე იყოს თევზებით“. სხვები შესთხოვდნენ მას ქურდებისაგან დაცვას და მსხვერპლად ჰპირდებოდნენ თხას. მოგზაურობებიდან დაბრუნებულნი კი არტემისის ჭალაში ხეზე ჰკიდებდნენ ქუდებს მადლიერებისა და ბედნიერი უკუმოქცევის ნიშნად.

ათენში, ეპიდავროსსა და კუნძულ დელოსზე არტემისის მეტსახელი იყო ჰეკატე (შორით მსროლელი). ამიტომ მას ხშირად აიგივებდნენ მსგავსი სახელით ცნობილ მცირეაზიურ ღვთაებასთან. ამ ჰეკატეს თვლიდნენ სიკვდილის, აჩრდილების, ღამეული მოჩვენებების, ზმანებებისა და ჯადოქრობის ქალღმერთად. უძველეს ხანებში მას წარმოსახავდნენ მოწიფულ ქალად, რომელსაც ხელში ორი ჩირაღდანი ეჭირა. ძვ.წ. V საუკუნეს მიეკუთვნება ქანდაკება, სადაც ეს ღვთაება წარმოდგენილია სამი ქალის სახით. ისინი ზურგებით დგანან ერთმანეთთან. ხელთ უპყრიათ ჩირაღდნები და სურები. გემმებზე ხშირად გვხვდება ამ ღვთაების უცნაური გამოსახულება: მას ექვსი ხელი აქვს და გველებით არის გარშემორტყმული, რაც უჩვეულოა ბერძნულ ღმერთთა პანთეონისთვის და უმალ ინდურ ღმერთს გვაგონებს.

მცირე აზიის ეფესოსში მდგარა არტემისის ტაძარი, სადაც ღვთაება ყოველივე არსებულის დედად იყო წარმოდგენილი – ასი ძუძუთი. ეს იყო არა ბერძნული არტემისი, არამედ აზიური, რომლის კულტიც იქ მაცხოვრებელმა ბერძნებმა მიიღეს და გაითავისეს. მოგვიანებით არტემისს წარმოსახავდნენ მონადირე



ქალწულად, მოკლე, დაუდევრად შემოსარტყლული ტუნიკით, მხარზე კაპარჭითა და ხელში მშვილდით. თმად დიადემა უბრწყინავდა, ნახევარმთვარის სახით. მისი თანმხლებნი იყვნენ ირმები და ნიმფები. რომაულ მითოლოგიაში არტემისი ცნობილი იყო დიანას სახელით. იგი მთვარის განსახიერებად იყო მიჩნეული.

არტემისის კულტი თავდაპირველად ორგიასტული ხასიათისა იყო. მის წმინდა ფრინველად ითვლებოდა ვნებიანი მწყერი. საგაზაფხულო გადაფრენის დროს მწყერთა გუნდებს დასასვენებლად შეეძლოთ შეერჩიათ ორტიგია („მწყერთა კუნძული“. ზოგიერთი გადმოცემის მიხედვით – კ. დელოსის უძველესი სახელი; სხვა წყაროებით, დელოსის ახლოს მდებარე კუნძული).

მარადიული ქალწულობა არ არის არტემისის ერთადერთი განმასხვავებელი ნიშანი. ზოგიერთ ადგილას, მაგალითად, ეფესოსში, მას თაყვანს სცემდნენ სხვა იპოსტასში – როგორც ნიმფას, ე.ი. ორგიასტულ აფროდიტეს, ხოლო მისი მთავარი სიმბოლოები იყო ფინიკის პალმა, ირემი და ფუტკარი. არტემისის ქალწულობა არ არის ისეთი ასექსუალური, როგორც ათენასი, რომელიც თავისი პრაქტიკულ-ორგანიზატორული კეთილგონიერებით გამოირჩევა. მას ეროტიულადაც კი აღიქვამენ გმირები. ჰომეროსის „ოდისეაში“ ოდისევსი ნავსიკაას სილამაზით არტემისს ადარებს (VI,102-109), იმავე დროს მასთან სასიყვარულო ურთიერთობას ამყარებს.

არტემისის ქურუმთა მსახურების ხანგრძლივობა – 9 წელი დაკავშირებულია ალბათ იმასთან, რომ რიცხვი სამჯერ სამი მთვარის კვდომის სიმბოლო იყო. არტემისი გვაგონებს „ნადირთ მეუფეს“ – არქაული ტოტემური საზოგადოების უზენაეს ნიმფაღვთაებას (არტემისი, კიბელე, დიადი დედა, ბრიტომარტისი – იპოსტასებია ერთი ღვთაებისა, რომელიც ბუნების მფარველად ითვლებოდა, ხოლო მისი ეპითეტებია „ნადირთმეუფე“, „ნადირთმკვებავი“, „ნადირთა დედა“). რიტუალური ბანაობა, რომელსაც აქტეონის დასჯა მოჰყვა, ქორბუდა ფურირმებით ალკაზმული ეტლი და ორტიგიის მწყერები მას უფრო მეტად ნიმფას სახით წარმოადგენენ, ვიდრე ქალწულის.

ლიპარა – ეოლიურ კუნძულთა შორის ყველაზე დიდი – სიცილიის ჩრდილო-აღმოსავლეთით.

ტრინაკრია – „სამთხემიანი“. სიცილიის უძველესი სახელწოდება.

ალფეოსის მითს, შესაძლოა, საფუძვლად დაედო წყაროდ გარდასახული არეთუსას ამბავი (იხ. პავსანიასი, V,7,2), რომელ-

საც უნდა აეხსნა ის, თუ რატომ ილებავდნენ სახეს არტემის ალფეოსის ქურუმები ორტიგიაში თაბაშირით ან თეთრი თიხით „თეთრი ღვთაების“ პატივსადებად. alph ერთდროულად ნიშნავს თეთრსაც და მარცვლეულსაც; alphos-ს უწოდებდნენ სხეულზე თეთრ ლაქას (შესაძლოა კეთრს); alphe – მოგება (თეთრი ნიშანი); alphiton – ქერი, ქერის ბურღული; alphito – ეწოდებოდა მარცვლეულის თეთრ ღვთაებას ღორის სახებით. არტემისის ყველაზე ცნობილი ქანდაკება ათენში იწოდებოდა „თეთრწარბად“ (პავსანიასი, I,26,4).

კალისტო, მეფე ლიკაონის (ან ნიქტევსის, ან კეფევსის) ასული, მონადირე ნიმფას განასახიერებს ბერძნულ მითოლოგიაში. იგი აშკარად ატარებს არქაული ადგილობრივი ზოომორფული ღვთაების (კალისტო-დათვი) ნიშნებს. როგორც ჩანს, ეს ღვთაება მოგვიანებით არტემისის სახეში გაერთიანდა. პავსანიასი გადმოგვცემს, რომ არსებობდა არტემის-კალისტოს („უმშვენიერესი არტემისის“) ტაძარი იმ ბორცვზე, რომელიც კალისტოს საფლავად მიაჩნდათ (VIII,35,8). კალისტო ბერძნულად უმშვენიერესს ნიშნავს. ვარაუდობენ, რომ ეს სახელი არტემისის ერთ-ერთი ეპითეტიც იყო. ამ მითთან დაკავშირებით იხ. აგრეთვე წიგნი „ქაოსიდან კოსმოსამდე. ურანოსი, კრონოსი, ზევსი“, გვ. 81.

აქტეონის მითი ნადირობის ტაბუს უკავშირდება: მონადირე თავშეკავებული უნდა ყოფილიყო, კეთილგონიერი, წმინდა და უბიწო. ამით იგი არტემისის კეთილმოწყალეობას იმსახურებდა. მაგრამ ტაბუს დარღვევისათვის მკაცრად ისჯებოდა. აქტეონმა დაარღვია ტაბუ, რომლის მიხედვითაც არ უნდა ეხილა არტემისის ღვთაებრივი სიშიშვლე.

აქტეონი, ჩანს, იყო ირმის ელინურხანამდელი კულტის მეფე-ქურუმი, რომელსაც გლეჯდნენ ნაწილებად ორმოცდაათთვიანი მმართველობის შემდეგ. ეს კი დიადი წლის ნახევარს შეადგენდა. წლის მეორე ნახევარს განაგებდა მისი თანამმართველი. ნიმფა აღასრულებდა განბანის წესს არა მკვლელობამდე, არამედ მის შემდეგ. ამ რიტუალის მრავალი ვარიანტი არსებობს სხვადასხვა ქვეყნის მითებში. ახ.წ. I საუკუნეშიც კი არკადიაში, ლიკეოსის მთაზე ყოველწლიურად მსხვერპლად სწირავდნენ ირმის ბეწვით შემოსილსა და ძაღლებისაგან დაფლეთილ კაცს (პლუტარქე, ბერძნული საკითხები, 39). ამ წესის აღსასრულებლად არჩევდნენ თეთრ ძაღლებს მწითური ყურებით, ისევე როგორც ეს კელტურ მითოლოგიაშია ცნობილი სახელწოდებით „ჯოჯოხეთის მეძებრები“.



აკონტიოსის ამბავი არტემისის ტაძრის დიდ ავტორიტეტზე მიგვითითებს.

⑧

წყაროები და ვარიანტები. ამ თავში მოთხრობილი ამბები ძირითადად გადმოცემულია ჰომეროსის „ილიადისა“ და „ოდისეას“, ჰომეროსის ჰიმნების, აპოლოდოროსის „ბიბლიოთეკის“ მიხედვით.

არესის დაბადების ამბავი გადმოცემულია ჰომეროსის „ოდისეას“ (VIII,264-366), ჰომეროსის ჰიმნებისა და აპოლოდოროსის „ბიბლიოთეკის“ (III,14,2) მიხედვით. ოვიდიუსის გადმოცემით, არესი ზევსის გარეშე ჩაესახა ჰერას, როდესაც შეეხო რომელიღაც ჯადოსნურ ყვავილს („ფასტები“, V,257).

ზოგი ვერსიით, არესის და არის შურის ქალღმერთი ერისი.

არესისა და ათენას ამბავი გადმოცემულია ჰომეროსის „ილიადის“ (V,720-909, XXI,392-433) მიხედვით, გათვალისწინებულია სხვა წყაროთა მონაცემები.

არესის დატყვევების ამბავი გადმოცემულია ჰომეროსის „ილიადის“ (V,385-433), „ოდისეას“ (XI,305-320) და აპოლოდოროსის „ბიბლიოთეკის“ (I,7,4) მიხედვით. გათვალისწინებულია სხვა წყაროთა (პინდარე, პითიური IV,88-92, პავსანიასი, IX,29,1-2) მონაცემები.

არეოპაგოსის დაარსების შესახებ იხ. აპოლოდოროსი, III,14,2; პავსანიასი I,21,7.

განმარტებები. ბერძნულ მითოლოგიაში არესი შეუბრალებელი და ულმობელი ომების ღმერთად არის წარმოდგენილი. მისგან სრულიად განსხვავდება სამართლიანი ომების ქალღმერთი ათენა პალასი. უკვე ჰომეროსის პოემებში უპირისპირდებიან ეს ღვთაებები ერთმანეთს და გამარჯვებული ყოველთვის ათენა რჩება. ჰომეროსი ზევსს ათქმევინებს „ოლიმპოსის მკვიდრთა შორის სწორედ შენ მძულხარ ყველაზე მეტად“ („ილიადა“, V,890) და ამ სიტყვებით გამოხატავს თავის დამოკიდებულებას უსამართლო ომების მიმართ.

ტერმინ „არესის“ ზუსტი ეტიმოლოგია დღემდე არ არის დადგენილი. ზოგნი ფიქრობენ, რომ იგი შეიძლება უკავშირდებოდეს ἀρή, ἄρος ბერძნულ სიტყვებს („უბედურება“, „დაღუპვა“,

„წყევლა“), რაც ომის მიმართ დამოკიდებულების გამოხატულება უნდა ყოფილიყო.

თავდაპირველად „არესი“ უბრალოდ აღნიშნავდა „ომს“ ან „მომაკვდინებელ იარაღს“. ძველი ბერძნული მითი ამ ღვთაების თრაკიულ წარმომავლობაზე მიუთითებს (ჰომეროსი, „ოდისეა“, VIII,361; ოვიდიუსი, „ფასტები“, V,257). ჰეროდოტეს თანახმად, არესი გაიგივებულია რომელიღაც სკვითურ ღვთაებასთან, რომლის სახელიც წყაროებში არ შემონახულა. ამ სკვითური წარმომავლობის ღმერთს თაყვანს სცემდნენ ძველი რკინის მახვილის სახით, რომელიც აღმართული იყო წნელის ოთხკუთხა საკურთხევლის თავზე. მას მსხვერპლად სწირავდნენ შინაურ ცხოველებსა და ყოველ მეასე ტყვეს (ჰეროდოტე, IV,62). ამ სკვითური ღმერთის ბერძნულ არესთან გაიგივება და მისი საკულტო ფორმები ნათელს ხდიან, რომ იგი იყო ომის ღვთაება, დაკავშირებული კოსმოსის ცენტრთან. ოთხკუთხა საკურთხევლის შუაში ვერტიკალურად აღმართული მახვილი იყო მსოფლიო ღერძის ერთ-ერთი განსახიერება. ამას შეიძლება დავუკავშიროთ ლუკიანოსის გადმოცემაც იმის თაობაზე, რომ სკვითები თაყვანს სცემენ ქარსა და მახვილს, იმ ორი საწყისის ერთიანობას, რომელიც ანიჭებს დაართმევს სიცოცხლეს. მიწაში ჩარჭობილი ვერტიკალურად აღმართული მახვილის თაყვანისცემა, ვითარცა ღვთაებისა, დადასტურებულია სარმატებთანაც (მარკელინუსი, XXXI,2,23).

არესის ხთონურ წარმომავლობაზე მიუთითებს გადმოცემა იმის თაობაზე, რომ მას ერთ-ერთ ერინიასთან გაუჩნდა დრაკონი (სოფოკლეს სქოლიონები „ანტიგონესთვის“, 128), რომელიც შემდეგ კადმოსმა მოკლა. არესის შვილებშიც კი თავს იჩენს ზოგჯერ ველური და ულმობელი ხასიათი (მელეაგროსი, ფლეგიასი, ოინომაოსი, თრაკიელი დიომედესი, ამაძონები).

არესის მხლებლები იყვნენ განხეთქილების ქალღმერთი ერისი და სისხლისმოყვარე ენიო. არესის ცხენების სახელები იყო: ბრწყინვალება, ალი, ხმაური, საშინელება. ატრიბუტები – შუბი, ანთებული ჩირაღდანი, ძაღლები, ძერა. თავდაპირველად მის დაბადებასაც ხთონური ხასიათი ჰქონდა (იგი მუცლად იღო ჰერამ რომელიღაც ჯადოსნური ყვავილის შეხებით (ოვიდიუსი „ფასტები“, V,229-260)).

ოლიმპიურ პანთეონში არესი ძნელად დამკვიდრდა, თუმცა ზევსის ძედ წარმოსახეს (ჰომეროსი, „ილიადა“, V,896). ჰომეროსთან იგი ბობოქარი ღმერთია, ომის მოყვარე. მისი ეპითეტებია: „ძლევამოსილი“, „ვეებერთელა“, „სწრაფი“, „ბობოქარი“,



„ზიანის მომტანი“, „ვერაგი“, „ადამიანთა დამღუპველი“, „ქალაქთა მნგრეველი“, „სისხლით მოსვრილი“. ამასთანავე, იგი ისეთი სუსტია, რომ მას ერევა არა მარტო ათენა, არამედ მოკვდავი დიომედესიც. არესი მოხიბლავს უკვდავთა შორის უმშვენიერეს აფროდიტეს („ოდისეა“, VIII,264-366) და მისგან შეეძინება შვილები: ეროსი და ანტეროსი (აპოლონიოს როდოსელის სქოლიონები, III,26), დეიმოსი, ფობოსი და ჰარმონია (ჰესიოდე, „თეოგონია“, I,934 შმდ.).

საბერძნეთში არესის კულტი ნაკლებად იყო გავრცელებული. ერთადერთი ტაძარი მის სახელზე თებეშია დადასტურებული.

ბობოქარი და ამორალური არესი, რომელიც ძლივს შეეთვისა ღმერთთა ოლიმპიურ სიმშვიდეს, რომში იტალიურ ღმერთ მარსთან გააიგივეს, რომლის კულტი ადრე, როგორც ჩანს, მხოლოდ მიწათმოქმედებასთან იყო დაკავშირებული, მაგრამ არესის კულტთან შერწყმის შემდეგ ისიც ომის ღვთაებად აღიქვეს.

## ⑨

**წყაროები და ვარიანტები.** ამ თავში თავმოყრილი მასალა ძირითადად გადმოცემულია ჰომეროსის ჰერმესისადმი მიძღვნილი ჰიმნის მიხედვით. გათვალისწინებულია სხვა უმნიშვნელოვანესი წყაროებიც.

ჩვილი ჰერმესის ოინები მოთხრობილია ჰომეროსის ჰიმნების (V,XIX,XXX) მიხედვით, გათვალისწინებულია სხვა წყაროთა, მათ შორის აპოლოდოროსის „ბიბლიოთეკის“ (III,10,2) მონაცემები.

ზოგი ვერსიით, ჰერმესმა მეზვრე ბერიკაცს ძროხა უძღვნა. თან სთხოვა, არ გამამხილო, აქ რომ ნახირი ჩავატარეო. ერთხანს გულმშვიდად იარა. მერე იფიქრა, მოდი, იმ კაცს შევამოწმებო. იერი იცვალა, უკან დაბრუნდა და მოხუცს ჰკითხა: აქეთ ერთ ყმაწვილს ნახირი უნდა ჩაეტარებინა. თუ მეტყვი, საით წაასხა საქონელი, ხარსა და ძროხას გაჩუქებო. სძლია ბერიკაცს სიხარბემ, გატეხა სიტყვა. განრისხდა ჰერმესი. მდუმარე კლდედ აქცია მოხუცი ნიშნად იმისა, რომ საჭიროა პირობის დაცვა (სოფოკლე, „მეძებარნი“).

ჰერმესის მიერ კუს ბაკნისაგან გაკეთებული საკრავი ზოგ ვერსიაში მოხსენიებულია, როგორც კითარა, სხვაგან კი როგორც ლირა ან ფორმინგსი. შესაბამისად, ასახელებენ სიმთა განსხვავებულ რაოდენობას. ზოგან სამი და ოთხი, ზოგან კი შვიდი სიმია

ნახსენები. ვარაუდობენ, რომ სიმთა რაოდენობა წელიწადის დროის შესაბამისად ჯერ სამი, შემდეგ კი ოთხი იქნებოდა. სიმთა რაოდენობის შვიდამდე გაზრდა აპოლონს მიეწერება.

ზოგი ვერსიით, ქნარის სანაცვლოდ მხოლოდ საქონელი უბოძა აპოლონმა ჰერმესს, სახრე კი სალამურში გაუცვალა შორსმოისარმა ხელმარჯვე ოსტატს (აპოლოდოროსი, III,X,2).

დაფნისის ამბავი გადმოცემულია მითის სხვადასხვა ვერსიაზე (თეოკრიტოსი, „იდილიები", I და VII; დიოდოროს სიცილიელი, IV,84; ელიანოსი, „ნაირნაირი ამბები", X,18 და სხვ.) დაყრდნობით. ზოგი ვერსიით, ნიმფებმა აღზარდეს დაფნისი, ზოგი ვერსიით – მწყემსებმა. მის სატრფოებად ასახელებენ ნომიას, ქსენიას და ნაისას. მითის ერთ-ერთი ვერსიით, დაფნისმა ზღვაში დაიხრჩო თავი.

ჰერმესის მისიისათვის გათვალისწინებულია სხვადასხვა წყაროთა (ჰომეროსის „ილიადა", „ოდისეა"; ჰომეროსის ჰიმნები, ვერგილიუსის „ენეიდა", ოვიდიუსის „მეტამორფოზები", აპოლოდოროსის „ბიბლიოთეკა" და ა. შ.) მონაცემები.

ჰერმესისა და გლეხკაცის ამბავი გადმოცემულია ეზოპეს ამავე სახელწოდების იგავის მიხედვით.

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ე ბ ი. ჰერმესი ბერძნული პანთეონის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ღმერთია, რადგანაც მისთვის ნიშანდობლივია არა მარტო მრავალი სასიკეთო ფუნქცია, არამედ ისეთიც, რომელიც უკვდავთათვის შეუფერებელიც კი ჩანს. მისი სახელი დასტურდება მიკენურ დოკუმენტებში, რაც იმაზე მიუთითებს, რომ იგი ბერძნულ პანთეონში ადრევე უნდა შესულიყო.

ჰერმესის სახელი უკავშირდება ბერძნულ სიტყვას „ჰერმა", რაც ქვების გროვას ან ქვის სვეტს აღნიშნავს. ჰერმები ძველად ძირითადად საფლავებსა და გზაჯვარედინებზე იდგმებოდა. მოგვიანებით მოხდა მათი გაფეტიშება. ჰერმა გზის, კარიბჭისა და საზღვრების მფარველად აღიქმებოდა. მისი შერყვნა დიდი მკრეხელობა იყო. თავის მხრივ, ამ სიტყვის ეტიმოლოგია უცნობია, რაც ღვთაება ჰერმესის წინაბერძნულ წარმომავლობაზე მიუთითებს.

უძველეს ხანებში ცნობილი იყო მნიშვნელოვან ადგილთა შემოფარგვლის ტრადიცია: ადამიანი გარკვეული ფუნქციის მქონე ადგილის მონახულების შემდეგ ტოვებდა ქვას თავის იქ ყოფნის აღსანიშნავად. ასეთ ნაკვეთთა გამოყოფის სხვა ფორმა იყო ე.წ. ფალიკური იმპონირება. შესაბამისად, ქვათა გროვა და ალმართული სვეტები, გარკვეული პერიოდიდან მოყოლებული, საყოველთაოდ გავრცელებულ ხასიათს იღებენ. სვეტი თანდათან



ოთხკუთხედის ფორმას იძენს და მასზე ჩნდება წვერებიანი კაცის თავი ფალოსის გამოსახულებით. ასეთ მონუმენტს თავიდან შეერქვა ჰერმესი. მოგვიანებით, ლათინური ენის გავლენით, მდედრობითი სქესის შესაბამისად მან მიიღო ფორმა „ჰერმე". მეცნიერებაში ჯერ კიდევ არ არის დადგენილი, თუ როგორ მოხდა ამდაგვარი ფეტიშის გარდასახვა ოლიმპიელ ღმერთად. ეპოსში ჰერმესის მითოლოგიური სახის წარმოჩენისას ორი მოტივია წამოწეული: იგი, უპირველეს ყოვლისა, არის კულტურის მატარებელი ღვთაება, ამავე დროს ღმერთების შიკრიკიცაა. ეს კი ძველ აღმოსავლურ წყაროებში პოულობს პარალელებს. „ჰერმესი", როგორც შემოფარგლული მიწის ხელუხლებელი ნიშანი, ისეთ მითებში გარდაისახა, სადაც მოთხრობილია ამბები საზღვრის გადალახვისა და ტაბუს დარღვევის თაობაზე.

ღმერთ ჰერმესთან დაკავშირებული მთავარი მითი მის მიერ ძროხების მოპარვის ამბავს გვაუწყებს; მას ცეცხლის გამოგონებასა და ღმერთებისადმი მსხვერპლის შეწირვის ტრადიციის საფუძვლის ჩაყრას მიაწერენ. ამგვარად, გარკვეულწილად, იგი პრომეთეს პარალელადაც გვევლინება. იმისთვის, რომ მსხვერპლი შესწირო, აუცილებელია აპოლონის წმინდა ნახირის ხელშეუხებლობის ტაბუს დარღვევა. ამის გაკეთება კი მხოლოდ ოინთა ოსტატს შეუძლია. ჰერმესის არსში მპარავის ბუნება უკვე „ილიადაში" არის გამოკვეთილი. მაგრამ ეს „ქურდობა" უფრო მეტად თავგადასავალთა ძიებასთან არის დაკავშირებული, ვიდრე რაიმეს ხელყოფასთან (შდრ. ჰომეროსი, „ილიადა", XXIV,334-470).

ის უმთავრესი საზღვარი, რომელსაც ჰერმესი გადალახავს, არის საზღვარი ცოცხალთა და მიცვალებულთა შორის. ამ ტაბუს დამრღვევად ღმერთების მაცნე ღვთაება უკვე ჰომეროსის პოემებში წარმოგვიდგება (შდრ. „ოდისეა", XXIV,1-14).

ჰერმესს უძველეს წყაროებში კიდევ მრავალი ფუნქცია ეკისრება. იგი მფარველობს ვაჭრებსა და ზოგადად ვაჭრობას. აქედან გამომდინარე, ბედნიერების მომტან ღვთაებადაც მიაჩნდათ. ამიტომ დაარქვეს მოულოდნელად ბოძებულ ან ნაპოვნ ნივთს ჰერმაიონი – ჰერმესის ძღვენი.

ღვთაებას მუდამ თან დააქვს ოქროს კვერთხი – კერიკეონი. ამის გამო უწოდეს მას ქრისორაპისი – ოქროსკვერთხოსანი. ამ კვერთხით ხელში აღასრულებს ჰერმესი თავის უწმინდეს მოვალეობას – მიცვალებულთა სულებს აცილებს ჰადესში. ამიტომ შეარქვეს მას ფსიქოპომპოსი – სულების გამცილებელი.

კვერთხის შეხებით აძინებს ჰერმესი მოკვდავს, რათა სიზმარში განუცხადოს ამა თუ იმ ღვთაების ნება (ჰომეროსი, „ოდისეა“, V,47). ზოგი ვერსიით, თეთრი ბაფთებით იყო ჰერმესის კვერთხი დამშვენებული, ზოგი ვერსიით კი ორი გველი იყო მასზე შემოგრაგნილი.

ჰერმესი უკვდავთა და მოკვდავთა შემწე ღვთაებაც არის. მან აჩუქა ზევსისა და ანტიოპეს ძეს, ამფიონს, ქნარი. ამ საკრავის ჯადოსნურ ხმაზე თავისით იგებოდა თებეს ქვის გალავანი (აპოლოდოროსი, III,5,5). ჰერმესმა მისცა ოდისევსს კირკესაგან თავის დასაღწევად ჯადოსნური ბალახი, რომელსაც მოლი ეწოდება (ჰომეროსი, „ოდისეა“, X,277-307). მანვე იხსნა ომის მრისხანე ღმერთი, არესი ალოადების ხრიკებისაგან (აპოლოდოროსი, I7,2; ჰომეროსი, „ილიადა“, V,389-391); ჰერმესმა გაუწია დახმარება ტროას მეფეს, მრავალჭირნახულ პრიამოსს, რომელიც შვილის, ჰექტორის გვამის გამოსახსნელად მიეშურებოდა აქილევსთან (ჰომეროსი, „ილიადა“, XXIV,353-694); ათენასა და ჰერმესის შემწეობით მიაგნო ზევსისა და დანაეს ვაჟმა, პერსევსმა გრაიების ადგილსამყოფელს (აპოლოდოროსი, II,4,2); ჰერმესმა და აიგიპანმა (პანმა) იპოვეს მყესები, რომლებიც ზევსს ამოკვეთა ტიფონმა. მათვე გაუმრთელეს თავიანთ მბრძანებელს ტანი და კვლავ ბრძოლის ველზე დააბრუნეს იგი (აპოლოდოროსი, I,3).

ერინიოსი – სიკეთის მომტანი ღვთაებაა ჰერმესი (ეზოპე, იგავი „ჰერმესი და გლეხკაცი“); მან ააწყო ტანტალოსის მიერ ნაკუწებად აქნილი პელოფსი და შეჭმული მხრის ნაცვლად სპილოს ძვალი ჩაუდგა ყმაწვილს (ოვიდიუსი, „მეტამორფოზები“, VI,403-412). საზრიანი, მოხერხებული ღმერთია იგი. ამ თვისებათა წყალობით იხსნა ფეხმარდმა ღვთაებამ ზევსის სატრფო, ძროხადქცეული იო, საზარელი ასთვალა (ზოგი ვერსიით ოთხთვალა, ათასთვალა) ურჩხულისაგან – სალამურის დაკვრითა და თავშესაქცევი ამბის თხრობით ჩააძინა და ხმლით მოუსწრაფა სიცოცხლე არგოსს (აპოლოდოროსი, II,1,2-3; ოვიდიუსი, „მეტამორფოზები“, I,624-673). ამიტომ უწოდეს მას არგეიფონტესი – არგოსის მკვლელი; მამაციცაა ჰერმესი – მან მოკლა გიგანტი ჰიპოლიტოსი (აპოლოდოროსი, I,6,2).

ჰერმესის წმინდა ფრინველია წერო. ოქროსკვერთხოსანს მსხვერპლად სწირავდნენ ღორს, თიკანს, თხას და ცხვარს. მასვე სწირავდნენ ყოველგვარი სამსხვერპლო ცხოველის ენას, რადგან მჭევრმეტყველთა და მჭევრმეტყველების მფარველ ღვთაებად მიაჩნდათ იგი.



ჰერმესს დიდ პატივს მიაგებდნენ ანთესტერიებზე. ეს დღესასწაული გაზაფხულის დამდეგს იმართებოდა და სამ დღეს გრძელდებოდა. ზეიმის მესამე დღეს „ქოთნები“ ეწოდებოდა. ეს დღე მიცვალებულთა სულების ჰადესში ჩამცილებელ ღვთაებას, ჰერმეს-ფსიქოპომპოსს ეძღვნებოდა. ხალხს სასმელ-საჭმელით სავსე ქოთნები და ქილები მიცვალებულთა სულებისათვის შინიდან გარეთ გამოჰქონდა. ყველას ეგონა, რომ ამ დღეს უბრუნდებოდა ყოველი სული საკუთარ კერას. დღის ბოლოს იწყებოდა სულთა განდევნა.

სახვით ხელოვნებაში ჰერმესი თავდაპირველად წვეროსან, ჭარმაგ მამაკაცად იყო წარმოჩენილი. მოგვიანებით მან წარმოსადეგი ყმაწვილის იერი მიიღო, რომელიც სიმშვიდისა და კეთილგონიერების განსახიერებას წარმოადგენდა. მისი ატრიბუტებია: სამგზავრო ქუდი (პეტატოსი), როცა ის მგზავრთა მფარველ ღვთაებად არის წარმოდგენილი (ქუდი ზოგჯერ ფრთებითაა დამშვენებული); ფრთოსანი სანდლები (პედილა) და გველებშემოგრაგნილი ან ბაფთებით შემკული კვერთხი (კერიკეონი), როცა ღვთაება უკვდავთა მაცნედ, მიცვალებულთა სულების ჰადესში ჩამცილებლად, ფსიქოპომპოსადაა წარმოსახული; ჰერმესს, როგორც მწყემსთა და პირუტყვთა მფარველს, ზოგჯერ კრავი ჰყავს მხარზე შემოსმული; ზოგჯერ მას ქისა უკავია ხელში. ამ შემთხვევაში იგი ვაჭართა და ვაჭრობის მფარველ ღვთაებას განასახიერებს.

რომაელებმა ჰერმესის კულტი ადრევე მიიღეს, გაითავისეს და დროთა განმავლობაში იგი ვაჭრობისა და მოგების მფარველ ღვთაებასთან, მერკურიუსთან გააიგივეს.

მითი, რომელშიაც წარმოდგენილია ჰერმესის ბავშვობა, შემონახულია მხოლოდ გვიანი ხანის ლიტერატურული ფორმით.

ღმერთ ჰერმესის თავგადასავალი უკავშირდება ქვის სვეტებს (ამ შემთხვევაში უკვე ფალოსებს), რომლის გარშემოც თავს იყრიდნენ ნაყოფიერების წინაელინური კულტები. ჰერმესს დაეძებნება პარალელები ძველეგვიპტურ მითოლოგიაში სიბრძნის ღვთაების თოთისა და იმქვეყნიურ სამყაროში გამცილებლის, ანუბისის სახით. ყოველივე ამის გათვალისწინებით, უკვე ჰომეროსის ეპოსში ნათლად იკვეთება ოინბაზი ღვთაების სახე.

ჰერმესს მიეწერება ცეცხლის გაჩაღება ხახუნის მეშვეობით. ეს პროცესი (ჯოხის ხახუნი ხეზე) აღიქმებოდა მამაკაცური და ქალური საწყისების შეხების თვალსაზრისით და გულისხმობდა ფალიკურ მაგიას.

ჰერალდიკური თეთრი ბაფთები, რომლებიც ჰერმესის კვერთხზე იყო მიმაგრებული, მხოლოდ მოგვიანებით მიიჩნიეს გველებად. ეს იმიტომ მოხდა, რომ მის ფუნქციათა შორის ჰადესში ჩამავალ სულთა გაცილებაც მოიაზრებოდა.

თრიებად ბერძნულ მითოლოგიაში სამ ფრთოსან ნიმფას წარმოსახავდნენ. ისინი ზევსის ასულები იყვნენ და პარნასოსის მთაზე მკვიდრობდნენ. მათ მიეწერებოდათ კენჭებით მკითხაობის შემოღება. თრიები ითვლებოდნენ აპოლონის აღმზრდელებად. მათი ნათელმხილველური ნიჭი მაშინ იჩენდა თავს, როდესაც ისინი თაფლით თვრებოდნენ (ჰომეროსის ჰიმნი III,552-556). „თრიები" ეწოდებოდა, აგრეთვე, სამკითხაო კენჭებს. პირველ წინასწარმეტყველებას სწორედ მათი საშუალებით ახდენდა აპოლონის ქურუმი პითია. დიდი ხნის განმავლობაში აპოლონის კულტისათვის ნიშანდობლივი იყო თრიებით მისნობის ხელოვნება. ბოლოს იგი ღვთაებამ ჰერმესს გაუცვალა სტვირში, რითაც თავის კულტს მოაცილა ეს ფუნქცია (აპოლოდოროსი, III,10,12; I,9,16; კალიმაქოსი, ჰიმნი II,45, სქოლიონები). სხვა ვერსიით, თრიებით მკითხაობის დაარსება მიეწერება ათენას, რომელსაც ზევსმა ასწავლა ეს ხელოვნება (ბერძნული ანდაზები, ძენობიოსი, II,44).

## ⑩

**წყაროები და ვარიანტები.** დიონისეს შესახებ მრავალი ავტორი მოგვითხრობს. მათ შორის უძველესია ჰომეროსის, ჰესიოდეს, ევრიპიდეს, აპოლონიოს როდოსელის და სხვათა გადმოცემები.

დიონისეს დაბადების ამბავი მოთხრობილია ოვიდიუსის „მეტამორფოზების" (III,260-315, IV,512-562), ჰომეროსის ჰიმნის (I,1-21), აპოლოდოროსის „ბიბლიოთეკის" (III,4,3) მიხედვით.

მითის მთავარი ვერსიით, დიონისე ზევსისა და სემელეს შვილია. სხვა გადმოცემით მისი დედა იყო დემეტრე ან იო (დიოდოროს სიცილიელი, III,62 და 74; IV,4). სხვები ასახელებენ დიონეს, პერსეფონეს (რომელსაც თანაეყო გველად გარდასახული ზევსი) და ლეტოსაც კი (ორფიკული ფრაგმენტი, 59; პლუტარქე, სანადიმო საკითხები, VII,5,705-13).

დიონისეს ათამასთან და ინოსთან ყოფნის ამბავი გადმოცემულია შემდეგი წყაროების მიხედვით: ევრიპიდე, „ბაკქი ქალები", 99-102; პავსანიასი, VIII,37,3; დიოდოროს სიცილიელი, III,62;



ორფიკული ჰიმნი XIV,6; კლიმენტ ალექსანდრიელი, ბერძნებისადმი, II,15, შემდ.

დიონისე ნიმფებთან მოთხრობილია შემდეგი წყაროებით: აპოლოდოროსი III,4,3; ჰიგინუსი, მითები, 182; დიოდოროს სიცილიელი, III,68-69; აპოლონიოს როდოსელი, IV,1133; სერვიუსი, კომენტარები ვერგილიუსის „ბუკოლიკებისათვის", VI,15.

ეგვიპტეში მოგზაურობის ამბავი გადმოცემულია აპოლოდოროსის (III,5,1), ესქილეს „ედონიელებისა" (ფრაგმენტი) და დიოდოროს სიცილიელის მიხედვით (III,70-71).

ინდოეთთან დაკავშირებული ამბები წარმოდგენილია შემდეგი წყაროებით: ევრიპიდე, „ბაკქი ქალები", 73; თეოფილოსი პლუტარქესთან, მდინარეთა შესახებ, 24; პავსანიასი, X,29,2; VII,2,4-5; დიოდოროს სიცილიელი, II,38; სტრაბონი, X,5,5; არიანე, „ინდოეთის შესახებ", 5; პლუტარქე, „ბერძნული საკითხები", 56.

მიდასის მითი გადმოცემულია ოვიდიუსის „მეტამორფოზების" (XI,85-147) მიხედვით. სხვა ვერსიით, მიდასმა ტანი განიბანა მდინარე პაქტოლოსში, რომელიც ოქროს ქვიშით არის ცნობილი.

ლიკურგოსის მითი წარმოდგენილია აპოლოდოროსის (III,5,1) და ჰომეროსის („ილიადა" VI,130-140) მიხედვით.

პენთევსის მითი ევრიპიდეს ტრაგედიის, „ბაკქი ქალების" მიხედვით წარმოვადგინეთ. ამ დრამატულ ამბავს ანტიკური ხანის მრავალი ავტორი ეხება. შდრ. თეოკრიტოსი, „იდილიები", XXVI; ოვიდიუსი, „მეტამორფოზები", II, 511-733; აპოლოდოროსი, „ბიბლიოთეკა", III, 5.2; ვერგილიუსი, „ენეიდა", IV,469-470; ნონოსი, XIV-XVI და სხვა.

მინიასის ასულების ამბავი გადმოცემულია ოვიდიუსის „მეტამორფოზების" (IV,1-54;389-415) მიხედვით. გათვალისწინებულია სხვა წყაროთა (ანტონინუს ლიბერალუსი, 10; ელიანოსი, ნაირნაირი ამბები, III,42; პლუტარქე, ბერძნული საკითხები, 38) მონაცემები.

ტირსენიელი მეკობრეების ამბავი გადმოცემულია ოვიდიუსის „მეტამორფოზების" მიხედვით. შდრ. ჰომეროსის ჰიმნი (VIII,12-57); აპოლოდოროსი „ბიბლიოთეკა" (III,5.3).

არიადნეს ამბავი გადმოცემულია ოვიდიუისის „მეტამორფოზების" (VIII,155-182), პლუტარქეს „პარალელური ბიოგრაფიების" („თესევსი", 20) და აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკის" (III, 997-1004; IV, 424-437; 1133-1138) მიხედვით. შდრ. აპოლოდოროსის „ბიბლიოთეკა" (III,1.2;III,1.4;III,15.7), ჰესიოდეს „თეოგონია" (947-949), ჰიგინუსის "პოეტური ასტრონომია" (II,5). არიადნეს მითი უფრო დაწვრილებით მოთხრობილი იქნება ჩვენი სერიის მეხუთე წიგნში.

ცად ამაღლების ამბავი გადმოცემულია სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით. მათ შორის უმთავრესია: აპოლოდოროსის „ბიბლიოთეკა“ (III,5.1; III,5.3) და პავსანიასი (1,22,6; II,31,2).

განმარტებები. დიონისეს ანტიკურ ხანაში თვლიდნენ ღვინისა და ექსტაზის ღმერთად, მაგრამ, როგორც ჩანს, მისი ფუნქცია უფრო მრავალფეროვანი იყო. დიონისეს კულტი ჩასახვასა და განაყოფიერებასთან იყო დაკავშირებული, აგრეთვე, თრობით გამოწვეულ თავაშვებულობასთან, რაც ადრეულ ხანებშივე თან სდევდა ამ ღმერთის თაყვანისმცემელთა მიერ გამართულ ზეიმებს. მოგვიანებით შეიცვალა დიონისეს კულტისადმი დამოკიდებულება. იმძლავრა რელიგიურმა ექსტაზმა. ადამიანი ცდილობდა მიახლოვებოდა ღვთაებას, რომელიც მისთვის ნეტარების განსახიერება იყო.

დიონისეს კულტისათვის დამახასიათებელი „mania„ („სიშმაგე“, „გონებიდან გადასვლა“, „სიგიჟე“) უკავშირდებოდა „menos"“-ს („ძალას“) და ორივე ერთად განასახიერებდა არა უბრალოდ „შეშლილობას“, არამედ „თვითგანცდილი სულიერი ძალის აღმავლობას“. დიონისურ ექსტაზს ერთი მნიშვნელოვანი თავისებურება გააჩნდა: მას ცალკეული პიროვნება კი არ განიცდიდა, არამედ ადამიანთა მთელი ჯგუფი. შესაბამისად, იგი მასობრივი ფენომენი იყო. სწორედ ამიტომ მითიური დიონისე მუდამ ამალის თანხლებით იმკვიდრებდა თავს. ვინც დიონისეს არ ცნობდა, იგი გონებიდან გადადიოდა, და ამ თვისებით უკვე მის მიერვე უარყოფილი ღმერთის თანაზიარი ხდებოდა. ეს ერთდროულად ღვთაებრივი ძალის გამოვლენაც იყო და განწმენდაც. ამ პროცესში გარდასახული პიროვნება ღმერთის თანაზიარი ხდებოდა და ორივეს „ბაკქოსად“ ანუ „გონგარდასულად“ მოიხსენებდნენ.

დიდი ხნის განმავლობაში მეცნიერები ფიქრობდნენ, რომ პიროვნების ასეთი ნიველირება ბერძნული ფსიქიკისათვის არ უნდა ყოფილიყო ტიპიური. აქედან გამომდინარე, ვარაუდობდნენ, რომ დიონისეს კულტი საბერძნეთში საკმაოდ გვიან, შესაძლოა, ჰომეროსის შემდგომაც კი შემოვიდა. რაც შეეხება ჰომეროსის მიერ ამ ღვთაების მოხსენებას, ამას თავდაპირველად გვიანი ხანის ჩანართად მიიჩნევდნენ. მაგრამ ამ ღმერთის მიკენურ დოკუმენტებში მოხსენიებამ და ბრინჯაოს ხანის ეგეიდის არქეოლოგიურმა აღმოჩენებმა ნათელი გახადეს, რომ დიონისეს საკუთარი ადგილი ჰქონდა მიჩნეული ბერძნულ პანთეონში ჰომეროსამდე დიდი ხნით ადრეც, რომ მისი კულტი კ. კეოსზე მე–15 საუკუნიდან მაინც



უნდა არსებულიყო. ინტერესმოკლებული არ არის ის ფაქტი, რომ ამ კუნძულზე აღმოჩნდა ტაძარი, სადაც დიონისესადმი მიძღვნილი წარწერაა დადასტურებული; ამას ემატება ისიც, რომ ანთესტერიების ზეიმი, რომელსაც თუკიდიდე უძველეს ზეიმს უწოდებს, ათენელებსა და იონიელებს საერთო ჰქონდათ. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ დიონისესადმი მიძღვნილი ეს დღესასწაული უნდა არსებულიყო მანამდე, ვიდრე იონიელები მცირე აზიაში გადასახლდებოდნენ.

დაუდგენელია „დიონისეს“ ეტიმოლოგიაც. ტრადიციულად მას თარგმნიან „ზევსის შვილად“ (Dionysos – Deunysos, Zonnysos). თუმცა დღეს მეცნიერებაში დომინირებს აზრი მისი წინაბერძნულ-ეგეოსური გარემოდან წარმომავლობის შესახებ, ისევე, როგორც მის კულტთან დაკავშირებული მრავალი ტერმინისა. კერძოდ, მიაჩნიათ, რომ არაბერძნული წარმომავლობისაა დიონისეს დედის, სემელეს სახელი, თავად დიონისეს მეორე სახელი ბაკქოსი, თირსოსი – მისი სუროებით შემკული კვერთხი, თრიამბოსი და დითირამბოსი – საკულტო სიმღერები და სხვა. ეს ტერმინები, შესაძლოა, ფრიგიულ-ლიდიურ-მცირეაზიურ სამყაროს უკავშირდებიან, ისევე, როგორც კიბელეს სახელი, რომელსაც ხშირად რეასთან აიგივებენ.

ბერძნული ტრადიცია დიონისეს აღმოსავლური (თრაკიულ-ლიდიურ-ფრიგიული) წარმომავლობის ღვთაებად მიიჩნევს და მისი კულტის საბერძნეთში მომძლავრების ხანად ძვ.წ. VIII–VII საუკუნეებს ასახელებს. თუმცა ეს ღვთაება საბერძნეთში, როგორც აღვნიშნეთ, გაცილებით უფრო ადრე იყო პოპულარული. არ არის შემთხვევითი ის ფაქტი, რომ უკვე ჰომეროსთან, სადაც დიონისე იშვიათად, მაგრამ მაინც მოიხსენიება, იგი საპატიო ეპითეტებით არის შემკული. არქაიკის ეპოქიდან დიონისეს პოპულარობა გაიზარდა და ამას, რა თქმა უნდა, თავისი მიზეზები ჰქონდა. უპირველეს ყოვლისა ის, რომ იგი მიწათმოქმედთა და მევენახეთა აღიარებული ღმერთი იყო. ეს კი ხალხთა ფართო მასებს მოიცავდა. ამას უკავშირდებოდა ისიც, რომ დიონისური განმუხტვა ღვინით მიღებული თავისუფლებით (უწმაწურობა, ორგიები) გარკვეული მომენტიდან ცივილიზაციის მიერ შემუშავებული ტაბუთი თუ აკრძალვებით საკმაოდ დატვირთული საზოგადოებისათვის აუცილებელი ხდებოდა. დიონისე იმხანად ცნობილი იყო როგორც ლისიოსი – „გამათავისუფლებელი“. იგი ათავისუფლებდა ადამიანებს ყოველდღიური საზრუნავებიდან, მათ ხელ-ფეხიდან აცლიდა ბორკილებს და უღებდა საპყრობილეთა კარებს (ევრიპიდე, „ბაკქი ქალები“, 616-626).

სწორედ ამ პოპულარობამ განაპირობა ის, რომ დიონისეს
მრავალი დღესასწაული მიეძღვნა, რაც თავისთავად ბერძნული
დრამის აღმოცენების საფუძველიც გახდა.

დიონისეს სახელთან დაკავშირებულ დღესასწაულებს ოთხ
ტიპად აჯგუფებენ: ა) ანთესტერიები, რომლებიც იონიურ-ატიკურ
გარემოში იმართებოდა და რომლისთვისაც ნიშანდობლივი იყო
ღვინით თრობა; ბ) აგრიონული ზეიმები, რომლებიც დორიულ-
ეოლიურ გარემოში გვხვდება. იგი დაკავშირებული იყო ქალთა
სიშმაგესა და კანიბალურ ფანტაზიებთან; გ) სოფლის დიონისიე-
ბი, რომელიც თხის შეწირვითა და ფალოსის პროცესიით მიმ-
დინარეობდა; დ) დიდი დიონისიები ანუ დიონისეს შემოსვლა
ზღვიდან („კატაგოგია“), მთავარი ზეიმი, რომელიც ათენში ძვ.წ.
VI საუკუნიდან დაფუძნდა.

საკმაოდ ადრეული უნდა იყოს ამ დღესასწაულებში მსხვერპლ-
შეწირვის ორგიასტული, მისტერიული მომენტების და ე.წ. იდუ-
მალებით მოცული კულტების დამკვიდრება.

მსხვერპლშეწირვა უძველეს ხანებში დიონისეს ტაძრის მახ-
ლობლად ტარდებოდა. შუაგულ მოედანზე, მიწაზე სამსხვერპლო
იდგა. სამსხვერპლოს ირგვლივ ხალხი ფერხულს უვლიდა. ერთი
მათგანი დიონისეს განსადიდებელ სიმღერას – დითირამბს მღე-
როდა.

იმ ადგილს, სადაც ხალხი ფერხულს უვლიდა, ორქესტრა
(საცეკვაო მოედანი) ერქვა. სამსხვერპლოსა და ორქესტრას წინ
მაყურებლისათვის ხის მერხები იდგა. მოგვიანებით რკალისებუ-
რი ხის ტერასები ააგეს და იქაც ხის მერხები დადგეს. მაყურებ-
ლისათვის განკუთვნილ ასეთ ადგილს თეატრონი (სახილველი)
ეწოდა. ხალხი თეატრონიდან ადევნებდა თვალს მსხვერპლშეწირ-
ვის პროცესს და ცეკვას, უსმენდა დითირამბს, რომელიც თავდა-
პირველად იმპროვიზირებული იყო. მოგვიანებით დითირამბს
პოეტებს ათხზვევინებდნენ. პირველი ბერძენი პოეტი, რომელმაც
დითირამბს არაიმპროვიზირებული ხასიათი მისცა, იყო არიონი
(ძვ.წ. VII–VI სს.). მანვე აქცია დითირამბი საგუნდო სიმღერად და
ქოროს წევრები შემოსა თხის ქურქებით. ამით იმაზე მიანიშნებ-
და, რომ გუნდის მომღერლები სატირები იყვნენ. საგუნდო სიმღე-
რა-დითირამბის შემსრულებელ მომღერლებს უწოდეს „ტრაგოი„
ანუ თხები, ხოლო მათ სიმღერას „ტრაგოდია“ ანუ თხების სიმღე-
რა. არაიმპროვიზირებული დითირამბის საფუძველზე შექმნილი
საგუნდო სიმღერა-დითირამბის დანიშნულება დიონისეს გან-
დიდება იყო.



მსხვერპლშეწირვის შემდეგ ტარდებოდა სხვადასხვა სახის
სანახაობა (ეტლით სრბოლა, კრივი და სხვ). შემდეგ იწყებოდა
მხიარული მსვლელობა. მსვლელობის მონაწილენი მეტწილად
მთვრალები იყვნენ. მათთვის დიონისე თრობის, აღვირახსნილო-
ბის, თავაშვებული ღრეობის ღვთაება იყო. პროცესიის მოთავეს
ხელში ეკავა სარი, რომელზეც განაყოფიერების სიმბოლო – ფა-
ლოსი იყო წამოცმული. მსვლელობის მონაწილენი ფალიკურ ანუ
მხიარულ, უშვერ სიმღერებს მღეროდნენ. მკვლევართა უმრავ-
ლესობის აზრით, დღესასწაულის იმ ნაწილმა, რომელშიც დი-
ონისეს უმღეროდნენ დითირამბს, მისცა დასაბამი ტრაგედიას,
ხოლო ფალიკური სიმღერები გახდა საწყისი კომედიისა.

საკმაოდ ადრეული ჩანს დიონისეს კულტის დაკავშირება ე.წ.
ეროტიულ სფეროსთან. ამას ხელს ისიც უწყობდა, რომ ღვინით
თრობა და ხორციელი ტრფობა განუყოფელი ხდებოდა ინდი-
ვიდუალიზმის ტენდენციებით გარემოცული საზოგადოები-
სათვის. დიონისეს კულტი იმდენად ძლიერი იყო, რომ მან გარ-
კვეული თვალსაზრისით, დიონისური რელიგიაც კი შექმნა, რო-
მელმაც თავისი ასახვა ჰპოვა დიონისურ მისტერიებში. სულ
უფრო მეტად ვრცელდებოდა ე.წ. კერძო მისტერიების ჩატარე-
ბის პრაქტიკაც. ასეთი მისტერიები შეიძლებოდა მოწყობილიყო
ყველგან. ამისთვის საჭირო იყო რაღაც ბაკქური ადგილის პოვ-
ნა. შემდეგ იწყებოდა ღვინით თრობა, უწმაწურობა და ე.წ. რიტუ-
ალური პროსტიტუცია, შენიღბვა და ადამიანურ თვისებათა გა-
ცხოველება. დიონისური ზიარების აუცილებელი მომენტი იყო
ბაკქური სიშმაგე, რომლით შეპყრობილიც ხდებოდა თავად
ბაკქოსი. დიონისურ მისტერიებში მონაწილეობდნენ ქალებიცა
და კაცებიც. ბაკქური ტრანსის დროს ისინი ნეტარების უმაღლეს
მწვერვალს აღწევდნენ. ამ დროს მისტერიების მონაწილეებს შეეძ-
ლოთ დაეგლიჯათ მათი თვალსაწიერის არეში მოხვედრილი ცო-
ცხალი არსება, რათა უმი ხორცით სიამოვნება გაეძლიერებინათ
(დიონისეს ერთ-ერთი ეპითეტი იყო „უმი ხორცის მჭამელი“).
რიტუალის მონაწილენი მთებისკენ ეშურებოდნენ და იქ ეძლე-
ოდნენ ე.წ. მისტერიულ აგზნებას. მათი რწმენით, სწორედ ეს იყო
მათი განწმენდა ცოდვებისაგან. ამ დროს ბაკქური მისტერიების
მონაწილეებს ეუფლებოდათ იმქვეყნიური არსებობის რწმენა. ეს
ამ რელიგიის უმთავრესი მისია იყო. მეცნიერთა აზრით, ბაკქუ-
რი მისტერია, უფრო მეტად, ვიდრე ელევსინური, მიუახლოვდა
აღმოსავლეთში, განსაკუთრებით ეგვიპტეში, გავრცელებულ
რწმენას იმქვეყნად ნეტარ არსებობაზე.

ბაკქური მისტერიების ტრადიციები დიდხანს აგრძელებდნენ არსებობას. ისინი რომის ეპოქაში რომაულ ბაკქანალიებში გადაიზარდნენ და დაუოკებელი აღვირახსნილობით გამოირჩეოდნენ.

მიუხედავად ასეთი პოპულარობისა, ოლიმპოსის თორმეტ ღმერთს შორის დიონისე გვიან დამკვიდრდა. თუმცა დელფოში მას აპოლონის თანაბარ პატივს მიაგებდნენ. უფრო მეტიც, ხშირად უპირისპირებდნენ კიდეც მას, რამეთუ დიონისეს თვლიდნენ დაბალი ფენების, ხოლო აპოლონს – საგვარეულო არისტოკრატიის მფარველ ღვთაებად.

თანამედროვე ეპოქაში ამ ორი ღვთაების მითოლოგიური და რელიგიური ფუნქციების თავისებურებებიდან გამომდინარე, ფრიდრიჰ ნიცშემ წამოაყენა „გენიალური, მაგრამ საკმაოდ სუბიექტური“ თეორია ბერძნულ ცივილიზაციაში ორი პოლარული საწყისის (სტიქიის) – აპოლონურისა და დიონისურის არსებობის თაობაზე. პირველი, ნიცშეს აზრით, განასახიერებდა წესრიგს, სინათლეს, რაციოს, ხოლო  მეორე – სიშმაგეს, ორგიასტულ სულს, არეულობას.

დიონისეს ხელმეორე დაბადება ზევსის თეძოდან, ისევე როგორც ქართა ხეთური ღმერთისა – ქუმარბის თეძოდან, ასახავს პირველყოფილი მატრიარქალური ტრადიციების უგულებელყოფას. მამაკაციდან ხელმეორედ დაბადების რიტუალი ცნობილი იყო ძველებრაულ მითოლოგიაშიც, რომელსაც, თავის მხრივ, ეს ნასესხები ჰქონდა ხეთური თქმულებებიდან.

ბერძნულ მითოლოგიაში დიონისეს ხელმეორედ დაბადება ზევსის თეძოდან უპირისპირდება ათენას ხელმეორედ დაბადებას ზევსის თავიდან. თუ ათენა გონიერებისა და სიბრძნის განსახიერებაა (იგი თავთან არის დაკავშირებული,) დიონისე ემოციური საწყისის მატარებელია (მისი მომწიფების ადგილი საკმაოდ დაშორებულია თავს). ასე რომ, დიონისეს მთავარი ფუნქცია უკვე მის დაბადებაშია გააზრებული. მის კულტში ემოციური საწყისია წინ წამოწეული.

დიონისეს კულტი რომ საკმაოდ ადრე იყო გავრცელებული ხმელთაშუაზღვისპირეთსა და მის მიმდებარე რეგიონებში, ამაზე მეტყველებს ის, რომ სიტყვა „ღვინო“ სხვადასხვა ჯგუფის ენებში მსგავსი ფუძეების საფუძველზე იწარმოება. კერძოდ, ქართული „ღვინო“, ბერძნული „οἶνος“, ლათინური „vinum“, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ღვინის დამზადების კულტურა ბერძნების ეგეიდა-



ში გამოჩენის პერიოდს ბევრად უსწრებდა წინ. დიონისეს მოგზაურობის ამბები აღმოსავლეთსა და დასავლეთში არა მარტო ველური ვაზის, არამედ სწორედ ღვინის დამზადებისა და გავრცელების გამომხატველია.

დიონისეს ტრიუმფი განპირობებული იყო იმითაც, რომ ღვინომ დაჩრდილა სხვა დამათრობელი სასმელები.

დიონისეს, როგორც აქილევსის, გოგონასავით აღზრდა კრეტული წესი იყო. დიონისეს წარმოსახავდნენ, როგორც რქოსან ბავშვს, მაგრამ არ მიუთითებდნენ თუ რომელი ცხოველის (თხა, ირემი, ხარი, ცხვარი) რქებს ატარებდა იგი. როდესაც აპოლოდოროსი გადმოგვცემს, რომ დიონისე თიკნად გარდასახეს, რათა ჰერას რისხვას განერიდებინათ, მის ეპითეტად ასახელებს „ერიფოსს“ („თიკანი“). ეს მიუთითებს მის კრეტულ ხასიათზე (იგ. დიონისე – ძაგრევსი).

დიონისე ირმის სახებით არის ლეარქოსი, რომელსაც კლავს ჰერასაგან გონებაწართმეული ათამასი. თრაკიაში დიონისეს თაყვანს სცემდნენ, როგორც თეთრ ხარს. არკადიაში იგი ჰერმესმა გარდასახა ცხვრად, რამდენადაც არკადიელები ცნობილი მწყემსები (მეცხვარეები) იყვნენ.

ის ფაქტი, რომ ნისელი ნიმფები, კერძოდ მაკრისი, დიონისეს თაფლით კვებავდა, მიუთითებს იმაზე, რომ ადრე იყენებდნენ სხვა დამათრობელ სასმელს, რომელიც თაფლს შეიცავდა. ამ სასმელს სვამდნენ ღმერთებიც ჰომეროსის მიერ წარმოდგენილ ოლიმპოსზე.

დიონისეს სისხლისაგან აღმოცენებული ბროწეულის ხე იყო აგრეთვე თამუზ-ადონის-რიმონის ხეც. ბროწეულის მარცვლები სკდებიან და ღია ჭრილობის სახეს იღებენ აშიშვლებენ რა ჩამალულ მარცვალს. ბროწეულის ნაყოფი იყო სიმბოლო სიკვდილისა და სიცოცხლისა, როდესაც ჰერას ან პერსეფონეს ხელში ეჭირათ.

ვაზი იყო წმინდა ხის წელის მეათე ხე და სექტემბერს მიესადაგებოდა.ამ დროს ზეიმობდნენ მეღვინეები. სურო იყო მეთერთმეტე ხე და მიესადაგებოდა ოქტომბერს. ამ დროს ზეიმობდნენ მენადები, რომლებიც დათრობის მიზნით ღეჭავდნენ სუროს ფოთლებს.

ჰერას სიძულვილი დიონისესადმი, აგრეთვე ლიკურგოსის, პენთევსისა და სხვათა მიერ მისი კულტის მიუღებლობა მიუთითებს იმ კონსერვატიზმზე, რაც ღვინის, როგორც რიტუალური დამათრობელი სასმელის გავრცელების წინააღმდეგ წარმოებდა.

თვითდამკვიდრების მიზნით მოგზაურობა ეგვიპტესა და ინდოეთში, მკვლევართა აზრით, გვიანი ხანის ჩანართი უნდა იყოს. თუმცა ევრიპიდეს „ბაქ ქალებში“ ვხვდებით დიონისესგან წარმოთქმულ ასეთ ფრაზას: „აზიის მიწა მივატოვე...“ (სტრ. 73), რაც შეეხება ტიტანებთან ბრძოლის ეპიზოდს, აქ მითის მთხზველებმა დიონისეს დაასჯევინეს ტიტანები იმის გამო, რომ მათ ჩვილი ღმერთი მოიტაცეს და ასო-ასო აკუწეს ჰერას ბრძანებით.

ძვ.წ. VII-VI საუკუნეებში პერიანდროსმა (კორინთოსში), კლისთენესმა (სიკიონში) და პისისტრატოსმა (ათენში) მიიღეს დიონისეს კულტი და დააწესეს ოფიციალური ზეიმები მის სადიდებლად. ძვ.წ. V საუკუნისთვის დიონისე ჰესტიას ნაცვლად მკვიდრდება ოლიმპოსის თორმეტ ღმერთს შორის (აქ უნდა გავიხსენოთ პილოსში, ნესტორის სასახლეში აღმოჩენილი ერთ-ერთი ფირფიტა, რომელიც ცხადყოფს, რომ დიონისეს ჯერ კიდევ ძვ.წ. XIII საუკუნეში ჰქონდა ღმერთის სტატუსი).

პენთევსის მითში, რომელიც თავისი უძველესი სახით ჩვენამდე ევრიპიდეს ქმნილებამ შემოინახა, ერთმანეთს უპირისპირდება ორი საწყისი: რაციონალური და ირაციონალური. მოაზროვნე ადამიანი ვერ იჯერებს იმას, რაც მისი გონებისათვის მიუწვდომელია. მაგრამ ამ შემთხვევაში რაციო აშკარად მარცხდება. ყველა მითი, რომელიც დიონისეს ევროპაში, კერძოდ საბერძნეთში დამკვიდრების ამბავს გადმოგვცემს, ამ ორი საწყისის ორთაბრძოლას გამოხატავს. დიონისე იმარჯვებს, მაგრამ ამ გამარჯვებას თან სდევს მსხვერპლიც.

არიადნეს მითი ანთესტერიების დღესასწაულების შემადგენელი ნაწილი იყო. იგი კრეტული წარმომავლობის მთვარის ღვთაებას განასახიერებდა. მისი შვილები დიონისესგან „ღვინის ძეებად“ იწოდებოდნენ. ესენი იყვნენ ენოპიონი, თოასი, სტაფილოსი, ტავროპოლოსი, ლატრომიდასი და ებანტოსი. თანავარსკვლავედი „ჩრდილოეთის გვირგვინი“ ცნობილი იყო „არიადნეს საქორწინო გვირგვინის“, აგრეთვე „კრეტული დიადემის“ სახელით.

დიონისეს მიერ სემელეს მიცვალებულთა სამეფოდან ხსნის სიუჟეტი ტრადიციული ცერემონიალის ასახვა იყო. ეს წესისგება სრულდებოდა ათენში: ისმოდა მუსიკის ხმა, ცეკვავდა ქორო, კალათიდან იყრებოდა ყვავილები, ქურუმი მოუწოდებდა სემელეს, ამოსულიყო ომფალოსიდან „გაზაფხულის სულის“ (ანუ ახალგაზრდა დიონისეს) თანხლებით (პინდარე, ფრ. 75,3). დელფოში ანალოგიური ცერემონია, რომელშიც მხოლოდ ქალები მონაწილეობდნენ, იწოდებოდა „ჰეროიდებად“ ანუ „გმირ ქალთა ზეიმად“ (პლუტარქე, „ბერძნული საკითხები“, 12; არისტოფანე, „ბაყაყები“, 373-396 და სქოლიონები). მსგავსი დღესასწაული იმართებოდა ტროიძენში მდებარე არტემისის ტაძარში.



სემელე კორეს ან პერსეფონეს კიდევ ერთი სახელია. მისი ცად აღზევება ხშირად გამოისახება ხოლმე ლარნაკებზე. ზოგ მათგანზე სატირებსაც ვხვდებით. კორე, რა თქმა უნდა, ცად არ იყო დავანებული, იგი დედასთან ერთად მიწაზე იმყოფებოდა მანამ, ვიდრე არ მოაწევდა მისი ჰადესში ჩასვლის ჟამი. მას შემდეგ, რაც დიონისემ ოლიმპიელი ღმერთის სტატუსი მიიღო, მისი ქალწული-დედის ცად აღზევება აუცილებელ სიუჟეტად იქცა.

## ⑪

წყაროები და ვარიანტები. უძველეს წყაროებად მიჩნეულია ჰომეროსისა და ჰესიოდეს პოემები. საყურადღებოა, აგრეთვე, აპოლოდოროსისა და აპოლონიოს როდოსელის გადმოცემები.

ჰეფესტოს დაბადების რამდენიმე ვერსია არსებობს: ჰომეროსის მიხედვით, იგი ზევსისა და ჰერას შვილია („ილიადა“, XIV,338), ჰესიოდეს გადმოცემის თანახმად კი, ჰეფესტო ჰერას პართენოგენული ძეა („თეოგონია“, 927 და შემდ.).

არსებობს კიდევ სხვა ვერსიაც, თითქოს ჰეფესტო ჰერას შეეძინა დედალოსის დისშვილის – მჭედელ ტალოსისაგან (სერვიუსი, კომენტარები „ბუკოლიკებისათვის“, IV,62; ქსენოფონი, ციტ. პავსანიასთან, VIII,53,2).

ჰეფესტოს თეტისთან და ევრინომესთან ყოფნის ამბავი გადმოცემულია ჰომეროსის მიხედვით („ილიადა“, XVIII,394-409).

ჰერას სავარძელზე მიჯაჭვის ამბავს ვხვდებით აპოლოდოროსთან (I,3,5).

ჰეფესტოს ოლიმპოსიდან მეორედ ჩამოგდება მოთხრობილია აპოლოდოროსის (I,3,5) მიხედვით .

უხილავი მახის ეპიზოდი წარმოდგენილია ჰომეროსის „ოდისეას“ (VIII,266-367) მიხედვით. საყურადღებოა, რომ ჰომეროსის „ილიადაში“ ჰეფესტოს ცოლად დასახელებულია ქარისი (XVIII,382).

განმარტებები. ჰეფესტო, ცეცხლისა და სამჭედლო ხელოვნების ღმერთი, მცირეაზიული წარმომავლობის ღვთაებაა.

მასში განსახიერებულია ცეცხლის სტიქიის უძველესი ნიშნები. ორფიკული ჰიმნი ჰეფესტოს წარმოადგენს, როგორც კოსმიურ ძალას მთელი თავისი ფეტიშური ხელშეუხებლობით. იგი ოსტატია და ხელოვანი, მაგრამ, ამავე დროს ცეცხლია, სინათლე და ეთერი. იგი მფარველობს სახლებს, ქალაქებსა და ტომებს, მაგრამ ამავე დროს მთვარეა და ყოვლის მანათობელი, ყოვლის შთანმთქმელი დემონი (XVI).

ჰეფესტოს სახელის ეტიმოლოგია არ იხსნება ინდოევროპულის საფუძველზე. რამდენადაც ეს ღვთაება, „ილიადის“ მიხედვით, მჭიდროდ უკავშირდება სინტიელთა ტომსა და კაბირებს, მჭედლობის იდუმალებით მოცულ ღმერთებს, ჩანს, იგი განასახიერებდა მეტალურგიისა და მჭედლობის კულტით ცნობილ ერთ-ერთ აღმოსავლურ ღვთაებას. საგულისხმოა, რომ შავიზღვისპირეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში აღმოჩენილია მეტალურგიის ერთ-ერთი უძველესი კერათაგანი. აქვეა დადასტურებული მჭედელთა დღესასწაულის „ქალკეას“ არსებობა, რომელიც გარკვეულწილად ათენასთან იყო დაკავშირებული. ეპოსში ჰეფესტო სხვა ოლიმპიელ ღმერთთაგან გამოირჩევა ცეცხლთან ორგანული კავშირით. უფრო მეტიც, ზოგჯერ მისი სახელი თავად ცეცხლის სინონიმადაც მიიჩნეოდა. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა სკამანდროსის ეპიზოდი („ილიადა“), როდესაც ჰეფესტომ ცეცხლით დააცხრო აქილევსისთვის საფრთხის მომასწავებელი აზვირთებული მდინარე. ჰეფესტოს კულტს უკავშირებდნენ არაერთ ადგილს, სადაც მარადიული ცეცხლი გიზგიზებდა (იგ. ბუნებრივი გაზი. კერძოდ, სამხრეთ აზიაში მდებარე ოლიმპოსთან, კუნძულ ლემნოსზე და სხვა). ფიქრობენ, რომ რომაულ ვულკანუსთან მისი გაიგივება გვიანდელია და ამ ტრადიციის შედეგია მისი სამჭედლოს მოთავსება ეტნას მთის ქვეშ.

ჰეფესტო, ოლიმპოსის სხვა უბადლო ღვთაებათაგან განსხვავებით, კოჭლია და შეუხედავი, რაც აახლოებს მას არქაულ სტიქიებთან. მაგრამ ამავე დროს მას ცოლად ჰყავს უმშვენიერესი აფროდიტე, ან ქარისი („ილიადა“, XVIII,382). ის, რომ ჰეფესტო დაბადებით ხეიბარია, მითოლოგიურ და რეალისტურ გამართლებას პოულობს. აქ ასახულია ხალხის წარმოდგენა: განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული უნდა იყოს რაიმე ნიშნით გამორჩეული.

ოლიმპოსზე ჰეფესტო ღმერთებსართობს, უმასპინძლდება ამბროსიითა და ნექტრით, უშენებს სასახლეებსა და, საერთოდ, ერთგვარი მსახურის როლში გვევლინება, რაც მის არაბერძნულ წარმომავლობაზე მიუთითებს. აპოლონიოს როდოსელი თავის



„არგონავტიკაში“ (III,219-229) გადმოგვცემს იმის შესახებ, რომ ჰეფესტომ კოლხეთის მეფეს ვაზის ძირიდან გამომდინარი ოთხი წყარო უბოძა – რძის, ღვინის, ზეთისა და წყლის. ჰორაციუსი ვულკანუს-ჰეფესტოს წარმოგვიდგენს გაზაფხულის ბუნების წიაღში (სიმღ. I,4, 1-8). ყოველივე ეს ნათელყოფს ჰეფესტოს ხთონურ კავშირს ბუნების ძალებთან.

კლასიკური გაგებით, ჰეფესტო მჭედელია და დიდი ხელოვანი. მისი დამხმარენი არიან მექანიკური მსახურები, რომლებიც თავად გამოიგონა. მან გამოუჭედა აქილევსს აღსაჭურველი და ცნობილი ფარი (ჰომეროსი, „ილიადა“, XVIII,369-616), აიეტესს – სპილენძის ჩლიქები ხარებისათვის (აპოლონიოს როდოსელი, III,229-238), ჰერას აუშენა სანთიობო (ჰომეროსი, „ილიადა“ XIV,166-168), პანდორას დაუმზადა გვირგვინი (ჰესიოდე, „თეოგონია“ 579-584). ვერგილიუსის „ენეიდაში“ (VIII,370-453) წარმოდგენილია გრანდიოზული სურათი ჰეფესტოს მიწისქვეშა სამჭედლოსი, სადაც იჭედება ზევსის მეხი და ელვა, აგრეთვე ენეასის იარაღი. ჰომეროსის ჰიმნში კი (XX,2-7) საუბარია იმაზე, თუ როგორ ასწავლეს ათენამ და ჰეფესტომ ადამიანებს ხელოსნობა. ჰეფესტო თავისი სურვილის წინააღმდეგ, მამის ნებით ადებს პრომეთეს ბორკილებს (ესქილე, „მიჯაჭვული პრომეთე“, 14).

ჰეფესტოს ყველაზე მეტად სცემდნენ თაყვანს ათენში, სადაც იგი ითვლებოდა ხელოსნობის ღვთაებად, მაგრამ მას არ შეეძლო გატოლებოდა ისეთ ძველ კულტებს, როგორებიც იყვნენ პრომეთე და დედალოსი. რამდენადაც ოლიმპოსიდან გადმოსროლილი ჰეფესტო იხსნეს ლემნოსელებმა, ამ კუნძულზე არსებობდა მისი სახელობის ქალაქი და მთა მოსიხლოსი ღმერთის სამჭედლოთი. კუნძულ სამოსთან მას აკავშირებდა დედა – ჰერა სამოსელი. ამიტომ ამ კუნძულზე არსებობდა ქალაქები ჰეფესტოპოლისი და ჰეფესტიონი.

საბერძნეთში ჰეფესტოს კულტი შემოიტანეს ელინებმა ეგეოსის ზღვის კუნძულებიდან. ამგვარად ხთონური არაბერძნული ღვთაება იქცა ათენელ ხელოვანთა და ხელოსანთა ერთ-ერთ ყველაზე პატივდებულ ღმერთად.

# სახელთა საძიებელი

ა

აბიდოსი 109
აგავე 89, 90
აგათონი 19
აგამედესი 130
აგლავროსი 49, 122, 128
აგრავლოსი 49, 122
ადმეტოსი 59, 60, 61, 131
ადონისი 21, 22, 23, 106, 110, 111, 112, 118, 132, 155
ადრასტეა 54
ავგუსტინე 123
ავტოლიკოსი 81
ავტონოე 51
ათამასი 14, 15, 16, 84, 148, 154
ათენა 9, 11, 16, 17, 28, 31, 46, 47, 48, 49, 50, 51, 52, 53, 54, 61, 62, 74, 75, 94, 102, 108, 121, 122, 123, 124, 125, 126, 127, 128, 134, 139, 141, 143, 146, 148, 154, 159
ათენეოსი 122
ათენი 45, 50, 53, 93, 109, 111, 116, 120, 122, 123, 124, 125, 127, 138, 140, 156
აიგიპანი 146
აიეტესი 159
აკეტოსი 92
აკონტიოსი 72, 73, 141
აკროპოლისი 49, 50, 53, 122
ალკეოსი 110
ალკესტისი 60, 61, 131
ალკიპე 76
ალკმენე 16
ალოადები 76
ალფენოსი 58
ალფეოსი 70, 136, 139
ამაძონები 86, 87, 142
ამაძონი 87
ამნისოსი 67
ამონი 86
ამფიონი 56, 58, 130, 146
ამფისოსი 64, 132
ამფიტრიტე 54
ამფიქტრიონი 49
ანდრემონი 65
ანდროგენოსი 109
ანტეროსი 106, 143
ანტიოპე 130, 146
ანტონინუს ლიბერალუსი 114
ანუბისი 147
ანქისესი 27, 28, 29, 30, 106, 111, 112
აპოლოდოროსი 101, 102, 105, 106, 114, 121, 122, 123, 128, 130, 131, 132, 133, 136, 141, 143, 144, 146, 148, 149, 150, 155, 157
აპოლონი 9, 10, 26, 31, 54, 55, 56, 57, 59, 60, 61, 62, 63, 64, 65, 66, 67, 68, 77, 78, 79, 80, 99, 113, 123, 124, 127, 129, 130, 131, 132, 133, 134, 135, 136, 137, 144, 145, 148, 154
აპოლონიოს როდოსელი 103, 105, 106, 121, 122, 129, 131, 135, 143, 148, 149, 157, 158, 159
აპულეუსი 105, 106, 110
არაქნე 52, 53, 54, 123, 129
არეიონი 34
არეოპაგოსი 50, 76
არესი 18, 22, 48, 73, 74, 75, 76, 97, 98, 99, 100, 103, 104, 110, 131, 141, 142, 143, 146
არგეიფონტესი 146
არგოლისი 8, 101, 125
არგონავტები 103, 131
არგოსი 101, 103, 146
არიადნე 93, 94, 149, 156
არიანე 149
არიონი 152
არისტეოსი 51, 59
არისტოფანე 115, 122, 136, 157
არისტოტელე 105, 110
არკადია 69, 76, 101, 112, 116, 117, 125, 140, 155
არკასი 71
არტემისი 28, 31, 56, 58, 60, 66, 67, 68, 69, 70, 71, 72, 73, 87, 94, 108, 110, 129, 130, 136, 137, 138, 139, 140, 141, 157
ასირია 111
ასკლეპიოსი 59
ასტარტე 107
ასტერიე 54
ასტერიონი 101
ატიკა 49, 50, 53, 123, 125
ატისი 138
ატლასი 76
აფარევსი 61, 131
აფარეტიდები 131
აფროდიტე 11, 17, 18, 19, 20, 21, 22, 23, 24, 25, 26, 27, 28, 29, 30, 61, 73, 74, 76, 97, 98, 99, 100, 105, 106, 107, 108, 109, 110, 111, 112, 132, 139, 143, 158
აფროდიტოსი 107
აქაველები 11, 13, 74, 75
აქილევსი 97, 132, 146, 155, 158, 159
აქტეონი 51, 71, 72, 139, 140
აქტეოსი 49
აშთარი 107

ბ

ბაკქე 85
ბაკქოსი 16, 117, 150, 151
ბალკანეთის ნახევარკუნძული 117
ბახუსი 117
ბელოსი 106
ბეოტია 77, 89, 91, 102, 109, 125
ბეოტიელები 52
ბეროე 23
ბისალტისი 54
ბოლონია 125
ბრანქოსი 133
ბრიარეოსი 10
ბრიტომარტისი 139
ბრომია 85

გ

გალატეა 24, 106
გეა 9, 49, 50, 55, 103, 108, 110, 129, 132, 135, 136
გელიუსი 130
გიგანტი 108, 124, 122, 128
გოლგოსი 23
გორგო 124, 127

დ

დალი 137
დამასკო 86
დამსიქტონი 58
დანაე 146
დარდანოსი 34, 116
დაფნე 63, 64, 132, 136
დაფნისი 82, 144
დაფოინე 136
დედალოსი 93, 105, 157, 159
დეიმოსი 73, 97, 143
დელოსი 54, 55, 57, 67, 72, 91, 129, 133, 135, 138, 139
დელფინე 129
დელფო 55, 56, 78, 111, 113, 129, 130, 133, 134, 135, 154, 156
დემეტრე 33, 34, 35, 36, 37, 38, 39, 40, 41, 42, 43, 44, 45, 54, 111, 114, 115, 116, 117, 118, 119, 120, 148
დემონები 45
დემოფონი 38, 119
დეო 38, 45
დესპოინა 34
დიანა 139
დილბადი 137
დილბატი 137
დიოდოროს სიცილიელი 102, 105, 106, 112, 114, 131, 144, 148, 149
დიომედესი 50, 74, 75, 128, 142, 143
დიონე 54, 106, 148

დიონისე 14, 18, 54, 83, 84, 85, 86, 87, 88, 89, 90, 91, 92, 93, 94, 95, 96, 97, 117, 126, 129, 132, 148, 149, 150, 151, 152, 153, 154, 155, 156, 157
დიონისე ჰალკარნასელი 112
დიოსკურები 131
დირკე 130
დისი 16
დრეზდენი 125
დრეპანუმი 112
დრიასი 43, 89
დრიოპე 64, 65, 82, 132

ე

ებანტოსი 156
ეგეოსის ზღვა 91, 159
ეგესტა 112
ეგვიპტე 86, 119, 149, 153, 156
ედონიელები 89
ევბეა 102
ევენოსი 61, 131
ევერესი 51
ევმენიდები 111
ევრინომე 95, 157
ევრიპიდე 102, 103, 122, 130, 131, 133, 148, 149, 151, 156
ევრიტოსი 64, 65
ევროპა 87, 156
ევროპე 54
ევფრატი 86
ეზოპე 144, 146
ეირენე 117
ელევსინი 37, 38, 42, 45, 114, 115, 119, 120
ელექტრა 116
ელიანოსი 105, 106, 136, 144, 149
ელისი 70
ენეასი 29, 30, 109, 111, 159
ენიო 73, 142
ენოპიონი 156
ეოლოსი 15
ეოსი 29, 112
ეპიდავროსი 138
ერატო 85
ერატოსთენესი 102
ერეხთევსი 128
ერეხთეიონი 128
ერიბოია 76
ერიგონე 54
ერინია 14, 15, 108, 142
ერინიოსი 146
ერინისი 15
ერისი 73, 104, 141, 142
ერისიხთონი 43, 44, 114, 119
ერიქსი 23
ერიქსის მთა 112
ერიხთონიოსი 48, 49, 122, 127, 128
ეროსი 18, 19, 20, 21, 63, 106, 110, 143
ესქილე 124, 149, 159
ეტა 132
ეტნა 68, 158
ექალია 64
ექიდნე 15
ექიონი 81
ექო 24, 25, 27, 106, 111
ეფესოსი 109, 138

ვ

ვენუსი 109
ვერგილიუსი 107, 110, 111, 133, 136, 144, 149, 159
ვესტა 113
ვულკანუსი 159

ზ

ზევსი 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 16, 17, 18, 19, 21, 22, 24, 27, 28, 29, 30, 31, 34, 35, 37, 40, 41, 46, 47, 48, 50, 51, 52, 53, 54, 55, 56, 59, 61, 66, 67, 70, 71, 72, 73, 74, 75, 76, 78, 79, 80, 81, 83, 84, 85, 87, 89, 94, 96, 97, 98, 99, 100, 101, 102, 103, 104, 105, 106, 107, 108, 110, 111, 112, 114, 116, 121, 122, 123, 126, 127, 129, 130, 131, 132, 136, 137, 141, 146, 148, 154, 157, 159
ზეფიროსი 8, 17, 110



თ

თალიე 59
თამუზი 110, 111, 118, 155
თებე 56, 57, 83, 89, 111, 128, 130, 143, 146
თელეფინუ 118
თელპუსია 117
თემისი 54, 55
თეოკრიტოსი 105, 107, 134, 144
თეოფილოსი 149
თესალია 43, 59, 60, 125
თესევსი 93
თეტისი 10, 88, 95, 119, 157
თიონე 94
თოასი 156
თრაკია 22, 89, 155
თრიასია 123
თრიები 81, 148
თრონაქსი 101
თრონაქსის მთა 8
თუკიდიდე 136, 151

ი

იაკქოსი 34, 114, 117
იამბე 38
იასიონი 34, 114, 116
იასონი 103
იდა 11, 28, 31, 61, 109
იდასი 61, 131
იდმონი 52, 54, 133
ილითიია 54, 55
ინანა-იშთარი 118
ინდოეთი 86, 87, 149, 156
ინო 11, 14, 15, 16, 84, 148
იო 148
იოდამა 122
იოლკოსი 60
ირისი 7, 8, 40, 55, 110
ისმენოსი 57
იტალია 133
იტონი 122
იტონიელები 127
იტონოსი 122, 127
იულიუსი 109, 111
იუნო 104
იქსიონი 15
იშთარი 107

კ

კადმოსი 15, 34, 52, 89, 90, 128, 142
კალიმაქოსი 114, 121, 123, 129, 134, 136, 148
კალიოპე 22, 111
კალისტო 70, 71, 136, 140
კანათოსი 105
კარმანორი 55
კასანდრა 133
კასტალია 66
კასტორი 131
კეკროფსი 49, 50, 123
კეკროპია 50
კეკროპიდები 50
კელადონი 69
კელეოსი 38, 119
კეოსი 150
კერბეროსი 15
კერესი 116
კეფევსი 140
კეფისოსი 24
კვიპროსი 17, 21, 23, 28, 100, 106, 108, 109, 133
კიანა 36
კიბელე 31, 139, 151
კიდიპე 73
კიკლოპი 59, 67, 68, 136
კილენე 62, 76, 78
კინეფონი 104
კინირასი 21, 106
კირენე 59
კირკე 146
კითერა 17, 108, 109
კითერეა 28
კითერონი 89, 90, 102
კლიმენტ ალექსანდრიელი 149
კლისთენესი 156
კნოსოსი 108
კოიოსი 66
კოკიგიონი 101
კოკიქსი 101
კოპენჰაგენი 125

კორე 34, 116, 117, 157
კორინთოსი 109, 116, 125, 156
კორონისი 59
კრეტა 38, 55, 67, 68, 93, 108, 109, 116, 118, 125, 136
კრეუსა 111
კრონიონი 13
კრონოსი 7, 18, 31, 33, 35, 46, 106, 112, 114, 126


ლ


ლაბდაკიდები 52
ლადონი 9, 132
ლამფსაკოსი 113
ლაომედონი 10
ლარიოპე 24
ლატრომიდასი 156
ლაციუმი 111
ლეარქოსი 16, 155
ლედა 54
ლევკოთეა 16
ლემნოსი 97, 98, 158
ლესბოსი 104
ლეტო 28, 54, 55, 56, 57, 58, 59, 66, 67, 68, 129, 137, 138, 148
ლიბია 52, 122, 127
ლიდია 87
ლიკაბეტოსი 49
ლიკაონი 70, 140
ლიკეოსი 140
ლიკია 133
ლიკოსი 130
ლიკურგოსი 88, 89, 149, 155
ლინკევსი 131
ლინკოსი 42
ლინოსი 59
ლიპარა 139
ლირიოპე 111
ლოტო 65
ლოტოსი 65
ლუკიანოსი 142
ლუკრეციუსი 105


მ


მაია 76, 77
მაკარეისი 54
მაკრისი 85, 155
მაკრობიუსი 133
მანტო 56
მარკელინუსი 142
მარპესა 61, 131
მარსი 143
მარსიასი 61, 62, 63, 131, 133
მედეა 119
მედუზა 124, 127
მელეაგროსი 142
მენადები 85, 86
მერკურიუსი 147
მესენია 61
მეტანირა 38, 39, 119
მეტარმოსი 106
მეტისი 46, 126
მიდასი 87, 88, 131, 149
მიკენი 118, 123
მილეტოსი 129
მინიასი 91, 149
მინოსი 93
მინოტავროსი 93
მირა 111
მისიის ოლიმპოსი 69
მოფსოსი 133
მუზა 59, 66
მცირე აზია 109, 115, 132, 133, 134, 137, 138, 151


ნ


ნავსიკაე 137
ნაიადა 109
ნაისა 144
ნარკისოსი 24, 25, 26, 27, 106, 111
ნაქსოსი 92, 93
ნემესისი 126
ნერეისი 35
ნერევსი 10, 20, 95
ნერიტესი 20, 106
ნესტორი 156
ნიმფა 24, 25, 27, 28, 31, 36, 43, 44, 45, 52, 53, 59, 67, 68, 70, 71, 85, 108, 116, 122, 132, 136, 140, 144, 148, 149, 155
ნიობე 56, 57, 58, 59, 130, 133, 136
ნისა 35, 85
ნისა (ნიმფა) 85
ნიქტევსი 140
ნიქტეისი 54
ნიცშე 135, 154
ნომია 82, 144
ნონოსი 149


ო


ოდისევსი 50, 82, 128, 137, 146
ოვიდიუსი 102, 104, 105, 106, 111, 112, 113, 114, 118, 121, 123, 129, 130, 131, 132, 136, 137, 141, 142, 144, 146, 148, 149
ოიდიპოსი 111
ოინომაოსი 142
ოკეანისი 35, 46
ოკეანოსი 8, 12, 13, 35, 67, 68, 95, 101, 102
ოლენოსი 110
ოლიმპია 104
ოლიმპოსი 7, 8, 9, 10, 12, 16, 17, 20, 21, 27, 29, 31, 37, 40, 42, 45, 47, 50, 54, 59, 61, 66, 74, 75, 79, 80, 85, 94, 95, 96, 97, 102, 103, 110, 114, 141, 155, 156, 157, 158, 159
ოლიონევსი 58
ომფალოსი 113
ორტიგია 67, 70, 139, 140
ორფევსი 59, 119
ორქომენოსი 84, 91


პ


პავსანიასი 101, 102, 104, 105, 106, 114, 116, 117, 122, 129, 130, 133, 134, 135, 136, 137, 139, 140, 141, 148, 149, 150, 157
პალაიმონი 16
პალამაონი 122
პალასი 47, 122
პალეკასტრო 118
პანგეონი 89
პანდორა 158
პანდროსოსი 49
პანი 69, 82, 86, 88, 131, 132, 136, 146
პაქტოლოსი 149
პარასია 69
პარისი 132
პარნასოსი 55, 63, 65, 66, 80, 81, 148
პასიფაე 12, 136
პაფოსი 24, 28, 100, 106, 109
პეითო 18
პელასგოსი 103
პელიასი 60
პელოპონესოსი 17, 108, 133, 137
პელოფსი 146
პენევსი 63, 64, 136
პენელოპე 128
პენეოსი 132
პენთევსი 89, 90, 149, 155, 156
პერგამონი 125
პერდიქსი 105
პერიანდროსი 156
პერსევსი 122, 146
პერსეფიტატე 116
პერსეფონე 21, 22, 34, 35, 36, 37, 40, 41, 46, 84, 94, 111, 114, 115, 116, 117, 118, 119, 131, 148, 155, 157
პიგმალიონი 23, 24, 106
პიერია 77
პითონი 55, 67, 129, 135
პილოსი 56, 79, 116, 156
პინდარე 114, 121, 122, 130, 131, 134, 141
პისისტრატოსი 155
პლატონი 120
პლინიუსი 105, 106, 131
პლოტინი 124
პლუტარქე 122, 135, 136, 140, 148, 149, 157
პლუტოსი 34, 114, 117
პოლიდევკესი 131
პოლიკლეტესი 104
პოსეიდონი 9, 10, 11, 18, 31, 34, 44, 48, 49, 50, 53, 54, 61, 68, 76, 99, 100, 106, 113, 114, 117, 118, 122, 123, 127, 128

პრაქსიტელესი 109, 110
პრიამოსი 146
პრიაპოსი 18, 31, 32, 65, 109, 113, 132
პროზერპინა 116
პროიტოსი 11
პრომეთე 122, 124, 159
პროტევსი 86

რ

რარია 42
რეა 7, 31, 33, 54, 84, 87, 89, 112, 114, 151
რიმონი 155
როდოსი 18, 100, 125
რომი 109, 111, 113, 116, 154

ს

საბაძიოსი 117
საბერძნეთი 72, 83, 103, 107, 108, 109, 110, 111, 115, 125, 135, 143, 150, 151, 156, 159
სალმაკისი 109
სამოსი 101, 103, 105, 159
სატირი 31, 85, 86, 96
საფო 130
სემელე 11, 14, 83, 84, 89, 94, 148, 151, 157
სენეკა 103
სერვიუსი 104, 105, 106, 107, 113, 114, 136, 149, 157
სვიდა 122
სიბილა 133
სიკიონი 125, 156
სილენოსი 31, 85, 86, 87
სიპილოსი 57
სირაკუზა 70
სირია 109
სისიფოსი 15
სიცილია 109, 139
სკვითები 42
სმინთევსი 134
სმირნა 21, 106, 111
სოფოკლე 111, 130, 142, 143
სპარტა 111, 137
სტაფილოსი 156
სტიქსი 27, 83, 84, 104
სტრაბონი 101, 121, 122, 133, 136, 149

ტ

ტალოსი 104, 105, 157
ტანტალოსი 57
ტარტაროსი 21, 22, 36, 59, 78, 79, 103, 110
ტავრისი 138
ტავროპოლოსი 156
ტეთისი 8, 12, 13, 46, 70, 101
ტემენოსი 101
ტიდევსი 74, 75, 128
ტიგროსი 87
ტითონოსი 29, 112
ტირესიასი 13, 14, 51, 56, 89, 102, 123, 128
ტისიფონე 15
ტიტანი 7, 66, 84, 86, 117, 124, 156
ტიტანისი 67
ტიფონი 103, 146
ტრინაკრია 68, 139
ტრიოფსი 43
ტრიპტოლემოსი 42, 119
ტრიტონი 109
ტრიტონის ტბა 46, 122
ტროა 10, 11, 13, 28, 48, 74, 75, 103, 111, 112, 125, 128, 132, 134, 146
ტროიძენი 87
ტროფონიოსი 130

უ

ურანია 59
ურანოსი 46, 106, 108

ფ

ფაეთონი 106
ფაროსი 86
ფებე 66
ფედიმოსი 57



ფესტოსი 109
ფთიოტისი 127
ფიგალია 117
ფიდიასი 125
ფლეგიასი 142
ფლეგიოსი 59
ფლოა 87
ფობოსი 18, 73, 97, 143
ფოიბოსი 62
ფრიგია 62, 87, 131
ფსიქე 20, 21, 106, 110
ფულგენციუსი 106

ქ

ქაოსი 19
ქარიკლო 51
ქარისი 8, 18, 28, 108, 157, 158
ქიმერა 82
ქიოსი 91
ქსენია 144
ქსენოფონი 157

შ

შავიზღვისპირეთი 158

ჩ

ჩათალ-ჰუჲუქი 115

ც

ცეცე 102, 122
ციცერონი 110

ძ

ძაგრევსი 117
ძეთოსი 130

ხ

ხმელთაშუაზღვისპირეთი 105, 113, 154

ჰ

ჰაგია ტრიადა 104
ჰადესი 14, 35, 36, 37, 38, 40, 41, 46, 59, 60, 61, 73, 74, 75, 81, 94, 115, 118, 145, 147, 157
ჰალიროთიოსი 76
ჰარმონია 18, 34, 97, 143
ჰებე 75, 104
ჰეკატე 54, 116, 138
ჰელიადები 23
ჰელიკონი 51, 65
ჰელიკონის მთა 85
ჰელიოსი 7, 36, 37, 97, 98, 99
ჰემოსი 69
ჰერა 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15, 16, 17, 24,31, 55, 61, 66, 67, 69, 71, 73, 74, 83, 84, 85, 94, 95, 96, 101, 102, 103, 104, 105, 109, 118, 126, 141, 155, 156, 157, 159
ჰერაკლე 16, 50, 60, 61, 69, 128, 134
ჰერმაფროდიტოსი 18, 82, 100, 109
ჰერმესი 18, 29, 40, 41, 47, 60, 76, 77, 78, 79, 80, 81, 82, 83, 85, 95, 96, 99, 100, 110, 132, 143, 144, 145, 146, 147, 148, 155
ჰეროდოტე 121, 122, 123, 129, 130, 142
ჰეროფილოსი 18, 100
ჰერსე 49
ჰესიოდე 101, 103, 106, 107, 108, 110, 114, 115, 117, 121, 126, 129, 130, 136, 143, 148, 149,157, 159
ჰესიქიოსი 122
ჰესპერიდები 9, 88
ჰესტია 9, 31, 32, 33, 94, 108, 112, 113, 156
ჰეფესტიონი 159
ჰეფესტო 18, 47, 48, 49, 55, 68, 73, 74, 93, 94, 95, 96, 97, 98, 99, 100, 104, 105, 121, 122, 126, 127, 157, 158, 159
ჰეფესტოპოლისი 159
ჰექტორი 146

ჰიაკინთოსი 111
ჰიგინუსი 101, 102, 105, 106, 107, 111, 113, 114, 121, 122, 123, 136, 137, 149
ჰიეროფანტესი 121
ჰიმენეოსი 18
ჰიპოკრენე 65
ჰიპოლიტოსი 146
ჰომეროსი 101, 102, 103, 105, 106, 107, 108, 112, 114, 115, 121, 126, 128, 129, 130, 131, 133, 134, 135, 136, 137, 141, 142, 143, 144, 145, 146, 147, 148, 149, 150, 151, 155, 157, 159
ჰორაციუსი 159
ჰორები 17, 18, 108